

K 27344
4

საქართველოს
ბიბლიოთეკა


დმანისი




DMANISI

I

ქვემო ქართლი



LOWER KARTLI





ՆԱԿՐՅԵՆԿԱՆ
ՆՈՒՆՎՈՐԴՈՒՄՆԵՐ

6-6 136 հղի 60 հոգի
դրոշմի ընթացքում և կրկին կրկին

13/IX-98

բառերի մեջ կրկին և անկրկին ձևերով (ընդ)

մ 2500
1/11 2004 թ
Զ. Զ. Զ.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
არქეოლოგიური კვლევის ცენტრი
ღმანისის ისტორიულ-არქეოლოგიური განყოფილება



АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИИ
ЦЕНТР АРХЕОЛОГИЧЕСКИХ ИССЛЕДОВАНИЙ
ДМАНИССКОЕ ИСТОРИКО-АРХЕОЛОГИЧЕСКОЕ ОТДЕЛЕНИЕ

GEORGIAN ACADEMY OF SCIENCES
CENTRE FOR ARCHAEOLOGICAL STUDIES
DMANISI HISTORICAL-ARCHAEOLOGICAL DEPARTMENT

ღმანისი
ДМАНИСИ
DMANISI
I

მეცნიერება მეცნიერება METSNIEREBA
თბილისი ТБИЛИСИ TBILISI
1998



დმანისის რეგიონი საყოველთაოდაა ცნობილი სხვადასხვა პერიოდის მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი ისტორიული ძეგლებით. კრებულში წარმოდგენილი ნაშრომები ეძღვნება დმანისში აღმოჩენილ არქეოლოგიურ ძეგლებს და სხვა საკითხებს.

Дманисский регион широко известен многочисленными историческими памятниками разных периодов. Представленные в сборнике научные труды посвящены выявленным в Дманиси археологическим памятникам и другим вопросам.

The Dmanisi region is universally known for its diverse and numerous historical remains of various periods. The papers presented in the collection are devoted to the archaeological remains discovered in Dmanisi, and to other questions.

რედაქტორი
ჯუმბერ კოპალიანი
Редактор
ДЖУМБЕР КОПАЛИАНИ
Editor
JUMBER KOPALIANI


K 21344
4

რეცენზენტები:

ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი ბიორბი აშრასიძე
ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი მანანა ბაბუნია

0 504 000000
M 607(06) 98
ISBN 99928-51-00-7

© „მცნობიერება“, 1998





წინასიტყვაობა

ღმანისის ნაქალაქარი უნიკალური ძეგლია. ეს პატარა ტერიტორია (13 ჰა), რომელიც მდინარეების მაშავერასა და ფინეზაურის შესართავთან მდებარეობს, თავის ისტორიას იწყებს, ფაქტობრივად, იქიდან, როდესაც ამ მხარეში ვულკანური პროცესები შეწყდა და გაცივებულ ლავაზე სიცოცხლისათვის საჭირო პირობები წარმოიშვა. უძველესი აღმინის სადგომით დაწყებული, შუა საუკუნეების ძლიერი ქართული ქალაქის აშენებით დამთავრებული, ფაქტობრივად, აქ გაიარა კაცობრიობის ისტორიის ყველა პერიოდი. XVIII საუკუნეების ბოლოს კი აქ სიცოცხლე შეწყდა და ოღესღაც საქართველოს ძლიერი ქალაქი ნაქალაქარად იქცა.

ღღეს რომ განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მოექცა ღმანისი, ეს შემთხვევით არ მომხდარა. იგი განაპირობა იმ ხანგრძლივმა, დაუღალავმა და ნაყოფიერმა არქეოლოგიურმა კვლევადიებამ, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა აკადემიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა. შოთა რუსთაველის პოემის იუბილესათვის მზადებასთან დაკავშირებით 1936-1937 წლებში აქ მისი ინიციატივით მუშაობდა ღმანისის არქეოლოგიური ექსპედიცია ლევან მუსხელიშვილის ხელმძღვანელობით. ამის შემდეგ აქ დიდი ხნით შეწყდა არქეოლოგიური სამუშაოები და მხოლოდ 1960 წლიდან განახლდა იგი ბ-ნი ვახტანგ ჯაფარიძის ხელმძღვანელობით.

მცირე დაფინანსების გამო თავიდან არქეოლოგიური სამუშაოები შეზღუდული მასშტაბით წარიმართა, მაგრამ 80-იანი წლებიდან ღმანისის რეგიონში ფართო მასშტაბის სამუშაოები დაიწყო. ამ დროს შეიქმნა მაშავერას ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციაც (ხელმძღვანელი კახა კახიანი). ისინი შეუდგნენ როგორც შუა საუკუნეების, ისე წინაქრისტიანული ხანის არქეოლოგიური ძეგლების გამოვლენას და მათ მეცნიერულ შესწავლას.

1983 წლიდან ამას დაემატა ღმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ნაქალაქარის ტერიტორიაზე, შუა საუკუნეების ნაგებობათა ქვეშ არსებულ დანადგეკ ფენებში აღმოჩენილი ადრეპალეოლითური ძეგლის შესწავლა.

ათი წლის ინტენსიური არქეოლოგიური გათხრების შედეგად ღმანისის რეგიონში გამოვლნდა და გაითხარა ძალზე მნიშვნელოვანი ადრეპალეოლითური, ბრინჯაოს (ადრე, შუა და გვიანბრინჯაოს), ანტიკური და შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები. შედეგები ძალიან



მნიშვნელოვანი იყო. ამიტომ 90-იან წლებში ექსპედიციის ხელმძღვანელი ნელობის მიერ გადაწყდა გამოსაცემად მომზადებულიყო სამეცნიერო კრებული "დმანისი I", რაც საფუძველს ჩაუყრიდა მომდევნო კრებულების პერიოდულ გამოცემას. პირველ კრებულში სხვა სტატიებთან ერთად განზრახული გეკონდა შესუდიყო დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის პირველი ხელმძღვანელის დ.მუსხელიშვილის ნაშრომი დმანისზე, რომელიც 1938 წელს გამოქვეყნდა და დღეს ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს.

სამწუხაროდ, ბ-ნ ვახტანგს არ დასცალდა ჩანაფიქრის განხორციელება — იგი ჩვენგან წავიდა — ამან კი გარკვეული ცვლილებების შეტანა გამოიწვია კრებულის შინაარსში (დ. მუსხელიშვილის ნაშრომი მეორე კრებულში შევა).

თუ ისე ვერ შევადგინეთ და მოვამზადეთ ეს კრებული, როგორც ბ-ნ ვახტანგს ჰქონდა ჩაფიქრებული, პატიებას ვითხოვთ მისი ხსოვნის წინაშე.

ჯუმაბერ კოკალიანი

ПРЕДИСЛОВИЕ

Дманисское городище — уникальный памятник расположенный у слияния рек Машавера и Пинезаури. История этой маленькой территории (13 га) берет начало с момента прекращения здесь вулканических процессов и создания условий жизни. Здесь отражены все этапы историй человечества — от стоянки древнейшего человека до возникновения мощного средневекового города. К концу XVIII века жизнь здесь прерывается и когда-то один из блестящих грузинских городов превращается в городище.

Нынешний повышенный интерес к Дманиси — не случаен, он обусловлен теми длительными и скрупулезными археологическими изысканиями, которым в 1936 г. положил начало акад. И. А. Джавахишвили, в связи с подготовкой 750 летнего юбилея Шота Руставели и его поэмы „Витязь в тигровой шкуре“. Тогда раскопками руководил Л. Мухелишвили. Далее, к сожалению, последовал длительный перерыв и раскопки возобновились лишь в 1960 году уже под руководством, ныне покойного Вахтанга Варламовича Джапаридзе, но за неимением должного финансирования, работы проводились в ограниченных масштабах. Начиная с 80-х годов — масштабы их расширились.

В это время, создаётся и экспедиция Машаверского ущелья, изучающая дохристианские памятники (К. Кахиани). Обе эти экспедиции приступили к широкомасштабному изучению древностей Дманиси. С 1983 года к этому добавилось выявленный в осадочных слоях под средневековым городищем древнепалеолитический памятник.

В результате десятилетних интенсивных археологических раскопок в Дманисском регионе были выявлены весьма значительные археологические памятники различных эпох: бронзы, (ранней, средней и поздней), античной, средневековья, побудившие нас в 90-ых годах приступить к подготовке научного сборника „Дманиси I“, который послужит основанием дальнейшего серийного издания.



საქართველოს
რეპუბლიკის
ხელისუფლების
სამართლებრივი
სერვისების
სამსახური

В первом сборнике, наряду с другими статьями, было решено поместить, ныне ставший библиографической редкостью, работу первого раскопщика Дманиси, Л. Мухелишвили.

К сожалению, при жизни Вахтангу Варламовичу не удалось осуществить задуманное. Его кончина внесла определённые коррективы в содержание сборника (работу Л. Мухелишвили планируется включить в следующий сборник).

ДЖУМБЕР КОПАЛИАНИ

FOREWORD

The ancient city site of Dmanisi is a unique monument situated at the confluence of the Mashavera and Pinezauri. The history of this small territory (13 ha) commenced from the time of cessation of volcanic processes and the creation of conditions for life. Reflected here are all stages of man-kind,s history - from the site of ancient man to the emergence of a large medieval city. Towards the end of the 18th century life ceased here, one of the sometime brilliant Georgian cities turning into the site of a former city.

The present enhanced interest in Dmanisi is not fortuitous. It is due to the long-standing scrupulous archaeological studies initiated in 1936 by Acad. I. A. Javakhishvili in connection with the preparations for the 750th anniversary of Shota Rustaveli and his poem “The Man in the Panther,s Shin”. At that time the excavations were directed by L. Muskhelishvili. There unfor-tunately followed a long interruption, and the excavations resumed in 1960 under the direction of the late Vakhtang V. Japaridze. However, for lack of necessary funds, the scope of excavations was limited. The situation improved from the ,80s, when the expedition of the Mashavera valley was formed to study the pre-Christian remains (K. Kakhiani). Both expeditions started a wide-scale study of the antiquities of Dmanisi. From 1983, to this was added an ancient Palaeolithic relic discovered in the sedimentary layers under the medieval city site.

Decades of intensive archaeological excavations in the Dmanisi region have revealed highly significant relics of various periods: Bronze (Early, Midde and Late), Classical, and Medieval. This prompted us to start (in the ,90s) preparation of a scientific collection of papers “Dmanisi 1”, which will serve as the basis for further serial publications.

It was decided to include in the first collection the study (now a rarity) by L. Muskhelishvili, the first excavator of Dmanisi. Unfortunately,



Vakhtang Japaridze failed to carry out his plan. His death caused some changes in the content of the collection (It is planned to print L.Muskhelishvili,s work in the next issue).

JUMBER KONALIANI

რამინ რამიშვილი, გმირიონ ჯორბენაძე, ჯუმბერ კოკალიანი.

ვახტანგ ვარლამის ძე ჯაფარიძე

უფროსი თაობის არქეოლოგების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ვახტანგ ვარლამის ძე ჯაფარიძე, რომელსაც დიდი ამაგი მიუძღვის ქართული მედიავისტური არქეოლოგიის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში, დაიბადა 1911 წლის 1 მარტს თბილისში, მოსამსახურის ოჯახში.

სწავლა დაიწყო აკაკი წერეთლის სახელობის პირველდაწყებით სკოლაში, ხოლო 1921 წლიდან გადაიყვანეს თბილისის პირველ საცდელ-სახევენებელ შრომის სკოლაში, რომლის დირექტორი იყო მიხეილ ზანდუკელი. 1927 წელს სკოლის დამთავრებისთანავე ვ. ჯაფარიძე ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პედაგოგიური ფაკულტეტის ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე. 1930 წელს ფაკულტეტი გარდაიქმნა პედაგოგიურ ინსტიტუტად, რომელიც მან დაამთავრა 1931 წელს.

1930 წელს ვ. ჯაფარიძე მონაწილეობასღებულობს და იმარჯვებს ამიერკავკასიის რადიოცენტრის მიერ ქართული გადაცემების დიქტორზე გამოცხადებულ კონკურსში. დიქტორად მან იმუშავა 1936 წლამდე.





1935 წელს აკად. ივ. ჯავახიშვილის ინიციატივით და მისი უშუალო ხელმძღვანელობით შეიქმნა დიდი ექსპედიცია, რომელსაც საგანგებოდ შედგენილი პროგრამის საფუძველზე უნდა შეეკრიბა მასალების საქართველოს შინამრეწველობისა და წერილი ხელოსნობის ისტორიისათვის. ვ. ჯაფარიძეს ორი თვის განმავლობაში მოუხდა მუშაობა ხევში, მდ. ქსნისა და მდ. არაგვის ხეობაში.

აკად. ივ. ჯავახიშვილმა ექსპედიციის მიერ შეკრებილ მასალებს ჩაუტარა სათანადო რედაქტირება და ფიქრობდა მის გამოცემაზე, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო ეს საქმე გადაიდო 1976 წლამდე.

ხემოხსენებულ ექსპედიციაში მუშაობამ შესაძლებლობა მისცა ბატონ ვახტანგს თანამშრომლობა დაეწყო შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის მუზეუმში, რომლის დირექტორიც აკად. ივ. ჯავახიშვილი იყო. პირველი შეხვედრები დიდ მეცნიერთან იმდენად შთამბეჭდავი და ღრმაშინაარსიანი ყოფილა, რომ განათლებით ფილოლოგი ვ. ჯაფარიძე მთელი არსებით გადაერთო საქართველოს მატერიალური კულტურის კვლევა-ძიებაში და თავისი ბედი დაუკავშირა არქეოლოგიურ საქმიანობას. 1936 წლის 1 სექტემბერს ვ. ჯაფარიძე ჩაირიცხა მუზეუმში უმცროსი მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობაზე, სადაც მუშაობა დაიწყო შუასაუკუნეთა საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიის საკითხებზე, კერძოდ თიხის ჭურჭლის შესწავლაზე.

ამ პერიოდში საქართველოში მზადება დაიწყო შოთა რუსთაველის პოემის „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლისთავის იუბილესათვის. ამასთან დაკავშირებით აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ შემუშავებული იყო რუსთაველის ეპოქის უმნიშვნელოვანესი ძეგლების არქეოლოგიური შესწავლის პროგრამა, რომლის განხორციელებას ხელმძღვანელობდა ცნობილი მეცნიერი ლ. მუსხელიშვილი. ვ. ჯაფარიძე იმთავითვე ჩაება არქეოლოგიურ კვლევა-ძიებაში, სადაც ლ. მუსხელიშვილის ხელმძღვანელობით სწავლობდა სხვადასხვა მუშაობის მეთოდებს და ძეგლის ფიქსაციის წესებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბატონი ვახტანგი თავის შემდგომ სხვადასხვა კვლევა-ძიებისას ერთგული დარჩა პირველი მასწავლებლის მიერ შემუშავებული პრინციპებისა.

1936-1937 წწ. ვ. ჯაფარიძე მუშაობდა დმანისის და გეგუთის ექსპედიციებში. 1938-1939 წწ. გუდარეხის არქეოლოგიურ გათხრაში.


1936-1937 წწ. მონაწილეობა მიიღო „შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალურ კულტურის“ საიუბილეო გამოფენის მოწყობაში, რომელსაც ხელმძღვანელობდა აკად. ივ. ჯავახიშვილი. ვ. ჯაფარიძისათვის ეს უდიდესი სკოლა იყო, სადაც დიდი ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით იგი ეუფლებოდა არქეოლოგიური მასალების გააზრების ხელოვნებას და სამუზეუმო საქმეს. ამ სკოლამ დიდი კვალი დაამჩნია ბატონი ვახტანგის საქმიანობას შემდგომშიც, როდესაც იგი გახდა ერთ-ერთი მესვეური საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისა.

1939-1940 წწ. და აგრეთვე 1941 წ. ვ. ჯაფარიძე მუშაობდა მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის სამთავროს რაზმში, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ მ. ივაშჩენკო და ალ. კალანდაძე.

1939-1941 წწ. მონაწილეობა მიიღო თრიალეთისა და მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციების მიერ მოპოვებული არქეოლოგიური მასალების გამოფენის „თრიალეთი და მცხეთა — უძველესი ქართული კულტურის კერები“ მომზადებაში, რომელიც მოეწყო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში აკად. ს. ჯანაშიას ხელმძღვანელობით.

აკად. ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების შემდეგ 1941 წ. გაუქმდა „შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის მუზეუმი“ და შტატის ძირითადი ნაწილი შეერწყა მაშინ ახლად დაარსებულ ქართული ხელოვნების ისტორიის სექტორს (აწინდელ ინსტიტუტს) და 1941 წლის 1 აპრილიდან ვ. ჯაფარიძე ჩაირიცხა აღნიშნულ სექტორში უმცროსი მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობაზე.

მეორე მსოფლიო ომის დროს 1941 წ. 25 ივნისიდან 1945 წ. დეკემბრამდე ვ. ჯაფარიძე გაწვეული იქნა არმიაში, როგორც ოფიცერი (თბილისის საარტილერიო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ).



ვახტანგ ჯაფარიძე არქეოლოგიური გათხრების პროცესში ღმანისის ნაკვალაქარის ტერიტორიაზე.



1946 წლის მარტიდან ბატონი ვახტანგი მუშაობას იწყებს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიის განყოფილებაში უფროს მკვლევარად. ნიერ თანამშრომლად, ხოლო იმავე წლის აგვისტოდან გადაიხვეწა ფონდების სწავლული მცველის თანამდებობაზე. ამ განყოფილებაში მუშაობა განპირობებული იყო იმით, რომ აქ ინახებოდა შუასაუკუნეების ნაქალაქარებისა და ნასახლარების გათხრების შედეგად მოპოვებული მასალები, რომლის შესწავლაც შეადგენდა ვ.ჯაფარიძის მიზანს. ბატონმა ვახტანგმა დიდი ამაგი დასდო ფონდების შემოწმება-მოწესრიგების საქმეს. მან დაიწყო დმანისის, გეგუთის და გუდარეხის გათხრების დროს მოპოვებული მასალების მომზადება პუბლიკაციისათვის და მიზნად დაისახა შუასაუკუნეების გამოფენის აღდგენა, რომელიც ომის წლებში დაიშალა.

ომის შემდგომ წლებში აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, რომელსაც სათავეში ედგა ბატონი ანდრია აფაქიძე, იქცა არქეოლოგიური საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად კერად, სადაც, გარდა ნიჭიერი ახალგაზრდებისა, მონაწილეობდნენ ისეთი გამოცდილი მეცნიერები, როგორებიც იყვნენ პროფესორები გ. ნიორაძე, ბ. კუფტინი, გ. ჩიტაია და სხვები, რომლებიც, გარდა პრაქტიკული საველე საქმიანობისა, წარმატებით აგრძელებდნენ ახალგაზრდა არქეოლოგიური კადრების მომზადებას.

1952 წლის მარტში ვ. ჯაფარიძე გადაიყვანეს მუზეუმის სწავლული მდივნის თანამდებობაზე. 1954 წელს მისი ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით აღდგენილი იქნა შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის მატერიალური კულტურის გამოფენა.

50-იანი წლების დასაწყისში ბატონმა ვახტანგმა იტვირთა გუდარეხის არქეოლოგიური მასალების გამოქვეყნება. ეს იყო საკმაოდ შრომატევადი და მძიმე საქმე, მით უმეტეს, რომ ექსპედიციის ხელმძღვანელი ლ. მუსხელიშვილი ადარ იყო ცოცხალი, ხოლო ექსპედიციის წევრი შ. ხიდაშელი უკვე გადასული იყო ფილოსოფიის დარგში და მას ადარ შეეძლო ამ მასალების გამოქვეყნებაში მიეღო აქტიური მონაწილეობა. ეს დიდი შრომა დასრულდა იმით, რომ 1954 წელს ლ. მუსხელიშვილის, შ. ხიდაშელის და ვ. ჯაფარიძის ავტორობით გამოქვეყნდა წიგნი „გუდარეხის პირველი და მეორე (1938 და 1939 წწ.) არქეოლოგიური კამპანიის აგნარიში“. წიგნი წარმოადგენს კარგად შედგენილ მეცნიერულ დოკუმენტურ ანგარიშს იმ არქეოლოგიური კვლევა-ძიების შესახებ, რომელიც ჩატარდა გუდარეხის შუასაუკუნეების სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე.

ამავე პერიოდში ბატონი ვახტანგი წარმატებით მუშაობს შუასაუკუნეთა ხანის ქართული კერამიკის შესწავლაზე, რომელიც ჯერ კიდევ 1936 წელს დაიწყო აკად. ივ. ჯავახიშვილის რჩევით. ეს მრავალწლიანი ნაყოფიერი შრომა დასრულდა დიდი წარმატებით და 1956 წლის 13 იანვარს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტში ვ. ჯაფარიძემ დაიცვა დისერტაცია თემაზე: „კერამიკული წარმოება XI-XIII სს. საქართველოში (არქეოლოგიური მასალების მიხედვით)“, რის სა-

ფუძველზე მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. საქართველოს განვითარებული შუასაუკუნეების კერამიკის შესწავლას მიეძღვნა ვ. ჯაფარიძის რამოდენიმე სტატია და დიპლომატიკური ნოგრაფია სადისერტაციო ნაშრომის თემაზე, რომელიც დაიბეჭდა 1956 წელს. ამ წიგნში პირველად არის ერთად თავმოყრილი და გააზრებული იმხანად არსებული განათხარი თუ შემთხვევით მოპოვებული კერამიკული ნაწარმი და სათანადოდაა დაჯგუფებული და დათარიღებული. აღნიშნული მონოგრაფიის გამოცემა ქართული მედიავისტური არქეოლოგიური ლიტერატურის დიდი მიღწევა იყო და ამით საფუძველი ჩაეყარა არქეოლოგიური კერამიკის შემდგომ გადრმავებულ კვლევას.



ვახტანგ ჯაფარიძე, ვახტანგ სურგულაძე (არქიტექტორი, ცენტრში) და ჯუმბერ კობახიანი დმანისის ნაქალაქარის შიდაციხის ტერიტორიაზე.

1958 წლის ივნისში ვ. ჯაფარიძე გადაიყვანეს მუზეუმის დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე სამეცნიერო დარგში. ამ თანამდებობაზე 13 წლის მანძილზე მუშაობის პერიოდში დიდი დრო და ენერგია მოახმარა მუზეუმის სამეცნიერო ავტორიტეტის შემდგომი ზრდის საქმეს, არქეოლოგიური ექსპედიციების მუშაობის გაფართოებას, ფონდების მოვლის გაუმჯობესებას, გამოფენების მოწყობას, საგამომცემლო საქმიანობას, სესიების ჩატარებას და სხვა.

1960 წელს მოსკოვში, აღმოსავლეთმცოდნეთა საერთაშორისო XXV კონგრესზე ბატონი ვახტანგის ხელმძღვანელობით მოეწყო ძველი ქართული ნივთიერი კულტურის ძეგლებისა და ქართული სამეცნიერო ლიტერატურის გამოფენა, რისთვისაც კონგრესის საორგანიზაციო კომიტეტის მადლობა დაიმსახურა.



1960 წლიდან ვ. ჯაფარიძის ინიციატივით მუშაობა განაახლა დმანისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, რომელიც ლ. მუსხელიშვილის ბაზრდაცვალების შემდეგ შეწყვეტილი იყო. მისი ხელმძღვანელობით დაიწყო ფართო მასშტაბური არქეოლოგიური კვლევა-ძიება ნაქალაქარზე, რის შედეგადაც გამოვლინდა მეტად საყურადღებო მასალები. ამ კვლევა-ძიების შედეგები მრავალჯერ იყო მოხსენებული სამეცნიერო სესიებზე და გამოქვეყნებული ანგარიშების სახით.

დმანისის ნაქალაქარზე კვლევა-ძიების განახლების შემდეგ ბატონი ვახტანგის საქმიანობაში იწყება თვისობრივად ახალი ეტაპი. იგი ქვემო ქართლში მიემგზავრება ახალი ვრცელი და ყოვლისმომცველი პროგრამით, რომელიც ითვალისწინებდა მთელ რეგიონში ფართო სადაზვერვო სამუშაოების ჩატარებას. ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც ვ. ჯაფარიძე აღმოჩნდა იმ მოწინავე მკვლევართა რიგში, რომლებმაც გაიზიარეს აკად. ნ. ბერძენიშვილის მიერ შემოთავაზებული ცალკეულ მხარეთა კომპლექსური შესწავლის მეტად გონივრულად შედგენილი პროგრამა. ექსპედიციამ ქვემო ქართლში გამოავლინა ნასოფლარები და სამაროვნები, ხელოსნობისა და დამწერლობის უნიკალური ნიმუშები. სწორედ ამ მასალების შეჯამებულ კვლევას მიეძღვნა მოგვიანებით, 1982 წელს მის მიერ გამოქვეყნებული მონოგრაფია „ადრეული შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები ქვემო ქართლიდან“.

მიუხედავად ადმინისტრაციული საქმიანობით გადატვირთულობისა, ბატონი ვახტანგის მოღვაწეობა სამეცნიერო-კვლევით სფეროში 1946-1970 წლებში გამოირჩეოდა დიდი ნაყოფიერებით. აღნიშნულ წლებში გამოქვეყნებული ნაშრომებით მან თვალსაჩინო წვლილი შეიტანა ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაში.

1971 წელს ვ. ჯაფარიძე თავისი თხოვნის საფუძველზე თავისუფლდება სახელმწიფო მუზეუმის დირექტორის მოადგილის თანამდებობიდან და იმავე წლის 23 მარტიდან გადადის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის შუასაუკუნეთა ხანის არქეოლოგიის განყოფილებაში უფროს მეცნიერ თანამშრომლად. ამ განყოფილებას იმ დროს განაგებდა ყველასათვის კეთილმოსაგონარი გ. ლომთათიძე, რომელიც დიდი სიხარულით შეხვდა ამ გადაწყვეტილებას. სამწუხაროდ, ბატონი გიორგის და ბატონი ვახტანგის ურთიერთთანამშრომლობა დიდხანს არ გაგრძელებულა, — 1971 წლის ოქტომბერში გარდაიცვალა შუასაუკუნეთა ხანის არქეოლოგიის განყოფილების ფუძემდებელი და პირველი ხელმძღვანელი გ. ლომთათიძე.

1971 წლის 5 ნოემბრიდან ვ. ჯაფარიძეს დაევალა შუასაუკუნეთა ხანის არქეოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელობა, რასაც წარმატებით ანხორციელებდა 1987 წლამდე, არქეოლოგიური კვლევის ცენტრში ჩატარებულ რეორგანიზაციამდე. განყოფილებაში ვ. ჯაფარიძე ცდილობდა ხელი შეეწყოს თანამშრომელთა სამეცნიერო კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, ხელმძღვანელობდა ასპირანტებს, ზრუნავდა არქეოლოგიური ექსპედიციების მუშაობის გაუმჯობესებაზე. მისი აქტიური მონაწილეობით და რედაქტორობით გაგრძელდა გ. ლომთათიძის

მიერ დაარსებული კრებულის „ვეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები“ გამოცემა. გამოვიდა ოთხი კრებული, რომელთაგან მეორე წიგნი მიეძღვნა გ. ლომთათიძის ხსოვნას, ხოლო მეოთხე — ლ. მუსხელიშვილისას.

ვ. ჯაფარიძეს შესწავლილი აქვს ქართული ისტორიული ძეგლები რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც. 1973 წელს მონაწილეობა მიიღო ქ. ასტრახანში მიძინების ტაძრის ტერიტორიაზე ქართველი მეფეების ვახტანგ VI-ის და თეიმურაზ II-ის სამარხების შესწავლაში, რომლის შედეგადაც გამოქვეყნდა სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომი გ. პაიჭაძესთან თანაავტორობით „ქართული ისტორიული ძეგლები ქალაქ ასტრახანში“ (1974 წ.). 1983 წელს კონსულტაციას უწევდა მოსკოვის დონის მონასტრის ექსპედიციას.

ინსტიტუტში მუშაობის წლებში ბატონმა ვახტანგმა ფასდაუდებელი ამაგი დასდო ქართულ ისტორიოგრაფიას იმითაც, რომ 1975 წელს მისი ინიციატივითა და აქტიური მონაწილეობით ისტორიის ინსტიტუტთან ჩამოყალიბდა საქართველოს შინამრეწველობის და წვრილი ხელოსნობის ისტორიის საპრობლემო ჯგუფი, რომელსაც მიზნად ჰქონდა დასახული აკად. ივ. ჯავახიშვილის თაოსნობით შეგროვილი შინამრეწველობის და წვრილი ხელოსნობის ისტორიის მასალების გამოცემა. ამ ჯგუფს ის ხელმძღვანელობდა საზოგადოებრივ საწყისებზე. შეიქმნა აღნიშნული მასალების გამოცემის სარედაქციო კოლეგია აკად. გ. ჩიტაიას თავმჯდომარეობით. ვ. ჯაფარიძე დაინიშნა ერთ-ერთ მოადგი-



ვახტანგ ჯაფარიძე (შუაში) ესაუბრება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, აკადემიკოს ალბერტ თავხელიძეს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, აკადემიკოს როინ მეტრეველს და დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის პალეოლითური ძეგლის შემსწავლელი რაზმის ხელმძღვანელს, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორს მედეა ნიორაძეს. გადაღებულია 1991 წლის 21 სექტემბერს.



ლედ. „მასალები“ შეიცავს ძვირფას, უნიკალურ ცნობებს ქართველი ხალხის სოფლის მეურნეობის, შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსანობის ყველა დარგის შესახებ. 1976-1992 წწ. გამოიცა 9 წიგნი, რომელთაგან ბატონი ვახტანგი არის სამი ტომის რედაქტორი და წინასიტყვაობის ავტორი, ხოლო მის მიერ შეგროვილი მასალები დაბეჭდილია ყველა წიგნში. ქართული ისტორიოგრაფიის ამ ფუნდამენტალურ ნაშრომს 1994 წელს მიენიჭა საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემია. ამ პრემიის ლაურეატები არიან ივ. ჯავახიშვილი, გ. ჩიტაია, მ. გეგეშიძე, კ. კახიანი, ა. სოხაძე, ვ. ჯაფარიძე.

1981 წელს მოსკოვში სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე მოწყობილი იყო თემატური გამოფენა „არქეოლოგია და თანამედროვეობა“, რომლის მომწყობი იყო არქეოლოგიური კვლევის ცენტრი. გამოფენამ, რომელიც ხუთი თვე გრძელდებოდა, დიდი წარმატებით ჩაიარა და ცენტრის 34 თანამშრომელი დაჯილდოვდა გამოფენის დირექციის მედლებით. მათ შორისაა ვ. ჯაფარიძე.

თავისი მრავალწლიანი მეცნიერული მოღვაწეობის დროს ვ. ჯაფარიძე არაერთხელ გამოსულა მოხსენებებით სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებზე, მათ შორის რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც. ის იყო ორგანიზატორი ორი სესიისა, რომელთაგან ერთი ჩატარდა 1975 წელს და მიეძღვნა გ. ლომთათიძის ხსოვნას, ხოლო მეორე კონფერენცია თემაზე „კავკასიის შუა საუკუნეების ქალაქები და საქალაქო ცხოვრება (არქეოლოგიური მონაცემების შუქზე)“ მიეძღვნა შუა საუკუნეების საქართველოს არქეოლოგიური ძეგლების გეგმაზომიერი შესწავლის 50 წლისთავს და ჩატარდა 1988 წელს თბილისში და ღმანისში. მას ჰქონდა საერთო კავკასიური მასშტაბი.

ბატონი ვახტანგის მეცნიერული მოღვაწეობის ყურადღების ცენტრში მუდამ იყო ღმანისის ნაქალაქარის არქეოლოგიური შესწავლა. მან კარგად იცოდა, რომ ქართული ფეოდალური ქალაქის ისტორიის გაღრმავებული კვლევისას ღმანისის ნაქალაქარს საგანგებო მისია ეკისრება, როგორც ეტალონურ ძეგლს. ბატონი ვახტანგის მუხლჩაუხრელი შრომით და ხელმძღვანელობით არაერთი ძეგლი გაითხარა როგორც ნაქალაქარზე, ისე რაიონის სხვადასხვა პუნქტებში, დაიწყო სამაროვნის შესწავლა, ნაქალაქარის სხვადასხვა ადგილას მის მიერ გაითხარა რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაგებობა. განსაკუთრებულია მის მიერ ნაქალაქარის ცენტრალურ ნაწილში ქალაქის ერთი მნიშვნელოვანი კვარტალის გათხრა, სადაც ქვედა ფენებში გამოვლინდა პირველყოფილი ადამიანის მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი სადგომი. აღნიშნულმა აღმოჩენამ, რომელიც თარიღდება 1,8 მილიონი წლით, მსოფლიო მეცნიერების ყურადღება მიიპყრო. 1991 წლიდან ღმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის შემადგენლობაში მონაწილეობას ღებულობენ გერმანელი არქეოლოგები ქ. მაინცის რომაულ-გერმანული ცენტრალური მუზეუმიდან. ამ აღმოჩენებით ძალიან იყო აღფრთოვანებული ბატონი ვახტანგი და ყურადღებას არ აკლებდა ქვის ხანის შემსწავლელ რაზმს.



ვ. ჯაფარიძის ინიციატივით დმანისის ნაქალაქარზე დაიწყო გამოვლენილი ნაგებობების კონსერვაცია-რესტავრაცია, რომელიც გათხრების პარალელურად მიმდინარეობდა. ბატონ ვახტანგს მუდამ აწუხებდა დმანისის ნაქალაქარის ტერიტორიის დაცვისა და მოვლის საკითხები. მისი დიდი მცდელობის შედეგად, 1982 წელს ნაქალაქარი გამოცხადდა მუზეუმ-ნაკრძალად. აქვე თავმოყრილია ამ რეგიონის სხვადასხვა ადგილებში მოპოვებული ქვის ძეგლები (ქვაჯვარები, ჩუქურთმიანი დეტალები, საფლავის წარწერიანი ქვები და ქანდაკებები და სხვა).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დმანისის არქეოლოგიური ექსპედიცია ნაქალაქარის ტერიტორიის გარდა გათხრებს აწარმოებდა მის მიდამოებში და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ახალმშენებლობათა ზონაში გამოვლენილ ხუროთმოძღვრულ-არქეოლოგიური ძეგლების შესწავლას და გადარჩენას. ქვემო ქართლის რეგიონში ექსპედიციის მი-



ვახტანგ ჯაფარიძე და ჯემბურ კობლაშვილი დმანისის ციხეზე

K21344
4

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა



ერ გამოვლენილი ეპიგრაფიკული და ქვის ძეგლების ნაწილი დაცულია თბილისის მუზეუმებში.

ვ. ჯაფარიძე წლების მანძილზე მალალ მეცნიერულ დონეზე ასრულებდა თავის წლიურ სამეცნიერო თემებს და სრულ დოკუმენტურ საველე ანგარიშებს აბარებდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიურ კომისიას.

ბატონ ვახტანგს სხვადასხვა გაზეთებში გამოქვეყნებული აქვს არაერთი სტატია არქეოლოგიურ თემატიკაზე.

ვ. ჯაფარიძე ეწეოდა დიდ სამეცნიერო-ორგანიზაციულ მუშაობას. იყო ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის და არქეოლოგიური კვლევის ცენტრის სამეცნიერო საბჭოს წევრი, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა არქეოლოგიური კომისიის მუშაობაში. გარდა ამისა, სისტემატურად მონაწილეობდა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ტერმინოლოგიური კომისიის სხდომებში.

ქართული ძეგლების სიყვარულით იყო გამოწვეული ბატონი ვახტანგის ურთიერთობა საქართველოს ისტორიის და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოებასთან. ის იყო სარევიზიო კომისიის წევრი და აქტიური ავტორი ჟურნალ „ძეგლის მეგობრისა“.

ვ. ჯაფარიძეს მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები (მედლები, საქართველოს უმაღლესი საბჭოს სიგელები), როგორც სამხედრო სამსახურისათვის, ისე მეცნიერული მოღვაწეობისათვის.

ვ. ჯაფარიძე გარდაიცვალა 1993 წლის 9 აპრილს. ეს იყო ქართული არქეოლოგიის დიდი დანაკლისი. მას დარჩა გამოუქვეყნებელი ათ თაბახიანი ნაშრომი „მასალები ქართული მეჭურჭლეობის ტერმინოლოგიისათვის“, დაუმთავრებელი ნარკვევები შუასაუკუნეების საქართველოს არქეოლოგიური ძეგლების შესახებ, რომელიც გათვალისწინებული იყო მრავალტომეულისათვის „საქართველოს არქეოლოგია“, მუშაობდა მონოგრაფიაზე „ნაქალაქარი დმანისი“ და ამზადებდა გამოსაცემად კრებულს „დმანისი“.

კიდევ არაერთი ოცნება და ჩანაფიქრი დარჩა განსახორციელებელი ბატონ ვახტანგს, — ამ გამუდმებულ ჯაფაში დამაშვრად ჭარმაგ მამულიშიღილს. თუმცა ის, რისი გაკეთებაც მან მოასწრო, სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ მეცნიერებისა და სამშობლოსათვის თავდადებული ადამიანის ხსოვნა წარუშლელი დარჩეს ქართული მეცნიერების ისტორიაში.

პახტანბ ჯაფარიძე

დმანისის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი შუა საუკუნეებში (არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით)

ისტორიული წყაროების ცნობებით და არქეოლოგიური მონაცემებით დადგენილია, რომ დმანისი ქალაქად ყალიბდება IX-X საუკუნეებში. ამ საკითხში ჩვენი მეცნიერები ერთი აზრისანი არიან (7, გვ. 447; 24, გვ. 35; 2, გვ. 35, 17 და სხვ.), კარგად არის ცნობილი აგრეთვე, რომ დმანისი, ქალაქად ჩამოყალიბებამდე, ადრეულ შუა საუკუნეების დასაწყისში წარმოადგენდა ქალაქური ტიპის მნიშვნელოვან დასახლებულ პუნქტს, რაზედაც მეტყველებენ მონუმენტური არქეოლოგიური ძეგლები — დმანისის სიონი (VII ს.) (13, გვ. 192), ადრეული შუასაუკუნეების დმანისის გარეუბნის სასაფლაოზე არსებული ერთი პატარა დარბაზული ეკლესია წმ. თევდორეს სახელობისა.

გარეუბნის სამაროვნის სამხრ. მონაკვეთზე აღმოჩენილია ადრეული შუა საუკუნეების სამარხები, V-VII სს. სტელების ფრაგმენტები (18, გვ. 93-94, ტაბ. LXXIV- LXXV), ხოლო ნაქალაქარის ტერიტორიაზე VI-VII-VIII სს. ბიზანტიური მონეტები (იმპერატორების: იუსტინე I-ის, იუსტინე II-ის, ფოკასი, ჰერაკლესი, კონსტანტინე II-ის და ტიბერიოს III-ის (5, გვ. 299-303; 16, გვ. 30-31, 43-45) და სხვ). ბუნებრივია, რომ დმანისის ქალაქად ჩამოყალიბების შემდეგ, საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ დაწინაურებასა და გაძლიერებასთან ერთად, დმანისიც კვალში მიჰყვება ქვეყნის წინსვლას და მნიშვნელოვან როლს ასრულებს მის ეკონომიკურსა და პოლიტიკურ ცხოვრებაში. თავისი განვითარებისა და აყვავების უმაღლეს დონეს დმანისმა მიაღწია XII საუკუნის მეორე ნახევარსა და XIII საუკუნეში. აღნიშნულ პერიოდში დმანისი არის თავისი დროის ვრცელი და მდიდარი სავაჭრო ქალაქი. ამის დამადასტურებელია მრავალრიცხოვანი მონეტები (2.000 ცალზე მეტი), აღმოჩენილი როგორც ნაქალაქარის ტერიტორიაზე, გათხრების პროცესში, ისე მის გარეუბნებსა და გარეუბნის ვრცელ სამაროვანზე, სამარხებში; ამასვე ადასტურებს შუა საუკუნეების ხელოსნობის მრავალი დარგის არსებობის დამადასტურებელი დიდძალი განათხარი მასალა: კერამიკა (მოუჭიქავი, მოჭიქული,



ადგილობრივი ფაიანსის და შემოტანილი ფაიანსისა, სელადონის ჭურჭლების ნატეხები), მინის ჭურჭლისა და სამკაულების ნიმუშები, რომლებიც აღმოჩენილია ნიშნულთა და ძვლის ნივთები და სხვა.

ქალაქის სიმიდრეზე მეტყველებს გათხრის პროცესში აღმოჩენილი მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის, აგრეთვე გარეული ცხოველების (ირემი, შველი და სხვ.) უთვალავი ძვლები; კაპიტალური საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები, მათ შორის ქვითკირით ნაგები დიდი ტევადი ბუდეები, აგრეთვე დიდი ტევადობის მრავალრიცხოვანი სამეურნეო ორმოები (სიმაღლე 1,5-2-2,5-3 და მეტი მეტრის). მრავალრიცხოვანი დიდ-პატარა მარნები სხვადასხვა სიდიდის ქვევრებით (1,5 მ-დან 2,5 მ-მდე სიმაღლის);

როგორც ცნობილია, შუა საუკუნეების ქალაქის ეკონომიკური მდგომარეობა ძირითადად დამოკიდებული იყო ხელოსნობის განვითარებაზე.

საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების დამთავრებამ, ქვეყნის ეკონომიკურმა აღმავლობამ, მეზობელ ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის განვითარებამ და ქალაქების მოსახლეობის ზრდამ გამოიწვია მოთხოვნების გაზრდა ხელოსნურ ნაწარმზე, რის შედეგადაც ხელოსნურმა წარმოებამ თავისი განვითარების მაღალ დონეს მიაღწია სწორედ XI-XIII სს. (2, გვ. 72).

წერილობითი წყაროების მონაცემებით და არქეოლოგიური გათხრების მიხედვით ირკვევა, რომ საქართველოს შუა საუკუნეების ქალაქებში განვითარებული იყო ხელოსნობის თითქმის ყველა დარგი. აღსანიშნავია ისიც, რომ ხელოსნობის კერები არსებობდა სოფლებშიაც და ხელოსნური ნაწარმი გავრცელებული იყო, შეიძლება ითქვას, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, როგორც ქალაქებში, ისე პერიფერიებშიც. ამის დამადასტურებელია, მაგალითად, მოტიქული ჭურჭლის ნიმუშების აღმოჩენა ნასოფლარების გათხრის პროცესში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. იგივე შეიძლება ითქვას მინის წარმოების შესახებაც.

როგორც ქართულ, ისე უცხოურ წყაროებში მოიპოვება ცნობები, რომ ქართული ხელოსნური ნაწარმი (მაგ. მინის, საფეიქრო ნაწარმი, აბრეშუმი, ტანსაცმელი, ხალიჩები, მცენარეული საღებავები, აგრეთვე თაფლი და სხვა) გაჰქონდათ უცხო ქვეყნებში (3, გვ. 101-114; 2, გვ. 98-125).

შუა საუკუნეების იმ ქალაქებიდან, რომლებიც წარმოადგენდნენ ხელოსნური წარმოების ძირითად ცენტრებს, აღსანიშნავია: თბილისი, დმანისი, რუსთავი, ქუთაისი, არტანუჯი, ახალქალაქი, თელავი, ჟინვალი, სამშვილდე, ხუნანი, ახალციხე, გორი, ოლთისი, ატენი და სხვ.

აღნიშნული პერიოდის საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდა როგორც მეზობელ ქვეყნებთან — ირანთან, შირვანთან, სომხეთთან (რომელიც საქართველოს შემადგენლობაში შემოდიოდა), ისე შორეულ ქვეყნებთან (ბიზანტია, ინდოეთი, ეგვიპტე, რუსეთი და სხვ.) (2,



გვ. 100; 3, გვ. 104-105, 109) ბიზანტიასთან საქართველო დაკავშირებული იყო ტრაპიზონითა და საზღვაო გზებით. საქართველოს საგარეო ურთიერთობა ჰქონდა ისეთ შორეულ ქვეყანასთანაც, როგორცაა ჩინეთი (19, გვ. 36-38, 48-53).

ამავე დროს სავაჭრო ურთიერთობასთან დაკავშირებით შუა საუკუნეების საქართველო ზრუნავდა გზების კეთილმოწყობაზე, ხიდების მშენებლობაზე, ქარვასლებზე, ფუნდუკებზე, სავაჭრო გზების დაცვაზე და სხვ. აღნიშნული პერიოდის საქართველო დაქსელილი იყო სავაჭრო გზებით. ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში სანდოდ არის დადგენილი რიგი სავაჭრო გზები. აღმოსავლეთი საქართველოს ქალაქები ტრაპიზონს უკავშირდებოდნენ ე.წ. „პარტანუჯის გზით“ (2, გვ. 101; 15, გვ. 83-84, 128-129), სპარსეთ-არღებილ-ზენჯანისა და ღვინ-თავრიზის გზით; ჩრდილოეთის ქვეყნებთან საქართველო დაკავშირებული ყოფილა რამდენიმე გზით: დარიალით, ზღვისპირეთის გზით და ყველაზე უკეთ მოწყობილ — „დარუბანდის გზით“ (2, გვ. 101; 9, გვ. 175-188; 15, გვ. 130-132) და სხვ.

შუა საუკუნეების (XI-XIII სს.) საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების შესახებ სარწმუნო და საინტერესო ცნობებს გვაწვდიან ქართული ფულების (მათ შორის განძების შემადგენლობაშიც) აღმოჩენები სხვადასხვა ქვეყნებში.

აღსანიშნავია ქართული მონეტების აღმოჩენა ბაქოში (2, გვ. 101), ლენქორანში (27, გვ. 441), სტალინგრადის ოლქში (15, გვ. 135), მაიკოპის მახლობლად; ყუბანის ოლქში აღმოჩენილი იყო დიდი განძი, რომელშიც რუსუდანის 500 მონეტა შედიოდა (27, გვ. 619). ისტორიული სომხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილია ქართული მონეტები: ღვინში, ენშიაძინში, ანისში, ყარსში, ერევანში და სხვაგან, მათ შორის აღმოჩენილია ქართული მონეტების განძებიც (5, გვ. 316); ქართული მონეტები ნაპოვნია ჩრდ. რუსეთში, ვოლგისპირეთში, ბალტიისპირეთში, გერმანიაში (5, გვ. 316; 3, გვ. 112).

ჩრდ. კავკასიის ტერიტორიაზე აღმოჩენილია რუსუდანის მონეტები, რომლებიც შედიოდა დარუბანდის XII-XIII სს. განძში, რომელიც 150 კგ-ს იწონიდა (27, გვ. 441; 3, გვ. 112).

რუსუდანის ერთი მონეტა აღმოჩენილია სოფ. მარტუკში და ორი გახვრეტილი მონეტა სოფ. კელისთან შუა საუკუნეების სამარხში (მთიანი ინგუშეთი). სხვა ორი სინქრონული მონეტა აღმოჩენილია ჩრდ. რუსეთის ტერიტორიაზე სოფ. ძივგისთან (ამ ორ მონეტასთან ერთად არის აღმოჩენილი გიორგი III-ის ერთი მონეტაც). „ქართული“ მონეტები, თქრთს ურდოს დროინდელი, აღმოჩენილია ჩრდ. კავკასიის ტერიტორიაზე სხვადასხვა პუნქტში, რომლებიც დაცულია სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ფონდებში და სხვ.

ინტენსიურ ეკონომიკურ ურთიერთობაზე მიგვითითებს უცხო ქვეყნების მონეტები, აღმოჩენილი საქართველოს ტერიტორიაზე მრავალ პუნქტში, მათ შორის განძების სახით ან განძების შემადგენლობაში.

ამ მხრივ აღსანიშნავია ბიზანტიური მონეტები, რომლებიც გვხვდება



დიდი რაოდენობით მოყოლებული VI საუკუნიდან. თუ ჩვენი წყაროების რიცხვის პირველი საუკუნეების ბიზანტიური მონეტები გვხვდება, განსაკუთრებით, XI საუკუნიდან მოყოლებული მათი რაოდენობა მნიშვნელოვნად მატულობს (1, გვ. 18; 16, გვ. 43-45). ბიზანტიური მონეტები მნიშვნელოვანი რაოდენობით გვხვდება საქართველოში XI საუკუნის ბოლომდე, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბიზანტიური ადრეული საუკუნეების მონეტები ბრუნვაში გვხვდება XII და XIII საუკუნეებშიც.

XII-XIII საუკუნეებში, აგრეთვე XIV საუკუნეშიც მნიშვნელოვანი რაოდენობით შემოდის მუსლიმანური დინასტიების მონეტები: ილდიგიზიდების, რუმის სელჯუკების, ეიუბიდების, ორთუკიდების, მოსულისა და ჰალაბის ათაბაგების, მონგოლური — ჩინგიზიდების, ჰულაგუიდების და სხვ. რუმის სელჯუკების ვერცხლის ფული აღმოჩენილია როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში.

XI-XIV სს. საქართველოში გვხვდება უცხო ქვეყნების მონეტები ქვემოჩამოთვლილ ქვეყნებში: ბიზანტიური ფული — ახალციხეში, დმანისში, ოლთისში, თბილისში; ეიუბიდების — დმანისში, თბილისში; ილდიგიზიდების — დმანისში, თბილისში; მოსულის ათაბაგების — თბილისში; ორთუკიდების — თბილისში, ახალციხეში; რუმის სელჯუკების — ბიჭვინთაში, თბილისში; ტრაპიზონული ფული — ქუთაისში, ახალციხეში, ახალქალაქში (5, გვ. 313-316) და სხვ.

რაც შეეხება შუა საუკუნეების საკუთრივ დმანისის ეკონომიკურ მდგომარეობას და როლს ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში, მის სავაჭრო ეკონომიკურ კავშირებს, ამის შესახებ მნიშვნელოვან მასალას გვაძლევს, უმთავრესად, არქეოლოგიური მასალა, თუმცა მოგვეპოვება ისტორიული წყაროების ცნობებიც. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობა საქართველოში შექმნილ იმ სიტუაციის შესახებ, რომელიც წინ უსწრებდა დიდგორის ომის დაწყებას. ამ კონტექსტშია, როგორც ცნობილია, მოხსენიებული დმანისი. ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ დავით აღმაშენებლის მტკიცე პოლიტიკის შედეგად, შეჭირვებულნი „თურქმანნი და კუალად ვაჭარნი განძელ-თბილელ და დმანელნი წარვიდეს სულტანსა წინაშე და ყოველსა სპარსეთსა, შეიღებნეს შავად რომელთამე პირნი და რომელთამე წყლები და რომელნიმე სრულიად და ესრეთ მიუთხრნეს ყოველნი ჭირნი, მოწვევნულნი მათ ზედა, რომელთა აღძრნეს წყალობად თჳსად და იქმნა გლოვა ფრიად შორის მათსა“ (11, გვ. 340) ეს მოკლე ცნობა მრავალმხრივ არის მნიშვნელოვანი და საინტერესო; დმანისი დასახელებულია შუა საუკუნეების იმ დიდ ქალაქთა შორის, რომელთა ვაჭრები, უკმაყოფილონი დავით აღმაშენებლის ეკონომიკური პოლიტიკით, გამგზავრებულან სულთანთან დახმარების სათხოვნელად. კარგად ჩანს ამ აქციის როგორც ეკონომიკური ხასიათი, აგრეთვე ის გარემოება, რომ წყაროს ცნობაში დასახელებული ქალაქები სხვებზე უფრო დაწინაურებული, მდიდარი, გავლენიანი და, მაშასადამე, თავისი ეკონომიკური მდგომარეობის შენარჩუნებით დაინტერესებული ქალაქები იყვნენ



და სწორედ მათ იკისრეს ზემოხსენებული მისია, რასაც, როგორც ცნობილია, მოჰყვა მაჰმადიანური ქვეყნების კოალიციური გამოლაშქრების საქართველოს წინააღმდეგ და საქართველოსათვის სახელგანთქკვეთის გორის ომი.

უკვე XII საუკუნის პირველი ნახევრიდან დმანისი მდიდარი სავაჭრო ქალაქი ჩანს, რომელიც, ამასთანავე, ინარჩუნებს აქტიურ როლს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

რა თქმა უნდა, ქვეყნის პოლიტიკური, სამხედრო და კულტურული დაწინაურებისა და განვითარების პერიოდში — XII-XIII სს. დმანისი კიდევ უფრო იზრდება და ძლიერდება, თუმცა ამის შესახებ წყაროები არაფერს გვატყობინებენ, მაგრამ არქეოლოგიურმა გათხრებმა ამის დამამტკიცებელი ნივთიერი საბუთები მრავლად გამოამხეურა, რაზედაც ცოტა უფრო ქვემოთ გვექნება საუბარი.

მაგრამ ქართულ ისტორიულ წყაროებში არის კიდევ ერთი ცნობა XIII საუკუნის 70-იანი წლების დმანისის შესახებ, რომელიც წარმოდგენას იძლევა მონღოლების ბატონობის პერიოდის დმანისის ეკონომიურ მდგომარეობაზე; როდესაც 1271-1272 წლებში მონღოლების მიერ საქართველოსათვის შეწერილი დიდი ხარკი ვერ გადაუხდია დიმიტრი II თავდადებულს, მაშინ ამ ხარკის გადახდა უკისრია თავის დროის მდიდარ და გავლენიან პირს სადუნ მანკაბერდელს იმ პირობით, თუ კი მეფე მას სანაცვლოდ დაუთმობდა დმანისსა და მის მიდამოებს. მეფე იძულებული ყოფილა „უნებლიედ მიეცა დმანისი და მიმდგომი მისი“ (12, გვ. 272). თავისთავად ცხადია, რომ სადუნ მანკაბერდელი არ გადაიხდია სახელმწიფოსათვის შეწერილ ხარკს, თუ კი იგი დარწმუნებული არ იქნებოდა გაცემულ „ურიცხვ საფასეს“, არამედ სათანადო მოგებასაც მიიღებდა. ამის საწინდარი იქნებოდა დმანისის ეკონომიკური მნიშვნელობა. სხვა წერილობითი ცნობა შუა საუკუნეების დმანისის შესახებ, რომელიც წარმოდგენას შეგვიქმნიდა მისი ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ, არ მოგვეპოვება, მაგრამ ქალაქის მაშინდელ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობაზე წარმოდგენას იძლევა არქეოლოგიური მონაპოვარი და, შესაძლებელია, პირველ რიგში — ნუმიზმატიკური მასალა.

დმანისში გათხრების დაწყებიდან დღემდე, 30 არქეოლოგიური კამპანიის განმავლობაში აღმოჩენილია 2000-მდე მონეტა. მათ შორის მოიპოვება ქართული, ბიზანტიური, ლათინთა იმპერიის, ტრაპიზონული, აღმოსავლეთის ქვეყნებისა და მონღოლური მონეტები.

რიცხობრივად ყველაზე მეტი რაოდენობით გვხვდება ქართული მონეტები, რომელთა ნაკადი იწყება დემეტრე I-ის (1125-1156 წწ.) მონეტებით და თავდება XIX საუკუნის დასაწყისის ქართული ვერცხლის ფულით (16, გვ. 17-21, 33-43) ქართული მონეტებიდან XII საუკუნეზე ადრინდელი ფული დმანისში არ გვხვდება.

მეტად საინტერესოა ბიზანტიური მონეტები, რომლებიც გვხვდება VI საუკუნიდან მოყოლებული, იმპერატორების იუსტინე I-ისა (518-27) და იუსტინე II-ის (565-78), XII ს-დე ალექსი კომნინოსისა (1081-1118).

აღნიშნული ბიზანტიური მონეტები ბრუნვას განაგრძობენ XII ს. ბოლომდე და XIII საუკუნეშიც.

დმანისში გვხვდება აგრეთვე ჯვაროსანთა მიერ დაარსებული ლათინთა იმპერიის მმართველის ჰენრი ფლანდრიელის (1206-1216) მონეტებიც. გვხვდება ლემეტრე ღუკას (1244-45 წწ.) თესალონიაში მოჭრილი მონეტაც.

დასასრულდ, გვხვდება ტრაპიზონული ასპრი იოანე II-ისა (1280-97) (16, გვ. 22-24, 43-45). ბიზანტიურ მონეტებთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ VI-VIII სს-ში აღნიშნული მონეტების ერთეულები გვხვდება, ხოლო IX საუკუნიდან მოყოლებული მათი რიცხვი მნიშვნელოვნად მატულობს და X და XI საუკუნეებში პროგრესულად იზრდება.

აღსანიშნავია ერთი გარემოებაც: XII საუკუნემდე დმანისში გვხვდება მხოლოდ და მხოლოდ ბიზანტიური მონეტები და სრულებით არ გვხვდება ქართული და აღმოსავლური მონეტები, მათ შორის არ აღმოჩენილა არც ერთი სპარსული მონეტაც.

აღმოსავლური მონეტებიდან აღსანიშნავია აზერბაიჯანული ათაბაგების — ილდიგიზიდების მონეტები (XII საუკ. 70-იანი წლები — XIII საუკ. პირველი მეოთხედი); რუმის სელჯუკების (XII საუკ. 90-იანი წლები — XIII საუკ. პირველი ნახევარი) და ჯაღალ აღ-დინ ხორეზშაჰის (1220-1231 წწ.) მონეტები. მონღოლური მონეტები, რომელთაგან განსაკუთრებით დიდი რაოდენობით გვხვდება მანგუ ყანის (1251-60 წწ.) სახელით მოჭრილი მონეტები, აგრეთვე ე. წ. ყანური მონეტები I ტიპისა (XIII ს. 60-იანი წლები) და II ტიპის ყანურები (XIII ს. 60-70-იანი წლები). ამას გარდა, აღსანიშნავია ქართულ-ჰულაგუიდური (XIII საუკ. 80-90-იანი წლები) და ილხანთა ჰულაგუიდური მონეტები, რომლებიც გავრცელებული ჩანს XIV საუკუნის დასაწყისიდან, მათ შორის ყველაზე ადრინდელია ოღჯაითუს სახელით მოჭრილი მონეტები (1304-17). დმანისის განათხარში შედარებით გავრცელებული ჩანს ჰულაგუიდი აბუ საიდის (1317-35) მონეტები, მაგრამ გვხვდება, აგრეთვე სულეიმანისა (1339-49) და ნუშირვანის (1343-55) მონეტებიც.

ყველაზე გვიანი მონღოლური მონეტა, რომელიც დმანისში გვხვდება, ეს არის ოქროს ურდოს ხანის - გიიას აღ-დინ თოხთამიშის (1376-95) სახელით მოჭრილი მონეტა (16, გვ. 25-28, 45-48; 20, გვ. 49-50, 178-180, 194-196, 200-204).

ამგვარად, მონეტების მიხედვით კარგად ჩანს, რომ ქალაქ დმანისს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა აქვს სხვადასხვა ქვეყნებთან მთელი XIII-სა და XIV საუკუნის ბოლომდე. მაგრამ, აღსანიშნავია, რომ XIII საუკუნესთან შედარებით, მონეტების რაოდენობა XIV საუკუნეში მნიშვნელოვნად კლებულობს. ყველაზე ინტენსიურია აღნიშნული ურთიერთობა XIII საუკუნეში. აღსანიშნავია, რომ XIII საუკუნის ქართული ფული თავისი რაოდენობით აღემატება დმანისში აღმოჩენილ ყველა სხვა ქვეყნების მონეტებს ერთად აღებულს.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ XV საუკუნიდან მოყოლებული, აგრეთვე XVI საუკუნის მთელ მანძილზე დმანისში არ გვხვდება არც

ერთი მონეტა, არც ქართული და არც უცხო ქვეყნების. სრულიად ცხადია, რომ ეს უნდა იყოს ქვეყნის დიდი ეკონომიკური კატასტროფის შედეგი, რაც შეიძლებოდა გამოეწვია თემურ ლენგის მძვინვარე არაერთგზის შემოსევებს და რამაც ქვეყანა დაღუპვის პირამდე მიიყვანა. ამ დროიდან დმანისი აღარ წარმოადგენს ქალაქს, იგი სოფელია. ისტორიული საბუთების მიხედვით ირკვევა, რომ 1536 წელს დმანისში სულ 138 კომლი ცხოვრობდა, რაც დაახლოებით 700 მცხოვრებს შეადგენდა.

ამ დროისათვის ამ ტერიტორიის პატრონები ბარათაშვილები არიან (7, გვ. 331-333). 1485 წელს თურქები იაყუბ-ყაენის მეთაურობით არბევენ დმანისსა და ქვეშის ხევს. 1578 წელს ოსმალებმა დაიპყრეს ქართლი და, რა თქმა უნდა, დმანისიც. 1583 წ. სიმონ მეფე იბრუნებს დმანისს (7, გვ. 333).

XVII საუკუნის II ნახევრიდან და XVIII საუკუნის პირველ ნახევარში დმანისს ეტყობა ერთგარი აღორძინება, მიმდინარეობს ეკლესიების რესტავრაცია, თავს იჩენს ხელოსნობის სხვადასხვა დარგი (მეთუნეობა, საფლავებისათვის განკუთვნილი ქვის ძეგლების — ვერძებისა და ცხენების ქანდაკებათა დამზადება, რელიეფური გამოსახულებებისა და ორნამენტული მოტივების საფლავის ქვების შემკობა და სხვ.), ძლიერდება ფულის ბრუნვა.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილია XVII საუკუნის ირანული მონეტები — სულეიმან I-ის (1666-94), ირანული საქალაქო მონეტები XVII და XVIII საუკუნეების, თურქული მონეტები აჰმედ III-ის (1703-30), თურქული აყჩები XVIII საუკუნის (16, გვ. 32, 49-50).

XVIII საუკუნეში აქტიურად ბრუნავს ქართული ფულიც; დმანისში აღმოჩენილია ქართველი მეფეების: ბაქარის (1717-19) და თეიმურაზ II-ის (1744-61) მონეტები. განათხარ ფულებს შორის გვხვდება თბილისური ფელსები წარწერით „სმნ“ (სიმონ მეფე) 1712 წლისა, აგრეთვე თბილისური ფელსები 1735 წლის, ალექსანდრე ბატონიშვილის მონეტა 1795-96 წლის და სხვ. (7, გვ. 22; 32; 42-43).

გარდა მონეტებისა, საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის ხელოსნობის ისეთი დარგების ნაწარმი, როგორიცაა კერამიკული წარმოება, მინის ჭურჭელი, სამკაულები და სხვა.

განსაკუთრებით საყურადღებოა განათხარი იმპორტული კერამიკის — ფაიანსის ნიმუშები, რომლებიც მრავლად არის აღმოჩენილი დმანისში; უპირველესად აღსანიშნავია სპარსული ფაიანსი, აგრეთვე ჩინური ხელადონების ფრაგმენტები და უფრო მოგვიანებით თურქული კერამიკის ნიმუშები.

დმანისში შემოტანილ იმპორტულ კერამიკას პირველად ყურადღება მიაქცია ლ. მუსხელიშვილმა. მას ფრიად მოკლედ, სულ ორიოდე წინადადებით აქვს აღნიშნული, რომ „დმანისში ბევრია (აღმოჩენილი) სპარსული ყაიდის ფაიანსიც, ხშირად ლუსტრიანი, ზოგჯერ ოქროს ვარაყიანიც. ამ ფაიანსს ანალოგიები მოეპოვება რეის, ქაშანის, ვერამინისა და სხვა სპარსული კერამიკული ცენტრების ნაწარმებში, რომელიც



თარიღდება XI-XIV საუკუნეებით“ (7, გვ. 444). ცოტა უფრო ზევით ლ. მუსხელიშვილი ეხება შუა საუკუნეების სპარსულ შორენკეცებს და დმანისში აღმოჩენილ ფაიანსის შორენკეცების შესახებ წერს: „შორენკეცები ორგვარია: არის ორი ნატეხი ლუსტრირებული ფაიანსის შორენკეცისა, რომელთაგან ერთი რვაქიმიანი ვარსკვლავის მოყვანილობისა ყოფილა და მუქი რვადის ლუსტრით იყო შემკული, მეორე კი ჯვარის ერთ ფრთას წარმოადგენს, მისი ლუსტრი თითქმის სრულებით გადასულია. დმანისური ნატეხები მოყვანილობისა, ტექნიკისა და შემკულობის მიხედვით რეიდან და ვერამინიდან კარგად ცნობილ შორენკეცებს ენათესავებიან, რომლებიც დათარიღებულია XII საუკუნით“ (7, გვ. 400). ამაზე მეტი ლ. მუსხელიშვილს არაფერი აქვს ნათქვამი დმანისში აღმოჩენილი იმპორტული ფაიანსის შესახებ.

დმანისში 1936-37 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული კერამიკის, მათ შორის იმპორტული კერამიკის სპეციალურმა შესწავლამ მეტად საინტერესო და მრავალფეროვანი მასალა წარმოაჩინა; დმანისში პირველი-ორი წლის განმავლობაში ჩატარებული გათხრების შედეგად აღმოჩენილი იყო როგორც ლუსტრიანი ფაიანსის, ისე პოლიქრომული ფაიანსის ნიმუშები, აგრეთვე ჩინური სელადონის ნიმუშებიც.

მიუხედავად იმისა, რომ შემოტანილი ფაიანსის ნიმუშები ფრაგმენტების სახითაა წარმოდგენილი, ეს ფრაგმენტები, შეიძლება ითქვას, მდიდარ ინფორმაციას გვაწვდის ჭურჭლების ფორმების, ტექნოლოგიის, შემკულობის მოტივების, საღებავების, მათი წარმომავლობის, წარმოების კერების შესახებ და მყარ საფუძველს იძლევა მათი დათარიღებისათვის.

განათხარი მასალიდან, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ლუსტრიანი ფაიანსის ჭურჭელი; უმთავრესი ნაწილი ზემოხსენებული ტიპის ფაიანსისა დაფარულია გამჭვირვალე, რძისფერი ჭიქურით და მოხატულია ოქროსფერი ლუსტრით (მაგ. საინვ. №№ 758, 1092, 754, 1099, 188), გვხვდება, აგრეთვე, ლუსტრიანი ფაიანსის ისეთი ნიმუშები, რომლებიც დაფარულია უფრო გამჭვირვალე ჭიქურით და მოხატულია ლუსტრით (მაგ. №№ 1106, 1065, 692, 207). გვხვდება კობალტის ლურჯი ჭიქურით და ლუსტრით მოხატული ფაიანსის ნიმუშები (№№ 1094, 1095, 1105, გ. XIV, 4-6) (19, გვ. 50-51, ტაბ. LXIII, LXIV, 4-5).

დმანისში ჯერ კიდევ 1936-37 წწ. არქეოლოგიური გათხრების დროს, აგრეთვე შემდეგ წლებში, აღმოჩნდა მუქი ლურჯი ჭიქურით დაფარული და ოქროს სიფრიფანა ფურცლებით (folga) შემკული სპარსული ფაიანსის ნიმუშებიც. (დმ. № 202, 1033, 206 და სხვ.) ფურცლები ჭურჭლის ზედაპირზე, ნახატის კონტურების შესაბამისად, მიწებებულია მტკიცე წითელი მასტიკით. ასეთი ჭურჭელი განსაკუთრებით ძვირად ფასობდა მსოფლიოს ბაზარზე.

დღეს კარგად არის ცნობილი, რომ ზემოხსენებული ლუსტრიანი ფაიანსის მრავალრიცხოვანი ნიმუშები აღმოჩენილია როგორც დმანისში, ისე საქართველოს სხვა პუნქტებშიც. ისინი თავის კეცის სიმტკიცით,



სტრუქტურით, ფერთ, მოხატულობის ტექნიკით, შემკულობის მოტივებით, ჭურჭლის ფორმებით და სხვა დეტალებით, წარმოადგენს შუამდგომლობის სპარსული კერამიკული წარმოების პროდუქციას და ამ ფრაგმენტებს მოეპოვებათ მრავალრიცხოვანი პარალელები XI-XIII სს. სპარსული ფაიანსის ბრწყინვალე ნიმუშებს შორის. დღეს დადგენილია დმანისის იმპორტული ფაიანსის არა მარტო ზოგადად ირანული წარმომადგენლობა, არამედ კარგად არის ცნობილი, რომ ზემოხსენებული ტიპის ფაიანსის ჭურჭელი წარმოადგენს ირანის ისეთი ცნობილი კერამიკული ცენტრების ნაწარმს, როგორც იყო რეი და ქაშანი (19, გვ. 48-52; 6). მნიშვნელოვანი რაოდენობით გვხვდება დმანისის განათხარ მასალაში სპარსული პოლიქრომული ფაიანსის ფრაგმენტები; ამ ტიპის ფაიანსის ფრაგმენტების კეცი თეთრი ფერისა და წმინდა სტრუქტურისაა, ამასთანავე რამდენადმე რბილია რეისა და ქაშანის ფაიანსის კეცთან შედარებით. ასეთი ფაიანსის ჭურჭლის კეცი მოხატულია ჭიქურქვეითი სხვადასხვა ფერის საღებავებით (მუქი მწვანე, ღურჯი და ღია სოსანი) და დაფარულია უფრო, გამჭვირვალე ჭიქურით, რომელსაც ამასთანავე მომწვანო ელფერი დაჰკრავს (19, გვ. 52, ტაბ. XIV, სურ. 1-3; 6, გვ. 60-62, 107, ტაბ. XIII, სურ. 1-3).

აღნიშნული ტიპის ფაიანსიც სპარსულია, მაგრამ იგი სულთანაბადის კერამიკულ ნაწარმს წარმოადგენს. მაგრამ აქ ისიცაა აღსანიშნავი, რომ ამგვარი კერამიკა თვით სულთანაბადში კი არ მზადდებოდა, არამედ მის ირგვლივ განლაგებული კერამიკული წარმოების ცენტრების პროდუქციას წარმოადგენდა, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ქალაქები სესიუკი, ზულფაზადი და ფაიუმი (32, გვ. 54-55; 31, გვ. 1632; 28, გვ. 19-21). მიუხედავად ამისა, ამგვარ კერამიკას სულთანაბადურ კერამიკას უწოდებენ და დათარიღებულია XII-XIV საუკუნეებით. სულთანაბადური კერამიკის ანალოგიური ფრაგმენტები საკმაოდ ხშირად გვხვდება დმანისში გათხრის პროცესში.

სულთანაბადისათვისაა დამახასიათებელი აგრეთვე თეთრი ანგობით და მწვანე საღებავით მოხატული ფაიანსის ჭურჭელი, რომლის ფრაგმენტებიც აგრეთვე დმანისშია აღმოჩენილი. ამგვარი ჭურჭლის ზედაპირი მოხატულია მცენარეული მოტივებით თეთრი ანგობის იმდენად სქელი ფენით, რომ ეს მოტივები, ამავე დროს, რელიეფურია. „ყვავილეების“ კონტურები შემოფარგლულია მწვანე საღებავის მოკლე შტრიხებით. დამახასიათებელია აგრეთვე თეთრი ანგობით მოხატული „თაღები“, რომელთა კონტურები აგრეთვე მწვანე საღებავითაა შემოვლებული (19, გვ. 52; 6, გვ. 60, 107, ტაბ. XII, სურ. 1-2).

ამ ტიპის სულთანაბადური ფაიანსიც დათარიღებულია XIII-XIV სს. (30, გვ. 12-13; 19, გვ. 52). გარდა ზემოხსენებული ტიპის ჭურჭლებისა, დმანისში აღმოჩენილია XIII-XIV სს. ქვემოჩამოთვლილი ტიპის აგრეთვე სულთანაბადური ჭურჭელი: ღურჯი და ცისფერი საღებავებით მოხატული, აგრეთვე ღურჯი და შავი საღებავებით მოხატული ჭურჭლების ფრაგმენტები (6, გვ. 62). დმანისში გარდა ზემოაღნიშნული ტიპის ფაიანსის ნიმუშებისა, სხვა ნატეხებიც არის მრავლად აღმოჩე-



ნილი იქ მიმდინარე არქეოლოგიური გათხრების შედეგად. საზოგადოებრივ უნდა ითქვას, რომ დმანისში მრავლად აღმოჩენილი XIII-XIV საუკუნეების პორტული ფაიანსის ნიმუშების მიხედვითაც კარგად ჩანს, რომ დმანისის XIII და XIV საუკუნეებში გაცხოველებული ურთიერთობა ჰქონია ირანის სხვადასხვა ქალაქებთან, თუმცა ეს ურთიერთობა XIV საუკუნეში, XIII საუკუნესთან შედარებით, შესუსტებული ჩანს.

როდესაც ჩვენ ზევით ვიხილავდით ნაქალაქარ დმანისში აღმოჩენილ მრავალრიცხოვან ნუმიზმატიკურ მასალას, აშკარად გამოჩნდა, რომ დმანისში ფულის ბრუნვა უცბად წყდება XV და XVI საუკუნეებში და ამ საუკუნეების ერთი მონეტაც კი არ არის აღმოჩენილი იქ.

ანალოგიური სურათი ჩანს განათხარი იმპორტული კერამიკის მიხედვითაც; დმანისში არ არის აღმოჩენილი არც ერთი ნიმუში XV-XVI საუკუნეების იმპორტული კერამიკისა; კიდევ მეტი, არ ჩანს შუა საუკუნეების ქართული მოჭიქული კერამიკის ფრაგმენტები, ხელოვნების ეს დარგიც ჩამკვდარია. აშკარად ჩანს, რომ როგორც ნუმიზმატიკური მასალის, ისე იმპორტული და ადგილობრივი მოჭიქული კერამიკის მიხედვითაც აღარ შეინიშნება უცხო სახელმწიფოებთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის ფაქტები.

განათხარი მასალების მიხედვით ერთგვარი გამოცოცხლების ნიშნები შეიმჩნევა დმანისის ხელოსნური წარმოებისა და სხვა ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობაში XVII საუკუნიდან და გრძელდება XVIII საუკუნის პირველი ნახევრის ბოლომდე.

დმანისში აღმოჩენილ XVII და XVIII საუკუნეების იმპორტული ფაიანსიდან აღსანიშნავია ქ. ქერმანის ფაიანსის ჭურჭელი, რომელიც მოხატულია ნათელი ტონის მქონე კობალტით და აღნიშნული ტიპის ფაიანსი დათარიღებულია XVII საუკუნით (6, გვ. 80-81).

დმანისში აღმოჩენილია კობალტით მოხატული ფაიანსის ნიმუშები, რომლებიც ქ. ქაშანის ნაწარმს უნდა წარმოადგენდეს. ამ ფაიანსისათვის დამახასიათებელია ღია მონაცრისფერო კობალტი მღვრიე ელფერისა და ახასიათებს მიდრეკილება გამოწვის პროცესში გაღვრისადმი. ნახატს შემოვლებული აქვს შავი საღებავი კონტურების გარშემო. ასეთი ჭურჭელი XVII საუკუნით თარიღდება (6, გვ. 82).

დმანისში აღმოჩენილია კობალტით და წითელი ანგობით მოხატული, უფრო გამჭვირვალე ჭიქურით დაფარული ჭურჭლის ნატეხები (55; 6, გვ. 89, ტაბ XXVII, სურ. 3) ასეთია მაგალითად ქუსლიანი ღრმა თასის ნატეხი, რომლის ზედაპირი მთლიანადაა დაფარული მცენარეული ორნამენტით. აღნიშნული ნაწარმი მიჩნეულია ქერმანის ნაწარმად (30, გვ. 57-61) და დათარიღებული XVII საუკუნით სხვადასხვა ავტორების მიერ (6, გვ. 90).

სპარსული წარმოშობისაა შავი საღებავით მოხატული და ფირუზისფერი გამჭვირვალე ჭიქურით დაფარული ფაიანსის ჭურჭელი. ამ ტიპის ჭურჭელი მოხატულია შავი, ზოგჯერ მწვანე საღებავით და გადავლებული აქვს ფირუზისფერი ჭიქური, რომელიც დამსკდარია (56). ასეთი ფაიანსის ნატეხები აღმოჩენილია დმანისშიც. ასეთი ჭურჭელი უკი-



რატესად წარმოადგენს სხვადასხვა მოყვანილობის ჯამებს, რომელთაგან ერთ-ერთი მათგანია ლთაც გააჩნიათ დაბალი ქუსლი, დატოვებული მოუჭიქავად. ამგვარი ფაიანსი მიეკუთვნება ჩრდილო-დასავლეთ სპარსეთს და საქართველოში აღმოჩენილი ნიმუშები დათარიღებულია XVII საუკ. დასაწყისით (6, გვ. 90-91).

დასასრულად, აღსანიშნავია, რომ საქართველოში და კერძოდ დმანისშიც აღმოჩენილია გვიანი შუა საუკუნეების თურქული კერამიკის ნიმუშებიც. ამ დროს ოსმალეთში ცნობილია კერამიკული წარმოების ორი კერა — ერთი მარმარილოს ზღვის სანაპიროზე პატარა ქალაქ იზნიკაში და მეორე ქუთაშიაში.

იზნიკურ კერამიკას ათარიღებენ XV-XVII საუკუნეებით და გამოტყუფენ სამ ძირითად ჯგუფს: ქუთაშიისას, დამასკოსას და როდოსისას, ა. ლეინი მათ უწოდებს საერთო სახელს — „იზნიკის კერამიკა“ I, II, III (30, გვ. 44; 6, გვ. 95).

თუმცა იზნიკური კერამიკა I-ს ათარიღებენ 1490-1525 წწ. (მოხატულია თეთრ ფონზე კობალტის საღებავით. მოხატულობაში მთავარი ადგილი მცენარეულ მოტივებს უკავიათ), მაგრამ საქართველოში გვხვდება არა მარტო იზნიკური კერამიკის ადრინდელი ნიმუშები, არამედ მომდევნო XVIII საუკუნისაც (25, გვ. 40; 6, გვ. 96,98). საქმე ისაა, რომ თურქეთში იზნიკის კერამიკული წარმოების დაცემის შემდეგ (XVII საუკ. II ნახევრიდან) ფაიანსის დამზადების ერთ-ერთ ცენტრად რჩება ქუთაშია. აღნიშნული საუკუნის თურქული ფაიანსის ნაწარმი წარმოადგენს თხელკედლიან ფინჯნებს, დაფარულს გამჭვირვალე ჭიქურის თხელი ფენით. ასეთი ფინჯნები მოხატულია წვრილი მცენარეული ორნამენტით შავი, წითელი, ცისფერი, ყვითელი და მწვანე საღებავებით.

ასეთი თურქული პოლიხრომული ფაიანსის ნიმუშებია აღმოჩენილი დმანისშიც (6, ტაბ. XXXI, სურ. 4). ქუთაშიაური ფაიანსის ჭურჭელი თავისი მოყვანილობითა და მოხატულობით ევროპულ კერამიკას ჰბაძავს და ამიტომ იგი ცნობილია „აღმოსავლური სევრის“ სახელითაც.

აღსანიშნავია, რომ თურქული ფაიანსის ნიმუშები საქართველოში მცირე რაოდენობითაა აღმოჩენილი (6, გვ. 98).

სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების თვალსაზრისით ფრიად საინტერესოა დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის კიდევ ერთი მონაპოვარი; ეს არის 1937 წელს დმანისში აღმოჩენილი ე. წ. რეინის კერამიკის ერთი ფრაგმენტი № 405 (ზომ. 7,5X6,5 სმ.), რომელიც წარმოადგენს მეტად მკვრივი, უფორებო, ნაცრისფერი მასისაგან დამზადებული ხელადის ნაწილს. მისი კეცის თავისებურება და ფერი, ჭურჭლის ფორმა, რელიეფური მასკარონი მოხუცი წვერიანი მამაკაცის სტილიზებული გამოსახულებით და დაფარული კობალტის ღურჯი ჭიქურით, საფუძველს აძლევს კერამიკის ცნობილ მკვლევარს ბ. შელკოვნიკოვს ამტკიცოს, რომ ეს ჭურჭელი არის XVII საუკ. გერმანული კერამიკული წარმოების ნაწარმი (29, გვ. 163-164), სახელდობრ, ქვემო რეინის ქალაქების კელნისა და ფრეხენის კერამიკული სახელოსნოების პროდუქციის ტიპური ნიმუში.



ამ მონაპოვართან დაკავშირებით სრულიად სამართლიანად აღნიშნავს ბ. შელკოვნიკოვი, რომ წერილობითი წყაროების მონაცემების საფუძველზე მოუკიდებლად, აღნიშნული დასავლეთ ევროპული ჭურჭლის ფრაგმენტის აღმოჩენა ნათლად ადასტურებს, რომ საქართველო გვიან შუა საუკუნეებში განაგრძობდა სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობას არა მარტო ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან, არამედ ჩრდილო-დასავლურ ევროპის ქვეყნებთანაც.

ამ მხრივ ჭურჭლის ამ პატარა ფრაგმენტის აღმოჩენას, როგორც ბ. ა. შელკოვნიკოვი აღნიშნავს, დიდი მნიშვნელობა აქვს (29, გვ. 164).

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ როცა ლაპარაკია შუა საუკუნეების საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობაზე, როგორც ისტორიული წყაროებით, ისე არქეოლოგიური მონაცემებით კარგად ჩანს, რომ ქართული მიწის ნაწარმსაც მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა; ამასთან დაკავშირებით უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ როგორც აღრეული შუა საუკუნეების, ისე განვითარებული შუა საუკუნეების საქართველოში არაერთი მიწის ნაწარმო არსებობდა, რომლებიც დიდი რაოდენობით ამზადებდნენ მიწის ჭურჭელსა თუ სამკაულებს.

მართალია, დღეს ჩვენ აღმოჩენილი გვაქვს მხოლოდ სამი ნაწარმის ნაშთები: ორბეთის VIII-IX სს (10, გვ. 60-62), დმანისის XII-XIII სს (26, გვ. 107) და ნატბეურის XIII-XIV სს (10, გვ. 61-67) ქურების ნანგრევები და წარმოების წუნისა და მიწის მასის მრავალი ნატეხი, მაგრამ, ამავე დროს, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მიწის ჭურჭლისა და სამკაულების ფრაგმენტები დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი თბილისში, რუსთავში, მცხეთაში, კარსანთან, ლამაზ გორაზე, გუდარეხში, ხაშმთან, ივრის სიონში და სხვა, რომელთა მიწის პროდუქცია იმდენად განსხვავდება არაერთი ნიშნით ერთმანეთისაგან, რომ არსებობს საფუძველი ვივარაუდოთ — ამ პუნქტებშიც არსებობდა საკუთარი მიწის წარმოების კერები (14, გვ. 68). ამას გარდა, ცნობილია, რომ ქართული მიწის ნაწარმი აღმოჩენილია საქართველოს მეზობელ ქვეყნების ტერიტორიაზე — ჩრდ. კავკასიაში ალანთა სამარხებში, სამხ. რუსეთში, ამიერკავკასიის ტერიტორიაზე — მაგ. სომხეთში და სხვ. (21, გვ. 102, 115; 22, გვ. 59; 14, გვ. 68-71). ზემოხსენებული მონაცემები იმის დამადასტურებელია, რომ შუა საუკუნეების საქართველოში ხელოსნობის ეს დარგიც — მიწის ნაწარმის დამზადებაც არა მარტო ფართოდ ყოფილა გავრცელებული, არამედ იმდენად მაღალხარისხოვანი იყო, რომ ექსპორტის საგანსაც კი წარმოადგენდა.

რაც შეეხება, კერძოდ, დმანისს, ჩვენ არ მოგვეპოვება კონკრეტული მონაცემები შუა საუკუნეების დმანისის მიწის ნაწარმის ექსპორტის შესახებ, მაგრამ სავარაუდოა, რომ შუა საუკუნეების საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობაში დმანისიც იქნებოდა ჩართული, რადგან დმანისში, როგორც ამას გვიდასტურებენ არქეოლოგიური მონაცემები, ფართოდ იყო განვითარებული ხელოსნური წარმოების მრავალი დარგი და მათ შორის მიწის წარმოებაც.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ შუა საუკუნეების დმანისის სავაჭრო-



ეკონომიკური ურთიერთობის შესახებ წარმოდგენას იძლევა დმანისში აღმოჩენილი მძივების მრავალრიცხოვანი კოლექციაც. ნაქალაქარის ტერიტორიაზე წლების განმავლობაში აღმოჩენილია სხვადასხვა მასალისაგან დამზადებული მძივები და საკიდები, ვერცხლის, მინის, ფაიანსის, ძვლის და სხვადასხვა ნახევრადძვირფასი ქვებისაგან დამზადებული. ეკონომიკური ურთიერთობის თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ქვის მძივები. ეს ქვებია: სარდიონი ანუ აყიცი, ქალცედონი, ღაჟვარდი, ქარვა, გიშერი, კირქვა, მარჯანი, საღაფი (4, გვ. 72-96). ისიც აღსანიშნავია, რომ ეს მძივები სხვადასხვა ფორმისაა და სხვადასხვა სახელოსნოების ნაწარმს წარმოადგენენ.

სარდიონის საბადოები უმთავრესად ინდოეთსა და იემენში მოიპოვება და საქართველოში აღმოჩენილი მძივები, როგორც სპეციალისტები ფიქრობენ, შემოტანილი უნდა იყოს იემენიდან (23, გვ. 376; 4, გვ. 73-80).

დმანისში აღმოჩენილი სარდიონის მძივები სხვადასხვა ფერის, სხვადასხვა ფორმისა და სხვადასხვა ტექნიკით დამზადებული მძივებია: სფერული მძივები დამზადებულია ნარინჯისფერი, ნახევრად გამჭვირვალე სარდიონისაგან. გვხვდება აგრეთვე მოვარდისფრო, წითელბარდვიანის სარდიონიც. აღნიშნული მძივები დათარიღებულია XII-XIII სს. (33; 4, გვ. 75).

მრგვალ-ბრტყელი მძივები მუქი წითელი, მოვარდისფრო და ნარინჯისფერი სარდიონისაგან დამზადებული, აგრეთვე დათარიღებულია XII-XIII სს. (34; 4, გვ. 75).

პრიზმული წაგრძელებული ფორმის მძივები, რვაწახნაგა და ექვსწახნაგა, დამზადებულია ვარდისფერი, წითელი, ნარინჯისფერი, მოყვითალო, ყავისფერბარდვიანის ნარინჯისფერი და მოვარდისფრო თეთრბარდვიანის სარდიონისაგან. დათარიღებულია XIII-XIV სს. (35; 6, გვ. 76).

ბიპირამიდული, ექვსწახნაგა, წაგრძელებული ფორმის მძივები დათარიღებულია XII-XIII სს. (36; 6, გვ. 76).

ბიპირამიდული, წაკვეთილი ფორმის მძივები დამზადებული მოწითალოდ აჭრელებული, მოწითალო თეთრღაქიანი და ნარინჯისფერი სარდიონისაგან, XII-XIII სს.

წაკვეთილკუთხეებისანი კუბური ფორმის მძივები წითელი ფერის სარდიონისაგან დამზადებული XII-XIII სს. (37; 6, გვ. 77).

გვხვდება სარდიონისაგან დამზადებული მძივსაკიდები წაკვეთილკონუსური ფორმის, აგრეთვე ნექმისებრი მოყვანილობისა, რომლებიც დამზადებულია მუქი წითელი და მოყვითალო სარდიონისაგან, XII-XIII სს.

ქალცედონის მძივები დმანისში ნაკლებად გვხვდება, უმთავრესად მარტივი ფორმისა და დამზადებულია მოცისფრო, რძისფერი და მოყვითალო ქალცედონისაგან.

გვხვდება სფერული ფორმის, ფართო, ბიკონუსური ფორმის და მრგვალ-ბრტყელი მოყვანილობის მძივები (38; 6, გვ. 81), აგრეთვე დათარიღებული XI-XIII სს. ვარაუდობენ, რომ ქალცედონის მძივები აღმოსავლეთის ქვეყნებიდან (ირანი) უნდა იყოს შემოტანილი (6, გვ. 81-82).



ღმანისის განათხარ მასალაში გვხვდება აგრეთვე მოტიქული მხარის რცის მძივებიც, მაგრამ განსაზღვრული რაოდენობით და დაბალანობის ხოვანი — შესრულების თვალსაზრისით. აღმოჩენილია ამ ტიპის: წახნაგოვანი მძივები, მოტიქული ფირუხისფრად და ყვითლად (39; 6, გვ. 83); ბრტყელი, რომბული მოყვანილობის მძივსაკიდები, მოტიქული ცისფრად, ფირუხისფრად და ლურჯად (40; 6, გვ. 84). გვხვდება მუშტის მოყვანილობის მძივსაკიდი, ცისფრად მოტიქული (41; 6, გვ. 84). აღნიშნული მძივები და მძივსაკიდები დათარიღებულია XII-XIII სს. მათი წარმომავლობის შესახებ არსებობს ვარაუდი, რომ ამ მძივებს ამზადებდნენ რეისა და შუა აზიის სახელოსნოებში (გ. ლემლეინი), მაგრამ რ. ლოლაბერიძე ვარაუდობს, რომ შესაძლებელია მათ ადგილობრივაც ამზადებდნენ, რასაც გვაფიქრებინებს საქართველოში მათი აღმოჩენის სიმრავლე (6, გვ. 85).

ღმანისში აღმოჩენილია განსაზღვრული რაოდენობის ლაჟვარდის მძივები განსხვავებული ფორმისა და ხასიათისა; ელიფსოიდური მოყვანილობისა (42; 6, გვ. 86). ოთხწახნაგა, მოკლე მძივი, მსხვილი (43; 6, გვ. 86); ფიგურული მოყვანილობის საკიდი (44; 6, გვ. 86); ბრტყელი, ქვევით წაგრძელებული ოთხკუთხედის ფორმის ირიბად წაკვეთილი საკიდი (45; 6, გვ. 86); ფრინველის ფორმის საკიდი (46; 6, გვ. 86).

კარგად არის ცნობილი, რომ ლაჟვარდის ძირითადი საბადო ბადახშანში (ნრდ.-აღმ. ავღანეთი) იყო, საიდანაც უხსოვარი დროიდან გაჰქონდათ ეს ქვა. აღსანიშნავია ისიც, რომ ბადახშანში მოიპოვებოდა საუკეთესო ხარისხის ლაჟვარდი და სწორედ ასეთი მაღალხარისხის ხოვანი ლაჟვარდისაგან არის ნაკეთები ღმანისში მოპოვებული ზემოხსენებული მძივები და საკიდები (6, გვ. 88). ლაჟვარდის მძივებიც XII-XIII სს. არის დათარიღებული.

ღმანისშივეა აღმოჩენილი ქარვის მძივები, რომლებიც გამოირჩევა ნაკეთობის სიფაქიზით და გეომეტრიული ფორმების სიმრავლით (6, გვ. 88). განათხარ მასალაში გვხვდება შემდეგი ფორმის მძივები: ელიფსოიდური ფორმის ქარვის დიდი მძივი (47; 6, გვ. 88); ბრტყელი, ოვალური მოყვანილობით მძივი (48; 6, გვ. 88); მრგვალ-ბრტყელი, უსწორო ფორმის მძივი (49; 6, გვ. 88); ბრტყელი მძივი ლებნისებურად დაყოფილი ზედაპირით (50; 6, გვ. 88); ბრტყელი ექვსწახნაგა მძივები (51; 6, გვ. 88); ღომისგამოსახულებიანი საკიდი (52; 6, გვ. 88);

უძველესი დროიდანვე ცნობილი იყო, რომ ქარვის უძავერესი კერა იყო ბალტიისპირეთი და აქედან გაჰქონდათ იგი სხვადასხვა ქვეყანაში. საქართველოში შემოტანილი ქარვის ნაკეთობანი და ზოგჯერ კი, შესაძლებელია ნედლი მასალაც ბალტიისპირეთიდან უნდა იყოს შემოტანილი (6, გვ. 90). ღმანისში მოპოვებული ქარვის მძივებიც სანდოდ არის დათარიღებული XII-XIII სს.

საყურადღებოა ღმანისში მარჯნის მძივების აღმოჩენა (53; 6, გვ. 94). აღნიშნული მძივები წარმოადგენენ ვერცხლის ვარდულებისაგან შედგენილ დიადემის ნაწილს და ვერცხლის ნაკეთობებთან მარჯნის მძივების შესამება არაჩვეულებრივად სასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებს.

როგორც ცნობილია, მარჯანი გავრცელებული იყო ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში და საქართველოშიაც იქიდან შემოჰქონდათ. გამოთქმულია აზრი, რომ ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებიდან (გავრცელებულია რუმისა და სირიის ზღვებში, თანამედროვე ტუნისის სანაპიროებთან) შემოჰქონდათ არა მარტო მარჯნის ნაკეთობანი, არამედ ნედლი მასალაც (6, გვ. 94). თუმცა დმანისის განძი სტრატეგრაფიული მონაცემებით XIII ს. არის დათარიღებული, მაგრამ რ. დოლაბერიძე ფიქრობს, რომ რაკი განძის ცალკეული ნივთების მიხედვით შეინიშნება, რომ ხანგრძლივი ხმარებისაგან ეს ნივთები საგრძნობლად გაცვეთილია, ამიტომ შესაძლებლად მიაჩნია მისი დათარიღება XI-XIII საუკ. პირველი ნახევრით (6, გვ. 44).

დმანისის განათხარ მასალაში გვხვდება სადაფის მძივები და ნიჟარები. აქვე შეიძლება აღინიშნოს, რომ სადაფისაგან გაკეთებული პატარა, ტოლმკლავა გულსაკიდი ჯვრები გვხვდება ნაქალაქარის გარეუბნის სამაროვნის სამარხებშიც.

საკუთრივ ნაქალაქარის ტერიტორიაზე ჩატარებული გათხრების პროცესში აღმოჩენილია სადაფისაგან დამზადებული ქვემოჩამოვლილი მძივები: ბრტყელი, ფიგურული მძივგამყოფები (54); ბრტყელი ოვალისებრი მძივები (54); სამწახნაგა პირამიდისებრი მძივი (54).

საქართველოში აღმოჩენილი სადაფის მძივები (და შესაძლებელია ნაწილობრივ მასალაც), როგორც სპეციალისტები ფიქრობენ, შემოტანილი უნდა იყოს უფრო სპარსეთის ყურისა და მეწამული ზღვის სანაპიროების ქვეყნებიდან (6, გვ. 95).

აღნიშნული მძივებიც XII-XIII სს. არის დათარიღებული.

ამგვარად, სხვადასხვაგვარი მასალისაგან დამზადებული მძივებისა და საკიდების მიხედვითაც კი კარგად ჩანს, როგორ ფართო იყო შუა საუკუნეების დმანისის სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები, ხოლო თუ სხვა მასალების (ფული, კერამიკა და სხვა) მონაცემებსაც გავითვალისწინებთ, მაშინ კიდევ უფრო ნათლად გამოჩნდება როგორ აქტიურ როლს ასრულებდა XI-XII-XIII და XIV სს. დმანისი ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში.

ზემოაღნიშნული არქეოლოგიური მასალების შესწავლის საფუძველზე, აგრეთვე ძუნწი წერილობითი წყაროების გათვალისწინებით, შესაძლებელია გამოვიტანოთ ზოგიერთი დასკვნა შუა საუკუნეების დმანისის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის დონის, მასშტაბებისა და ინტენსიურობის შესახებ.

არქეოლოგიური მასალების, უპირატესად კი განათხარი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით, დმანისი VI საუკუნიდან მოყოლებული XII საუკუნემდე მჭიდროდ ჩანს დაკავშირებული ბიზანტიასთან და ამავე დროს, ამ პერიოდში სრულებით არ ჩანს მისი კავშირები სხვა ქვეყნებთან; აღნიშნული პერიოდის განმავლობაში ჩვენ მრავლად გვხვდება დმანისში მხოლოდ ბიზანტიური ფული და სრულებით არ ჩანს სხვა ქვეყნების ფული. ამ შემთხვევაში სრულიად მოულოდნელი ფაქტია აგრეთვე ის, რომ საქართველოს ამ უძველეს კუთხეში არ გვხვდება ქართული ფულიც.



რაც შეეხება ბიზანტიურ ფულს, VI საუკუნიდან VIII საუკუნეებამდე ბიზანტიის იმპერატორების: იუსტინე I-ის (518-527 წწ.), იუსტინე II-ის (565-578 წწ.), ფოკასი (602-610 წწ.), ჰერაკლესი (610-641 წწ.), კონსტანტინე II-ის (641-668 წწ.), ტიბერიოს III-ის (698-705 წწ.) მონეტები თუ ერთეულობით გვხვდება, IX საუკუნიდან ბიზანტიური სპილენძის ფულის რაოდენობა თვალსაჩინოდ მატულობს, ხოლო X და XI საუკუნეებში გვხვდება მნიშვნელოვანი რაოდენობით. შეიძლება ითქვას, აღნიშნული ორი საუკუნის ყველა იმპერატორის ფულებია აღმოჩენილი ნაქალაქარის ტერიტორიაზე. ბიზანტიური ფულის ნაკადი იმპერატორ ალექსი I კომნენის (1081-1118) მონეტებით წყდება და სრულიად არ გვხვდება XII-XIII სს. ბიზანტიის იმპერატორების მონეტები.

აღსანიშნავია, რომ დმანისში სრულიად არ გვხვდება სასანური ირანის ფულები, თუმცა ქვის საკულტო ძეგლებზე, V-VI სს. სტელებზე, სტელების ბაზისებზე ქრისტიანული სიმბოლოს — ჯვრის გვერდით, გვხვდება მაზდეიზმის სიმბოლოს — წმინდა თავსაკრავის რელიეფური გამოსახულება. ეს გარემოება, შესაძლებელია, ირანის იდეოლოგიური ექსპანსიისა და ზეგავლენის გამომხატველი იყოს, მაგრამ ამასთანავე ფაქტია, რომ დმანისში და მის მიდამოებში არ არის აღმოჩენილი სასანური ირანის არც ერთი მონეტა.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ დმანისში ბიზანტიური ფულის ბრუნვის შეწყვეტისთანავე ჩნდება ქართული ფული ჯერ დემეტრე I-ისა (1125-1156) და გიორგი III-ის (1158-1184), ხოლო შემდეგ თამარ მეფის, გიორგი ლაშას, რუსუდან დედოფლის და სხვა ქართველ მეფეთა სახელით მოჭრილი მონეტები. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით გვხვდება თამარისა და რუსუდანის სახელით მოჭრილი მონეტები. ქართული ფულის რაოდენობა განსაკუთრებით მატულობს XII საუკუნის ბოლოში და XIII საუკუნეში და, როგორც აღინიშნა, დმანისში აღმოჩენილი ქართული ფული რაოდენობით მნიშვნელოვნად აჭარბებს დმანისშივე აღმოჩენილ უცხო ქვეყნების ფულს ერთად აღებულს. XII და განსაკუთრებით კი XIII საუკუნის, აგრეთვე XIV საუკუნის ქართული ფული, როგორც ზევით აღინიშნა, აღმოჩენილია (მათ შორის განძების სახითაც) როგორც ამიერკავკასიის ქვეყნების ტერიტორიაზე, ჩრდ. რუსეთის, ბალტიისპირეთის ქვეყნებში (5, გვ. 316; 2, გვ. 103). ამავე დროს, XII და განსაკუთრებით XIII საუკუნის, აგრეთვე XIV საუკუნის საქართველოში მრავლად ტრიალებს მაშინდელი საქართველოს მეზობელი და ახლო აღმოსავლეთის ზოგიერთი ქვეყნის (აზერბაიჯანელი ათაბაგების — ილდიგიზიდების, რუმის სელჯუკების) მონეტები და, რა თქმა უნდა, მონღოლური — ჩინგიზიდების, ჰულაგუიდების, ჯალაირიდების მონეტები.

სრულიად ცხადია, რომ ქართული ფულის დიდი ოდენობით ბრუნვა XII საუკუნის ბოლოდან მოყოლებული და განსაკუთრებით XIII საუკუნის განმავლობაში, აგრეთვე XIV საუკუნეში, ქართული ფულის გავრცელების ტოპოგრაფია, მისი აღმოჩენა უცხო ქვეყნებში, აგრეთვე უცხო სახელმწიფოების მონეტების შემოჭრა საქართველოში, უდავო



მაჩვენებელია საქართველოს გაცხოველებული სავაჭრო ურთიერთობები
სა. ქვეყნის ამ სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის პროცესში აქტიურ
რად ჩანს ჩაბმული XII-XIV სს. დმანისი, რასაც დამაჯერებლად ადა-
სტურებს დმანისში აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი მონეტები, იძლე-
ნად მრავალრიცხოვანი, რომ ამ მხრივ დმანისს ჯერჯერობით ვერ უწევს
მეტოქეობას შუა საუკუნეების საქართველოს არქეოლოგიურად მეტ-
ნაკლებად შესწავლილი ვერც ერთი სხვა ქალაქი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია აქტიური სავაჭრო-ეკონომიკური ურ-
თიერთობა XIII-XIV საუკუნეთა ირანთან, საიდანაც მნიშვნელოვანი
რაოდენობით შემოდის იმპორტული ფაიანსის ჭურჭელი.

მეტად მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი განათხარი მასალა
სრულიად სანდო საფუძველს იძლევა კიდევ ერთხელ განვაცხადოთ,
რომ დმანისი იზრდება, ძლიერდება, მდიდრდება და თავის განვითარე-
ბის მწვერვალს აღწევს XII საუკუნის ბოლოსა და განსაკუთრებით
XIII საუკუნეში. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად მონღო-
ლების ბატონობის მძიმე უღლისა, XIV საუკუნის საქართველოს, რო-
გორც ეს ზევით იყო დასაბუთებული, კვლავ აქვს სავაჭრო-ეკონომიკუ-
რი ურთიერთობა გარე სამყაროსთან. განაგრძობენ არსებობას ხელოს-
ნური წარმოების სხვადასხვა კერები, ისეთი, როგორცაა მეთუნეობა,
მინის წარმოება და სხვა. ამის დამადასტურებელ მასალას მრავლად
გვაწვდის დმანისის გათხრები.

დმანისში მოპოვებული (და არა მარტო დმანისში) განათხარი კერა-
მიკა, მათ შორის მოჭიქული განათხარი კერამიკის მრავალრიცხოვანი
ნიმუშები ადასტურებენ, რომ არა მარტო XIII საუკუნეში, არამედ XIV
საუკუნის ბოლომდე დმანისში განაგრძობდა არსებობას მოჭიქული კერა-
მიკის წარმოება.

ამიტომ მცდარია ტრადიციული შეხედულება, რომელიც აცხადებს,
რომ XIII საუკუნის 30-იანი წლებიდან ე.ი. მონღოლების პირველი შე-
მოსევის შემდეგ საქართველოში შეწყდა მოჭიქული კერამიკის წარმო-
ება. რომ ეს მართლაც ასეა, ამას ადასტურებს არა მარტო დმანისის
განათხარი მასალა, არამედ თბილისის შუა საუკუნეების კერამიკული
სახელოსნოს, ჟინვალის ნაქალაქარის გათხრები.

თემურ ლენგის მძვინვარე შემოსევების შედეგად დმანისიც XV და
XVI საუკუნეებში განიცდის კატასტროფულ დაქვეითებას: განადგუ-
რებულია ხელოსნური წარმოების კერები, მისი მოსახლეობა კატასტ-
როფულად შემცირებულია, შეწყვეტილია მისი სავაჭრო-ეკონომიკური
კავშირები და ქალაქი დმანისი უკვე სოფელს წარმოადგენს.

არქეოლოგიური მასალების მიხედვით (მონეტები, კერამიკული წარ-
მოება, ქვითხურობა და სხვა) ჩანს, რომ XVII საუკუნის მეორე ნახე-
ვრიდან მოყოლებული დმანისი განიცდის ერთგვარ აღორძინებას; აღო-
რძინებულია ხელოსნობის ზოგიერთი დარგი, იწყება დანგრეული ძეგ-
ლების აღდგენა, დაწყებულია სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის გა-
მოცოცხლება, მაგრამ ირანისა და თურქეთის განუწყვეტელი თავდასხ-
მებისა და, აგრეთვე, ლეკების გამუდმებული თარეშის შედეგად XVIII



საუკუნის მეორე ნახევარში მოსახლეობის ნაწილი იღუპება გამუდმებულ ბრძოლებში, ხოლო მეორე ნაწილი სტოვებს თავის მამაკაცებს საცხოვრებელ ადგილებს და იძულებულია გადასახლდეს ქვეყნის სიღრმეში.

ამგვარად XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან დმანისი და მისი გარეუბნები გაუკაცრიელებულია და დმანისი საბოლოოდ ნაქალაქარსდა წარმოადგენს.

ლიტერატურა

1. თ. აბრამიშვილი, საქართველოს ს.ხ. მუზეუმის ბიზანტიური მონეტები, თბილისი, 1965 წ.
2. გ. აფრასიძე, საქართველოს შუა საუკუნეების ქალაქები, თბილისი, 1984 წ.
3. მ. გაბაშვილი, საქართველოს ქალაქები XI-XIII სს, თბილისი, 1981 წ.
4. რ. დოლაბერიძე, XI-XIII სს. საქართველოს ნივთიერი კულტურა, თბილისი, 1985 წ.
5. თ. დომოური, ფული შოთა რუსთაველის ეპოქაში, კრ. „შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა“, თბილისი, 1938 წ.
6. ნ. შამაიაშვილი, ფიანისი შუა საუკუნეთა საქართველოში, თბილისი, 1976 წ.
7. დ. მუსხელიშვილი, დმანისი (დმანისის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა), კრებული „შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა“, თბილისი, 1938 წ.
8. საქართველოს ს.ხ. მუზეუმის შიშველი XVI-B.
9. ე. სიხარულიძე, ამიერკავკასიის სამარშრუტო გზები IX-X სს. არაბული წყაროების მიხედვით, კრ. „მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები“, 1963 წ.
10. ნ. უგრედიძე, ნატეხურისა და ორბეთის მინის საწარმოს თხრის ანგარიში, საანგარიშო არქეოლოგიური სესიის ანგარიში, 1960, 1961 წ.
11. ქართლის ცხოვრება, ტ. I, ს. ყაუხჩიშვილის გამოც. თბილისი, 1955 წ.
12. ქართლის ცხოვრება, ტ. II, ს. ყაუხჩიშვილის გამოც. თბილისი, 1959 წ.
13. გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბილისი, 1936 წ.
14. მ. ჩხატარაიშვილი, მინის ჭურჭელი შუა საუკუნეების საქართველოში, თბილისი, 1978 წ.
15. დ. ჭილაშვილი, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, II, თბილისი 1970 წ.
16. ი. ჯაფარიანი, ვ. ჯაფარიძე, დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის ნუმისმატიკური მონაპოვარი (1936-37, 1960-66, 1968-70, 1975-77) ფსხმ, თბილისი, 1987 წ.
17. ვ. ჯაფარიძე, ნაქალაქარ დმანისის არქეოლოგიური შესწავლა (წინასწარი შედეგები), სსმ „შიშველი XVII-B“, თბილისი, 1969 წ.
18. ვ. ჯაფარიძე, ადრეული შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები ქვემო ქართლიდან, თბილისი, 1982 წ.
19. ვ. ჯაფარიძე, ქართული კერამიკა (XI-XIII სს.), თბილისი, 1956 წ.
20. К. Е. Босворт, Мусульманские династии, Москва, 1971 г.
21. В. А. Кузнецов, О позднеаланской культуре Сев. Кавказа, СА №2, М. 1959 г.
22. С. С. Кусаева, Аланский катакомбный могильник XI-XII в. в. у станицы Змеиской, Материалы по археологии и древней истории Сев. Осетии, I, Срджоникидзе, 1961.
23. Г. Г. Лемлеин, Минералогические сведения, сообщенные в трактате Бируни, Минералогия, М. 1963 г.
24. Ш. Месхиа, Города и городской строй феодальной Грузии, Тб. 1959 г.
25. Ю. А. Миллер, Искусство Турции, Москва-Ленинград 1965 г.
26. ПАИ, 1984-85 წწ. ანგარიშები, თბ. 1987 წ.
27. Е. А. Пахомов, Монетные клады Азербайджана и Закавказья II, 1938 г.
28. Б. А. Шелковников, среднев. художеств. керамика Ближнего и Дальнего Востока, известия АН Армении 1942 г.



29. Б. А. Шелковников. Рейнская керамика из раскопок Дманиси. საქართველოს
სახ. მუზეუმის შტაბბუ, XVI-B.

30. A. Lane. Early Islamic pottery, Mesopotamia, Egypt and Persia, London,
1947.

31. A. Pope, A survey of Persian Art, V. II. New York-London.

32. R. Hobson, A Guide to the Islamic pottery of the Near East, London, 1932.

არქეოლოგიური მასალები

33. სსმ. ობგ. № 1530, 1553, 1675, 61-64, 885; 2-63, 729; 2-62; 445; 81-65:2806; 85-65:1774;
81-65:1057.

34. სსმ. ობგ. № 1549; 61-64; 738; 81-65:1574; 81-65:1659; 81-65:1662; 81-65:1744; 81-
65:1806.

35. სსმ. ობგ. № 1550, 1152, 1154, 1156, 2032, 2-62:440; 81-65:1101; 81-65:1242.

36. სსმ. ობგ. № 2-62:223; 2-62:479; 81-65:1141.

37. სსმ. ობგ. № 1557; 61-64:884; 81-65:1561; 81-65: 1662; 81-65:1559.

38. სსმ. ობგ. № 2521ა; 1544, 2130; 1545.

39. სსმ. ობგ. № 1547; 6-61:42.

40. სსმ. ობგ. № 2-63:490.

41. სსმ. ობგ. № 2010.

42. სსმ. ობგ. № 81-65:1068.

43. სსმ. ობგ. № 1534.

44. სსმ. ობგ. № 81-65; 1245.

45. სსმ. ობგ. №1598.

46. სსმ. ობგ. № 81-65:1663

47. სსმ. ობგ. № 2-63:583

48. სსმ. ობგ. № 81-65:1245

49. სსმ. ობგ. № 1551

50. სსმ. ობგ. № 1560

51. სსმ. ობგ. № 1529 და 1531

52. სსმ. ობგ. № 6-61:39

53. სსმ. ობგ. № 838, 2-63/579, 81-65/1244

54. სსმ. ობგ. № 81-65:1245

55. სსმ. ობგ. სსმ. ობგ. № 17-37-13

56. სსმ. ობგ. სსმ. ობგ. № 3323

პასტანბ ჰაზარიძე

შუა საუკუნეების ქართული მოჭიქული კერამიკის თარიღის დაზუსტებისათვის ¹

შუა საუკუნეების ქართული მოჭიქული კერამიკის შესწავლის დღევანდელ საფეხურზე ქართველი მეცნიერების მიერ დადგენილია მისი განვითარების სამი ძირითადი ეტაპი:

- ა. ადრეული შუა საუკუნეების მოჭიქული კერამიკა (IX-X სს.);
- ბ. განვითარებული შუა საუკუნეების მოჭიქული კერამიკა (XI-XIII სს.);
- გ. გვიანი შუა საუკუნეების მოჭიქული კერამიკა (XVII-XVIII სს.).

თითოეული ქრონოლოგიური ჯგუფის მოჭიქულ კერამიკას ახასიათებს მკვეთრად გამოხატული თავისებური ნიშნები. კერამიკის ამ ქრონოლოგიური კლასიფიკაციის სქემას იზიარებენ ჩვენი სპეციალისტები, საზოგადოდ, მაგრამ აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ განვითარებული შუა საუკუნეების მოჭიქული კერამიკის ჯგუფში განასხვავებენ სხვადასხვა ტიპის მოჭიქული კერამიკის ქვეჯგუფებს, რომლებიც XI-XIII სს. ფარგლებს შიგნით ქრონოლოგიურადაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან (8; 9; 20, გვ. 3-18; 21). აქვე შევნიშნავთ, რომ ქართულ სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში, განვითარებული შუა საუკუნეების ქართული მოჭიქული კერამიკის ზედა ქრონოლოგიურ საზღვრად terminus ante quem-ად მიჩნეულია XIII საუკუნე, სახელდობრ XIII საუკუნის 30-იანი წლები და ამ ტიპის მოჭიქული კერამიკის წარმოების შეწყვეტას უკავშირებენ მონღოლების პირველ, დიდ შემოსევას საქართველოში — 1235 წელს. ასეთი დათარიღების მომხრენი ფიქრობენ, რომ 1935 წლის შემდეგ აღნიშნული ტიპის ქართული მოჭიქული კერამიკის წარმოება და ამგვარი კერამიკა საქართველოში აღარ გვხვდება.

შუა საუკუნეების ქართული მოჭიქული კერამიკის დათარიღების ამ კონკრეტულ საკითხს შეეხება ჩვენი ეს ნაშრომი. შეიძლება თუ არა, რომ აღნიშნული კერამიკის განვითარების ზედა თარიღად მივიჩნიოთ 1235 წელი ან თუნდაც XIII საუკუნის პირველი ნახევარი?

აღნიშნულ საკითხზე პასუხის გასაცემად, ვფიქრობ დღეს ჩვენ მოგვეპოვება საკმარისი მასალა და საკმარისი საფუძველი.

¹ მოხსენება წაკითხულია არქეოლოგიური კვლევის ცენტრში, საჯარო სხდომაზე 1987 წ. 1 აპრილს.



საკითხის გარკვევისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, უპირველეს ყოვლისა, თბილისში, სამასი არაგველის სახ. ბაღის ტერიტორიაზე საუკუნეების ქართული კერამიკული სახელოსნოს ნანგრევების აღმოჩენას. როგორც ცნობილია, ამ სახელოსნოს ნანგრევები აღმოჩნდა 1948 წელს და მისი გათხრა დაიწყო იმავე წელს ისტორიის ინსტიტუტის მაშინდელმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ. გათხრა განხორციელდა არსებითად ორ ეტაპად: პირველი საცდელი თხრა ჩატარდა 1948 წლის ოქტომბერში (ხელმძღვანელი ო. ჯაფარიძე). იმავე წელს აღნიშნულმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გათხრა განაგრძო გ. ლომთათიძის ხელმძღვანელობით ნოემბერ-დეკემბერში. შემდეგ გათხრა განახლდა 1949 წლის მარტის დასაწყისში და დასრულდა ივნისის დასაწყისში (ხელმძღვანელი გ. ლომთათიძე) (16; 4; 5). იმის გამო, რომ მშენებლებმა არქეოლოგიურ ექსპედიციას, სამწუხაროდ, საშუალება არ მისცეს განეგრძო მუშაობა, ექსპედიცია იძულებული იყო ნაადრევად შეეწყვიტა გათხრა და ამიტომ ამ უნიკალური ძეგლის შესწავლა ბოლომდე არ ყოფილა მიყვანილი. კიდევ უფრო სამწუხაროა, რომ მისი გათხრა არც შემდეგ განახლდა. მიუხედავად ზემოაღნიშნული ვითარებისა 1948-49 წლების გათხრის შედეგების მეცნიერული მნიშვნელობა განუზომელია შუა საუკუნეების საქართველოს ხელოსნობის ისტორიის შესწავლისათვის.

როგორც ცნობილია, ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ აღმოაჩინა შუა საუკუნეების ქართული კერამიკული წარმოების მასშტაბური სახელოსნოს ნანგრევები; სახელოსნოს ნაგებობათა და თიხის ჭურჭლის გამოსაწვავი ქურების ნანგრევები (1948 წ. აღმოჩენილი იყო 5 ქურის, ხოლო 1949 წ. ორი ქურის ნანგრევები), დიდი რაოდენობით ქურათა სოლები, თიხის კაუჭები ლათინური S-ის მსგავსად ორმხრივ მოკაუჭებული (ქურაში ყურიანი ჭურჭლების ჩამოსაკიდად სოლებზე), თიხის სამფეხები (ზედადგრები); მოჭიქული მზა ჭურჭელი, ნახევარფაბრიკატები, ჩამოყალიბებული, მაგრამ გამოუწვავი, ნედლი ჭურჭელი დასტებად, მოჭიქული ჭურჭლის უოვალავი ნამტვრევები (მოუჭიქავი ჭურჭლის ნამტვრევები შედარებით მცირე რაოდენობით აღმოჩნდა), კერამიკულ წარმოებასთან დაკავშირებული ხელსაწყო-იარაღები და მასალები (ხელსაფქვავეები, ქვის დიდი როდინები, ქვის მაგილების ფილები); წარმოების წუნისა და გადანაყარის უზარმაზარი გროვები (10 მ. სიგრძის და 2,5 მ. სიმაღლის) და სხვა.

კერამიკული სახელოსნოს გათხრის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შედეგი ის იყო, რომ შესანიშნავად გამოჩნდა ეს დიდი კერამიკული სახელოსნო როგორ გაუნადგურებიათ მოულოდნელად, ერთბაშად; ეს კარგად დადასტურდა არა მარტო ქურების ნანგრევების, სავსებით დასრულებული მოჭიქული მთელ-მთელი ჭურჭლის, ნახევრად დამზადებული (გამოუწვავი) ჭურჭლის, ხელსაწყო-იარაღების აღმოჩენით სახელოსნოს ფართობზე, არამედ აქვე, თავდასხმის დროს დახოცილი ორი ადამიანის (ხელოსნების?) ჩონჩხებით, რომელთაგან ერთს აღმოაჩნდა 133 სპილენძის ფული (რომელიც შესაძლებელია სიცოცხლეში ჯიბეში



ან ქისაში ედო); ერთი ცხვრისა და ორი ღორის ჩონჩხებით¹, რომლებიც ცხადია, იქვე დაუხოციათ და ნანგრევებში ჩაუმარხავთ. ეტყობა, რომ ხოცვა-უღელტა და ნგრევა ყოფილა, რომ ჭირისუფლებს დახოცილი ადამიანების გვაშების მიგნება და გამოტანა ნანგრევებიდან ვეღარ მოუხერხებიათ. როგორც ჩანს, არც შემდეგ საუკუნეებში შეხებია სახელოსნოს ამ დიდ ფართობს ადამიანის ხელი. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ სახელოსნოს ნანგრევებმა ჩვენამდე მოაღწია იმ მდგომარეობაში, როგორშიაც დაგვიტოვა გამძვინვარებულმა, უღმობელმა მტერმა მუშაობის პროცესში სახელოსნოზე ერთბაშად თავდასხმის შედეგად. აშკარად გამოჩნდა, რომ სახელოსნოს ნანგრევების გაწმენდა აღარავის უცდია და ამის გამო ჩვენამდე მოუღწევია მართალია, დანგრეულ სახელოსნოს, მაგრამ „დაკონსერვებულს“ იმ სახით, როგორითაც ნგრევის შედეგად დარჩა შუა საუკუნეებში.

შეიძლება ითქვას, რამდენადაც ამ დიდი კერამიკული სახელოსნოს დარბევა-განადგურება უბედურება იყო თავის დროისათვის, იმდენად ეს ისტორიული ტრაგედია არქეოლოგიური მეცნიერებისათვის წარმოდგენს უნიკალურ შემთხვევას; ჩვენ წინაშეა მუშაობის პროცესში მოულოდნელად შეჩერებული სახელოსნო თავისი დამახასიათებელი ზემოაღნიშნული ნიშნებით, რომელსაც ჩვენ დრომდე ადამიანის ხელი აღარ მიჰკარებია და, ამიტომ, იგი იძლევა მდიდარ ინფორმაციას შუა საუკუნეების საქართველოს კერამიკული წარმოების შესახებ. ასეთი მეტყველი სურათი შუა საუკუნეების კერამიკული სახელოსნოსი, მოღწეული ჩვენ დრომდე, ასეთ სტატიკურ მდგომარეობაში, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, უმდიდრეს ინფორმაციას შეიცავს მაშინდელი კერამიკული წარმოებისა და მისი პროდუქციის შესახებ, ასეთი ძეგლი ჩვენ სხვა არ მოგვეპოვება არა მარტო საქართველოს არქეოლოგიურ პრაქტიკაში, არამედ საბჭოთა კავშირის მასშტაბითაც. კიდევ მეტი, გ. ლომთათიძე 1948 წელს ჩატარებული გათხრის ანგარიშში აღნიშნავს: „როგორც ლიტერატურიდან ჩანს (ჰობსონი, პოპი) ირანისა და სხვა აღმოსავლური ქვეყნების არქეოლოგიამაც კი არ უნდა იცოდეს კერამიკული წარმოების შესასწავლად ისეთი ხელსაყრელი, სანდო ნაშთის პოვნის შემთხვევა, მიუხედავად იმისა, რომ იქაური „ისლამური“ კერამიკის ისტორიის შესწავლა მრავალ ევროპულ-ამერიკულ სამეცნიერო დაწესებულებების ყურადღების ცენტრშია უკვე რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში“ (4, გვ. 140). იქვე იგი აღნიშნავს: „შეიძლება ითქვას, რომ თბილისის ექსპედიციის მიერ აღმოჩენილი და შესწავლილი ქურები და განსაკუთრებით კი ზემოაღნიშნული მე-2 ქურა მნიშვნელოვანი შენაძენია არა მარტო საქართველო-კავკასიის, არამედ საერთოდ წინა აზიის „კერამიკული არქეოლოგიისათვის“.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ თბილისის კერამიკული სახელოსნო არა მარტო უნიკალური არქეო-

1 გ. ლომთათიძე სრულიად მართებულად შენიშნავს, რომ სახელოსნოს ტერიტორიაზე ღორების ჩონჩხების აღმოჩენა იმის მანიშნებელი უნდა იყოს, რომ სახელოსნოში მაჰმადიანი ხელოსნები არ მუშაობდნენ.



ლოგიური ძეგლია, არამედ მას ეტალონური მნიშვნელობა აქვს, რადგან მის მონაცემებს თამამად შეიძლება დავეყრდნოთ და ამ საფუძველზე შევამოწმოთ საქართველოს სხვადასხვა პუნქტში აღმოჩენილი შუასაუკუნეების კერამიკული წარმოების მაჩვენებლები და მონაცემები. სწორედ ამის გამო განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამ ძეგლის მართებულ და ზუსტ დათარიღებას. საამისოდ კი უხვ მასალას იძლევა ამ კერამიკული სახელოსნოს გათხრის შედეგები, გათხრის მონაცემები.

სანამ უშუალოდ შევეხებოდეთ სახელოსნოს განადგურების თარიღის დადგენის საკითხს, საჭირო იქნება გავიხსენოთ სახელოსნოს ნანგრევების გათხრასთან დაკავშირებული ზოგიერთი ფაქტი, რასაც, ვფიქრობ, ერთგვარი მნიშვნელობა აქვს სახელოსნოს განადგურების თარიღის საკითხის გარკვევისათვის.

1948 წელს არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ჩატარებულ კერამიკული სახელოსნოს გათხრის შედეგად აღმოჩნდა, სხვა უმნიშვნელოვანეს კერამიკულ მასალასთან ერთად 150-მდე მონეტა (16, გვ. 89-96; 4, გვ. 119-170). აღმოჩენილ მონეტებს შორის არ ყოფილა XIII საუკუნის ოცდაათიან წლებზე უფრო გვიანი მონეტა. ამიტომ, როცა გ. ლომთათიძეს 1950 წლის 9 იანვარს წაუკითხავს ინსტიტუტში საანგარიშო მოხსენება 1948 წელს ჩატარებული კერამიკული სახელოსნოს გათხრის შესახებ, ნუმიზმატიკური მონაპოვარის შესწავლის საფუძველზე იმ დასკვნამდე მისულა, რომ სახელოსნო შეიძლება დაენგრიათ XIII საუკუნეში.

მაგრამ, ამავე სხდომაზე აკად. ნ. ბერძენიშვილს გამოუთქვამს მოსაზრება, რომ სახელოსნო დანგრეული უნდა იყოს ოცდაათიანი წლების შემდგომ და ყველაზე უფრო მოსალოდნელია ეს მომხდარიყო თემურ ლენგის პირველი შემოსევის დროს — 1386 წელს. მაგრამ ამ მოსაზრებას გ. ლომთათიძე არ დათანხმებია იმის გამო, რომ 1948 წლის განათხარ მასალებში არ ერია მონღოლური არც ერთი მონეტა (4, გვ. 161). ამასთანავე გ. ლომთათიძე იქვე აღნიშნავს, რომ „ძნელი წარმოსადგენია, მხატვრული კერამიკის საწარმოს მშვიდი და ნაყოფიერი არსებობა მონღოლთა ბატონობის მძიმე ხანაში, თემურ ლენგის მძვინვარე შემოსევამდე“ (4, გვ. 162).

ეტყობა, მაშინ აკად. ნ. ბერძენიშვილის ვარაუდი არც სხვა სპეციალისტებს გაუზიარებიათ და თბილისის კერამიკული სახელოსნოს განადგურების თარიღად მიუჩნევიან ხვარაზმელთა ხანმოკლე ბატონობის წლები (1225-30 წწ.). ასეთი დათარიღება, როგორც ავლნიშნეთ, ემყარება 1948 წელს ჩატარებულ გათხრების მონაცემებს.

ამის შემდეგ მოხდა, ცოტა არ იყოს, მოულოდნელი ამბავი: მიუხედავად იმისა, რომ სახელოსნოს გათხრა, როგორც ცნობილია, დამთავრდა 1949 წელს, ამ მეტად და მეტად მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლის მეორე წლის — 1949 წლის გათხრების დოკუმენტური ანგარიში გ. ლომთათიძეს თავის სიცოცხლეში არ გამოუქვეყნებია და ამიტომ სახელოსნოს გათხრის შესახებ საზოგადოებას დიდხანს არ ჰქონია ინფორმაცია. ამიტომ გასაგები იყო ჩემი სიხარული, როცა 1980 წელს



„ვეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლების“ მორიგე გამოქვეყნების და დაკომპლექტებისა და გამოსაცემად მომზადების პროექტის 1-მა ნ. დოლობერიძემ აღნიშნული კრებულისათვის (რომელიც, ამასთანავე, ეძღვნებოდა ჩვენი გამოჩენილი ისტორიკოსისა და არქეოლოგის — ლევან მუსხელიშვილის დაბადებიდან 80 წლისთავს) შემომთავაზა თავისი განსვენებული მეუღლის — გ. ლომთათიძის მიერ ჯერ კიდევ 1958 წელს დასრულებული ნაშრომი — თბილისის კერამიკული სახელოსნოს გათხრის 1949 წლის დოკუმენტური ანგარიში. დედნის (ხელნაწერის) გაცნობის შემდეგ დავრწმუნდი, რომ ავტორს ტექსტი სავსებით მზად ჰქონდა გამოსაცემად და დამთავრების თარიღიც აღუნიშნავს დედანზე — „26. XI. 1958 წ.“ აღსანიშნავია, რომ ანგარიშს არ ახდდა შესაბამისი ილუსტრაციები, ამიტომ ნაშრომის გამოსაცემად მომზადებისათვის, საილუსტრაციო მასალის შერჩევის მიზნით, ჩვენ მოგვიხდა, ქ. ნინოს ნებართვით, გ. ლომთათიძის არქივში დაცული სავსელ დოკუმენტაციიდან სათანადო ნახაზებისა და ნახატების შერჩევა ნაშრომისათვის, აგრეთვე ინსტიტუტის ფოტოარქივზე მუშაობა, ხოლო შემდეგ ფანქრით შესრულებული სავსელ დოკუმენტური ანაზომებისა და ნახაზების საფუძველზე მათი პირების თეთრად, ტუშით გამოხაზვისათვის ზრუნვა და, ამგვარად, ნაშრომისათვის ილუსტრაციების მომზადება¹.

მიუხედავად იმისა, რომ ნაშრომის მოცულობა ილუსტრაციებითურთ შეადგენდა 3,5 თაბახს, ხოლო მთელი კრებულის მოცულობა კი მკაცრად იყო განსაზღვრული 10 თაბახით, ზემოაღნიშნული ანგარიში, მისი განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, ჩვენ უცვლელად, მთლიანად შევიტანეთ. კრებული, როგორც ცნობილია, გამოვიდა 1982 წელს და, ამგვარად, შეივსო ის მნიშვნელოვანი ხარვეზები შუა საუკუნეების ქართული კერამიკული წარმოების შესწავლის საქმეში, რასაც ქართული არქეოლოგია აქამდე განიცდიდა.

ჩვენ აქ არ დავიწყებთ იმის დაწვრილებით ჩამოთვლას, რა მოგვცა სახელოსნოს 1949 წლის გათხრამ, ვიტყვით მხოლოდ ზოგადად, რომ ამ წელს კვლავ აღმოჩნდა ჭურჭლის გამოსაწვავი ქურების ნანგრევები, ქურების დეტალები, სამუშაო ხელსაწყოები, წყალსადენის ტრასის ნაშთები, გასასყიდად მომზადებული მთელ-მთელი მოჭიქული ჭურჭელი, მოჭიქული ჭურჭლის უთვალავი ნატეხი, ისევ მრავლად — წარმოების წუნის ნიმუშები და გადანაყარი და სხვ. თავის ნაშრომში გ. ლომთათიძე იძლევა განათხარი მასალის საკმაოდ დაწვრილებით აღწერას: როგორც მოუჭიქავი, ისე, განსაკუთრებით, მოჭიქული ჭურჭლის, მოუჭიქავი და მოჭიქული საადმშენებლო კერამიკის ნიმუშების, ნახევარფაბრიკატების, მეჭურჭლეთა ხელსაწყოების და, დასასრულ, სახელოსნოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ მინის წარმოების ნიმუშების აღწერას (5, გვ. 76-122). მაგრამ, ამ შემთხვევაში, ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მონეტები, აღმოჩენილი სახელოსნოს გათხრის პრო-

¹ სავსელ ანაზომები, ნახაზები და ნახატები შესრულებული იყო აწ განსვენებული მხატვრის ნატაშა ვასილიევას მიერ, ხოლო მათ საფუძველზე დოკუმენტური საილუსტრაციო ნახაზები ტუშით შეასრულა არქიტექტორმა ქმა ციალა გაბაშვილმა.



ცესში იმიტომ, რომ სწორედ ნუმიზმატიკური მონაპოვარი იძლევა საფუძველს სახელოსნოს სანდოდ დათარიღებისათვის.

ჩვენ ზევით ზოგადად აღვნიშნეთ, რომ სახელოსნოს გათხრების დროს ცესში 1948 წელს აღმოჩენილ მონეტათა შორის XIII საუკუნის პირველ ნახევარზე აღრინდელი მონეტა არ ყოფილა აღმოჩენილი, მაგრამ ჩვენ არ შეგვიხსენებია მკითხველისათვის, რამდენი და რა მონეტა აღმოჩნდა სახელოსნოს ტერიტორიაზე 1948 წ. ისე, როგორც არ დაგვინახელებია 1949 წლის განათხარი მონეტებიც. ამ ფაქტებს კი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საკითხის გარკვევისათვის. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია წარმოვადგინოთ სახელოსნოს გათხრის პროცესში 1948 და 1949 წლებში აღმოჩენილი მონეტების ზუსტი სია დოფერენცირებულად¹.

თბილისის კერამიკული სახელოსნოს ნანგრევების გათხრის პროცესში, 1948 წლის არქეოლოგიური კამპანიის შედეგად სულ აღმოჩნდა 145 მონეტა, მათ შორის 133 მონეტა სახელოსნოს ნანგრევებში აღმოჩენილ ადამიანის ჩონჩხთან². მონეტების ეს უკანასკნელი ჯგუფი შედგებოდა შემდეგი მონაცემებისაგან:

- 1. თამარ მეფისა და დავით სოსლანის სახელით
1200 წ. მოჭრილი მონეტები — 3 ცალი
- 2. რუსუდან დედოფლის 1227 წ. მოჭრილი მონეტები — 84 ცალი
- 3. ქუფური ფელსი IX საუკ.
- 4. ბიზანტიური მონეტები იმპერატორების:
რომანოზ I (919-944 წწ.), კონსტანტინე X
(1059-67 წწ.) და ალექსი I (1081-1118 წწ.)
- 5. ლათინთა იმპერიის იმპერატორის ჰენრი
ფლანდრიელის (1205-06 წწ.) — 2 ცალი
- 6. ჯალალ ედ-დინის 1226 წ. — 2 ცალი
- 7. აზერბაიჯანელი ილდიგიზიდი ათაბაგების,
XII-XIII სს. — 35 ცალი
- 8. ქესრანდი შირვანშაჰის მანუჩერ II-ის, XII ს. — 1 ცალი
- 9. რუმის სელჯუკის ქეიქუბად I (1219-37 წწ.) — 1 ცალი

ზემოხაზოთვლილ 133 მონეტის გარდა, ამავე წელს სახელოსნოს ფართობზე კიდევ აღმოჩნდა 12 მონეტა, რომლებიც გატარებულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილების საინვენტარო დავთარში შემდეგი ნომრებით³:

1. არაბული ფელსი IX საუკ. № 10126

1 მონეტები შეისწავლა და თავის დროზე განსაზღვრა პროფ. დ. კაპანაძემ.
2 ირ. ჯალაღანას, რომელმაც გამოაქვეყნა თბილისის კერამიკული სახელოსნოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი მონეტები, რატომღაც 133 მონეტა „სამარხში განძად აღმოჩენილი ფულები“ ჰგონია (იხ. ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, II, 1974, გვ. 108).
3 მონეტები ჩამოთვლილია მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილების საინვენტარო დავთრის ჩანაწერების თანმიმდევრობის შესაბამისად.



- | | |
|---|---------|
| 2. თამარისა და დავითის მონეტა 1200 წ. | № 10127 |
| 3. ძალიან დაუანგული და ამიტომ გაურკვეველი მონეტა. | № 10128 |
| 4. რუსული ორკაპიკიანი 1823 წ. | № 10129 |
| 5. გიორგი III-ის (1156-1184 წწ.) | № 10130 |
| 6. გიორგი III-ის . | № 10131 |
| 7. რუსუდანის 1227 წ. | № 10132 |
| 8. სპილენძის ფირფიტა. | № 10133 |
| 9. სპილენძის ფირფიტა. | № 10134 |
| 10. თამარ-დავითის მონეტა 1200 წ. | № 10135 |
| 11. თამარ-დავითის მონეტა 1200 წ. | № 10136 |
| 12. გიორგი-ლაშასი (1213-1222 წწ.) | № 10137 |

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ზემოხსენებული 12 მონეტიდან 6 მონეტა კერამიკის ნამტვრევების გადანაყარ გროვაში აღმოჩნდა; გიორგი ლაშას მონეტა VII თხრილში 1,8 მ. სიღრმეზე, რუსუდანის — 2,1 მ. სიღრმეზე, გიორგი III-ის ერთი — 1,7 მ. სიღრმეზე, ხოლო მეორე 2,1 მ. სიღრმეზე; ორი ძლიერ გაცვეთილი მონეტიდან ერთი აღმოჩნდა 1,6 მ., ხოლო მეორე — 2,5 მ. სიღრმეზე. ამასთან დაკავშირებით გ. ლომთათიძე ასკვნის, რომ „უეჭველია ეს მონეტები და კერამიკის ნამტვრევები თანადროულია“ (4, გვ. 131), რაც სრულიად მართებულია.

რაც შეეხება 1949 წელს სახელოსნოს ფართობზე სულ 21 მონეტა აღმოჩნდა, რომელთაგან პროფ. დ. კაპანაძის განსაზღვრით, დადგინდა ქვემოწამოთვლილი მონეტები:

- | | |
|---|----------|
| 1. არაბული ფელსები VIII-IX სს. | — 7 ცალი |
| 2. ბასილი II და კონსტანტინე VIII-ის XI საუკ. მონეტა | — 1 ცალი |
| 3. დემეტრე I-ის (1125-56 წწ.) მონეტა | — 1 ცალი |
| 4. თამარის მონეტები | — 4 ცალი |
| 5. რუსუდანის 1227 წ. მონეტები | — 3 ცალი |
| 6. მონღოლურ-ჰულაგუიდური მონეტა XIV ს. | — 1 ცალი |
| 7. თბილისური ვერცხლის მონეტა XIV ს. | — 1 ცალი |
| 8. რუსული კაპიკიანები 1815 და 1865 წწ. | — 2 ცალი |
| 9. რუსული ორკაპიკიანი 1823 წ. | — 7 ცალი |

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილების საინვენტარო დავთრის ჩანაწერები ემთხვევა გ. ლომთათიძის მიერ გამოქვეყნებულ მონაცემებს (5, გვ. 120) იმ მცირე განსხვავებით, რომ გ. ლომთათიძეს დასახელებული აქვს 6 არაბული ფელსი, ხოლო ნუმიზმატიკის განყოფილების საინვენტარო დავთარში გატარებულია სახელოსნოს ფართობზე 1949 წელს აღმოჩენილი 7 ფელსი (№ 10139, 10140, 10142, 10147, 10151, 10152 და 10155).

თბილისის შუა საუკუნეების კერამიკული სახელოსნოს ტერიტორია-



ზე აღმოჩენილი მონეტები (თბილისში აღმოჩენილ სხვა მონეტებთან ერთად) სპეციალურად შეისწავლა და გამოაქვეყნა ნუმიზმატმა ი. ჯალაღანიამ (13, გვ. 107-108). ამ ნაშრომში, სამწუხაროდ, ავტორს დიფერენცირებულად კი არა აქვს წარმოდგენილი თბილისის კერამიკული სახელოსნოს ტერიტორიაზე 1948-1949 წლებში აღმოჩენილი მონეტები, არამედ, რატომღაც მას ორივე წლის მონაპოვარი (აღამიანის ჩონჩხებთან აღმოჩენილი 133 მონეტის გარდა) გაუერთიანებია, რაც გაუგებრობას იწვევს და მოითხოვს დაზუსტებას. ი. ჯალაღანიას მონეტების გაერთიანებულ სიაში შეტანილი აქვს სულ 17 მონეტა: 1. თამარის 1187 წ. — 1 ცალი; 2. გიორგი III — 2 ცალი; 3. ლაშა გიორგის 1210 წ. — 2 ცალი; 4. რუსუდანის 1227 წ. — 2 ცალი; 5. გაურკვეველი მონეტები — 2 ცალი; 6. არაბული ფელსი IX-X სს. — 1 ცალი; 7. ქუფური ფელსები VIII-IX სს. — 6 ცალი, და მ. ჰულაგუიდური მონეტა XIV ს. — 1 ცალი (13, გვ. 107).

თუ ჩვენ მხედველობაში არ მივიღებთ სახელოსნოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ მონეტებს შორის XIX საუკუნის ოთხ რუსულ კაპიკიანს და ორკაპიკიანს (საინვ. №№ 1029 — 1948 წ. აღმოჩენილს და №№ 10156, 10157 და 10158-ს 1949 წელს აღმოჩენილს), აგრეთვე 1948 წელს აღმოჩენილ ძლიერ დაჟანგულ და ამიტომ ვერგანსაზღვრულ ერთ მონეტას — № 10128-ს და ორ მრგვალობრტყელ ფირფიტას № 10133 და № 10134-ს, მაშინ გამოდის, სულ აღმოჩენილი ყოფილა ორი წლის განმავლობაში არა 17 მონეტა, არამედ 26 მონეტა (აღამიანის ჩონჩხებთან აღმოჩენილი 133 მონეტის გარდა); ამას გარდა, თამარის მონეტები აღმოჩენილია არა ერთი, არამედ 7 ცალი (ნუმიზმატიკის განყოფილების საინვენტარო დავთრის ჩანაწერების მიხედვით 1948 წელში აღმოჩენილია 3 მონეტა №№ 10127, 10135 და 10136; 1949 წ. 4 მონეტა — №№ 10140, 10148, 10149 და 10154). რუსუდანის მონეტები აღმოჩენილია არა ორი, არამედ ოთხი (1948 წ. — № 10132; 1949 წ. — №№ 10138, 10146, 10150); არაბული ფელსები აღმოჩენილია არა 7, არამედ 8 ცალი (1948 წ. — № 10126; 1949 წ. — №№ 10139, 10140, 10142, 10147, 10151, 10152 და 10155). ლაშა გიორგის მხოლოდ ერთი მონეტაა აღმოჩენილი — №10137. დასასრულ, 1949 წელს აღმოჩნდა XIV საუკუნის არა მხოლოდ ერთი მონეტა ჰულაგუიდური (საინვ. № 10145), როგორც ი. ჯალაღანიას აქვს აღნიშნული (13, გვ. 108), არამედ მეორეც — თბილისური ვერცხლის მონეტაც, აგრეთვე XIV საუკუნის (საინვ. № 10153).

ამგვარად, თუ დავაზუსტებთ თბილისის კერამიკულ სახელოსნოს ტერიტორიაზე 1948 და 1949 წწ. აღნიშნულ მონეტების სიას, მივიღებთ, რომ აღმოჩენილია ქვემოთჩამოვლილი მონეტები:

- 1. დემეტრე I-ის — 1 ცალი
- 2. თამარის — 7 ცალი
- 3. ლაშა გიორგის — 1 ცალი
- 4. რუსუდანის — 4 ცალი
- 5. გიორგი III-ის — 2 ცალი
- 6. არაბული ფელსები — 8 ცალი

- 7. ბიზანტიური მონეტა ბასილი II-ისა და კონსტანტინე VIII-ის — 1 ცალი
- 8. თბილისური ვერცხლის მონეტა XIV ს. — 1 ცალი
- 9. ჰულაგუიდური მონეტა XIV ს. — 1 ცალი

XIV საუკუნის ამ ორი მონეტის აღმოჩენასთან დაკავშირებით გ. ლომთათიძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ეს ორი (მონეტა) აღმოჩენილია ზღუდისპირა თხრილებში, ზღუდის ძირასა და სახელოსნოს იატაკის, ქურათა შუაწეღის დონეზე ისე, რომ მათი დამათარიღებელი მნიშვნელობა საეჭვო არ უნდა იყოს (5, გვ. 120).

ამგვარად, გ. ლომთათიძის მიერ სახელოსნოს 1949 წლის გათხრის ანგარიშის გამოქვეყნების შემდეგ (1982 წ.) გამოიკვია, რომ გამართლდა აკად. ნ. ბერძენიშვილის ზემოხსენებული ვარაუდი, რომელიც მან გამოთქვა 1950 წელს იმის შესახებ, რომ სახელოსნო განადგურებული უნდა იყოს XIV საუკუნეში თემურ ლენგის პირველი შემოსევის დროს. თუ 1948 წლის გათხრამ არ მოგვცა ამის დამადასტურებელი საბუთი, 1949 წლის გათხრამ ამის უტყუარი საბუთი მოგვცა. ეს მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია და ამიტომ, ამასთან დაკავშირებით საჭიროდ მიგვაჩნია გ. ლომთათიძის ზემოხსენებული ანგარიშიდან მოვიტანოთ სიტყვასიტყვით მომდევნო ციტატი მთლიანად, მით უმეტეს, რომ იგი არ არის გრძელი.

იმის გამო, რომ აღნიშნული ორი მონეტა XIV საუკუნისა აღმოჩნდა „სახელოსნოს იატაკისა, ქურათა შუაწეღის დონეზე“, იგი წერს: „ჩვენ ვაღივებულად მიგვაჩნია თავი, გადავხინჯოთ ჩვენი არდათანხმება ნ. ბერძენიშვილის მოსაზრებასთან და შესაძლოდ მივიჩნით სახელოსნოს დაღუპვის თარიღის XIV საუკ. გადმოტანა, ხოლო აქ კი ყველაზე უფრო ბუნებრივი იქნება ამ ამბის დაკავშირება თემურ ლენგის დაშქრობასთან. მაშინ კი გამოვიდოდა, რომ საწარმოს განუგრძობა არსებობა და ნაყოფიერი მუშაობა მონღოლებით დამძიმებულ თითქმის მთელი საუკუნის მანძილზე.

გამოვიდოდა ისიც, რომ მთელი ჩვენი ნაწარმი და, კერძოდ, ამ ტიპის კერამიკა, რომლის ხნოვანებად დღემდე XI-XIII სს. ითვლებოდა (ზედა საზღვრად სწორედ მონღოლების შემოსევის დასაწყისია ხოლმე მიჩნეული), განაგრძობდა მუშაობას XIV საუკ. მეტი წლის განმავლობაში (5, გვ. 120-121).

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ფაქტი სრულიად ცხადია, ხოლო ამასთან დაკავშირებული გ. ლომთათიძის დასკვნა, აბსოლუტურად მართებული და ნათელი.

ყოველივე ზემოხსენებულის შემდეგ, პირდაპირ საოცარია, რომ თბილისის კერამიკული სახელოსნოს გათხრის შედეგებმა და მონაცემებმა, არც თუ მცირერიცხოვან ჩვენ სპეციალისტებზე არ მოახდინა პოზიტიური გავლენა და არ გააღვიძა ინტერესი და მისწრაფება უკანასკნელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში დაგროვილი მასალისა და სხვადასხვა მონაცემების კრიტიკული შემოწმებისა ახალი მონაცემების

შუქზე, პირიქით, ამას მოჰყვა სრულიად საწინააღმდეგო შედეგი; პირველეს ყოვლისა, გ. ლომთათიძის ზემოხსენებული ანგარიშის გვეყენებას და ქართული მოჭიქული კერამიკის დათარიღების დაზუსტებისათვის მოტანილ ახალ ფაქტებს არავითარი რეაქცია არ მოჰყოლია, ჩვენი სპეციალისტები ყოველივე ზემოაღნიშნულს დუმილით შეხვდნენ¹. კიდევ მეტი, 1985 წლის ბოლოს თბილისში ჩატარდა პირველი სიმპოზიუმი, მიძღვნილი პრობლემისადმი: „ამიერკავკასიის პოლიქრომული კერამიკა, მისი საწყისები და გავრცელების გზები“. ამ სიმპოზიუმის მოწყობის ინიციატორი იყო მეცნიერებათა კანდიდატი მარინა მიწიშვილი, რომელიც, ამასთანავე, დიდი ხანია სპეციალურად იკვლევს თბილისის კერამიკული სახელოსნოს და იქ აღმოჩენილ მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან მოჭიქული კერამიკის კოლექციას (20, გვ. 3-18; 21, გვ. 42-45).

მ. მიწიშვილი იყო მთავარი მომხსენებელი შუა საუკუნეების ქართული მოჭიქული მრავალფეროვანი კერამიკის შესახებ. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ მან თავის მოხსენებაში სრული დუმილით აუარა გვერდი ზემოხსენებულ ფაქტებს და მოსაზრებებს, რომლებიც თბილისის შუა საუკუნეების კერამიკულ სახელოსნოს გათხრასა და შესწავლას შეეხებოდა და რაც სათანადოდ არის ასახული სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში², სხვათა შორის, არა მარტო გ. ლომთათიძის 1949 წ. ანგარიშში.

მომხსენებლის პოზიცია არ ასახავდა რეალურ ვითარებას და ამიტომ მივიჩნიე რა ასეთი დამოკიდებულება საკითხისადმი უმართებულად, მომხსენებელს შევახსენე სახელოსნოს განადგურებისა და, საერთოდ, შუა საუკუნეების ქართული მოჭიქული კერამიკის დათარიღებასთან დაკავშირებული ზემოხსენებული მონაცემები. მისმა საპასუხო გამოსვლამ დაგვარწმუნა, რომ იგი კვლავ უზულვებელყოფდა აღნიშნულ ფაქტებსა და მოსაზრებებს, მას ქართული მოჭიქული კერამიკის ზედა თარიღად ისევ XIII საუკუნის 30-იანი წლები მიაჩნია. ყოველივე ზემოაღნიშნულს ისიც უნდა დავუმატოთ, რომ შუა საუკუნეების ქართული მოჭიქული კერამიკის ზემოხსენებულ დათარიღებას სხვა ქართველი სპეციალისტები იზიარებენ, რამდენადაც დღემდე არავის დაუყენებია საკითხი აღნიშნული თარიღის გადასინჯვის შესახებ.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ უკანასკნელი ოთხი ათეული წლის განმავლობაში საქართველოში განხორციელებული შუა საუკუნეების მრავალფეროვანი ძეგლების (ნაქალაქარები, ნასოფლარები, საწარმოო კერები, ნამოსახლარები და სხვ.) გათხრების შედეგად დაგროვილი დიდძალი განათხარი მასალა საფუძველს იძლევა დავასაბუთოთ, რომ მონღოლების პირველი შემოსევის შედეგად ქართული მოჭიქული კერამი-

1 რაც შეეხება ჩემს პოზიციას, მე დიდი ხანია იმ აზრისა ვარ, რომ საქართველოში მოჭიქული კერამიკა XIV საუკ. ბოლომდე არსებობდა. იხ. დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიშები, (25, გვ. 265, 259-70).

2 რა თქმა უნდა, თითოეულ მკვლევარს უფლება აქვს თავისი საკუთარი აზრი იქონიოს ამა თუ იმ პრობლემაზე, თუ კი მას ამისათვის სათანადო საფუძველი გააჩნია, მაგრამ არავისა აქვს უფლება დუმილით აუაროს გვერდი ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებებს და ისე დაიჭიროს თავი, თითქოს აღნიშნული ფაქტი თუ მოსაზრებები, საზოგადოდ, არ არსებობენ.



კის წარმოება არ შეწყვეტილა და იგი შემდგომშიაც დიდხანს განაგრძობდა არსებობას. ამ მოსაზრების დასაბუთებას ეძღვნება ჩვენი წინა მღებარე ნაშრომი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ საკითხავია — მაინც რა მოსაზრებით ხელმძღვანელებენ ჩვენი ქართველი კოლეგები, რომლებიც ფიქრობენ, რომ შუა საუკუნეების ქართული მოჭიქული კერამიკა წყვეტს თავის არსებობას მონღოლების პირველი დიდი შემოსევის შემდეგ? ამ საკითხზე ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე სპეციალურად დასაბუთებული თვალსაზრისი არ არსებობს, მაგრამ რამდენადაც გარკვეული ავტორების მიერ გაკვრით მაინც არის გამოთქმული აზრი ამ საკითხის შესახებ, იგი გამოიხატება შემდეგში: „ძნელი წარმოსადგენია, რომ მხატვრული კერამიკის თბილისის საწარმოს შესძლებოდა მშვიდად და ნაყოფიერად მუშაობა მონღოლების ბატონობის მძიმე ხანაში“ (გ. ლომთათიძე, 1955 წ.). მეორე არგუმენტი, ამავე მოსაზრების მომხრეთა აზრით, შესაძლოა ის იყოს, რომ შუა საუკუნეების საქართველოს არქეოლოგიური ძეგლების (ნაქალაქარები, ნასოფლარები, ნამოსახლარები, სამაროვნები, საწარმოო კერები და სხვ.) გათხრები არ იძლევა იმის დამადასტურებელ ფაქტებს, რომ ქართული მოჭიქული კერამიკული წარმოება განაგრძობდა თავის არსებობას მონღოლების პირველი შემოსევის შემდგომ, სახელდობრ XIII-XIV სს.

ამ საკითხებზე პასუხის გაცემა მთითხვს გარკვეული ფაქტების, ნივთიერი საბუთების დასახელებას.

სანამ სხვა საბუთებს დავასახელებდეთ, საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ მე ვერ ვხედავ რაიმე საფუძველს ეჭვი შევიტანოთ შუა საუკუნეების თბილისის კერამიკული სახელოსნოს გათხრის შედეგად დაღვინილ ფაქტებსა და ნუმიზმატიკური მონაპოვარის განსაზღვრის საკითხში; ჩვენი ავტორიტეტული და დიდად კომპეტენტური მეცნიერის, ძეგლის გამთხრელის გ. ლომთათიძის მიერ, როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული, ხაზგასმით არის დაღვინილი ის ფაქტი, რომ სახელოსნოს გათხრის პროცესში, იატაკის დონეზე აღმოჩნდა ის ორი მონეტა, რომლებიც შემდეგ განსაზღვრული იყო, როგორც XIV საუკუნის მონეტები — ერთი მონღოლური ჰულაგუიდური, ხოლო მეორე თბილისური ვერცხლის მონეტა. ამასთან დაკავშირებით მეტად მნიშვნელოვანია გ. ლომთათიძის მიერ ხაზგასმით აღნიშნული დასკვნა, რომ ამ მონეტის დამატარებელი მნიშვნელობა ეჭვგარეშეაო (5, გვ. 120).

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ზემოხსენებული ორი მონეტა თავის დროზე განსაზღვრა ისეთმა ავტორიტეტულმა და კომპეტენტურმა მეცნიერმა, ცნობილმა ნუმიზმატმა, როგორც პროფ. დ. კაპანაძე იყო (იქვე).

აქვე მინდა ხაზი გაუუსვა იმასაც, რომ საქართველოს ისტორიის გამოჩენილმა და ავტორიტეტულმა მეცნიერმა, აკად. ნ. ბერძენიშვილმა შესაძლებლად მიიჩნია შუა საუკუნეების თბილისის კერამიკული სახელოსნოს არსებობა მონღოლების ბატონობის უდელქვეშ მგმინავ საქართველოს პირობებში და მისი დანგრევა დაუკავშირა თემურ ლენგის მძვინვარე შემოსევას (იქვე).



დასასრულ, შუა საუკუნეების თბილისის კერამიკული სახელოსნოს დანგრევა შეუძლებელია დაგუკავშიროთ საქართველოში მონღოლური პირველ შემოსევას 1235 წ. იმიტომაც, რომ აღნიშნული შემოსევის დროს თბილისი მონღოლებს დანებდა უბრძოლველად (11, გვ. 239), ხოლო არქეოლოგიური გათხრების შედეგად სრულიად ცხადად გამოჩნდა, რომ სახელოსნო, როგორც ეს ზევით აღინიშნა, გაუნადგურებიათ ერთბაშად სასტიკი დარბევისა, ნგრევისა და ხოცვა-ჟლეტის შედეგად (4, გვ. 161).

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ საჭიროა გავარკვიოთ, მონღოლების პირველი შემოსევისა და, საერთოდ, მათი ბატონობის პერიოდში განაგრძობდა თუ არა არსებობას ხელოსნობის სხვადასხვა დარგი და კერძოდ ისეთი დიდად გავრცელებული დარგი ხელოსნობისა, როგორიც იყო მოჭიქული კერამიკის წარმოება? როგორი იყო ქვეყნის ეკონომიკური შესაძლებლობა მონღოლების ბატონობის პერიოდში?

მიუხედავად იმისა, რომ მონღოლთა ბატონობამ დიდი ზიანი მოუტანა ქვეყანას და, კერძოდ, საქართველოს ქალაქებს (მძიმე მონღოლური გადასახადები, სამხედრო ბეგარა, საქალაქო ცხოვრების დაქვეითება და სხვა), „მონღოლთა ბატონობის ხანა, ისე როგორც წინა აზიაში, ასევე საქართველოში არ ყოფილა სრული და ხანგძლივი დაცემის ხანა“ და როგორც „წინა აზიის, ასევე საქართველოს ქალაქების უმეტესობა გადაურჩა სრულ განადგურებას“ (7, გვ. 132). საქართველო XIV საუკუნეში ეკონომიკურ ურთიერთობას ამყარებს სხვადასხვა სახელმწიფოებთან და ჩრდ. იტალიის ქალაქებთან (7, გვ. 133).

XIII საუკუნის საქართველოში დიდი რაოდენობით იჭრება ქართული ფული (განსაკუთრებით აღსანიშნავია რუსუდანის სახელით მოჭრილი ვერცხლისა და სპილენძის ფული); აღსანიშნავია, რომ საქართველოში არსებობდა რამდენიმე ზარაფხანა (თბილისში, დმანისში, ახალციხეში, ქუთაისში), რაც იმაზე მიუთითებდა, რომ საქართველოს ქალაქები ჯერ კიდევ ინარჩუნებდნენ ეკონომიკურ ცენტრის როლს (იქვე). მაგ. ქ. დმანისის ეკონომიკური მნიშვნელობა, როგორც ამას აღნიშნავს ლ. მუსხელიშვილი, XIII საუკუნის ბოლომდე და, ალბათ, მერმეც, დიდი იყო, რაც იქიდან ჩანს, რომ როცა მონღოლების მიერ 1271-72 წლებში მოთხოვნილი დიდი ხარკის გადახდა ვერ შეძლო დიმიტრი II თავდადებულმა, მისი გადახდა იკისრა ათაბაგმა სადუნ მანკაბერდელმა იმ პირობით, თუ მეფე სანაცვლოდ მას დმანისს დაუთმობდა. მეფე იძულებული იყო დათანხმებულიყო ამ პირობაზე (10, გვ. 331). ცხადია, სადუნი დარწმუნებული იყო, რომ ამ შემთხვევაში წაგებული არ დარჩებოდა.

ჩვენ მოგვეპოვება წყაროს ცნობა XIV საუკუნის 30-იანი წლების თბილისის ეკონომიკური მდგომარეობის შესახებაც; იგი მაშინ ითვლებოდა სიმდიდრით განთქმულ ქალაქად; პაპი იოვანე XXII 1328 წელს თბილისის შესახებ წერს: „შემდგომად ბევრი რჩევისა და გამოძიებისა დავრწმუნდით ჩვენ და ჩვენი ძმები კარდინალები, რომ თბილისი, ერთი სავსე, მარჯვე და სიმდიდრით უხვი ქალაქია... ამიტომ... სმირნის საეპისკოპოსო კათედრა გადაგვაქვს ზემოსხენებულ თბილისს ქალაქს“



(3, გვ. 32; ლათინური ტექსტი, იქვე, 580, შდრ. გვ. 34, 481; 7, გვ. 134)

თუ ყოველივე ზემოხსენებულს დავუმატებთ, რომ XIV პირველ ნახევარში გიორგი V ბრწყინვალეს (1318-1348) გონივრული და აქტიური პოლიტიკის შედეგად უმჯობესდება ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა, იჭრება ქართული ფული, მტკიცე და ენერგიული ღონისძიებების განხორციელებით მეფე ახერხებს სამეფოს პოლიტიკური მთლიანობის აღდგენას, კანონმდებლობის მოწესრიგებას და სხვა, ყოველივე ზემოაღნიშნულის შედეგად „საქართველოს ქალაქების უმეტესობამ (თბილისმა, გორმა, ქუთაისმა, დმანისმა, სამშვილდემ და სხვ.) ძირითადად შესძლევს თავიანთი როლის შენარჩუნება“ (7, გვ. 134).

არსებობას განაგრძობდნენ სხვა ქალაქებიც, როგორც იყო ოძრხე, თმოგვი, ახალციხე და სხვ. (7, გვ. 53), რომლებიც დღემდე არ არის შესწავლილი არქეოლოგიურად.

ამგვარად, ისტორიული წყაროების მიხედვითაც ჩანს, რომ მიუხედავად მონღოლების ბატონობის მიძიმე უღლისა, ქვეყანას მაინც შესწევდა აქტიური ცხოვრების ძალა და მისი ეკონომიკაც სიცოცხლისუნარიანი იყო, თუმცა აღრინდელთან შედარებით დაქვეითებული.

ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვან მონაცემებს გვაწვდის შუა საუკუნეების ისეთი ნაქალაქარების გაოხრები, როგორიცაა თბილისი, დმანისი და უინვალი. რაც შეეხება რუსთავს, ამ შემთხვევაში განსაკუთრებულ ვითარებასთან გვაქვს საქმე; რუსთავის გაოხრამ დიდი ხანია სრულიად გარკვევით დაადასტურა, რომ რუსთავი დაინგრა დიდი მასშტაბის ომის შედეგად, რომელიც მოხდა ოქროს ურდოს მონღოლებსა და სამხრეთის ურდოს მონღოლებს — ილხანებს შორის 1265 წელს საქართველოს ტერიტორიაზე. ეს დიდი ბრძოლა გაიმართა მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირას, მდინარეების იორისა და ალაზნის ქვედა წელში, ამ ომმა დიდი უბედურება დაატეხა თავს საქართველოს აღნიშნულ კუთხეს და მის მოსახლეობას, სრულიად მოსპო ამ ტერიტორიაზე არსებული მრავალი სოფელი, სამონასტრო კერები, სარწყავი სისტემა. ამავე ომმა იმსხვერპლა დიდი ქალაქი რუსთავიც, რომელიც მას შემდეგ ნაქალაქარად იქცა. რაც შეეხება ზემოხსენებულ დანარჩენ ქალაქებს, ამ შემთხვევაში ასეთ ვითარებასთან გვაქვს საქმე.

თბილისში აღმოჩენილია თბილურ-მონღოლური სპილენძის ფული XIII საუკუნისა. განსაკუთრებით ხშირია მანგუ-ყაანის სპილენძის ფულის აღმოჩენა (19, გვ. 51-52; 13, გვ. 112). მანგუ-ყაანის ფულები იჭრებოდა თბილისში 1254 წლიდან 1256-57 წლებამდე. აღმოჩენილია ე.წ. ყაანაურების თანადროული სპილენძის ანონიმური მონეტები XIII ს. 70-იანი წლებისა; XIII ს. დასასრულის და XIV საუკუნის დასაწყისის ჰულაგუიდური მონეტები — ილჯაითუ ილხანის (1304-1316 წწ.) და სხვა ჰულაგუიდური მონეტები, რომელთა პოვნის შემთხვევები ცნობილია როგორც განძების, ისე ერთეული ცალების სახით (13, გვ. 113, 118).

მიუხედავად იმისა, რომ თბილისი მჭიდროდ დასახლების გამო არქეოლოგიურად სუსტად შესწავლილი ქალაქია, ისტორიული წყაროები და არქეოლოგიური ძეგლები კარგად ადასტურებენ, რომ თბილისში



ზემოხსენებულ საუკუნეებში არსებობდა ხელოსნობის მრავალი რეზერვუარი (მეოუნეობა, მინის ჭურჭლისა და სამკაულების დამზადება, ნაგირეობა, კაპარტებისა და ხილიფების დამზადება, მეაბრეშუმეობა, ფეიქრობა და სხვ.) და რომ თბილისს გაცხოველებული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდა როგორც მეზობელ, ისე შორეულ ქვეყნებთან. თბილისიდან გაჰქონდათ: აბრეშუმი და აბრეშუმის ნაწარმი, ქსოვილები, თიხის, მინის და ბროლის ნაწარმი, ნაბღები, ხაღისები, მზა ტანსაცმელი, ბეწვეული, ცხენის აკაზმულობა, პირუტყვი (უმთავრესად ცხენები) (1, გვ. 108-112) და სხვა.

განავრძობს მოქმედებას შუა საუკუნეების ხელოვნებისა და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის ისეთი კერა, როგორც იყო ქალაქი ჟინვალის. ჟინვალის ნაქალაქარის, მისი გარეუბნებისა და სამაროვანის გათხრის პროცესში აღმოჩენილია XIII-XIV საუკუნეების შემდეგი მონეტები; ილდიგისი მონეტები XII-XIII სს. 37 ცალი აღმოჩნდა დიდი განძის შემადგენლობაში ნაქალაქარის ტერიტორიაზე №67 ნაგებობაში (24, გვ. 64-65); №22 ნაგებობაში, იატაკის დონეზე აღმოჩნდა რუსუდანის (1223-1245) მონეტები (22, გვ. 179); ნაქალაქარის ტერიტორიის XVII უბანზე აღმოჩნდა მონღოლური მონეტა XIV საუკ. (23, გვ. 137); ნაქალაქარის სამაროვანზე მეორე ეკლესიის მახლობლად ზედაპირულად აღმოჩნდა ნუსშირვან ჰულაგუიდის ვერცხლის მონეტა, მოჭრილი თბილისში XIV ს. 30-იან წლებში. ჟინვალის ხეროვისთან 1971 წ. აღმოჩნდა მონღოლური ფულების განძი (74 ვერცხლის მონეტა), რომლის მონეტებიდან უადრესი იყო 1261-64 წწ. მონეტები, ხოლო უგვიანესი 1291 წ. მოჭრილი მონეტები (14, გვ. 167-181).

დასასრულად, ჟინვალის ნაქალაქარის სამაროვანზე, კამაროვან აკლდამაში აღმოჩნდა ვერცხლის მონეტები: რუსუდანის სახელით მოჭრილი 1230 წ. 6 მონეტა, 4 ცალი ქართულ-ჰულაგუიდური მონეტა, მოჭრილი საქართველოში XIII საუკუნის 80-იან წლებში და ერთი რუმის სელჯუკური მონეტა XIII საუკუნისა (18, გვ. 19).

XIII-XIV სს. ცალკეული მონეტებისა და განსაკუთრებით განძების აღმოჩენა ჟინვალის ტერიტორიაზე მიგვითითებს ქალაქის აქტიურ სავაჭრო-ეკონომიკურ კავშირებზე.

მეტად საინტერესოა ნაქალაქარ დმანისის არქეოლოგიური მონაცემები; აქაც მრავლად არის აღმოჩენილი XIII და XIV საუკუნის მონეტები იმ შენიშვნით, რომ XIII საუკ. გაცილებით მეტი მონეტებია აღმოჩენილი, ვიდრე XIV საუკ., რაც გამოწვეული იყო ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებებით. ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ თამარის და განსაკუთრებით რუსუდანის სახელით მოჭრილი მონეტები ასეულობითაა აღმოჩენილი ნაქალაქარ დმანისის ტერიტორიაზე საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობების თხრის პროცესში, გარეუბნის სამაროვანზე და გარეუბნებში. დმანისის არქეოლოგიური გათხრების დაწყებიდან (1936 წლიდან) დღემდე აღმოჩენილია 2000-ზე მეტი მონეტა ქართული, ბიზანტიური და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ხელისუფალთა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ქარ-



თული მონეტები საგრძნობლად ჭარბობს ყველა დანარჩენი ქვეყნების მონეტებს ერთად აღებულს, მაგრამ ქართული მონეტების ამ ნაწილს ვლეს უმთავრესად XIII საუკუნეში — თამარისა და რუსუდანის სახელით მოჭრილი მონეტები ქმნიან, ხოლო XIV საუკუნეში ქართული მონეტების რაოდენობა საგრძნობლად კლებულობს (15, გვ. 33-51).

თუ ჩვენ თვალს გადავაკვლებთ პირველი 17 წლის მანძილზე (1936-37 წწ. შემდეგ 1960 წლიდან 1977 წლამდე) მოპოვებულ მონეტებს, ასეთ სურათს მივიღებთ: თამარისა და დავითის სახელით 1200 წელს მოჭრილი მონეტები აღმოჩენილია 194 ცალი, გიორგი და შასი (1219-1222) — 2 ცალი, რუსუდანის (1222-1245) — 289 ცალი, დავით ნარსის (1230-1293) დმანისში მოჭრილი — 44 ცალი, მისივე თბილისში მოჭრილი — 21 ცალი, დავით ულუსი (1247-1270) — 7 ცალი, „სომხიურის“ მონეტები (XIII ს. 80-იანი წლები) — 19 ცალი, დავით VIII (1293-1311) — 1 ცალი, ვახტანგ III (1298-1308) — 3 ცალი.

დმანისშია აღმოჩენილი ჯვაროსანთა მიერ დაარსებული ღაღაინთა იმპერიის ხელისუფალის ჰენრი ფლანდრიელის (1205-16 წწ.) 1 მონეტა, ხოლო მეორე მონეტა — ამავე იმპერიის (1244-1246 წწ.); დემეტრე დუკას (1244-45) მონეტა და ტრაპიზონული ასპრი თანე II-სა (1280-1297 წწ.).

აღმოსავლური მონეტებიდან აღმოჩენილია: აბუ-ბაქრის (1191-1210) — 5 მონეტა; აზერბაიჯანის ალაბაგების — ილდგიზიდების XII-XIII სს. — 9 ცალი, ჯალალ ელ-დინის (1220-31) — 7 ცალი, ხელჯუკური მონეტები XII-XIII სს. — 8 ცალი, ამას გარდა, ხელჯუკ ქეიქუბად I (1219-1237) — 6 ცალი, ქეიხოსროუ II (1237-46) — 4 ცალი;

მონღოლური მონეტებიდან აღსანიშნავია მანგუ ყანის (1251-60) მონეტები (რომლებიც მნიშვნელოვანი რაოდენობით გვხვდება) — 58 ცალი. ე.წ. ანონიმური მონეტები — ყანურები (XIII ს. 60-70 წლები) — 10 ცალი, მონღოლური ფელსი XIII ს. — 2 ცალი.

ქართულ-ჰულაგუიდური მონეტები: არდუხის (1284-91) — 10 ცალი, ბაიდუხი (1295) — 2 ცალი.

ჰულაგუიდების: ოღჯაითუხი (1317-1335) — 11 ც. სულეიმანის (1339-42) — 2 ც. ნუსირვანის (1343-55) — 6 ც.; ილხანების XIV ს. მონეტა — 1 ც. ჯელაიდისური XIV ს. — 1 ც.; ჯუზიდი თახთაამის (1376-85) — 1 ც.

ნამთავლიანი მონეტების მიერ შექმნილი სურათი ტიპურია დმანისისათვის და ამ შემთხვევაშიაც კარგად ასახავს XIII-XIV საუკუნეთა ვითარებას. ქალაქი თავის განვითარების უმაღლეს დონეს აღწევს XIII საუკუნეში (უპირატესად XIII საუკუნის პირველ ნახევარში). შემდეგ მისი განვითარების ტემპი საგრძნობლად კლებულობს, მაგრამ XIV საუკუნის ბოლომდე იგი ჯერ კიდევ ქალაქია და სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობას არ წყვეტს გარე სამყაროსთან. ამის მანიშნებელია არა მარტო ზემოხსენებული XIV საუკუნის მონეტები, აღმოჩენილი ნაქალაქარის გათხრის პროცესში, არამედ იმპორტული ირანული ფაიანსის ნიმუშებიცაა აღმოჩენილი, აგრეთვე ნაქალაქარის ტერიტორიაზე.

რიაზე; ამ მხრივ აღსანიშნავია ე.წ. სულთანაბადური პოლიქრომული ფაიანსის ნიმუშების აღმოჩენა დმანისში მნიშვნელოვანი რაოდენობით. სპარსული ფაიანსის ზემოხსენებული ტიპის ჭურჭელს მიეკუთვნება ქვემოთ ჩამოთვლილი ფაიანსის ჭურჭლის ნიმუშები დმანისში აღმოჩენილი: თეთრი ანგობით და მწვანე საღებავით მოხატული ფაიანსი; ლურჯი და მწვანე საღებავებით მოხატული; ლურჯი, მწვანე და სოსანი საღებავის წვეთებით შემკული და ლურჯი და ცისფერი საღებავებით, აგრეთვე ლურჯი და შავი საღებავებით მოხატული ჭურჭელი.

ყველა ზემოაღნიშნული ტიპისა და ჯგუფის ჭურჭელი, როგორც აღინიშნა, სულთანაბადურ ფაიანსად არის მიჩნეული და დათარიღებულია XIII-XIV სს. (17, გვ. 52; 6, გვ. 59-62). აქვე აღსანიშნავია, რომ სულთანაბადური ფაიანსის ანალოგიური ზოგიერთი ტიპის ნიმუშები საქართველოში აღმოჩენილია სხვა პუნქტებშიც — უჯარმაში, ჟინვალში, სოხუმში, გონიოში, გუდარეხში, ბათუმში (6, გვ. 59-62). ყოველივე ზემოხსენებულის შემდეგ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ XIII და XIV საუკუნეების მონეტებთან და იმპორტული ფაიანსის ნიმუშებთან ერთად, ერთ დონეზე გათხრის პროცესში, შუა საუკუნეების კულტურულ ფენაში, მრავლად გვხვდება ქართული მოტიქული ჭურჭლის ნიმუშებიც, რაც, რა თქმა უნდა, იმის დამადასტურებელია, რომ კერამიკის აღნიშნული ნიმუშები, აგრეთვე XIII და XIV საუკუნეების ქართული კერამიკული წარმოების პროდუქციას წარმოადგენენ. იმის გამო, რომ დმანისის ნაქალაქარი უკვე სამი ათეული წელია ითხრება, ამიტომ აქ მრავლად არის აღმოჩენილი როგორც XIII საუკუნის მეორე ნახევრისა და XIV საუკუნის ქართული მონეტები, ისე, აგრეთვე, ირანული XIII და XIV საუკუნის ფაიანსის ნიმუშები და მასთან ერთად ქართული მოტიქული კერამიკის ფრაგმენტები. შედარებით უფრო ნაკლები რაოდენობით არის აღმოჩენილი XIII და XIV საუკუნეების ირანული ფაიანსის ნიმუშები ნაქალაქარების ჟინვალისა და უჯარმის ტერიტორიაზე, მაგრამ მთავარია, რომ იქაც ანალოგიური სურათი გვაქვს, რაც ამ ქალაქების სიცოცხლისუნარიანობასა და სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობაზე მიგვითითებს XIII და XIV საუკუნეებში. აქ არ უნდა დავივიწყოთ ხვენი მთავარი თბიქტი — თბილისის კერამიკული სახელოსნოს ნანგრევები, გათხრის პროცესში აღმოჩენილი XIV საუკუნის ორი მონეტა და სახელოსნოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ქართული მოტიქული კერამიკის უთვალავი ნიმუშებიც, რის შესახებაც ზევით გვქონდა საუბარი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგად თითქოს ყველაფერი ნათელია და შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ქართული მოტიქული პოლიქრომული კერამიკა არა მარტო არ ამთავრებს თავის არსებობას XIII საუკუნის ოცდაათიან წლებში — მონღოლების პირველი დიდი შემოსევის შემდეგად, ან XIII საუკუნის პირველ ნახევარში, არამედ იგი განაგრძობს თავის არსებობას არა მარტო XIII საუკუნის ბოლომდე, არამედ ქართული კერამიკული წარმოების ცენტრები ინტენსიურად მუშაობენ XIV საუკუნის ბოლომდე.

დმანისის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის გეოგრაფიის თვალ-



საზრისით საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის დმანისში აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი მძივებიც. მძივები დამზადებულია სხვადასხვა და საღისეაგან: სარდიონისაგან, ქალცედონისაგან, მოჭიქული კვარცისაგან, ლაჟვარდისაგან, ქარვისაგან, მარჯნისა და საღაფისაგან. ცნობილია, რომ ის ქვები, რომელთაგან სხვადასხვაგვარი მძივებია დამზადებული, მოიპოვებოდა სხვადასხვა ქვეყნებში და მძივებსაც უპირატესად იქვე ამზადებდნენ და მზა პროდუქცია გაჰქონდათ სხვა ქვეყნებში, თუმცა ისიც ცნობილია, რომ თვით მასალაც წარმოადგენდა ექსპორტის საგანს. დმანისში მოპოვებული მძივების კოლექცია სპეციალურად შესწავლილი აქვს მეც. კანდ. რ. დოლაბერიძეს (2, გვ. 72-96). გარკვეულია, რომ სარდიონის მძივები შემოტანილი უნდა იყოს საქართველოში იემენიდან, ქალცედონისა და მოჭიქული კვარცისა — ირანიდან (ან შესაძლებელია შუა აზიიდან), ქარვის მძივები — ბალტიისპირეთიდან, მარჯანი — ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებიდან.

დმანისში მოპოვებული მძივების დიდი უმრავლესობა დათარიღებულია XII-XIII საუკუნეებით, თუმცა გვხვდება სარდიონის მძივების ნაწილი, რომელიც XIV საუკუნითაა დათარიღებული. ამგვარად მძივების მიხედვითაც ჩანს, რომ შუა საუკუნეების დმანისში შემოჰქონდათ საქონელი, როგორც აზიის, ისე ევროპის ქვეყნებიდან.

დასასრულ, ჩვენი ნაშრომი არ იქნება დასრულებული, თუ ჩვენ არ შევეცადეთ პასუხი გავცეთ ზოგიერ საკითხზე, რომელსაც აღძრავს გლომთათიძის ზემოხსენებული საანგარიშო ნაშრომი.

ზევით ჩვენ უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ გ. ლომთათიძე თავის ანგარიშში სრულიად გარკვევით წერს, რომ თბილისის კერამიკული სახელოსნოს ნანგრევების გათხრის პროცესში, სახელოსნოს იატაკის დონეზე აღმოჩნდა XIV საუკუნის ორი მონეტა და რომ „მათი დამატარიღებელი მნიშვნელობა საეჭვო არ უნდა იყოს“ და ამ საფუძველზე „შესაძლებლად მიგვაჩნია სახელოსნოს დაღუპვის თარიღი XIV საუკ. გადმოტანაო“ (5, გვ. 120). ყოველივე ამას უშუალოდ მოყვება შემდეგი ფრაზა: „გამოვიდოდა ისიც, რომ მთელი ჩვენი ნაწარმი და, კერძოდ, ამ ტიპის კერამიკა... განაგრძობდა არსებობას XIV საუკ. მეტი წილის განმავლობაშიც“ (რაც სრულიად მართებულია — ვ.ჯ.) და ბოლოს, ავტორის საბოლოო დასკვნა ასეთია: „ეს კი ისეთი ბევრი რამის „გადამტრიალებელი“ დასკვნა იქნებოდა, რომ მას კვლავაც გულდასმით ჩაფიქრება, აწონ-დაწონა და ყოველმხრივ შემოწმება დასჭირდებოდა“ (5, გვ. 121). ამ წინადადებით ამთავრებს გ. ლომთათიძე თავის ნაშრომს.

მაშასადამე, რა გამოდის, — თუ თბილისის კერამიკული სახელოსნო XIV საუკუნის ძეგლია, ამ სახელოსნოში აღმოჩენილი უამრავი კერამიკის დათარიღება კვლავ მოითხოვს აწონ-დაწონას და ყოველმხრივ შემოწმებას? თუ ეს დებულება შეეხება მხოლოდ საქართველოს სხვა პუნქტებში აღმოჩენილ კერამიკას? ჩვენ ამ კითხვებზე არ გვაქვს მიღებული გარკვეული პასუხი.

ამასთანავე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მას შემდეგ, რაც კერამიკული სახელოსნოს გათხრა დასრულდა და გამოქვეყნდა 1948 წელს ჩა-



ტარებული მუშაობის ანგარიში, დაიწერა (მაგრამ გ. ლომთათიძეს სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა) 1949 წლის ანგარიში, აგრეთვე შეიძლება, რაც აღნიშნული ანგარიში, გ. ლომთათიძის გარდაცვალების შემდეგ — 1982 წელს გამოქვეყნდა, ზემოხსენებული პრობლემისათვის ყურადღება მაინც არავის მიუქცევია, არავის გამოუხატავს თავისი დამოკიდებულება ამ პრობლემისადმი. ჩვენი სპეციალისტები „შეუმოწმებლად“ ძველ პოზიციებზე დარჩნენ და ასეთი მდგომარეობა დღემდე გრძელდება.

ყველაზე გაუგებარი კი ის არის, რომ თვით გ. ლომთათიძესაც არა მარტო არ უცდია თავის დასკვნის „აწონ-დაწონა და ყოველმხრივ შემოწმება“, არამედ თავის შემდგომ სამეცნიერო შრომებში შუა საუკუნეების ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის შესახებ „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ მრავალტომეულისათვის, რომელშიც იგი ეხება შუა საუკუნეების წარმოების კერებსაც და, კერძოდ, თბილისის კერამიკულ სახელოსნოს, ეს სახელოსნო, ტრადიციულად, კვლავ XIII საუკუნის ძეგლად არის გამოცხადებული (12, გვ. 514). ამ სახელოსნოს შესახებ ისიც კი არის აღნიშნული (თუნდაც შენიშვნის ფორმით), რომ მისი დაღუპვის თარიღის შესახებ არსებობდა განსხვავებული აზრიც (რომლის ავტორიც თვით გ. ლომთათიძე იყო) და, რომელსაც ამ საკითხზე რაიმე განმარტება არ დაუტოვებია.

ძნელია გადაჭრით ახსნა მიზეზი ამ მოულოდნელი, წინააღმდეგობრივი ვითარებისა. ერთი რამ კი ცხადია — თბილისის კერამიკული სახელოსნოს 1949 წლის გათხრების გამოუქვეყნებლობის მიზეზი არ შეიძლება ყოფილიყო ამ სახელოსნოს განადგურების თარიღის საკითხი. ამ ძეგლის გათხრის დამამთავრებელი ეტაპის ამსახველი ანგარიშის გამოქვეყნება სრულიად აუცილებელი იყო მიუხედავად იმისა, როგორ პოზიციას დაიკავებდა სახელოსნოს დათარიღების საკითხში მისი გამთხრელი. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან კარგად ესმოდა თვით გ. ლომთათიძესაც, მაგრამ თუ მან, მიუხედავად ამისა, აღნიშნული ანგარიში თავის სიცოცხლეში მაინც არ გამოაქვეყნა, ეს შეიძლება გამოწვეული ყოფილიყო ჩვენთვის უცნობი ხელისშემშლელი კონკრეტული მიზეზებით¹. რაც შეეხება შუა საუკუნეების მოჭიქული კერამიკის თარიღის დაზუსტებას, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთი დუმილი ამ საკითხში ყოველად გაუმართლებელია. სწორედ ამიტომ ჩვენ შევეცადეთ დაგვემტკიცებინა, რომ მონღოლების ბატონობის პირობებში, საქართველოში (და არა მარტო საქართველოში!) განაგრძობდნენ არსებობას ხელოსნობის, კერძოდ კერამიკული წარმოების კერები. ის ფაქტები, რომლებიც ჩვენ ზევით დავასახელებთ, საკმარის საფუძველს იძლევიან ამისათვის. საჭიროა მხოლოდ დავინახოთ ეს ფაქტები და მათ თვალი გავუსწოროთ.

1 აღსანიშნავია, რომ ეს შემთხვევა არ წარმოადგენს გამონაკლისს გ. ლომთათიძის ცხოვრებაში; მას თავის სიცოცხლეში არ გამოუქვეყნებია აგრეთვე, თავისი ისეთი მნიშვნელოვანი და აპრობირებული ნაშრომი, როგორც იყო „ბრინჯაოს სატევრეები და მახვილები სამთავროს სამართვის უძველესი სამარხებიდან“, რომელიც 1974 წ. გამოქვეყნდა შუა საუკუნეების არქეოლოგიის განყოფილების მცდელობით. გ. ლომთათიძეს არ გამოუქვეყნებია რიგი სხვა დამამთავრებელი ნაშრომებიც, რომელთა გამოქვეყნებაზე აშკარად ზრუნავს მისი მუდღეუ ქნი ნ. დოდოშვიდიც.



ჩვენ კიდევ ერთხელ გვინდა აღვნიშნოთ, რომ XIV საუკუნის მრავალი მრავი კერამიკული სახელოსნოს მთელ ტერიტორიაზე მიმოფანტულია მრავი კერამიკა და, კერძოდ, მოჭიქული ერთფეროვანი თუ მრავალფეროვანი კერამიკა, ეჭვგარეშეა, XIV საუკუნის კერამიკაა და თუ ეს კერამიკა არ განსხვავდება იმ შესანიშნავი მოჭიქული კერამიკისაგან, რომელსაც ჩვენი სპეციალისტები ათარიღებენ XII-XIII საუკუნეებით, აქ არაფერია შეუსაბამო, XIV საუკუნის ქართული მოჭიქული კერამიკა ინარჩუნებს ყველა იმ დამახასიათებელ ნიშნებს, ყველა ღირსებას, რომელიც მას XII საუკუნისა და XIII საუკუნის პირველ ნახევარში გააჩნდა მონღოლების შემოსევამდე. შუა საუკუნეების ქართული კერამიკული წარმოება XIII საუკუნის მეორე ნახევარში არაფერია ისპობა, არამედ იგი წარმატებით განაგრძობს მუშაობას XIII საუკუნესა და XIV საუკუნეშიც, ხანამ მას ბოლო არ მოუღო თემურ ლენგის მძიმე შემოსევებმა.

ზემოაღნიშნულ ფაქტთან ერთად უთუოდ ანგარიშგასაწევია ის გარემოებაც, რომ შუა საუკუნეების არქეოლოგიას აზერბაიჯანელი სპეციალისტები აზერბაიჯანული მოჭიქული ხელოვნების ზედა საზღვრად დიდი ხანია მიიჩნევენ XIV საუკუნეს და XV საუკუნესაც კი, მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანიც მონღოლების მიერ იყო დაპყრობილი ამავე პერიოდში.

დასასრულად, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ზემოხსენებული დასკვნა, რომელსაც გ. ლომთათიძე „ბევრი რამის გადამტრიალებელს“ უწოდებს, უთუოდ უნდა გაითვალისწინონ შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის სპეციალისტებმა და შეიტანონ სათანადო კორექტივები თავიანთ მუშაობაში. ვფიქრობთ, დღეს ამისათვის არსებობს სრული საფუძველი.

ლიტერატურა

1. გ. აფრასიძე, საქართველოს შუა საუკუნეების ქალაქები, თბილისი, 1984 წ.
2. რ. დოლაბერიძე, XI-XIII სს. საქართველოს ნივთიერი კულტურა, თბილისი, 1985 წ.
3. მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თბილისი, 1902 წ.
4. გ. ლომთათიძე, არქეოლოგიური გათხრა თბილისში 1948 წ. ზამთარში; მსკა 1955 წ.
5. გ. ლომთათიძე, არქეოლოგიური გათხრა თბილისში 1949 წ. გაზაფხულზე, ვსაძ. IV, თბილისი, 1982 წ.
6. ნ. მაძიაშვილი, ფიანსი შუა საუკუნეთა საქართველოში, თბილისი, 1985 წ.
7. შ. მესხია, საისტორიო მონაშე, ტ. II, 1983 წ.
8. მ. მიწიშვილი, მოჭიქული ჭურჭელი ძველ საქართველოში IX-XIII სს. თბილისი, 1969 წ.
9. მ. მიწიშვილი, მოჭიქული კერამიკის წარმოება შუა საუკუნეების თბილისში, თბილისი, 1979 წ.
10. ლ. მუსხელიშვილი, დმანისი, ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა, კრებ. „მთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა“, თბილისი, 1938 წ.
11. საქართველოს ისტორია აკად. ს. ჯანაშიას რედაქტ. I, თბილისი, 1948 წ.
12. „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, III, თბილისი, 1979 წ.
13. ი. ჯალაღანია, თბილისის არქეოლოგიური კვლევები-ძიებების დროს მოპოვებული ნუმიზმატიკური მასალა, ვსაძ, II, 1974 წ.



14. ი. ჯაღალანია. XIII სსუკ. მეორე ნახევრის მონეტური ფუნდის განბი უიხვალის ხეროვისიდან. კრებ. „უიხვალი“ I. 1983 წ.
15. ი. ჯაღალანია, გ. ჯაფარიძე, დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის ნუმიზმატიკური მონაპოვარი, ვსად. V, თბილისი, 1987 წ.
16. თ. ჯაფარიძე. „განჯისკარის“ 1948 წ. არქეოლოგიური გათხრების ანგარიში. მსკა I. 1955 წ.
17. თ. ჯაფარიძე, ქართული კერამიკა (XI-XIII სს) თბილისი, 1956 წ.
18. გ. ჯორბენაძე, უიხვალის სამართავანი აკლდამა. „ძეგლის მეგობარი“ № 4.
19. ი. ჯალაგანია. Из истории монетного дела в Грузии XIII в. Тб. 1958 г.
20. მ. მიციშვილი, Полихромная поливная керамика, как источник установления культурных связей XII-XIV вв. Материалы I симпозиума по проблеме „Полихромная поливная керамика Закавказья (Истоки и пути распространения). Тезисы Тб. 1985 г.
21. მ. მიციშვილი, Полихромная керамика (XII-XIII вв.) из Тбилиси и Рустави.
22. რ. რამიშვილი, ვ. ჯორბენაძე, მ. მარგველავილი და დრ. Археологические исследования в Арагвском ущелье, ПАИ, 1977 (1980).
23. რ. რამიშვილი, ი. ჯორბენაძე, დ. გოგელია და დრ. Археологические исследования в Арагвском ущелье, ПАИ, 1978 (1981).
24. რ. მ. რამიშვილი, ვ. ა. ჯორბენაძე, მ. გ. გლოტი და დრ. Работы жинвалской археологической экспедиции, ПАИ, 1981 (1984).
25. ПАИ-77, Тб., 1980 г.

ვასტანბ ჯავარიძის შრომების ბიბლიოგრაფია

სამეცნიერო შრომები

1948

1. „კარას“-ის სახელწოდებისათვის ქართულში. მუზეუმის მოამბე, ტ.15-ბ, 1948, გვ. 59-64.

1950

2. XI-XIII საუკუნეების თბილისის კერამიკა (თიხის ჭურჭელი). მუზეუმის მოამბე, ტ. 16-ბ, 1950, გვ. 145-162, ილ.

1953

3. XI-XIII სს საქართველოს მატერიალური კულტურა. გამოფენის გზამკვლევი. თბ., 1953, 58 გვ., ილ. (ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი). (თანაავტორობით).

4. Художественная глазурованная керамика Грузии XI-XIII вв (краткий очерк). СА, XVII, 1953, с. 197-210, ил.

1954

5. გუდარეხის პირველი და მეორე (1938 და 1939 წწ.) არქეოლოგიური კამპანიის ანგარიში. თბ., 1954, 138 გვ., ილ. (თანაავტორობით).

1955

6. Керамическая промышленность Грузии XI-XIII вв (По археологическим данным). Автореферат дисс. на соискание учен. степени кандид. ист. наук. Тб., 1955, 25 с.

1956

7. კერამიკული წარმოება XI-XIII სს. საქართველოში (არქეოლოგიური მასალების მიხედვით). თბ., 1956, 80 გვ., ილ., რეზ. რუს. ენ.

1964

8. L'industrie de la Ceramique en Georgie du XI^e au XIV^e siecles (D'apres les donnees archeologiques). Bedi Kar tilisa revue de Kartvelologie, volume XVII-XVIII, Paris, 1964, p. 109-122.

1966

9. დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის 1965 წლის მუშაობის ანგარიში. XV სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1965 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი. მოხსენებათა ანოტაციები. თბ., 1966, გვ. 34-36 (ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი).

10. ნაქალაქარ დმანისის არქეოლოგიური გათხრა (ძირითადი შედეგები). XIV სამეცნიერო სესია მიძღვნილი შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი. მუშაობის გეგმა და მოხსენებების თეზისები. თბ., 1966, გვ. 5-9, პარალ. ტექსტი რუს. ენ. გვ. 20-24. (ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი).

11. შოთა რუსთაველის ეპოქის ნაქალაქარი დმანისი და მისი არქეოლოგიური შესწავლა. ძეგლის მეგობარი, № 8, 1966, გვ. 32-40, ილ., რეზ. რუს. ენ.

1969

12. გათხრები დმანისსა და მის მიდამოებში (1968 წ. მუშაობის წინასწარი შედეგები). XVIII სამეცნიერო სესია მიძღვნილი საქართველოში 1968 წელს წარმოებულ საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი. მოკლე ანგარიშები. თბ., 1969, გვ. 33-34 (ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი). (თანავტორობით).

13. დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის 1965-1966 წწ. მუშაობის მოკლე ანგარიში. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები (1965-1967 წწ. ანგარიშები). თბ., 1969, გვ. 57-74, ილ., რეზ. რუს. ენ.

14. ნაქალაქარ დმანისის არქეოლოგიური შესწავლა (წინასწარი შედეგები). მუზეუმის მოამბე, ტ. 28-B, 1969, გვ. 53-79, ილ., რეზ. რუს. ენ.

1970

15. ბოლოსიტყვა. მაცნე, 1970, № 4, გვ. 160.

[ერთვის თ. ბარნაველის სტატიას „რამდენიმე წარწერა სამხრეთ საქართველოს ისტორიული პროვინციიდან“].

16. მეტი ყურადღება დმანისის რაიონის კულტურის ძეგლთა დაცვას! ძეგლის მეგობარი, № 20, 1970, გვ. 84-87, ილ., რეზ. რუს. ენ. (თანავტორობით).

17. ქართული ხელოვნებისა და დამწერლობის ახლად აღმოჩენილი უძველესი ძეგლები ქვემო ქართლიდან. ძეგლის მეგობარი, № 20, 1970, გვ. 52-63, ილ., რეზ. რუს. ენ.

18. ჩვენი ეპიგრაფიული დავით გიორგის-ძე კაპანაძე (დაბადებულიდან 70 წლისთავის შესრულების გამო). მუზეუმის მოამბე, ტ. 26-B, 1970, გვ. 304-311.



1971

19. გათხრები დმანისისა და მის მიდამოებში (1968 წ. მუშაობის წინასწარი შედეგები). საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, II, თბ., 1971, გვ. 63-74, ილ., რეზ. რუს. ენ. (თანაავტორობით).

20. დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის 1969 წლის მუშაობის მოკლე ანგარიში. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, II, თბ., 1971, გვ. 75-88, ილ., რეზ. რუს. ენ.

21. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის 1969 წლის კამპანიის მოკლე ანგარიში. არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1969 წელს. თბ., 1971, გვ. 118-121, პარალ. ტექსტი რუს. ენ. გვ. 221-223 (ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი).

22. Краткий отчет Дманисской археологической экспедиции гос. музея Грузии за 1970 год. Тезисы докладов посвященных итогам полевых археологических исследований в СССР в 1970 году (археологические секции). Тб., 1971, с. 221-223.

23. Раскопки городища Дманиси. АО, 1970 (1971), с. 387-389, ил. (в соавторстве).

1972

24. დმანისის ნაქალაქარის გათხრები 1971 წელს. არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1971 წელს. თბ., 1972, გვ. 52-56, პარალ. ტექსტი რუს. ენ. გვ. 139-142 (ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი).

25. სოფელ ბალიჭის სარკოფაგი ქართული ასომთავრული წარწერით. XXI სამეცნიერო სესია. სესიის მუშაობის გეგმა, მოხსენებათა თეზისები, ანოტაციები. თბ., 1972, გვ. 20-21 (ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი).

26. სოფელ ბალიჭის სარკოფაგი ქართული ასომთავრული წარწერით. მაცნე. ისტორიის... სერია, №2, 1972, გვ. 124-136, ილ.

27. Раскопки городища Дманиси. АО, 1971 (1972), с. 475-476, ил.

1973

28. დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის ანგარიში. საკვლე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1972 წელს. თბ., 1973, გვ. 99-104 (ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი).

29. Краткий отчет Дманисской археологической экспедиции. ПАИ, 1972 (1973), с. 84-88.

30. Раскопки городища Дманиси. АО, 1972 (1973), с. 423-424, ил.

1974

31. დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში (გახსენებულია დმანისის გარეუბანში). საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1973 წელს. თბ., 1974, გვ. 82-85, ილ. (ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი). (თანაავტორობით).

32. რედაქტორისაგან. ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, II, თბ., 1974, გვ. 5-8, პარალ. ტექსტი რუს. ენ.

33. ქართული ისტორიული ძეგლები ქალაქ ასტრახანში. თბ., 1974, 55 გვ., ილ., პარალ. ტექსტი რუს. ენ. (თანაავტორობით).

34. შუასაუკუნეების ერთი ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლი ნაქალაქარ დმანისის გარეუბანში (საყდრისქედის ეკლესია). ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, II, თბ., 1974, გვ. 152-173, ილ., რუს. რუს. ენ.

35. Отчет Дманисской археологической экспедиции. ПАИ, 1973 (1974), с. 64-66, ил. (в соавторстве).

1975

36. აღრეკისტიანული ხანის არქეოლოგიური ძეგლები ქვემო ქართლიდან (დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის მასალების მიხედვით). გ. ლომთათიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 1975, გვ. 18-20, პარალ. ტექსტი რუს. ენ. გვ. 28-30 (ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი).

37. გ. ლომთათიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია. მაცნე. ისტორიის... სერია, №1, 1975, გვ. 192-193.

38. ჩვენი ისტორიის ერთი შემატანე (კვლავ ბუნურაშენის ეკლესიის შესახებ). ძეგლის მეგობარი, №39, 1975, გვ. 73-78, ილ., რუს. რუს. ენ.

39. Дманисская экспедиция. АО, 1974 (1975), с. 454-455, ил.

1976

40. მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოვნობის ისტორიისათვის. აკად. ი. ჯავახიშვილის საერთო რედაქციით. ტ. I. აღმშენებლობა და ავეჯი. რედ. ვ. ჯაფარიძე. თბ., 1976, ილ. (თანაავტორობით).

[წინასიტყვაობა გვ. 5-21; ხევი, მოიუღეთ-გუდამაყარი, ქართლი მტკვრის ჩრდილოეთით, გვ. 190-216].

41. Археологические разведки окрестностей городища Дманиси. ПАИ, 1974 (1976), с. 89-95, ил.

1977

42. ბოლნისის არქეოლოგიური ძეგლები. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბ., ტ. 2, 1977, გვ. 452.

1978

43. გუდარეხი. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბ., ტ. 3, 1978, გვ. 291, ილ. (თანაავტორობით).



44. დმანისი. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბ., ტ. 3, 1978, გვ. 593, ილ. (თანაავტორობით).

45. Краткий отчет Дманисской археологической экспедиции. ПАИ, 1975 (1978), с. 120-125, ил.

46. Раскопки в Дманиси. АО, 1977 (1978), с. 482-483, ил.

1979

47. მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოვნობის ისტორიისათვის. აკად. ი. ჯავახიშვილის საერთო რედაქციით. ტ. II, ნაწ. I. მეჭურჭლეობა. რედ. ვ. ჯაფარიძე. თბ., 1979, ილ. (თანაავტორობით).

[წინასიტყვაობა გვ. 5-14; ხევი, მთიულეთი, გუდამაყარი, ქართლი მტკვრის ჩრდილოეთით, გვ. 90-102].

48. Раскопки в Дманиси. ПАИ, 1976 (1979), с. 204-214, ил. (в соавторстве).

1980

49. Отчет работы Дманисской археологической экспедиции. ПАИ, 1977 (1980), с. 262-275, ил.

1982

50. ადრეული შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები ქვემო ქართლიდან (დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის მასალების მიხედვით). თბ., 1982, 106 გვ., ილ., რეზ. რუს. ენ.

51. მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოვნობის ისტორიისათვის. აკად. ი. ჯავახიშვილის საერთო რედაქციით. ტ. II, ნაწ. II. ქსოვა, ღებვა, ქარგვა. რედ. ვ. ჯაფარიძე. თბ., 1982, ილ. (თანაავტორობით).

[წინასიტყვაობა გვ. 5-11; ხევი, მთიულეთი, გუდამაყარი, ქართლი მტკვრის ჩრდილოეთით, გვ. 101-129].

52. ლ. ვ. მუსხელიშვილი (ცხოვრება და მოღვაწეობა). ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, IV, თბ., 1982, გვ. 3-11, ილ.

53. ნაქალაქარ დმანისის ქართული წარწერები. ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, IV, თბ., 1982, გვ. 44-65, ილ., რეზ. რუს. ენ.

1983

54. მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოვნობის ისტორიისათვის. აკად. ი. ჯავახიშვილის საერთო რედაქციით. ტ. III, ნაწ. I. ტანისამოსი. რედ. ა. კიკვიძე. თბ., 1983, ილ. (თანაავტორობით).

[ხევი, მთიულეთ-გუდამაყარი, ქართლი მტკვრის ჩრდილოეთით, გვ. 147-164].

1984

55. ერთი მაჰმადიანური მავზოლეუმი ნაქალაქარ დმანისის გარეუბნის სამაროვანზე. ძეგლის მეგობარი, № 68, 1984, გვ. 18-27, ილ., რუს. რუს. და ინგ. ენებზე.

1986

56. მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის, აკად. ი. ჯავახიშვილის საერთო რედაქციით. ტ. III, ნაწ. II. საჭმელ-სახმელი. რედ. ი. ჭყონია. თბ., 1986, ილ. (თანაავტორობით).

[ხევი, მთიულეთ-გუდამაყარი, ქართლი მტკვრის ჩრდილოეთით, გვ. 114-126].

57. მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის. აკად. ი. ჯავახიშვილის საერთო რედაქციით. ტ. IV, ნაწ. I. მესაქონლეობა. რედ. ვ. შამილაძე. თბ., 1986, ილ. (თანაავტორობით).

[ხევი, მთიულეთი, გუდამაყარი, ქართლი მტკვრის ჩრდილოეთით, გვ. 130-150].

58. ივანე ჯავახიშვილი და ქართული მეცნიერული ტერმინოლოგიის შექმნის პრობლემა. ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, №2-3, თბ., 1986, გვ. 59-64.

59. Раскопки городища Дманиси. АО, 1984 (1986), с. 396-397.

1987

60. დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის ნუმიზმატიკური მონაპოვარი. ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, V, თბ., 1987, გვ. 16-52, ილ., რუს. რუს. ენ. (თანაავტორობით).

61. მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის. აკად. ი. ჯავახიშვილის საერთო რედაქციით. ტ. IV, ნაწ. II. სოფლის მეურნეობის დარგები. რედ. ჯ. რუსაძე. თბ., 1987, ილ. (თანაავტორობით).

[ხევი, მთიულეთი, გუდამაყარი, ქართლი მტკვრის ჩრდილოეთით, გვ. 18-21, 52-56, 102-111, 191-192].

62. Дманисская экспедиция. Раскопки в 1984 году. ПАИ, 1984-1985 (1987), с. 105-119, ил. (в соавторстве).

1988

63. Дманиси — город средневековой Грузии. Научная конференция по археологии Кавказа. Средневековые города и городская жизнь Кавказа. (В свете археологических данных). Тезисы докладов. I. Тб., 1988, с. 7-8 (Центр археологических исследований. Институт истории, археологии и этнографии им. И. А. Джавахишвили).

1989

64. მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოვნობის ისტორიისათვის. აკად. ი.ჯავახიშვილის საერთო რედაქციით. ტ. IV, ნაწ. III. სოფლის მეურნეობის დარგები. რედ. ჯ. რუსაძე. თბ., 1989, ილ. (თანაავტორობით).

[მთიულეთი, გუდამაყარი, ქართლი მტკვრის ჩრდილოეთი, გვ. 26-28, 92-95, 189-192].

65. Der Altpaläolithische Fundplatz Dmanisi in Georgien (Kaukasus). Jahrbuch des römisch-germanischen Zentralmuseums Mainz 36. Gahrgang, 1989, s. 67-116, illus. (თანაავტორობით).

1990

66. თბილისის ისტორია, ტ. I. თბილისი უძველესი დროიდან XVIII საუკუნის ბოლომდე. თბ., 1990, 560 გვ., ილ. (თანაავტორობით).

1991

67. დმანისი. ძველი ქვის ხანის ადამიანები სამხრეთ საქართველოდან. თბ., 1991, 34 გვ., ილ., პარალ. ტექსტი გერმ. ენ. პრეპრინტი (თანაავტორობით).

68. О работах Дманисской экспедиции. ПАИ, 1986 (1991), с. 102-110, ил. (в соавторстве).

1992

69. მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოვნობის ისტორიისათვის. აკად. ი.ჯავახიშვილის საერთო რედაქციით. ტ. V. მეურნეობის სხვადასხვა დარგი და ზოგიერთი ყოფითი რეაღია. რედ. ა. სოსაძე, ნ. აბესაძე. თბ., 1992, ილ. (თანაავტორობით).

[ხევი, მთიულეთ-გუდამაყარი, ქართლი მტკვრის ჩრდილოეთი, გვ. 25-26, 104-108, 175-178, 331-333, 376].

70. Дманиси — нижнепалеолитическая стоянка в Грузии. Палеоэкология и расселение человека в Северной Азии и Америке. Краткое содержание докладов Международного симпозиума. Красноярск, 1992, с. 86-89 (в соавторстве).

1995

71. Дманисская экспедиция. ПАИ, 1987 (1995), с. 131-134, ил. (в соавторстве).

1997

72. Дманисская экспедиция. ПАИ, 1988 (1997), с. 106-108, ил. (в соавторстве).

1998

73. დმანისის სავაჭრო-ეკონომიკური ურვიერთობანი შუა საუკუნეებში (არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით), კრებული „დმანისი“ I, 1998.

74. შუა საუკუნეების ქართული მოტიქელი კერამიკის თარიღის დაზუსტებისათვის, კრებული „დმანისი“ I, 1998.



1. ღ. მუსხელიშვილი (დაბადებიდან 70 წლისთავის შესრულგამო). ღიტერატურული საქართველო, 1970, № 29.
2. მნიშვნელოვანი აღმოჩენა. სარკოფაგი ქართული ასომთავრული წარწერით. კომუნისტი, 1972, №135, 10 ივნისი.
3. ქართული კულტურის ახალი ძეგლი. ნორჩი ღენინელი, 1972, 6 ივნისი.
4. საშვილიშვილო საქმე. ღიტერატურული საქართველო, 1973, № 20, 18 მაისი.
5. ნაქალაქარი ღმანისი. კომუნისტი, 1981, №166, 18 ივლისი (თანაავტორობით).
6. მსოფლიო მნიშვნელობის არქეოლოგიური აღმოჩენა. თავისუფალი საქართველო, 1991, №41.

შეადგინა ხათუნა ჯორბენაძემ

ღევი ბერძენოშვილი

ვარძაბარა

ქვემო ქართლში მდ. ფინეზაური მდ. მაშავერას ყველაზე დიდი შენაკადია. ღოქის მთიდან წამოსული, იგი სამხრეთიდან შეერთვის მაშავერას დაახლოებით შუა წელზე. სწორედ ამ ხერთვისშია გაშენებული დმანისის ციხე-ქალაქი, რაც შემთხვევითი არაა — აქ იყრება ორი დიდი მნიშვნელობის მაგისტრალი: ერთი დასავლეთით, ჯავახეთ-არტაანზე, ტაო-ბიზანტიისაკენ მიმავალი, მეორე კი — ფინეზაურის ხეობითა და ღოქის უღელტეხილით, ლორე-ტაშირზე გამავალი სომხეთისაკენ. დღევანდელი სამანქანო გზაც ასე მიდის.

დმანისის ნაქალაქარიდან დაახლოებით მეხუთე კმ-ზე ფინეზაურის აუოლებით, ამ უკანასკნელს მარცხნიდან შეერთდება ყარა-სუ, ანუ ჰამაძლუს წყალი. შესართავის სიახლოვეს, მდინარის მარჯვნივ მიუთითებენ ნასოფლარს ფინეზაურის სახელწოდებით, რომელსაც უნდა მიეცა სახელი მდინარისათვის. ნასოფლარში განვითარებული ფეოდალიზმის ხანის ეკლესიის ნანგრევია.

XII-XIII ს-ში უნდა იყოს აგებული სოფ. ჰამაძლუსთან მდგარი ეკლესია, რომლის წარწერები პირველად ლ. მუსხელიშვილმა ამოიკითხა (13, გვ. 55). ეკლესიის კედლებში ჩაყოლებული ადრეფეოდალური ქვაჯვარებისა და მათი ბაზისების ფრაგმენტები აქ ადრეული ხანის სამლოცველოს მეორედ აღმშენებლობაზე უნდა მიგვითითებდეს. ეკლესიის პირველი წარწერა ასე იკითხება: „ადიდენ დმერთმან მეფეთა მეფე თამარ, ერისთავი კახაჯ“. ცოტა ქვევით, იმავე ხელით ამოჭრილია: „ქრისტე, შეიწყაღენ ბედელასძე ოქროპირი და კრავაი, ძენი მათნი, ამისნი მაშენებლნი“. წარწერა კიდურწერტილოვანია და ლამაზად გამოყვანილი. გამოდის, რომ თამარის მეფობაში, კახა ერისთავი, ალბათ თორელი, განაგებდა სამეფოდ ქცეულ დმანისხევს. შემდგომში ისევე, როგორც სხვაგან, თორელები დმანისხევის სამეფო დომენში, გარკვეულ პუნქტებს თავის სამამულო მფლობელობაში აქცევდნენ. ამის მაგალითია ქვეში, რომელიც თამარის მეფობაში გადაეცა მათ სამემკვიდროდ „ციხითა, ბაჟითა და მისითა მიმდგომითა“ (5, გვ. 40). ქვეშის ციხე და




ხევი მათ დიდხანს შეინარჩუნეს, რისთვისაც თორელთა ამ შტოს ქვეშელები ეწოდა.

ბაღელას ძე ოქროპირი, მეუღლე კრავაისთან და შვილებთან ერთად, ამ ეკლესიის მაშენებელი ადგილობრივი ფეოდალები უნდა იყვნენ (19, გვ. 14). ბეღელაძე ახლაც გავრცელებული გვარია ზემო იმერეთში. ჯვრის მონასტრის აღაპებში XII-XIII სს ხელით ჩაწერილია აღაპი ანტონ შეღელაძის ძისა, რომელსაც მონასტრისათვის 1000 დრამა შეუწირავს (10, გვ. 94, 159). ეს ანტონიც ბეღელაძის ძე უნდა ყოფილიყო, ხოლო აღრევა გრაფიკულ ნიადაგზე მოხდებოდა. ამას ემტყმება იქვე აღაპი ბურდიაშვილისა და შურდიაშვილისა (10, გვ. 128), ან მესხი აზნაური ისაკ ტოლობელის ძე, „მატიანე ქართლისა“-ში დამოწმებული (18, გვ. 311), რომელიც ტოლოშელის ძე იყო, ჯავახეთის ტოლოშიდან (დღ. ტოროშელიძე). ასე რომ 1000 დრამის ჯვარის მონასტრისათვის შემწირველი ანტონი, ოქროპირ ბეღელას ძის ნათესავიც შეიძლება ყოფილიყო.

სახელწოდება ჰამამღუ წყაროებში არ იხსენიება, იგი ახალია. ღ. მუსხელიშვილი შენიშნავდა, რომ იმ ადგილას, სადაც ახლა ჰამამღუ მღებარეობს, ვახუშტი უჩვენებს თავუთსო (13, გვ. 52 შენ.2). ამ სოფლის იდენტიფიკაციისათვის გადამწყვეტი აღმოჩნდა ზემოხსენებული ეკლესიის კედევ ერთი წარწერა. იგი რელიეფური ჯვრის ორ მხარესაა ამოჭრილი ოთხ სტრიქონად, უფრო წვრილი ასომთავრულით, ვიდრე წარწერები თამარისა, კახას და ოქროპირის მოხსენიებით. ღ. მუსხელიშვილი ამ ბოლო წარწერის გამო აღნიშნავდა, რომ თუმცა თითქმის ყველა ასო კარგად ჩანს და წანაკითხი ეჭვს არ იწვევს, მაინც წარწერის აზრის გაგება ძნელია. „პირველი ორი სტრიქონი ადვილად გაიხსენება: „წმიდაჲ გრიგოლ ზღუსა მცველი“, დანარჩენი კი გაუგებარია“ (13, გვ. 55). 1964 წელს ადგილობრივმა ბოროტმოქმედებმა წარწერიანი ქვები ეკლესიის კედლიდან ჩამოყარეს. ამის შემდეგ ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ისინი თბილისში ჩამოიტანა.

ახლა, როდესაც ეს წარწერიანი ღოდები მუზეუმშია დაცული, მათი წაკითხვა იოლია. ბოლო წარწერაში ფაქტობრივი ვითარება ოდნავ სხვაობს ღ. მუსხელიშვილის წანაკითხისაგან: მესამე სიტყვის ბოლო ასო „ა“-ის მაგივრად „დ“-ა, მეხუთე და მეექვსე სიტყვებში კი „ჩ“-ის ნაცვლად იკითხება „ს“-ები. საბოლოოდ ეს წარწერა ასეთი სახისა იქნება: „წმიდაჲ გრიგოლ ზღუდისაჲ, მცველი ვარდაგარისათა მზღვრისა“. წინადადების პირველი სამი სიტყვა აღნიშნავს წმინდა გრიგოლის ეკლესიის ადგილმდებარეობას ისევე, როგორც დავუშვათ „წმიდაჲ გიორგი საღგურისაჲ“, ან „წმიდაჲ ღმრთისმშობელი დმანისისაჲ“. ამავე ქვის ქვემო, მარცხენა კუთხეში ხელოსნის წარწერა უნდა იყოს: „ქრისტე, შეიწყალე იოანე“. (ნახ. 1)

ღ. მუსხელიშვილი ზემოხსენებული ეკლესიის შესახებ წერდა: „ჰამამღუდან დაახლ. ერთი კილომეტრის მანძილზე აღმოსავლეთისაკენ, ყარა-სუს მარცხნით, მცირე სამოსახლოს ნაშთებია, რომელსაც რამდენ-



ნახ. 1

ნიმე ნაბიჯითაა დასავლეთისაკენ დაშორებული გაღავნით შემორტყმული მცირე ეკლესია და სასაფლაო.


სამოსახლოში შემონახულია რამდენიმე სახლის ქვის საძირკველი. კედლები უღუღაბოდ ყოფილა ნაგები. საინტერესოა ერთი მოზრდილი სწორკუთხოვანი ნაგებობა, რომელიც ბაკსა ჰგავს (კრომლესხაც შეიძლება მივამსგავსოთ, თუმცა მრგვალი არაა). უშველებელი ბრტყელი ლოდები ჩასმულია დრმად მიწაში ფარდალადა მწკრივად. სამხრეთიდან ამ ნაგებობას თითქოს კარი ჰქონია — აქ ორი განსაკუთრებით დიდი სწორკუთხოვანი ქვა დაახლ. ორი მეტრითაა ერთიმეორეს დაშორებული... ეკლესიის გაღავანიც ამ „ბაკის“ მსგავსადაა ნაგები, თუმცა უფრო მცირე ზომის კედლებით. ისე რომ სამოსახლო წარმოშობით, ნაწილობრივ მაინც, უთუოდ ეკლესიასთან არის დაკავშირებული“ (13, გვ. 54).

ხემოთ მოტანილ წარწერაში გაუგებარ ასოთა ჯგუფში ვარძაგარის ამოცნობამ ნათელი გახადა, რომ იქ იხსენიება ვახუშტის რუკაზე ხევის მარცხნივ აღნიშნული იმავე სახელწოდების სოფელი. ის თავის მდებარეობით კარგად შეესატყვისება დღევანდელი ჰამამლუს სოფლის ტერიტორიას. წყაღვადმა, ყარა-სუს მარჯვნივ, დ. მუსხელიშვილის მიერ აღწერილი ლიტონი კლდის ქვებით ნაგები სამოსახლო და გაღავანი უნდა მივიდოთ ვარძაგარის ცალკე უბნად, რომელსაც შესაძლოა ერქვა ზღუდე. მაშინ მისი ეკლესია იქნებოდა „წმიდა გრიგოლ ზღუდისაჲ, მცველი ვარძაგარისათა მზღვრისა“, ანუ სახნავ-სათესისა. სოფ. „ანდიკაჲ მისითა მზღვრითა“ იხსენიება მეზობელი ფოლადაურის ხეობის

ეკლესიის 1189 წ. წარწერაში. ასევეა სომხეთში, სოფ. კოშის XIII ს-ის ქართულ წარწერაში, სადაც კვლავ იკითხება: „კოშელთა ზემო დეკანოზობის მო მზღვარი“. იქ საუბარია ამ მზღვრებში მოწვეული ხორბლის დაღის გაუქმებაზე. სამაგიეროდ, კოშელთა მიერ სახვნელი მიწის საკუთარი ხარით და ჭურჭლით ხვნაზე (23, გვ. 8) XVIII ს-ის დასაწყისის ერთ საბუთში ვარძაგარის 60 დღის სამეხრეო ისხენიება (21, გვ. 99). ეს კი დიდ სახნავ-სათესს გულისხმობს, რომლის დამუშავება აქ ძველთაგან მომდინარე ტრადიცია ყოფილა.

თვით სოფელში, ყარა-სუს მარცხნივ ძველი სასაფლაოა, სადაც ადრე ღ. მუსხელიშვილს ეკლესიის ერთი კედელი უნახავს, ჩუქურთმიანი ქვების ოთხი ნატეხით. 1963 წელს ეკლესიიდან აღარაფერი დამხვდა.

საფლავის ქვებად იყო ყო-
ნისა და ცხენის ქანდაკე-
ბანი, ბრტყელი ღოდები
საყოფაცხოვრებო სცენე-
ბით. აქვე იყო ქვის ჯვა-
რი, რომელიც ღ. მუსხე-
ლიშვილს არ უნახავს: გა-
მყოლს დავიწყებია ეჩვე-
ნებინა მისთვის (13, გვ.
75). ორსაფეხურიანი კვა-
რცხლბეკი მიწაში იჯდა.
მასში ჩასმული ჯვრის სი-
მაღლე 2 მ იყო, მკლავე-
ბის სიგრძე კი — 40 სმ.
მათ გადაკვეთაზე ორი რე-
ლიეფური, კონცენტრიუ-
რული წრე იყო, ქვედა ვე-
რტიკალს კი ავსებდა ორი
რელიეფური, გრეხილი
ზოლით შექმნილი, რვია-
ნის მსგავსი ჩუქურთმა,
წრეში ჩასმული ვარდუ-
ლებით. შესაძლოა, ერთი
ასეთი წრე და ვარდული
ყოფილიყო აღწერილი
ორის თავზეც, სადაც გა-
დანატეხის შეკოწიწები-
სას იგი დაზიანდებოდა და
ხსნართ დაიფარა. მაშინ
ჯვარს ასეთი სახე ჰქონდა
(ნახ. 2). ჯვრის ჩუქურთმა
VIII-IX სს დაათარიდა რ.
მეფისაშვილმა (11, გვ. 90).



ნახ. 2

✕ კარგად დასწავლილი
 კარგად უნდა იქნება
 კარგად უნდა იქნება

დასწავლილი უნდა იქნება
 დასწავლილი უნდა იქნება

ნახ. 3

კვარცხლბეკის ქვედა საფეხურის სიგრძე-სიგანე 1 მ იყო, ზედასი — 70 სმ. მის დასავლეთ კედელზე დაწყებული სამსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა სამხრეთ კედელზე ორი სტრიქონით მთავრდებოდა (ნახ. 3). ის შეიძლება ასე წავიკითხოთ: „ქრისტე, რომლისა მიერ მოვიგე ძელია პატიოსანი, რომელი ქვეშე ვჰმარხივარ, მესხად ვარ შათსანი, არზნ ამას ვიკადრებ დარიბი, არშვილოსანი“. სამხრეთის გვერდის პირველ სიტყვას, თუ ასოთა ჯგუფს „არზნ“ რაღაც აკლია, ან ქარაგმის ქვეშ იგულისხმება. წარწერის სამ სტრიქონს დასავლეთის მხარეს, განკვეთილობის ნიშნები თუმცა არ ახლავს, მაინც შეინიშნება სიტყვების დაშორება. სამხრეთით კი, ასონიშნები ერთმანეთთან მიჯრითაა ამოკვეთილი, ამიტომ ხელოსანს ბოლოში თავისუფალი ადგილიც კი დარჩენია. აქ პირველი შვიდი ასოა „არზნამს“, რომელსაც ორგან ქარაგმის ნიშანი აზის. ვფიქრობ, ასოთა ეს ჯგუფი უნდა წავიკითხოთ ასე: „არზანგად ამას“, ე.ი. სიტყვა არზანგი. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „არძანგი, არძანიგი და არზანგი სამივ საჭლომელსა პატივსა ეწოდების კაცთათვის ღირსებისაებრ მათისა“ (15). ახალი სპარსულიდან ქართულში შემოსული ეს სიტყვა „ღირსება“, „ხარისხის“ მნიშვნელობით გვხვდება წერილობით წყაროებში (2, გვ. 288). ამ სიტყვის ვარაუდი აზრობრივადაც გამართლებული ჩანს: „არზანგად ამას ვიკა-



დრებ“, ე.ი. ღირსეული პატივი იქნება ეს ჯვარი ჩემთვისო. საბოლოო
წარწერა ასეთ სახეს მიიღებს:

„ქ. რომლისა მიერ მოვიგე ძელია პატიოსანი,
რომელი ქვეშე ვკმარხვიარ, მესხად ვარ შაოსანი,
არზანგად ამას ვიკადრებ ღარიბი, არშვიდლოსანი“.

სტრიქონების ასე დადგებით უკეთ წარმოჩნდება, რომ ჩვენს წინაა
16 მარცვლიან ლექსად გამოთქმული ეპიტაფია. აღსანიშნავია, რომ
ასეთი რამ მეზობელ ტაშირშიაც მოიპოვება. ქობერის მონასტრის ქა-
რთულ საფლავის ქვათა წარწერებიდან ერთ-ერთი XIII ს-ის II ნა-
ხევარში რუსთველური შაირით შეთხზული ლექსია:

„გამოვედით სოფლისაგან ცუდ-ქმნილნი და გამომკრთალნი,
გულსა ცეცხლნი მომდებიან, ამომდიან პირით აღნი;
დიდთა ჩემთა შუებათაგან დამრჩეს ჩოჭის ნაფერთალნი,
და კურთხეულ ხარ ქრისტე ღმერთო, შენ და შენნი სამართალნი“.

ეს საფლავი მხარგრძელთა საგვარეულოს წარმომადგენლებისაა (შა-
ნშეს და ხუაშასი). იგი რაშოდენიმეჯერ გამოიცა (12, გვ. 172; 17, გვ.
115). ვარძაგარის ეპიტაფია ქობერისას, ცხადია, ჩამორჩება მხატვრუ-
ლი თვალსაზრისით, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ ასეთი შემთხვევები
გამონაკლისი არ ყოფილა მაშინ. ამ ტრადიციის გავრძელება უნდა
იყოს ფეოდალური ხანის გვიან საუკუნეთა საქართველოში ლექსად გა-
მოთქმული ეპიტაფიების საყოველთაო გავრცელება.

ჩვენი წარწერის მესხად გარდაცვლილის სახელი ჩანს. ასეთი სახე-
ლი გვხვდება XIII ს-ის II ნახევრის სვანეთის კრების მატრიანეში:
მესხად, რომელიც აბდალიანის გვარისა უნდა იყოს (7, გვ. 143). პირის
სახელი მოდის ტომობრივი სახელწოდებისაგან მესხი ისევე, როგორც
კახი-კახა, თუში-თუშა, ღაშხი-ღაშხა, თურქი-თურქა... მესხას, თუ მის
ჭირისუფალს „მოუგია ძელი პატიოსანი“ (სხვა წარწერებში გვხვდება
აგრეთვე: „ძელი ცხორებისა და“, „ჯვარი პატიოსანი“, „ძელი ჭეშმარი-
ტი“), ე.ი. დამკვეთს გარკვეული საფასით შეუძენია ეს ჯვარი, დაუ-
დგამს მიცვალებულის საფლავზე, რომელიც ყოფილა „შაოსანი“, „ღა-
რიბი“ და „არშვიდლოსანი“. „ვეფხისტყაოსანში“ შაოსანი დამწუხრებუ-
ლის, მგლოვიარის სინონიმია:

„ქალმან დედასა შესტირნა: „ჰაი მე, რა ვქმნა დედაო!
წითელ-ყვითლითა დეგაგდე, აწ შაოსანსა გხედო“... (16, 1628).¹

1 შესაძლოა „შაოსანი“ მონაზვნის აღმნიშვნელად მიგვეღო (ეღ. მეტრეველი). მაგრამ მაშინ
უფრო ნიშანდობლივი იქნებოდა დაწერათ ფიქოსანი, ე.ი. ძაძით მოსილი ბერი (1). ეს სიტყვა მარ-
ცვლთა რაოდენობითაც, დაბოლოებითაც მიესადაგებოდა რითმას. იგი ნახმარია ტაშირის სოფ.
ჯუჯაქენდის ეკლესიის XIII-XIV სს წარწერაში: „ესე ჩუენ გორაკელთა ფიქოსანთა დაწერეთ“
(12. 162).



იქვე ღარიბი აღნიშნავს მამულიდან გასულს, გარეშეს, უცხოელს. მცხეთაში

„ვარ უცხო ვინმე ღარიბი, სამყოფთა მოშორებულნი“... (16, 984).

ყურადღებას იქცევს ბოლო სიტყვა, უშივილოს მნიშვნელობით ნახმარი „არშივილოსანი“, რომელიც რითმის საჭიროებისთვისაა მოტანილი: პატიოსანი, შაოსანი, არშივილოსანი. ასე შედგენილი სიტყვა და მასთან გართმული სტრიქონები ისევ რუსთაველთან გვხვდება: ესაა სიტყვა „არ-ბარგოსანი“ ე.ი. უბარგო, დაუტვირთავი:

„ქვაბისა კარსა ახმათი მარტო ზის არ-ბარგოსანი,
შეჰხენდა იცნა ტარიელ, თანა ყრმა ჭარმაგოსანი“... (16, 1355)

ეპიტაფიაში ამგვარი ეპითეტების ბურუსით მოცული მესხაჯ ჩემთვის სხვა წყაროებით უცნობი პირია. დამატებითი მასალის უქონლობის გამო, ძნელია მისი გაიგივება სვანურ მატთანეში მოხსენიებულ მესხა აბდალიანთან. მიუხედავად ამისა, ის მაინც უნდა ჩანდეს, რომ იგი აქ ძველი მკვიდრი არაა, მსხემია, სხვაგნით მოსული პირი.

წარწერის პალეოგრაფიული ნიშნებიდან ყურადღებას იპყრობს სტრიქონების მოქცევა ოთხხაზიან ბაღეში: „ა“-ს ტანს მოშორებული ზედა ზიგზაგი ხაზი; თითქმის ასეთივე, მოკლე ქარაგმის ნიშანი, რომელსაც „მესხაჯ“-ს თავზე მოზრდილი ნაპრალი გაუჩენია; „ო“-ს მადლა აზიდული კაუჭი; „დ“-ს მოგრძო ყელი. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ვარდაგარის ეპიტაფია XIII სს-ით შეიძლება დავათარილოთ. ასეთ დასკვნას მხარს უბამს ხელოვნების ისტორიკოსის, დიმიტოშვილის აზრი (საუბარში გამოთქმული), რომ ქვაჯვარის ორნამენტი, შესაძლოა, ძველის მოგვიანო მინაბაძი იყოს. ამრიგად, კვარცხლბეკის წარწერა და ჯვრის ორნამენტი თანადროული უნდა იყოს. 1964 წ. მუსლიმანმა ფანატიკოსებმა ვარდაგარის ქვაჯვარი მოანგრეს და წარწერა მაშინ დაიღუპა.

წარწერის შემდგომი ხანის სოფლის ისტორიიდან ცნობილია, რომ 1537 წ. ვარდაგარაში (შეცდომით წერია კარშაგარა) 60 კომლი ცხოვრობდა. მათგან ორი მესამედი ქართველი იყო, ან გაქართველებული უცხო ტომისა (ყავლიასშვილი, იოანესშვილი, ბეჟიასშვილი, მხითარაშვილი, მარქარაშვილი, პეტროზაშვილი, ფირაიზასშვილი) (3, გვ. 22). 1701-1711 წწ. აღწერით, ამ სოფელში ითვლებოდა 4 მემამულე (ზაქაშვილი, სოლოლაშვილი, ჯანიაშვილი, ლორელი ტერტერა), 47 გამომღები და 8 ბოგანო ყმა (8, გვ. 309). 1707წ. ვახუშტი ყაფლანიშვილის სააღაპოდ, დმანისხევის სოფელთა უმეტესობას თითო ძროხა დაევადა, ვარდაგარას კი შეეწერა „ძროხა — 5, იქივ მოურავს ჯანიაშვილს ძროხა — 1“ (5, გვ. 209). 1721 წ. აღწერით, იქ ითვლებოდა ერთი მებატონე (ყაფლანიშვილი), 3 მემამულე (ზაქაშვილი, ჯანიაშვილი, შერანაშვილი), 24 გამომღები, 3 ბოგანო და 6 აყრილი ყმა (8, გვ. 309). ოსმალთა მიერ შედგენილ 1727-1728 წწ. თბილისის დავთრის მიხედვით, სოფ. „ვარზაგარა“



ექვემდებარება „დუმანისს“. იქ ცხოვრობენ ვართან ბაქარის ძე, თეოდორე ზაალის ძე, ავთანდილ, ამის ძმა; ბაბა იოსების ძე, თამაზა, მისი ძე; თთარ ძე ყარახანისა, ნაზარ, მისი ძე, ნოდარ, მისი ძე; ლუარსაბ, მისი ძე; კირაკოზ ვართანის ძე, ლევან ზაქარიას ძე, ესტატე, მისი ძმა; ელიზბარ სარუხანის ძე, მარუთი სახაკის ძე, სულ 54 კომლი. სახელების მიხედვით, მოსახლეობის უმრავლესობა ქართველია, უმცირესობა - გაქართველებული სომხები, ან თურქმანები. ყველა ამათი ქრისტიანობა ჩანს იქიდან, რომ 54-ვე კომლი იხდის ქრისტიანებზე შეწერილ გადასახადს, სახელწოდებით — ისფენჯი. წლიური გადასახადების საერთო რაოდენობა 23 570 ახნა ყოფილა, რომელთაგან ხორბალზე მოდიოდა 8 000 ახნა, ჭვავზე — 4 500, ფეტვზე — 1 200, ღორზე — 200. სოფელში მთელი წლის განმავლობაში მუშაობდა 4 თვალი წისკვილი, რომელთა გადასახადი 420 ახნა ყოფილა (6). აქედან ჩანს, რომ ვარძაგარა ყოველთვის მნიშვნელოვანი სოფელი იყო, რომლის ეკონომიკური შესაძლებლობანი ბოლომდე მეტობდა მეზობელი სოფლებისას.

ვარძაგარის ძეგლები, თავისი საგულისხმო წარწერებით, ისტორიკოსის ყურადღებას იმაზეც მიაქცევს, თუ რა აპირობებდა მათს აქ თავმოყრას. პაპუნა ორბელიანის სიტყვით, თრიალეთის ლეკები ნაალაფგვით წაღკვიდან წამოსულან, „გაიარეს დმანისის თავს მთის ძირზე, ტაშირზე ჩაიარეს და მივიდნენ ახპატის ხეობაზე“-ო (14, გვ. 220). ჩანს, თრიალეთიდან წამოსული ეს გზა, კეჩუთის მთის ძირობაზე გაივლიდა ბაშკინეთთან (დღ. რაიონული ცენტრი დმანისი), ვარძაგარის გავლით შეუერთდებოდა ძირითად მაგისტრალს და გადავიდოდა ტაშირში. ამავე მიმართულებით მიდის დღევანდელი სამანქანო გზა თრიალეთიდან ღორეში. ახლანდელი ჰამამლუს სიახლოვეს, ამ მხრივ საინტერესოა სახელწოდებანი: ლეზგიდურე და ბოლაჩქესანი, რაც ლეკების ხევს და ჩაკეტილ ყელს, გასასვლელს ნიშნავს. ეკონომიკური სიძლიერე, დმანისთან სიახლოვე და გზაზე მდებარეობა ამ სოფელს მნიშვნელოვან პუნქტად აქცევდა.

ვარძაგარა შედგენილი სახელი ჩანს ისევე, როგორც დმანისხევის მეორე სოფლის სახელწოდება სამაგარა, ან წინაგარა მეჯუდის ხეობაში. ამ სიტყვის მეორე ნახევარში მოჩანს — აგარა, ე.ი. ვისიმე კუთვნილი სოფელი, ყანა, ველი. ვარძ ფუძე თავს იჩენს ტოპონიმებში ვარძა (8, გვ. 87), ვარძია და ვარძანეთი, ასევე სიტყვაში სავარძელი. აკად. ივ.ჯავახიშვილს მიაჩნდა, რომ ძველად ვარძ-ვერძი მამაკაცისა და მამალი ცხოველის გამომხატველი ყოფილა (20, გვ. 166).

სახელწოდება ჰამამლუ, რაც თურქულად ნიშნავს „აბანოს სოფელს“, წყაროებში არ იხსენიება, ის XIX ს-შია გაჩენილი. თუ იგი ახალმოსენეთა მიერ ძველი საცხოვრისიდან მოტანილი სახელი არაა, მაშინ ვარძატარის პირველ ნაწილში შეიძლებოდა გვევარაუდა მინერალური წყლის აღმნიშვნელი ვეძა-ვერძა (შდრ.: ვეცხლი-ვერცხლი); რაჭაში მადნის წყალს ახლაც ვერძას ეტყვიან, აქედან ვერძაგარა-ვარძაგარა (შდრ.: ველკეთილი-ვერკეთილი-ვარკეთილი). ასეთ შემთხვევაში ახალმოსულებს მეტი საფუძველი ექნებოდათ უსახელო ნასოფლარისათვის „აბანოს



ნახ. 4

სოფელი“, ანუ ჰამამლუ შეერქმიათ. ძველ ხუთვერსიან რუკაზე, სოფლის სიახლოვეს მართლაც აღნიშნულია წყარო.

ვახუშტის რუკის მიხედვით, ფინეზაურის ამ უსახელო მარცხენა შენაკადზე (დღ. ყარა-სუ), 7 სოფელი ყოფილა: ღაკლაკაშენი, ანგრევანი, ვარძაგარა, მოლამსხმუტი (მოლა მასხუდი), ზემო და ქვემო თაგუთი, ფარანჯუკი. დღეს იქ 4 სოფელია: ჰამამლუ, მამიშლუ, საფარლუ და ანგრევანი. ამათგან ჰამამლუს ძველი სახელი ვარძაგარაა, მამიშლუს თაგუთი რქმევია (22, გვ. 148), ანგრევანი კი თავისსავე ადგილზე სახლობს. სხვა აქაური სოფლების მსგავსად, ეს სახელიც ძველი ქართულია აიხსნება: ანგროვანი ცხვრის ფარას, შინაურ პირუტყვს ერქვა (1). ამის შემდეგ, ვახუშტის რუკის შედარებით თანამედროვე ვითარებასთან, საფარლუს ღოკალიზაციაც ადვილდება. ეს სოფელი ფინეზაურისა და ყარა-სუს შესაყართანაა. ვახუშტის რუკაზე სწორედ ასეთი მდებარეობა აქვს ღაკლაკაშენს, იგი განმხოლოებული სოფელია და არ შეიძლება სხვაში აგვერიოს (ნახ 4). ღაკლაკი იგივე ყარყატია, ასე გაგრძელებული ფრინველი საქართველოს სამხრეთ მთიანეთში. აქედან მოდის კაცის სახელი ღაკლაკ (ღაკლაკიძენი), მერე კი – ღაკლაკეთი და ღაკლაკაშენი (შდრ. ბეშქენაშენი, რევაშენი, ბაბილაშენი).

ვახუშტი ბაგრატიონის დროს, დმანისხევში მოსახლენი ქართველებთან ერთად ყოფილან არაქართველებიც, მაგრამ „სარწმუნოებით უმეტესნი ქართველთანი“ (4, გვ. 39). XVIII ს-ში იქაური მოსახლეობა თითქმის მთლიანად აიყარა. ერეკლე-გიორგის მეფობაში აქ ახალი ტაღლა შემოვიდა ყარაბაღელი სომხებისა. დღევანდელი თურქულენოვანი მოსახლეობაც XIX ს-ში შემოსახლდა.

1. ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ. 1979 წ.
2. შხ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბილისი, 1966.
3. ის. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები IV, თბილისი, 1972 წ.
4. ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1941 წ.
5. ექვთ. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი II, თბილისი, 1909 წ.
6. თბილისის დავთარი 1727-1728 წწ. გამოუქვეყნებელი ხელნაწერის თარგმნისათვის დიდ მადლობას მოვასხენებ ქ-ნ ცისანა აბულაძეს.
7. პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, თბილისი, 1941 წ.
8. იას. ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი, I-II, თბილისი, 1935 წ.
9. მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის I. ზაფხუ-ქსიძისა და შ. ბურჯანაძის გამოც. თბილისი, 1964 წ.
10. ელ. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბილისი, 1962 წ.
11. რ. მეფისაშვილი, კიდევ ერთხელ ბოლნისისა და დმანისის ძეგლების შესახებ, „ძეგლის მეგობარი“ 21, თბილისი, 1971 წ.
12. პ. მურადიანი, სომხეთის ქართული წარწერები, ერევანი, 1978 წ. სომხ. ენაზე.
13. დ. მუსხელიშვილი, არქეოლოგიური ექსკურსიები, თბილისი, 1941 წ.
14. ვაკუხა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, ელ.ცაგარეიშვილის გამოც. თბილისი 1981 წ.
15. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბილისი, 1966 წ.
16. შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბილისი, 1957 წ.
17. ვ. სილოგავა, ეპიგრაფიკული ეტიუდები და შენიშვნები, „მაცნე“, ისტორიის... სერია, 4, თბილისი 1990 წ.
18. ქართლის ცხოვრება I, სიმ.ყაუხჩიშვილის გამოც. თბილისი, 1955 წ.
19. ნ. შოშიაშვილი, თორელთა ფეოდალური სახლის ისტორია და შოთა რუსთაველი, კრებ. „შოთა რუსთაველი“, თბილისი, 1966 წ.
20. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბილისი, 1950 წ.
21. გ. ჯამბურია, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, 1955 წ.
22. А. Г. Шанидзе, Грузинская надпись XIII в. в сел. Кош, ხელნაწერთა ინსტიტუტის „მოამბე“ I, თბილისი, 1959 წ.
23. Сборник материалов для описания Тифлисской губернии, под редакцией К. Л. Зиссермана, т. 1, вып. 1. Тиф. 1870 г.

ჯუმბერ კოკალიანი

წარწერიანი არქეოლოგიური მასალა ღმანისის ნაქალაქარის შიდაციხიდან

ღმანისის ნაქალაქარის შიდაციხის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩნდა ძალზე საინტერესო წარწერიანი არქეოლოგიური მასალა (5. გვ. 108):

1. ფაიანსის თასი, იმპორტული (ირანული). იგი ნამსხვრევების სახით აღმოჩნდა VII ნაგებობის №2 ოთახში, უშუალოდ აგურით მოგებული იატაკზე. ადდგენილია. სპარსული წარწერა შესრულებულია თასის შიდა კედელზე (სურ. 1). წარწერის შინაარსი ყურანიდან ამოღებულ ფრაგმენტს უნდა წარმოადგენდეს. თასი XII-XIII საუკუნეებით თარიღდება.



სურ. 1

2. ბრინჯაოს პატარა მედალიონი — გულსაკიდი, $d-1,5$ სმ. იგი აღმოჩნდა VII ნაგებობის №2 ოთახში, აგურის იატაკის ქვეშ. გულსაკიდი მთლიანად არის შემორჩენილი თავისი ყუნწით. მის ორივე მხარეზე გამოსახულია ბიუსტები და აქვს ლათინური წარწერები (სურ. 2).



მედალიონის პირით მხარეზე გამოსახულია ღვთისმშობლის ბიუსტი, პერსპექტიულად რაკურსში გადმოცემული შარავანდით. ლათინურ რწერა: MAT. SALVATORIS. ნიშნავს: მხსნელის (ე. ი. მაცხოვრის) ღვთისმშობელი).

მედალიონის ზურგის მხარეზე გამოსახულია შარავანდიანი წელზე-ვითი ფიგურა კვერთხით და ბერის სამოსელით; წარწერა ლათინურია — S. FRAN. O. PAV. „ფრა“ ნიშნავს „ქმას“. ე. ი. წმინდა ქმა ანუ მონაზონი. „პაუ“ პავლეა. პავლეს სახელის ლათინური ვარიაციებია: Paulus, Pal, Pau, Pol და ა. შ. ევროპაში რამდენიმე წმიდა პავლეა ცნობილი: პავლე ნარბონელი (Sergio Paolo) — გალიის გამაქრისტიანებელი (III საუკ.), პავლე მეუდაბნოე ანუ პავლე თებედან (III საუკ.), სამოსელი — პალმის რტოები; პავლე ლიონელი — ბრეტანის ეპისკოპოსი (VII საუკ.), ატრიბუტი დრაკონი.

ამას გარდა, კიდევ ბევრი პავლეა ადგილობრივი წმინდანები, რომელთა იკონოგრაფიასთან ჩვენს მედალიონზე წარმოდგენილი პავლეს გამოსახულების შეჯერება საშუალებას მოგვცემს დავადგინოთ, ფრანგულ და იტალიურ მონაზონ პავლეთა შორის რომელი მათგანია იგი. დაწვრილებითი ინფორმაცია მხოლოდ სპეციალური კვლევის შემდეგ შეიძლება მივიღოთ. ერთი კი ცხადია, რომ გულსაკიდი მლოცველთა, პილიგრიმთა ჩვეულებრივი სამახსოვრო მედალიონია იმ წმიდანის პორტრეტით, რომლის სახელობის ეკლესია მოინახულა მლოცველმა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სპეციალური კვლევის შემდეგ ბევრი რამ დაზუსტდება, მაგრამ თვით ასეთი გულსაკიდის დმანისის ნაქალაქარის ტერიტორიაზე აღმოჩენა კიდევ ერთხელ მიუთითებს დმანისის, როგორც შუა საუკუნეების ერთ-ერთი ძლიერი ქალაქის, ევროპულ სამყაროსთან მჭიდრო კავშირზე. არ არის გამორიცხული, მოხსენებული ბერი — მონაზონი იმ ჯვაროსანთა რაინდებს ახლდა თან, რომლებიც, როგორც ვარაუდობენ, საქართველოშიც მოხვდნენ და დავით აღმაშენებლის გვერდით იბრძოდნენ დიდგორის ველზე (2, გვ. 246).

3. ვარდისფერი ტუფის ქვის სამი ფრაგმენტი, როგორც ჩანს, ერთიანი დიდი წარწერიანი ქვის ნაწილები. მათზე შემორჩენილია ქართული ასომთავრული ანბანით შესრულებული წარწერის ფრაგმენტები (სურ. 3). რამდენიმე ასო მთლიანია, ზოგის ნაწი-



სურ. 2



ლია შემორჩენილი. 1. ოც — და; 2. ნ — ნ; 3. რქ — გრ. როგორც დავინახეთ, ქარაგმის ნიშანიც არის შემორჩენილი. პალეოგრაფიულად წარწერა XI საუკუნით შეიძლება დათარიღდეს. ამას ადასტურებს ისიც, რომ ფენა, რომელშიც ეს წარწერიანი ქვები აღმოჩნდა, იყო იმ ფენის ქვეშ, რომელშიც სხვა მასალასთან ერთად, რუსუდანის რამდენიმე სპი-




სურ. 3

ლენძის მონეტაც (XIII საუკ.) აღმოჩნდა. ასე რომ, არქეოლოგიური მასალითაც იგი XII-XIII საუკუნეებზე ადრეული პერიოდით უნდა დათარიღდეს. ქვის ფრაგმენტები V ნაგებობის № 4 ოთახში აღმოჩნდა.

4. ბრტყელი კრამიტი, რომელზეც რელიეფურად გამოსახულია რამდენიმე ასო — რქს — არ [ს] (სურ. 4). წარწერა ქართული ასომთავრულით არის შესრულებული და პალეოგრაფიულად X-XI საუკუნეებით თარიღდება, რასაც იმავე ფენაში გამოვლენილი არქეოლოგიური



მასალაც ადასტურებს. კრამიტი VII ნაგებობის №4 ოთახში აღმოჩნდა. წარწერა უნდა იყოს ე.წ. „დამდა“, „ნიშანი“, იმ სახელოსნოს პატრონის ვინაობის აღმნიშვნელი, სადაც მზადდებოდა ნაწარმი. ასეთი „დამდა“, „ნიშანი“ ყველგან და ყოველთვის კეთდებოდა სხვადასხვა სახელო-სნობში.



სურ. 4

საერთოდ, საქართველოში აღმოჩენილ კრამიტებზე წარწერა, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მხოლოდ რელიეფურად, ამობურცვით არის შესრულებული (3, გვ. 7).

სამშენებლო კერამიკულ მასალაზე აღბეჭდილი წარწერების დიდი უმრავლესობა რელიეფურია და მიღებულია ყალიბის საშუალებით, ე. ი. წარწერა ერთ ყალიბზე უნდა ამოჭრილიყო (3, გვ. 55).


დმანისში აღმოჩენილი წარწერიანი კრამიტის მსგავსი კრამიტები აღმოჩენილია შიო მღვიმეში (5, ტაბ. XV), ახაშენის წმიდა ნიკოლოზის ეკლესიაში (3, ტაბ. XIX), არმაზისხევის მონასტერში (3, ტაბ. XXII).

ანალოგიური ფორმის კრამიტი და, ამასთან, თითქმის ანალოგიური წარწერით (მხედველობაში გვაქვს რამდენიმე ასო თავისი ფორმით) აღმოჩენილია უაღეთის ხუროთმოძღვრულ კომპლექსში (4, გვ. 169).

ამასთანავე, დმანისის ციხის ტერიტორიაზე აღმოჩნდა ერთი ბრტყელი კრამიტი, რომელზეც შუა ნაწილში ჯვარია გამოსახული, მაგრამ იგი შესრულებულია არა რელიეფური წესით, (როგორც ეს იყო გავრცელებული), არამედ ჩახნეკიან ჩაჭედვით, ანუ ჯვარი ამოკვეთილია თიხის სიდრმეში. ასეთი კრამიტი, იმავე წესით ამოკვეთილი იმავე ფორმის ჯვრით, აღმოჩენილია ხერსონესში (6, გვ. 22).

5. სფეროკონუსი (სანელსაცხებლევ და სხვა ძვირფასი სითხის გადასაზიდი ჭურჭელი), რომელიც X ნაგებობის №2 ოთახში, ქვედა ფენაში აღმოჩნდა. მას მხარზე აქვს წარწერა — სამი ქართული ხუცური ასოთი: **X** **Y** **W** — ჯშო (სურ. 5). წარწერა შესრულებულია ამოკაწვრის (გამოწვის შემდეგ) ხერხით. ეს ასოები მიგვანიშნებს, რომ ისინი პატრონის სახელს, ვინაობას აღნიშნავს, თანაც პატრონი ქართველია. ეს

ასოები პატრონის ინიციალები ან სახელის შემოკლებული (ქარაგმული) ვარიანტი უნდა იყოს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კერამიკულ ჭურჭელზე და კერამიკულ სამშენებლო მასალაზე (კრამიტი, აგური და სხვ.) გაერცელებული იყო ასეთი სახის წარწერების გაკეთება. სფეროკონუსისა და მისი დანიშნულების შესახებ, საერთოდ, ბევრს წერდნენ სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერები დიდი ხნის განმავლობაში.



სურ. 5

წარწერა IX-X საუკუნეებით უნდა დათარიღდეს. ამას კარგად ადასტურებს ფენის არქეოლოგიური მასალა, რომელშიც იგი აღმოჩნდა.



ეს სფეროკონუსი საგანგებოდ, მონოგრაფიულად შეისწავლა არაერთმა რუსმა თუ სხვა ქვეყნის მეცნიერმა. მაგრამ ყველაზე სრულყოფილი გამოკვლევა მასზე გამოაქვეყნა ცნობილმა მეცნიერმა რიფსიმე ჯანფოლადიანმა. მას უამრავი მასალა აქვს მოტანილი და მათ შორის წარწერიანიც. მკვლევარის მიერ მოტანილ სფეროკონუსებზე (სულ ორი ცალია ასეთი) მოცემული წარწერები გამოწვის შემდეგ არის ამოკაწრული, როგორც დმანისში აღმოჩენილზე (7, ტაბ. XX), უფრო სწორად, რამდენიმე ასოა მხოლოდ. ამასთან ერთად, არის კიდევ რაღაც თავისებური ნიშნები.

ერთი სფეროკონუსია მხოლოდ, რომელზეც წარწერა გამოწვამდე გაუკეთებიათ. იგი არაბულია და წარწერაც, შეიძლება ითქვას, მთელი წინადადება, სრული სახითაა.

სხვათა შორის, დმანისში აღმოჩენილ სფეროკონუსს ზუსტად ჰგავს ბულგარეთის დედაქალაქში (ვოლგისპირეთში) აღმოჩენილი სფეროკონუსი, რომელზეც ასევე სამი ასოა ამოკაწრული და ისიც გამოწვის შემდეგ (7, ტაბ. XXX).

6. წარწერიანი ქვევრი, რომელიც V ნაგებობის № 6 ოთახში (მარანში) აღმოჩნდა. აქ იყო 9 სხვადასხვა ზომის ქვევრი. ერთ-ერთი ქვევრის

პირზე გამოწვამდე ამოკაწვრის ხერხით გაკეთებულია შემდეგი წარწერა: „ქ. ესე ქვევრი არის სოფლის სიონის და დაუწერია ზაალის ქაღმამფერეს?“. წარწერა ქართული მხედრული ასოებითაა შესრულებული და ქვევრის მთელ პირს მოიცავს (სურ. 6).



სურ. 6

წარწერაში მოხსენებულია ზაალი. ჩვენთვის ძნელია ზუსტად თქმა იმისა, თუ რომელი ზაალია იგი. მაგ. XVII საუკუნეში ცნობილია ბარათაშვილთა საგვარეულოს ოთხი ზაალი:

1. ზაალ ბარათაშვილი (1627-1679 წწ.), ბოქაულთუხუცესია;
2. ზაალ ბარათაშვილი (1673-1698 წწ.), საამ ბარათაშვილის ვაჟი;
3. ზაალ ბარათაშვილი (1682 წ.), ფალავანხოსროშვილი;
4. ზაალ ბარათაშვილი (XVII საუკ. შუა ხანები).

ერთი კი ცხადია, რომ აღნიშნული წარწერით ქვევრი XVII საუკუნით უნდა დათარიღდეს, რაც იქვე მოპოვებული არქეოლოგიური მასალით დასტურდება.

ამ წარწერას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თვით ქალაქ დმანისის ისტორიისათვის. კერძოდ, აღნიშნულ წარწერაში დმანისის ღვთისმშობლის სახელობის (სიონის) ეკლესია, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკათედრო ტაძარი ქვემო ქართლში, მოხსენიებულია როგორც „სოფლის ეკლესია“. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ამ დროისათვის (XVII საუკ.) დმანისი, როგორც ქალაქი, აღარ ფუნქციონირებს, თუმცა ცხოვრება გრძელდება, ხოლო ციხე მთელი დატვირთვით (XVI საუკუნეში აღადგინეს ბარათაშვილებმა) აგრძელებს მოქმედებას. როგორც ცნობილია, თემურ-ლენგის მრავალჯერადი გამანადგურებელმა შემოსევებმა საქართველოში, დმანისიც ფაქტიურად მიწასთან გაასწორა და XV საუკუნიდან იგი, როგორც ქალაქი, აღარ ფუნქციონირებს. XVI საუკუნიდან ბარათაშვილებმა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ციხე აღადგინეს და იგი მთელი გვიან შუა საუკუნეებში, XVIII საუკუნის მეორე ნახევრამდე ფუნქციონირებდა. მაგრამ, კიდევ ვიმეორებთ, დმანისი ქალაქის სახეს კარგავს და იგი სოფლის — ნასოფლარის სახით გამოიყურება.

ნაქალაქართან არსებულ სოფელ პატარა დმანისის მცხოვრებლებში ნაქალაქართან დაკავშირებით გავრცელებული ყოფილა გამოთქმა „ნასოფლარი“. „ნასოფლარის“ ხმარებას თავისი ძველი ტრადიცია აქონდა. XVIII საუკუნეში დმანისი წერილობით წყაროებშიც მოხსენებულია, როგორც „სოფელი“. მაგალითად, XVIII საუკუნის ცნობილი გერმანელი მოგზაური გიულდენშტედტი თავის „მოგზაურობაში“ ერთ ადგილას წერს: „მის (დამბლუტის ხეობის — ჯ.კ.) ახლოს, მისივე შესართავზე ზევით მაშავერას მარჯვენა ნაპირთან მივედით სოფელ (Dorf) დმანისში“ (1, გვ. 81).

ამგვარად, დმანისის ნაქალაქარის ისტორიის სრულყოფილად წარმოჩენაში, მემატიანეთა ცნობებთან, არქეოლოგიურ და სხვა მასალასთან ერთად ძალზე მნიშვნელოვანია ზემოთ წარმოდგენილი წარწერიანი არქეოლოგიური მასალა, რომლითაც დგინდება, რომ მიუხედავად არაერთი დამპყრობლის ბატონობისა (არაბები, თურქ-სელჩუკები, მონღოლები, ირანი, თურქეთი), ქალაქი დმანისი მთელი შუა საუკუნეების მანძილზე მაინც ქართული ცხოვრებით ცხოვრობს და ამასთან ერთად, სხვა ქვეყნებთან მჭიდრო სავაჭრო თუ სხვა სახის ურთიერთობებიც აქვს.

ლიტერატურა

1. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, თბილისი, 1962 წ.
2. ლ. დავლიანიძე, მათე ურპაელის ცნობები დავით აღმაშენებლის შესახებ, კრებული „საქართველო რუსთაველის ხანაში“, 1966 წ.
3. ჯ. კობალიანი, დმანისის ციხე, თბილისი, 1996 წ.
4. რ. რამიშვილი, ბ. ჯორბენაძე, ერწო-თიანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის სადაზვერვო მუშაობის შედეგები, „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1977 წ, №4.
5. ჯ. ჯღამაია, სამშენებლო კერამიკა ფეოდალური ხანის საქართველოში, თბილისი, 1980 წ.
6. Жанфолоадян Р. М. Сфероконические сосуды из Двина и Ани, Ереван, 1982 г.
7. Якобсон А. Л. Средневековый Херсонес (XII-XIV в.в.), Материалы и исследования по археологии СССР, 1950 г.

ზურაბ ცაქვიტინიძე

ახალი აღმოჩენები სოფ. ბომარეთის მიღამოეზში

როგორც ცნობილია, 1995 წელს დმანისის ხელოვნების, ისტორიისა და არქიტექტურის მუზეუმ-ნაკრძალის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. ზ. ცაქვიტინიძე) გომარეთის მიდამოებში ჩაატარა არქეოლოგიური დაზვერვები და მცირე მასშტაბის სადაზვერვო გათხრები. დაიზვერა ტერიტორია, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „პაპუნაანთ წყაროს“ უწოდებს. აქვე გაითხარა აღრებრინჯაოს ხანის, ე. წ. „მტკვარ-არაქსის“ კულტურის ნამოსახლარის მცირე ნაწილი (კვადრანტი ზომებით 5X5 მ) და აღრეკინის ხანის ორი სამარხი.

ადგილი „პაპუნაანთ წყარო“ მდებარეობს სოფ. დიდი გომარეთის ჩრდილოეთით, სოფლიდან დაახლოებით 500 მეტრის დაშორებით. იგი წარმოადგენს გომარეთის პლატოსა და ხრამის ხეობის წყალგამყოფი ქედის მიმდებარე მთისწინა შემაღლებას. ლანდშაფტი ძლიერ ეროზირებულია, დაღარულია მრავალრიცხოვანი მცირე ხეობით. ხეობის ჭრილებში მრავალგან ჩანს უკვე განადგურებული და დაზიანებული სამარხებისა და ნამოსახლარის ნაშთები. მთელ ველზე იკრიფება ობსიდიანის მრავალრიცხოვანი ანატაკე-ანამტვრევები და მზა იარაღები.

ჯერ კიდევ 1962 წელს, ხოლო შემდეგ 1975 წელს მიიქცია არქეოლოგების ყურადღება „პაპუნაანთ წყარომ“. ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. ც. დავლიანიძე) ამ ადგილებში ვიზუალური, ზედაპირული დაზვერვები ჩაატარა (ც. დავლიანიძე, სოფ. გომარეთში ჩატარებული დაზვერვითი არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, V, თბ., 1977, გვ. 98). მათი მონაცემების საფუძველზე დმანისის მუზეუმ-ნაკრძალის ექსპედიციამ 1994 წელს დაათვალიერა ის მიდამოები და დიდძალი ანაკრეფი მასალა შეაგროვა. დაფიქსირდა მრავალი დაზიანებული და განადგურების პირას მისული ძეგლი, რომლებიც სასწრაფო შესწავლას საჭიროებდა. მუზეუმის დირექციამ აღძრა შეამდგომლობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კომისიისადმი, რომელმაც ღია ფურცელი №11-ის საფუძველზე 1995 წელს ნება დართო დმანისის მუზეუმ-ნა-



კრძალს, ჩაეტარებინა ამ ადგილებში მცირე მასშტაბის დაზვერვითი გათხრები.

ადგილის დათვალიერების შემდეგ შევარჩიეთ ადრებრინჯაოს ხანის სამარხები, რომლებიც წყლისგან იყო ჩამორეცხილი და ყველაზე ავარიულ მდგომარეობაში იყო.

მტკვარ-არაქსის კულტურის ნამოსახლარი „პაპუნაანთ წყაროს“ ველზე დიდ ფართობზეა გავრცელებული. ვიზუალური დაზვერვის დროს პატარა ხეების ტრილებში ბევრგან დაფიქსირდა ნაგებობებისა თუ კერამიკული ინვენტარის ნაშთები, თბსიდიანის და რიყის ქვის იარაღები. ჩვენს მიერ შერჩეული ადგილი წარმოადგენდა ორი პატარა ხევისაგან შედგენილ კონცხს, რომლის ორი ფერდი განუწყვეტლივ ირეცხებოდა ჩამოდენილი წყლით და მათ ტრილებში ნათლად ჩანდა ქვის კედლების წყობა, ალიზის ფენები, თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. კერამიკული მასალა მრავლად იკრიფებოდა გარეშემომცველ ხეებში.

ადგილი აიგეგმა ტოპოგრაფიულად, დაისვა მყარი, ნულოვანი წერტილი, გაკეთდა კვადრატების ბაღე — 5X5 მ კვადრატებით.

0,2 მ სისქის კორდოვანი ფენის ალების შემდეგ გამოჩნდა ნაცრისფერი ჰუმუსოვანი, წვრილი ფრაქციის მქონე ფენა. ამ ფენაში კერამიკული ინვენტარის მხოლოდ რამდენიმე ფრაგმენტი და თბსიდიანის ანატაკვი დაფიქსირდა. ფენის სიმძლავრე 0,2 მ-ს აღწევდა.

პირველი ფენის ალების შემდეგ თავი იჩინა შავი ფერის, ძალიან ცხიმოვანმა ფენამ, რომლის სიმძლავრე 0,5 მ-ს აღწევდა. სწორედ ეს ფენა შეიცავდა ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარის ნაშთებს, რომლის სიმძლავრე 0,3 მ-ს უდრიდა. კულტურული ფენა განლაგებული იყო ყავისფერ, თიხნარ გრუნტზე, რომელიც სტერილური გახლდათ. ნამოსახლარი ერთფენიანია. გათხრის პროცესში თავდაპირველად თავი იჩინა ალიზის სქელმა ბათქაშმა, რომელსაც კარგად ჰქონდა შემორჩენილი ხის მსხვილი ლასტის ანაბეჭდები. ალიზის გროვები მთელი გათხრილი კვადრატის თითქმის მთელ ფართობზე ვრცელდებოდა და უწყესრიგოდ იყო განლაგებული. ამავე დროს, ნაგებობის დიდი ნაწილი, როგორც ჩანდა, ერთხიის მიერ იყო განადგურებული და ამიტომ არ იკვეთებოდა ნაგებობის კონტურები.

ალიზის ბათქაშის ფრაგმენტების გაწმენდისას თავი იჩინა თიხის ჭურჭლის ნატეხებმა, რომლებსაც ალიზი ზემოდან ელო. კედლების ნამუსრევის აღაგების შემდეგ გამოიკვეთა კერამიკული ფრაგმენტების მთელი წყობა. თიხის ჭურჭლები გროვებად, კომპაქტურად იყო განლაგებული და აშკარად ჩანდა, ადგილზე ჩაშლილ ჭურჭლებს ეკუთვნოდა. ჭურჭელი ძირითადად სქელკეციანია, მოწითალო-ჩაღისფრად გამომწვარი. კვადრატის ცენტრალურ ნაწილში დაფიქსირდა ორი მცირე ზომის, თხელკეციანი, ნაკლებად დაზიანებული ჭურჭელი.

ჭურჭლის გროვების განლაგებაში რაიმე სისტემა არ შეიმჩნეოდა. ინვენტარი განლაგებული იყო საგანგებოდ მოსწორებულ, თიხით მოტკეპნილ და გადაღესილ იატაკზე. იატაკს მორუხო-მოწითალო შეფერილობა ჰქონდა.



აღიზის კედლების ნაშთების მთლიანად აღაგების შემდეგ კვადრატის სამხრეთ-დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებში დაფიქსირდა ფერის, ბრტყელი, წაგრძელებული ფორმის ქვებით შედგენილი წყობები. აღმოსავლეთი წყობა ქვების ორმაგი წყებისაგან შედგებოდა, სამხრეთ-დასავლეთით კი ერთმაგად იყო შემორჩენილი. როგორც ჩანს, ქვის ეს წყობები თავის დროზე ნაგებობის საძირკვლის ფუნქციას ასრულებდა. სამწუხაროდ, ისინი იმდენად ფრაგმენტული სახითაა შემორჩენილი, რომ არ მოხერხდა მათი განლაგების საფუძველზე შენობის კედლების სავარაუდო კონტურების დადგენა.

კერამიკული ინვენტარი, როგორც აღვნიშნეთ, ძირითადად სქელკეციანი, დიდი ზომის, მოწითალო-მოჩაღისფროდ გამომწვარი ფრაგმენტებითაა წარმოდგენილი. ბევრი მათგანი ბრწყინვალე რელიეფური ორნამენტითაა შემკული. ძირითადად ჭარბობს ფართე, ცილინდრულ, მაღალყელიანი, ბიკონუსურტანიანი, ვიწროძირიანი ჭურჭლები. რამდენიმე მათგანს ნახევარსფეროსებური ყური ამკობს. ჭურჭელი ისე იყო კომპაქტურად განლაგებული, რომ კამერალური დამუშავებისას არ განელებულა მათი ძირითადი ფორმების აღდგენა.

კერამიკის გარდა ნამოსახლარზე ქვის ინვენტარიც დაფიქსირდა. ეს არის ძირითადად ობსიდიანის ანატკეცები, ანამტვრევები, კაჟის ნამგლის ჩასართი, კაჟისა და ობსიდიანის ისრისპირები, რომლებიც კვადრატის ცენტრალურ ნაწილში, მცირე ზომის, შედარებით უკეთ შემონახულ ჭურჭელში ეწყობ. ნამოსახლარზე აღმოჩნდა აგრეთვე რიყის ქვისაგან დამზადებული ქვის ტლანქი იარაღები, ბაზალტის ქვის ხელსაფქვაების ფრაგმენტები. დაფიქსირდა აგრეთვე თიხის კერის რამდენიმე შვერილი.

წინასწარული მონაცემებით, გათხრილი ნამოსახლარი ძვ. წ. III ათასწლეულის დასაწყისით უნდა თარიღდებოდეს. კერამიკული მასალის იერი, ნაგებობის არქიტექტურის თავისებურება (შენობის საძირკვლად ქვის წყობის გამოყენება) საფუძველს იძლევა კიდევ ერთხელ დაფიქსირდეს „მტკვარ-არაქსის“ კულტურის ადგილობრივი, ქვემო ქართლისათვის დამახასიათებელი ლოკალური ნაირსახეობის არსებობა, რომელიც როგორც მასალის ფორმებით, ისე არქიტექტურით ერთგვარ განსხვავებას ავლენს შიდა ქართლში დადასტურებულ ძეგლებთან შედარებით.

როგორც აღვნიშნული იყო, „მტკვარ-არაქსის“ ნამოსახლარის გარდა ექსპედიციამ შეისწავლა ადრერკინის ხანის ორი სამარხი, რომლებიც ნადგურდებოდა ატმოსფერული ნალექებისა და ადგილობრივი მოსახლეობის მიერ.

სამარხი №1 მდებარეობდა სოფ. დიდი გომარეთიდან ჩრდილოეთით, დაახლოებით 1 კმ დაშორებით, ადგილ „პაპუნაანთ წყაროს“ მიდამოებში. სამარხის ქვაყრილი შედგენილი იყო წვრილი, თეთრი ფერის ქვებით. სამარხი განლაგებული იყო მცირე ხევის პირას, ნახევრად ჩამორეცხილი იყო ნალექების მიერ. ინვენტარის ნაწილი მიწის ზედაპირზე ჩანდა. სამარხის ორმო ჩატრილი იყო თიხნარ გრუნტში. მისი კონტურების დადგენა ვერ მოხერხდა.



სამარხში დაკრძალული ყოფილა მცირეწლოვანი ინდივიდი. ჩონჩხი დასაფლავებულია დასავლეთის დასახლებაში. ჩონჩხი დასაფლავებულია დასავლეთის დასახლებაში. ჩონჩხი დასაფლავებულია დასავლეთის დასახლებაში. ჩონჩხი დასაფლავებულია დასავლეთის დასახლებაში.

სამარხის სამხრეთ ნაწილში სამი ჭურჭელი აღმოჩნდა: ჯამი, სასმისი და დოქი. ჭურჭელი ძლიერ იყო დაზიანებული და ალაგების შემდეგ თითქმის მთლიანად განადგურდა. ჭურჭლის ფორმების მიხედვით სამარხი შეიძლება ძვ. წ. V საუკუნის დასაწყისით დავათარიღოთ.

სამარხი №2 აღმოჩნდა №1 სამარხიდან ჩრდილო აღმოსავლეთით, 15 მ დაშორებით. თავდაპირველად, დაზვერვების დროს, ამ ადგილას მიწის ზედაპირზე იკრიფებოდა თიხის მონაცრისფროდ გამომწვარი ჭურჭლის ნატეხები, ირგვლივ ეყარა თეთრი ფერის ქვის ფილები. 0,2 მ სიმძლავრის მონაცრისფრო ჰუმუსოვანი ფენის ალების შემდეგ გამოიკვეთა სამი მხრიდან შემოზღუდული ქვაყუთი. ქვაყუთის ზომები იყო: სიგრძე — 1,5 მ, სიგანე — 0,5 მ. დამხრობილი იყო სამხრეთ-დასავლეთ — დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთ — აღმოსავლეთისაკენ. ზოგან შემორჩენილი იყო გადასახურავი ფილები. ზოგი ფილა სამარხში იყო ჩაცურებული. ინვენტარმა თავიდანვე იჩინა თავი. ქვაყუთის ზედა დონიდანვე დაფიქსირდა მონაცრისფროდ გამომწვარი დიდი ზომის ჭურჭლის ნატეხები, რომლის ნაწილი სამარხის გარეთ — ჩრდილოეთით იყო გაფანტული. ჭურჭელი ამოყირავებული, პირით ქვემოთ იდო.

მიცვალებულის ჩონჩხი ძლიერ იყო დაზიანებული. შემორჩენილი იყო წვივის ძვლები, კბილები, მახჯის ძვლები. ძვლებისა და ინვენტარის განლაგების მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მიცვალებული დაკრძალული იყო მარცხენა გვერდზე, მოკრუნხხული, თავით სამხრეთ-დასავლეთ — დასავლეთით მიმართული.

აღსანიშნავია, რომ კერამიკული ინვენტარი მიცვალებულის ჩონჩხის ზემოდან დაფიქსირდა. რამდენიმე ადგილას დადასტურდა აგრეთვე ნახშირის კვალიც.

სავარაუდოა, რომ კერამიკა მიცვალებულის დაკრძალვის შემდეგ, ხის სპეციალურ კონსტრუქციაზე იყო დალაგებული ზემოდან.

სამარხში აღმოჩნდა:

1. დოქი, დიდი ზომის, ნაცრისფრად გამომწვარი თიხისა. აღმოჩნდა სამარხის ცენტრალურ ნაწილში, სამხრეთ — სამხრეთ-აღმოსავლეთ კედელთან, ქვაყუთის ზედაპირის დონეზე, პირით ქვემოთ მოქცეული;

2. ლანგარი, ლეგა-მოყავისფროდ გამომწვარი თიხისა, ძლიერ დაზიანებული. აღმოჩნდა სამარხის ცენტრალურ ნაწილში, ჩრდილო — ჩრდილო-დასავლეთ კედელთან, ქვაყუთის ზედა დონიდან 0,2 მ სიღრმეზე. იდო მიცვალებულის ძვლებზე;

3. სასმისი, შავად გამომწვარი თიხისა, ყურთან, აღმოჩნდა №1 ჭურჭლის ქვეშ, №2 ჭურჭლის გვერდით, სამხრეთის მხარეს, სამხრეთ-დასავლეთისაკენ გადახრილი;



4. სასმისი, შავად გამომწვარი თიხისა. აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, სამხრეთ — სამხრეთ-დასავლეთ კედელთან ჩრდილოეთისაკენ გადახრილი, ქვაყუთის ზედა ღონიდან 0,15 მ სიღრმეზე;

5. ღანგარი, მოყავისფროდ გამომწვარი თიხისა. აღმოჩნდა №4 ჭურჭელზე დასავლეთიდან მიდგმული, სამარხის უკიდურეს, სამხრეთ — სამხრეთ-დასავლეთ კედელთან;

6. სამაჯური, ბრინჯაოსი, ბრტყელი. აღმოჩნდა №2 ჭურჭლის ქვეშ, მიცვალებულის მარჯის ძვალებზე წამოცმული;

7. სამაჯური, ბრინჯაოსი, მრავალგანივკვეთიანი, 3 ც. აღმოჩნდა №2 ჭურჭლის ქვეშ;

8. ძეწკვი, ბრინჯაოსი. აღმოჩნდა მიცვალებულის თავის არეში;

9. რგოლი, ბრინჯაოსი, 2 ც. აღმოჩნდა მიცვალებულის თავის არეში;

10. ღერაკი, ბრინჯაოსი. აღმოჩნდა სამარხის აღმოსავლეთ ნაწილში;

11. ჩქიფი, ბრინჯაოსი. აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში;

12. საკიდები, ბრინჯაოსი. აღმოჩნდა მიცვალებულის წელის არეში;

13. რგოლი, გაურკვეველი დანიშნულების. აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ქვაყუთის ზედა ღონიდან 0,2 მ სიღრმეზე;

14. მძივები, სარდიონისა. აღმოჩნდა სამარხის მთელ ფართობზე მობნეული;

15. მძივები, აქატისა;

16. მძივები, მინისა.

სამარხი, თავისი ინვენტარის მიხედვით, ძვ. წ. V საუკუნის I ნახევრით უნდა დათარიღდეს.

კახა კახიანი, ელგუჯა ღლიღვაშვილი

ტაშირის № 5 ყორღანული სამარხი

ღმანისის რაიონში, ტაშირის ველზე მაშავერას ხეობის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1984-96 წლებში შეისწავლა 50 ყორღანული სამარხი. აღნიშნული ყორღანებიდან თავისი დაკრძალვის წესითა და ინვენტარით ყურადღებას იპყრობს 1986 წელს შესწავლილი № 5 ყორღანი (22, გვ. 58).

ყორღანული სამარხი მდებარეობდა სოფ. ირგანჩაის ჩრდილოეთ ნაწილში, მას წრიული ფორმა ჰქონდა, მისი დიამეტრი 23 მეტრი იყო, ხოლო სიმაღლე მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 1,4 მეტრს უდრიდა. ქვაყრილი შედგენილი იყო სხვადასხვა ზომის რიყის ქვებით, რომელიც მთელ სიგრძეზე, აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ გადაჭრილი იყო 1 მ სიგანისა და 0,4 მ სიღრმის თხრილით. ყორღანს ცენტრალურ ნაწილში 0,4 მ სიღრმის, 3 მ სიგრძისა და 1,8 მ სიგანის „ჩავარდნა“ ჰქონდა.

დასაკრძალავ ორმოს ნაწილობრივ აკლდა გადახურვის ფილები. ის შემორჩენილი იყო დასავლეთ კედელთან, ჩრდილო და სამხრეთ კედლების ნაწილში და ცენტრალური ნაწილის აღმოსავლეთ მხარეს. გადასახურავი ფილები უმეტესად შედგენილი იყო 1,1 მ სიგრძის 0,9 მ სიგანისა და 0,35 მ სისქის ქვებისაგან (ტაბ. I, სურ. 1).

ორმოს აღმოსავლეთი კედლის შუა ნაწილში, გადასახურავი ფილების დონეზე, დადასტურდა 17 მ სიგრძისა და 1,5-3 მ სიგანის მსხვილი რიყის ქვებისაგან ნაგები, ალბათ ყორღანთან მისასვლელი გზა. დასაკრძალავი ორმო ძირამდე ამოვსებული იყო წყლით გაჯერებული შავი ფერის თიხითა და რიყის ქვებით, სადაც სხვადასხვა დონეზე ამოდიოდა ხის ძელებისა და ლასტის ნაშთები, თიხის ჭურჭლისა და მსხვილფეხა საქონელის ძელების ფრაგმენტები. დასაკრძალავი ორმო გადახურვის ფილებთან განიერი იყო, მისი სიგრძე 6,4 მ-ს, სიგანე კი 5,5 მ-ს შეადგენდა და თავისი ფორმით გადაბრუნებულ, საფეხურებიან პირამიდას წააგავდა (ტაბ. I, სურ. 2). ყორღანის დასაკრძალავი ორმო ორკამერიანი აღმოჩნდა. ქვედა, ძირითადი კამერა მიცვალებულისათვის იყო განკუთვნილი, ზედა კი — რიტუალისთვის. ზედა კამერის პრეპარაციის შემდეგ გაირკვა, რომ თითქმის მთელი მისი ფართობი, აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ 6 მ, ხოლო ჩრდილოეთიდან სამხ-

ენ — 3,2 მ ეკავა შედარებით კარგად დაცულ, ხისგან დამზადებული გრძივ და ორ განივ ძელებისგან შეკრულ სწორკუთხედიან ფორმის ასაკვლეთიდან აღმოსავლეთისაკენ დამხრობილ, რიტუალურ კონსტრუქციას (ტაბ. II, III, IV, VI, VII). გრძივი ძელების შემორჩენილი სიგრძე დაახლოებით 5,25 მ, სიგანე — 18 სმ, სისქე — 8 სმ იყო, ხოლო განივი ძელების შემორჩენილი სიგრძე 2,9 მ-ს, სიგანე 18 სმ-ს, სისქე 5 სმ-ს უდრიდა. აღნიშნულ კონსტრუქციას ზემოდან ელაგა 2,9-3 მ სიგრძის, 15-20 სმ სიგანისა და 4,5 სმ სისქის 21 კარგად გათლილი ფიცარი, რომელთაც ბოლოებში 10 სმ დიამეტრის ნახვრეტები ჰქონდა და სოლებითა თუ ჭალებით (რომლის ნაშთებიც დაფიქსირებული იქნა) მაგრდებოდა გრძივ ძელებზე, რომლებსაც ასევე ჰქონდა ამოჭრილი დასამაგრებელი ნახვრეტები (ტაბ. VII, სურ.2). ხის კონსტრუქციას ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში აკლდა ორი ან სამი ფიცარი, ხოლო შუა ნაწილში ფიცრები ჩამტვრეული და ჩაწეული იყო (ტაბ. III, IV, სურ. 1). აღნიშნულ კონსტრუქციაზევე აღმოჩნდა სხვადასხვა დიამეტრის ხის ძელების ნაშთი, რომელიც, როგორც ჩანს, გადახურვის დამჭერ ძელებს წარმოადგენდა. ასევე ხის კონსტრუქციაზე, მის ჩრდილოეთ მხარის გაყოლებაზე, ელაგა ჩვენთვის გაურკვეველი დანიშნულების (ურმის თვლების?) ხის ფრაგმენტები, რომელთაგან ერთ-ერთი მოწითალო მასალისაგან იყო დამზადებული. გარდა ამისა, კონსტრუქციაზე დალაგებული აღმოჩნდა ცხოველის ძვლები და ინვენტარი.

კამერის აღმოსავლეთ კედლის ორივე კუთხეში ზემოთ აღწერილ ხის კონსტრუქციაზე, სახით აღმოსავლეთით, დაულაგებიათ ხარის ორი თავის ქალა, რომლის კეფასთან დაწყობილი იყო ხარის წინა და უკანა კიდურების ქვედა ნაწილები (ტაბ. II, IV, სურ. 2). თავის ქალებს შორის გაფანტულ მდგომარეობაში დაფიქსირდა წვრილფეხა საქონლის (ცხვრის) ცუდად დაცული ნეკნები და ყბის ძვლები. ძვლებს შორის იყო კალის მოზრდილი გამყოფი მძივი. ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში მდებარე ხარის თავის ქალას წინ იდო ე. წ. „ბაიბურთული“ ტიპის მორუხო-მოყავისფროდ გამომწვარი საკმაოდ დიდი ზომის ღერგი. კამერის ჩრდილოეთ კედელთან, მსხვილფეხა საქონლის ძვლების გაყოლებით, დალაგებული იყო რამდენიმე შავპრიალა, წერტილოვანი ორნამენტით შემკობილი ჭურჭელი, რომელთა ნაწილიც ხის კონსტრუქციის ნაკლულ ნაწილში, გრუნტზე იყო დაწყობილი. მათ თავს ზემოთ, ძელზე აღმოჩნდა 30 სმ სიმაღლის წელში გამოყვანილი დაზიანებული სადგარი. კამერის სამხრეთ კედელთან და შუა ნაწილში 1,1 მ დიამეტრის ფართობზე გაფანტული იყო შავპრიალა კერამიკის რამდენიმე ჭურჭლის ნატეხი. ასევე სამხრეთ კედელთან დაფიქსირდა თიხის ჭურჭლის კიდევ ერთი ჯგუფი, რომელიც ექვსი ჭურჭლისაგან შედგებოდა, მათ შორის შედარებით კარგად იყო დაცული შავპრიალა ღერგი და ჯამი. ამ ჯგუფის ერთ-ერთ დაზიანებულ თიხის ჭურჭელში აღმოჩნდა ობსიდიანის ისრისპირი და მოზრდილი ზომის მეორე გამყოფი მძივი. კერამიკული ჭურჭლის ამ ჯგუფიდან 0,5 მ-ის დაშორებით ერთმანეთის სიახლოვეს ელაგა ორი მცირე ზომის კოჭობი. ხის კონსტრუქციის დასავლეთ ნაწი-



ლში, სხვადასხვა ადგილას დაფიქსირდა კიდევ რამდენიმე ცუდად და-
ცული თიხის ჭურჭელი. ამავ მხარეს ერთ-ერთ ფიცარზე იყო დაფიქსი-
რებული 40-50 წლის მამაკაცის თავის ქალა (ტაბ. IV, სურ. 1), რომლის
უკანაც აღმოჩნდა ბრინჯაოს სატევრის პირის ქვედა ნაწილი. ხის კონ-
სტრუქციის სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს ხარის თავის უკან, დაფიქ-
სირდა ბრინჯაოს ე.წ. „წინააზიური“ ტიპის გრძელი სატევარი, რომე-
ლსაც აკლდა სატარეს ზედა ნაწილი. როგორც ჩანს, ორივე სატევარი
სამარხში დაზიანებულია ჩატანებული. კონსტრუქციის შუა ნაწილში,
სამხრეთ მხარეს, ფიცრის ფრაგმენტში შევრდილია ჩარჭობილი აღმო-
ჩნდა ბრინჯაოს მთლიანადსხმული ფრინველის სკულპტურული გამო-
სახულება (შტანდარტი?). მეორე, ასევე ბრინჯაოს ფრინველის გამო-
სახულება დადასტურდა მოპირდაპირე მხარეს, ხის ნაშთთან. იქვე და-
ფიქსირდა კალის გამყოფი მძივი და კალის დიფსებური კილიტი. ადა-
მიანის თავის ქალადან დაახლოებით 0,5 მ-ის დაშორებით, კამერის
ჩრდილოეთ მხარეს, აღმოჩნდა ორი ლურჯი და ერთი თეთრი ფერის
ძლიერ დაზიანებული მინის მძივი და კალის მეორე ნახევარმთვარისე-
ბური ყუნწიანი საკიდი. ადამიანის თავის ქალადან ასევე 0,5 მ-ის და-
შორებით, კამერის დასავლეთ მხარეს, დაფიქსირდა კალის ორი გამყო-
ფი მძივი, ერთი მოგრძო კალის საკიდი და ორად გატეხილი ლურჯი
ფერის პასტის მძივი.

ხის კონსტრუქციას, გარდა რიტუალური დანიშნულებისა, ქვედა ძი-
რითადი კამერის გადახურვის ფუნქციაც ჰქონდა. კონსტრუქციის ჩაწე-
ულ და ჩამტვრეულ მე-7-12 ფიცრების ქვეშ აღმოჩნდა მოგრძო ფორმის
კუთხეებმომრგვალებული 2,4 მ სიგრძისა და 0,9 მ სიგანის ორმო,
რომლის იატაკი დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ თანდათანობით
ღრმავდებოდა და დამხრთობილი იყო დასავლეთიდან აღმოსავლეთისა-
კენ. მისი სიღრმე დასავლეთ ნაწილში 0,8 მ-ს, ხოლო აღმოსავლეთ
ნაწილში 1 მ-ს უდრიდა (ტაბ. V, VI, VII, სურ. 1). სამწუხაროდ, ძირი-
თადი სამარხი გაძარცვული დაგვხვდა. ორმოს დასავლეთ ნაწილში, 0,5
მ-ის სიღრმეზე, აღმოჩნდა ადამიანის ნეკნის ნატეხი და რამდენიმე
წვრილი ძვალი, ხოლო აღმოსავლეთ ნაწილში ადამიანის მენჯის ძვა-
ლი და მსხვილფეხა საქონლის ნეკნი. ორმოს ცენტრალურ ნაწილში,
იატაკის დონეზე დაფიქსირდა ოთხი ძლიერ დაზიანებული თიხის ჭურ-
ჭელი, ხოლო ჩრდილოეთ კედელზე, შუა ნაწილში, მიკრული აღმოჩნდა
სარდიონის ორი და მოლურჯო-მოშავო ფერის მინის სამი მძივი (ტაბ.
V). სულ ორივე კამერაში აღმოჩნდა ოცდაათამდე თიხის ჭურჭელი,
ბრინჯაოს სატევარი, სატევრის წვერის ფრაგმენტი, ბრინჯაოს ორი მცირე
ზომის ფრინველის ქანდაკება, ობსიდიანის ისრისპირი, კალის: გამყო-
ფი 5 მძივი, ორი ნახევარმთვარისებური ფორმის საკიდი, კილიტი, სხვა-
დასხვა ფორმის მძივები და რამდენიმე სარდიონისა და მინის მძივი
(ტაბ. VIII).

ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრიდან აღმოსავლეთ ამიერკავ-
კასიაში გავრცელებას იწყებს ყორღანული კულტურა, რომლისთვისაც
წინარე პერიოდისაგან განსხვავებით, ახალი დაკრძავის წესია დამა-



ხასიათებელი (8, გვ. 124). ბედენურ კულტურაში ფართოდ გამოიყენებოდა ხე, იგება ძეგური დასაკრძალავი ნაგებობები, მიცვალებულს კრძალვენ ხის სარეცელზე, ოთხთვალა ეტლთან ერთად (8, გვ. 131). ამ მხრივ არც ტაშირის ველთა გამონაკლისი. სოფ. ირვანჩაის მიდამოებში შესწავლილი ყორღანების დიდ ნაწილში დადასტურდა ხის გამოყენების არაერთი ფაქტი. ბუნებრივი პირობების წყალობით, ყორღანებში ხის მასალა იმდენად კარგადაა დაცული, რომ შესაძლებელი ხდება რიტუალური კონსტრუქციებისა და ეტლების და, აქედან გამომდინარე, დაკრძალვის წესის თითქმის სრულად აღდგენა.

ზემოთ აღწერილი №5 სამარხის მსგავსი ხის კონსტრუქციაა დადასტურებული ამავე ყორღანული ველის №4 ყორღანში, რომელიც შუა ბრინჯაოს ხანას მიეკუთვნება, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ №4 სამარხში ხის ძეგლებია გამოყენებული, ნაცვლად გათლილი ფიცრებისა, რომლებზედაც სხვა ნივთებთან ერთად ადამიანის თავის ქალას ნაშთი იქნა დაფიქსირებული. ამავე ყორღანში იქნა აღმოჩენილი მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის თავები (22, გვ. 57-58). კარგად გათლილი ხის, მსგავსი კონსტრუქციაა დაფიქსირებული ირვანჩაის გვიანბრინჯაოს ხანის №32 ყორღანში, ხოლო №17 ყორღანში მიცვალებულთან და სხვა არქეოლოგიურ მასალასთან ერთად აღმოჩენილია მსხვილფეხა საქონლის თავის ქალა კიდურების ქვედა ნაწილებით.

მსგავსი, ხის კონსტრუქციებზე დაკრძალვის წესია დადასტურებული თრიალეთში. შუაბრინჯაოს ხანის №1 ყორღანში ხის ძეგლებისაგან შედგენილი კონსტრუქციაა ნაპოვნი (21, გვ. 14), ხოლო ამავე პერიოდის №15 ყორღანში აღმოჩენილია ხარის თავის ქალა (24, ტაბ. LXVI). ხარის თავები გვხვდება ბორნიღელეს №52 (16, გვ. 30) და №69 (17, გვ. 27) სამარხებში.

ახიის ველის №9,11 ყორღანებში და ნაკალაობის დიდ ქვაყრილიან №2 ყორღანში მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის ძვლებთან ერთად, მსხვილფეხა საქონლის თავის ქალებია აღმოჩენილი (12, გვ. 160).

სამთავროს სამაროვნის ჩრდილოეთ უბანზე 1938 წელს გათხრილი №27 სამარხში ხარის თავის ქალა და კიდურებია დაფიქსირებული, ხოლო 1939 წ. გათხრილ სამხრეთ უბნის №160 სამარხში დამატებით კულის ძვლების დაბოლოებაც აღმოჩნდა, რაც მ. ივანშინკოს აფიქრებინებდა, რომ აქ ჩატანებული უნდა ყოფილიყო ცხოველის თავ-ფეხი და ტყავი კუდიანად (5, გვ. 29).

ხარის თავებია ნაპოვნი ნატახტარის №7,28 ყორღანებში (31, ტაბ. XXIV) და წიწამურის №13 ყორღანში (31, ტაბ. XXXV-XXXVI).

ირვანჩაის №5 ყორღანთან, როგორც დაკრძალვის წესით, ასევე ნაწილობრივ მასალის მსგავსებით, ახლოს დგას ორელის №43 სამარხი (2, გვ.48, ნახ. 18, ტაბ. XII-2).

ორი ხარის თავია ნაპოვნი ნამგალა მიწის ყორღანულ სამარხში (41, გვ. 203-204). მსხვილფეხა საქონლის ორი თავ-ფეხია აღმოჩენილი ზემო ბოდბის №1 ყორღანში, ხოლო №2 ყორღანში კამქრის ერთ კუთხეში დაფიქსირებულია მსხვილფეხა საქონლის თავის ნაშთი, ხოლო მეორე

კუთხეში — კიდურები (9, გვ. 55-56). სათვალისწყლის სამართვანზე (გულგულა II) თითქმის ყველა სამარხში მსხვილფეხა საქონლის ნაშთების ძვლებია აღმოჩენილი (9, გვ. 60-61). როგორც წესი, მსხვილფეხა საქონლის თავ-ფეხია ჩატანებული ყვარელწყლის სამარხებშიც (9, გვ.64). შამშადინის რ-ის სოფ. კირგში აღმოჩენილ სამარხში არის ორი ხარის თავი (20, გვ. 101). კიროვაკანის ცნობილი ყორღანის კამერის ორ კუთხეში განლაგებულია ორი ხარის თავი თავისი კიდურებით (26, გვ. 64). ლოჭაშენის №6 ყორღანში აღმოჩენილ იქნა ხარის ორი თავი და წყვილი კიდურები (29, გვ. 122). დაკრძალვის მსგავსი წესი გვხვდება საქართველოსა და ამიერკავკასიის არაერთ ძეგლზე.

გასაოცარი მსგავსებაა ირგანჩაის №5 ყორღანში დაფიქსირებულ დაკრძალვის წესსა და ალაჯა-ჰუიუქის სამარხების დაკრძალვის წესს შორის, სადაც ანალოგიურად ხის კონსტრუქციებია ჩატანებული, რომლებზედაც ხარის თავები და კიდურებია განლაგებული. აღნიშნული სამარხები ახლო დგას იმითაც, რომ ირგანჩაის №5 სამარხის მსგავსად ალაჯა-ჰუიუქის MA-სამარხში მიცვალებული დამარხებულია ხის კონსტრუქციის ქვეშ (37, გვ.80).

ალაჯა-ჰუიუქის სამარხებთან დაკავშირებით თ. ოზგუჩის გაოცებას იწვევს ის ფაქტი, რომ სპილენძის პერიოდის მთელ მანძილზე სამარხი კამერების ტექნიკას, მასალას, ფორმასა და ინვენტარს მცირედი ცვლილებაც არ განუცდიათ (40, გვ. 58), იგივე შეიძლება ითქვას ირგანჩაის №5 სამარხის ალაჯა-ჰუიუქის სამარხებთან დამოკიდებულებაში, რომელთაც ერთმანეთისაგან ათასი წელი აშორებს.

მსხვილფეხა საქონლის სამარხებში ჩაყოლება ადრეული პერიოდის დანვე მოდის, ურის სამეფო სამარხების №580 სამარხში აღმოჩენილია ხარის ჩონჩხი და სამი სხვა ხარის ჩლიქება (25, გვ. 48); ელამის სამართვანზე (სუზაში) №322 სამარხში იყო ხარების ჩონჩხის ძვლები (25, გვ. 48).

მრავალი საუკუნის განმავლობაში დაკრძალვის ანალოგიური წესით ხასიათდებოდნენ ჩრდილოეთის მესაქონლე ტომები (38, გვ.114). ელისტის ყორღანული სამართვნის №2 ყორღანშია აღმოჩენილი ორი ხარის თავი და მუხლამდე მოკვეთილი ქვედა კიდურები (30, გვ.42). ასევეა №5 ყორღანშიც, ხოლო ამავე №5 ყორღანის ქვაყრილში ჩაშვებულ №1 სამარხში შემორჩენილია სამი ხარის ქვედა ყბისა და ქვედა კიდურების ძვლები (30, გვ.58).

ასევე №9 ყორღანულ სამარხშია შემორჩენილი ორი ხარის თავი და მუხლამდე მოკვეთილი ქვედა კიდურები (30, გვ. 68).

აღმოსავლეთ ევროპაში, უნგრეთის ძველორმოიან ყორღანებში დაფიქსირებული იქნა ხარის ჩონჩხები (25, გვ.50).

ამიერკავკასიაში არსებული მასალის მიხედვით, შუა ბრინჯაოს ხანიდან მოყოლებული ხარის თავების გარდა, გვხვდება ცხენის თავ-ფეხისა და ჩონჩხის ჩატანების ფაქტები. ბერიკლდეების (ბებნისი) №4 ყორღანულ სამარხში აღმოჩნდა ოთხი ხარის თავი ქვედა კიდურებით და ცხენის ორი ჩონჩხი ორი ლაგმით (41, გვ. 109, 110). ლაგოღების რ-



ის სოფ. ულიანოვკის (წითელგორი) №2 ყორღანულ სამარხში აღმოჩენილი იქნა ხის სარეცლისა თუ ეტლის ნაშთი, ორი ცხენის და სხვა ძროხის თავ-ფეხით, ხოლო №1 სამარხში დაფიქსირდა ოთხი ცხენისა და ხუთი მსხვილფეხა საქონლის თავ-ფეხი (1, გვ. 29-32). ტაშირის ზეგანზე, ირგანჩაის მომიჯნავე ტერიტორიაზე, სომხეთში, ლორი-ბერდის №6 სამარხი ორმოს კუთხეებში აღმოჩენილია ცხენების თავ-ფეხის ძვლები (19, გვ. 20), ხოლო №7 სამარხში ასევე სამარხი ორმოს კუთხეებში იყო დალაგებული ორი ცხენის თავ-ფეხი და ძროხის თავ-ფეხი (19, გვ. 27).

ირგანჩაის №5 ყორღანში აღმოჩენილი ხის კონსტრუქცია ზედ დაწყობილი ხარის თავებით, ჩვენ მიგვანჩნია სარიტუალო ეტლისა და მისი გამწვევი ძალის იმიტაციად. ზემოთ აღნიშნული კონსტრუქცია ზუსტად იმავე ტრადიციითაა დამზადებული, როგორც ირგანჩაის №1 ყორღანში აღმოჩენილი დასაკრძალავი ეტლის ძარა, მით უმეტეს, რომ ის სამარხები, რომლებშიც ხარის თავებია, უნდა წარმოხასხავდნენ ეტლებს (39, გვ. 14).

ირგანჩაის №5 ყორღანში ოცდაათამდე თიხის ჭურჭელი იქნა აღმოჩენილი, მაგრამ მათი უმეტესი ნაწილი იმდენად იყო დაზიანებული, რომ მხოლოდ თერთმეტი ჭურჭლის აღდგენა მოხერხდა. თიხის ნაწარმში გამოიყოფა ხუთი ჯგუფი: ღერგი, სადგარი, ქიდეები, ჯამები და კოჭობები.

1. ღერგი (ტაბ. VIII, სურ.1) დამზადებულია მსხვილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან. გამომწვარია მორუხო-მოყავისფროდ, აქვს დაბალი, ბაკომომრგვალებული ყელი და ბრტყელი ძირი. ტანის ზედა ნაწილი დაფარულია ჩარხისმიერი ღარებით, ასეთივე ღარები აქვს ჭურჭელს შიდა მხრიდან. ტანის შუა ნაწილს შემოსდევს ორი თოკისებური გრეხილი რელიეფური სარტყელი, რომლებსაც ერთმანეთთან აკავშირებს რვა მოკლე, ვერტიკალური, ასევე რელიეფური ზოლი. სარტყლებს შორის შიდა და გარე არე შევსებულია სწორხაზოვანი და ტადლისებური ამოღარული ორნამენტით. მხარზე შემოსდევს ირიბი ხორბლისებური ნაჭდევები. ტანის ქვედა ნაწილში დაუყვება ირიბი და ვერტიკალური ამოღარული ზოლები რამდენიმე წყებად. მხარზე მიძერწილი აქვს ორი ბრტყელი შვერილი, რომლებსაც ორ-ორი ვერტიკალური ნახვრეტი აქვთ გაკეთებული. ღერგი ცეცხლზე ხმარების შედეგად შებოლილია.

მსგავსი ჭურჭელი, მსხვილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან დამზადებული, მორუხო-მოყავისფროდ გამომწვარი, სხვადასხვა ზომისა და ორნამენტის აღმოჩენილია ირგანჩაის №№ 8, 15, 17, 31, 32, 33, 40, 42, 44 ყორღანებში. თრიალეთში ცნობილია ბაიბურთის სამაროვნისა (24, გვ. 77, სურ. 88), საკმაოდ დიდი რაოდენობით არის თრეღის სამაროვანზე №№ 37, 42, 43, 53, 56, 74, 115 სამარხებში (2, სურ. 19, 23, 28, 31, 33, 39, 52), გვხვდება ძვ. წ. XIV-XIII სს-ით დათარიღებულ გადრეკილის №66 სამარხში (10, ტაბ. XXIV), ნაპოვნია სამთავროს №70 სამარხში (5, ტაბ. III-α), არის არტიკის სამაროვანზეც პირველი და მეორე ჯგუფის სამარხებში (35, სურ. 110, 111, 146, 147) და სხვ. გვხვდება შუაბრი-



ნჯაოდან გვიანბრინჯაოზე გარდამავალი პერიოდიდან, გვიანბრინჯაოს პირველი და მეორე საფეხურების ჩათვლით (9, LIX).

2. სადგარი (ტაბ. VIII, სურ. 2) დამზადებულია მსხვილმარცვლოვანი ქვიშანარევი თიხისაგან, მორუხო-მოყავისფროდ გამომწვარი, წელში გამოყვანილი, ფართე გამჭოლი ნახვრეტით. შემოსდევს ოთხი მსხვილი რელიეფური ზოლი და ტალღისებური ჭდეული ორნამენტი. ასეთი ფორმის, სხვადასხვა ორნამენტური მოტივებით შემკული სადგრები აღმოჩენილია ლორი-ბერდის №2, 7 სამარხებში (19, ტაბ. X), მსგავსი დანიშნულების ორი სადგარია ნანახი ახნის №9 ყორდანში (12, სურ. 19, ტაბ. XXIV). ორიაღეთის №15 ყორდანში აღმოჩენილია სამი ცალი მსგავსი ნაკეთობა (21, ტაბ. 77). ორელის №43 სამარხშიც ასევე სამი ცალია დადასტურებული (2, სურ. 19). ასევე სამი ცალია ჩვენს მიერ 1988 წელს გათხრილ ორუზმანის (დმანისის რ-ნი) №4 ყორდანში. ამ ფორმის თიხის ნაკეთობებს, პირობითად „კურილინცებს“ უწოდებენ (19, გვ. 37), რაც, ჩვენს აზრით, არ უნდა იყოს სწორი. მის ნამდვილ სადგრის დანიშნულებაზე მიგვითითებს ორიაღეთის №15 და ორუზმანის №4 ყორდანში აღმოჩენილი სამ-სამი სადგარი, რომლებზეც ბრინჯაოს ქვაბები იყო შემოდგმული, რომლებშიც წვრილფეხა საქონლის ძვლები იქნა დაფიქსირებული და ორელის სამაროვნის №43 სამარხში სამ სადგარზე შემოდგმული ე.წ. „ბაიბურთული“ ტიპის დერგო.

3. ქილები (ტაბ. VIII, სურ. 3, 4, 5). ყორდანში აღმოჩენილი ქილებიდან აღდგა სამი ქილა. ორი მთლიანად, ხოლო ერთი ნაწილობრივ. შავპრიალა ქილები დამზადებულია მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან, აქვთ ბრტყელი ძირი, სვერული მუცელი, მხარზე და მუცელზე შემოუყვებათ წყვეტილხაზოვანი-სწორი და ტალღისებური ჭდეული ორნამენტი. ერთერთ მათგანს მხარზე მიძერწილი აქვს სამი შვერილი, რომლებიც ვერტიკალურადაა გახვრეტლი. ეს ქილები მსგავსებას იჩენენ 1956 წ. სევანის ჰესთან გათხრილ ყორდანში აღმოჩენილ ჭურჭელთან (26, სურ. 21), ასევე თაზაკენდისა (26, სურ. 41) და ნორ-ბაიაზეთის (26, სურ. 19), ორელის შუაბრინჯაოს №53 სამარხის (2, გვ. 56), არიჭის სამაროვნის №24, 29, 44, 50, 93 სამარხების (35, სურ. 62, 63, 65, 66, 67), ოღეს №13 სამარხის ჭურჭელთან (9, ტაბ. IV-2). უნდა ითქვას, რომ მსგავსების მხრივ ეს ქილები ყველაზე ახლო პარალელს ბერიკლდეების (ბებნისის) №4 ყორდანულ სამარხში აღმოჩენილ ქილებთან პოულობენ (41, ფოტო 160).

4. ჯამები (ტაბ. VIII, სურ. 6, 7, 8, 9) ყორდანში რვა თიხის ჯამი იქნა დაფიქსირებული, რომელთაგან მხოლოდ ოთხი აღდგა. შავპრიალა ჯამები დამზადებულია წვრილმარცვლოვანი თიხისაგან, კეცი აქვთ ნაცრისფერი, მუცელგამობერილნი, ვიწრო ძირით, მხარზე შემოუყვებათ ჭდეული წერტილოვანი და სწორი, ტალღისებური ორნამენტი. მსგავსი ჯამები შუაბრინჯაოს ხანიდან არის ცნობილი: არიჭის სამაროვნის №11, 24, 29, 50, 93, 108, 111, სამარხებიდან (35, სურ. 60, 62, 63, 64, 65, 72, 73); თაზანქელიდან (26, სურ. 15, 17), სევანჰესიდან (26, სურ. 21), ახნის №2 ყორდანული სამარხიდან (12, სურ. 6), ასევე შუადან გვიანბრინ-



ნჯაოს ხანის გარდამავალ ზემო ბოდბის №1 ყორღანიდან (27, ტაბ. Vა), ცხინვალის სატყეო კომბინატის №4 სამარხიდან (27, ტაბ. III-5) არტიკის სამაროვნიდან (35, სურ. 94, 105, 109), ლორი-ბერდის №2 სამარხიდან (19, ტაბ. XII), ბერიკლდეების (ბებნისის) №4 ყორღანული სამარხიდან და თრელის №61 სამარხიდან, რომელიც ძვ.წ. XIII-XII სს-ით თარიღდება (2, სურ. 72).

5. კოჭობები (ტაბ. VIII, სურ. 10, 11). ყორღანში აღმოჩენილი სამი კოჭობიდან აღდგა ორი. წვრილმარცვლოვანი თიხისაგან დამზადებული ლეგა ფერის კოჭობები არიან მაღალყელიანი, ბიკონუსური ფორმის მუცლით, მწარზე შემოუყვებათ ჭაღული წერტილოვანი და ტალღისებური ორნამენტი. ძირი გახვრეტილი აქვთ. ამ ჭურჭლის მსგავსი ჭურჭელი აღმოჩენილია კახეთში, გვიანბრინჯაოს აღრეული საფეხურით დათარიღებულ „ნასადგომარის“ №11 სამარხი (10, ტაბ. XIII), „მელიდე-1“-ში (9, ტაბ. XXV-XXVI), შილდაში (7, ტაბ. XLVIII-XLIX). ბ-ნი კ. ფიცხელაური ასეთ ჭურჭელს პირობითად „მელიდეურს“ უწოდებს და მიიჩნევს, რომ მაღალყელიანი და ფართომუცლიანი წმინდა თიხისაგან დამზადებული, ზედაპირნაპრიალები მცირე სასმისები გარდამავალი ეტაპის ბოლო საფეხურზე ჩნდება და გვიანბრინჯაოს პირველ საფეხურზე ერთ-ერთ დამახასიათებელ ფორმად იქცევა (9, გვ. 150). ჩვენს მიერ ირგანჩაის №5 ყორღანში აღმოჩენილი კოჭობები სხვა მსგავსი ჭურჭლისაგან იმით განსხვავდება, რომ ამ კოჭობებს ძირი გახვრეტილი აქვთ, რაც აშკარად მათ საკულტო დანიშნულებაზე მიუთითებს.

საბრძოლო იარაღიდან, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ირგანჩაის №5 ყორღანში აღმოჩნდა ბრინჯაოს სატევარი, ბრინჯაოს სატევრის პირის ფრაგმენტი და ობსიდიანის ისრისპირი, (ტაბ. VIII, სურ. 12, 13, 14).

ბრინჯაოს სატევარს აკლია ტარის ნაწილი, აქვს დაქანებული მხრები, პირი წვერისკენ თანდათანობით ვიწროვდება, სიგრძე 38,4 სმ-ია. ტარის შემორჩენილ ნაწილში აქვს ტარის დასამაგრებელი ნახვრეტი (ტაბ. VIII, სურ.12). სატევარი თავისი ფორმით „წინააზიური“ ტიპის სატევრებს მიეკუთვნება, მაგრამ მას არა აქვს ტარის დასამაგრებელი ჩარჩო, რაც, ჩვენის აზრით, განასხვავებს საქართველოში აღმოჩენილ „წინააზიური“ ტიპის სატევრებისაგან. პირის მოყვანილობით სატევარი ახლო მსგავსებას პოულობს თრელის №37 სამარხის სატევართან (2, გვ. 72, ნახ. 31), რველის სამაროვანზე შემთხვევით აღმოჩენილი იარაღთან (15, ტაბ. XXXIII-4) და ბერიკლდეების (ბებნისის) №4 ყორღანის სატევართან (41, გვ. 258). აღნიშნული სატევარი, ქიმიური ანალიზის მიხედვით, ძირითადად დამზადებულია 88,9% სპილენძის, 9,86% კალის, 0,48% დარიშხანის ლითონისაგან.¹

როგორც აღვნიშნეთ, მეორე სატევრის მხოლოდ პირის ფრაგმენტია სამარხში ჩატანებული და მასზე რაიმეს თქმა ჭირს. დაზიანებული

1 აქ და ქვემოთ ნახსენები ანალიზები გაკეთებულია — გერმანიის ქ. ბონუმის სამთი მუზეუმისა და არქეოქიმიკურგის ინსტიტუტის დახმარებითაა.



სატევრის პირია ასევე ჩატანებული ნასადგომარის №10 სამარხში (10, ტაბ. XII).

სამარხში აღმოჩენილია თბსიდიანის ქუსლამოღარული ისხისა და ასეთი ფორმის თბსიდიანისა და კაქის ისრისპირები ჩვენთვის ცნობილია ლორი-ბერდის №№ 2, 7 ყორღანული სამარხებიდან (19, ტაბ. IX — 11,12), ვერინაკერის №12 ყორღანიდან (29, გვ. 108-7), კიზილვანქის სამაროვნიდან (29, ტაბ. 42) გადრეკილის №6 სამარხიდან (27, ტაბ. XVIII), ნასადგომარის №6 სამარხიდან (10, ტაბ. X-43), ზემო ბოდბის №4 და №5 ყორღანებიდან (27, ტაბ. VI, VII), თრიალეთიდან (21, ტაბ. XXXXVII-LV, LXXVII-LXXVIII), არტიკის სამაროვნიდან (35, სურ. 89) და სხვ.

სამარხში აღმოჩენილია ბრინჯაოს მთლიანადსმული ფრინველის ტრი სკულპტურული გამოსახულება, რომელთაც აქვთ მოგრძო შვერილები. ფრინველების სიმაღლე 4,6 სმ-ია. ისინი ერთმანეთის საპირისპიროდ, ქვედა კამერის თავზე, ხის კონსტრუქციაზე დადებულ ხის ნივთზე იყო შვერილებით ჩარტობილი, რაც მათ რიტუალურ დანიშნულებაზე მიუთითებს. ერთი ფრინველი დამზადებულია ძირითადად 87,6% სპილენძის, 10% კალის და 1,65% რკინისაგან.

მეორე ფრინველი კი — 87,8% სპილენძის, 10,6% კალის და 1,33% რკინისაგან. (ტაბ. VIII, სურ. 15).

ამ სახის მთლიანადსმული, მცირე ზომის ფრინველების სკულპტურების ანალოგები ჩვენთვის უცნობია. დიდი ზომის, ჭვირული, ბრინჯაოს ფრინველების გამოსახულებები (შტანდარტები) აღმოჩენილია ლორი-ბერდის №2 და №7 ყორღანულ სამარხებში (19, გვ. 32) ბერიკლდეების (ბებნისი) №4 ყორღანულ სამარხში (41, გვ. 110, სურ. 96), წითელგორის №1 ყორღანში (41, გვ. 246, კატ. №118). ცნობილია ლჭაშენიდან (26, ტაბ. VIII-5), აცარატიდან (26, ტაბ. X). ხოლო ჭვირული, მცირე ზომის ბრინჯაოს ფრინველების საკიდები აღმოჩენილია ცენტრალურ-ამიერკავკასიური კულტურის არაერთ ძეგლზე.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ირგანჩაის №5 ყორღანში კალის ნივთებია აღმოჩენილი, რაც აღმოსავლეთ ამიერკავკასიის თანადროული ძეგლებისათვის იშვიათობას წარმოადგენს და, ჩვენის აზრით, ჩატანებულია, როგორც ძვირფასი ლითონის ნაკეთობა.

სულ აღმოჩენილია კალის ათი ნივთი, მათ შორის ხუთი გამყოფი მძივი, ორი ნახევარმთვარისებური საკიდი, ერთი დიდ-კიდიტი. ერთი მოგრძო და ერთი სფერული, მცირე ზომის მძივი.

გამყოფი მძივები (ტაბ. VIII, სურ. 16) ფორმისა და ზომის მიხედვით ოდნავ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. სამი ცალი მოზრდილია. მათი ზომებია: სიგრძე — 4 სმ; სიგანე — 2,6 სმ. ხოლო ორი შედარებით მცირე ზომისაა: სიგრძე — 3,4 სმ; სიგანე — 2,4 სმ. მძივები სწორკუთხა ფორმისაა და ჭვირულია. აქვთ ოთხ-ოთხი გრძივი ნახვრეტი. მსგავსი მძივები ჩვენთვის ცნობილია ლორი-ბერდის №7 ყორღანულ სამარხიდან (19, ტაბ. VIII-IX), ძვ.წ. XVII-XVI სს-ით დათარიღებულ არიჭის №65 სამარხიდან (35, სურ. 71), დადასტურებულია არტიკის გვიანბრინ-



ჯაოს ხანის I (35, სურ. 92) და III ჯგუფის (35, სურ. 155) კომპლექსებში. სხვადასხვა მასალისაგან და სხვადასხვა ვარიაციებით გვხვდება ჭიკჭიკარის №2 ყორღანში (12, ტაბ. LXI) სამთავროს №198 სამარხში (35, სურ. 472), სამთავროს №158 სამარხში (5, სურ. 373), ზანგეზურში (36, ტაბ. XXX), ნარეკვავის №26 სამარხში (13, ტაბ. LVII), წადგლის №7 სამარხში (28, ტაბ. XXXVIII — 3), ალგეთში (34, ტაბ. XV — 7,9).

კალის ნახევარმთავრისებური ყუნწიანი საკიდების (ტაბ. VIII, სურ. 17) მსგავსი საკიდები დადასტურებულია ირვანის №16 ყორღანში, კობლას სამაროვანის №5 სამარხში (32, ტაბ. XLIII — 8). ჭადის №87 სამარხში (33, ტაბ. XXIX — 22), ხერინ-ნავერის №12 ყორღანში (29, ტაბ. 33). ასეთივე საკიდები, მხოლოდ ოქროსაგან დამზადებული, აღმოჩენილია ბერიკლდეების (ბებნისი) №4 ყორღანში (41, გვ. 259).

ზემოთხსენებული ნახევარმთავრისებური საკიდები გვხვდება ძვ.წ. XV-XIII სს-ით დათარიღებულ ძეგლებზე.

ტაშირის №5 ყორღანი ცენტრალურ ამიერკავკასიურ ანუ ლჭაშენ-წითელგორის (41, გვ. 200) კულტურას მიეკუთვნება. მასში აღმოჩენილი მასალის მსგავსი ნივთები გვხვდება, როგორც წინა, ასევე მომდევნო პერიოდის ძეგლებზე. მასალიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ ის ოდნავ უნდა უსწრებდეს ძვ.წ. XIV საუკუნის ძეგლებს (3, ტაბ. III) და ზოგადად ძვ. წ. XV საუკუნით უნდა დათარიღდეს. ამ თარიღს მხარს უჭერს ადრე რადიოკარბონული მეთოდით მიღებული კალიბრირებული თარიღი 3505 ± 103 , ძვ. წ. 1555 წ. (14, გვ. 39) და ამ თარიღის ახალი კალიბრირება ძვ.წ. 1512-1406 წწ. (42, გვ. 14).

ტაშულების ალქერილრგა

ტაბ. I, სურ. 1. № 5 ყორღანის ქვაყრილი და გადასახურავი ვილები.

ტაბ. I, სურ. 2. ყორღანის დასაკრძალავი ორმო.

ტაბ. II. ხის რიტუალური კონსტრუქცია და ინვენტარი. ხედი დასავლეთიდან.

ტაბ. III. ხის რიტუალური კონსტრუქცია და ინვენტარი. ხედი აღმოსავლეთიდან.

ტაბ. IV, სურ. 1. ხის კონსტრუქცია და ხარის თავი.

ტაბ. IV, სურ. 2. ხის რიტუალური კონსტრუქცია და ქვედა კამერის ჩავარდნა.

ტაბ. V. ქვედა კამერის ხედი აღმოსავლეთიდან.

ტაბ. VI. დასაკრძალავი ორმოს გეგმა.

ტაბ. VII. სურ. 1. დასაკრძალავი ორმოს ჭრილი.

ტაბ. VII. სურ. 2. ხის რიტუალური კონსტრუქცია (რეკონსტრუქცია).

ტაბ. VIII. № 5 ყორღანის მასალის კომპლექსი.



სურ. 1



სურ. 2









სურ. 1




სურ. 2








სურ. 1



სურ. 2



1. რ. აბრამიშვილი, არქეოლოგიური გათხრები ლაგოდეხის რაიონში. გურჯაანის მართმცოდნეობის მუზეუმის და ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის გაერთიანებული I სამეცნიერო სესიის სამუშაო გეგმა და მოხსენებათა თეზისები. თბილისი, 1965 წ.
2. რ. აბრამიშვილი, თრელის შუა და გვიანბრინჯაოს ხანის სამაროვანი, თბილისი I, თბილისი, 1978 წ.
3. რ. აბრამიშვილი, ამიერკავკასიის არქეოლოგიური ძეგლების ქრონოლოგიური ჯგუფები. საქ. მეც. აკადემიის არქ. კვლევის ცენტრის თბილისის არქ. მუზეუმის ბიულეტენი №1, თბილისი, 1997 წ.
4. ი. გავოშიძე, ე. ქორიძე, ა. გოგინაიშვილი, შიდა ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის 1979-81 წლების საველე მუშაობის ანგარიში. საქ. სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, VIII, თბილისი, 1986 წ.
5. ა. კალანდაძე, სამთავრო, წინაანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები, მცხეთა IV, არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, თბილისი, 1980 წ.
6. მ. კაპანაძე, ივრისპირების ბრინჯაოს ხანის სამაროვნები. კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, VI, თბილისი, 1984 წ.
7. ბ. მაისურაძე, ლ. ფანცხავა, შიღის სამლოცველო. თბილისი, 1984 წ.
8. საქართველოს არქეოლოგია, II, თბილისი, 1992 წ.
9. კ. ფიცხელაური, აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ.წ. XV-VII სს.), თბილისი, 1973 წ.
10. კ. ფიცხელაური, ც. მენაბდე, გაღრეკილის არქეოლოგიური ძეგლები. კახეთის არქეოლოგიური შრომები V, თბილისი, 1982 წ.
11. თ. ჯაფარიძე, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, თბილისი, 1969 წ.
12. თ. ჯაფარიძე, ი. კიკვიძე, გ. ავალიშვილი, ა. წერეთელი, „მეცხეთა-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები“, თბილისი, 1981 წ.
13. А. Апакидзе, В. Николаишвили, А. Сихарулидзе, В. Садрадзе, Л. Хецуриани, Г. Гиунашвили, Ш. Иремашвили, Результаты полевых изысканий в Мцхета. Арх. исследование в 1981 г. Тбилиси, 1984 г.
14. А. Апакидзе, А. Бурчуладзе, Радиоуглеродное датирование археологических и палеоботанических образцов Грузии, Тбилиси, 1987.
15. О. Гамбашидзе, К. Квижинадзе, Работы Месхет-Джавахской экспедиции. ПАИ в 1978 г. Тбилиси, 1987 г.
16. О. Гамбашидзе, И. Гамбашидзе, Месхет-джавахская экспедиция в 1984 г. ПАИ в 1984-1985 гг. Тбилиси, 1981 г.
17. О. Гамбашидзе, К. Квижинадзе, И. Гамбашидзе, Основные результаты работ Месхет-Джавахской экспедиции в 1985-1986 гг. ПАИ в 1986 г. Тбилиси, 1991 г.
18. Д. Д. Гогелия, Л. Челидзе, Г. Авалишвили, О полевых работах Квемо-Картлийской экспедиции в 1985-86 гг, ПАИ в 1986 г. Тбилиси, 1991 г.
19. С. Деведжан, Лори-Берд I, Ереван, 1981 г.
20. С. Есяян, Древняя культура племён северо-восточной Армении. Ереван, 1976 г.
21. Л. Жоржикашвили, Э. Гогадзе, Памятники Триалети эпохи ранней и средней бронзы, Тбилиси, 1974 г.
22. К. Кахиани, Э. Глигвашвили, М. Дзнеладзе, Г. Каландадзе, З. Цквитинидзе, Археологическое исследование Машаверского ущелья в 1984-86 гг. ПАИ в 1986 г. Тб, 1991 г.
23. К. Кушнарёва, Южный Кавказ в IV-II тыс. до н. э. Российская Академия Наук, Санкт-Петербург, 1993 г.
24. Б. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, Тбилиси, 1941 г.
25. И. Николаева, В. Сафронов, Проблемы появления колесного транспорта в Европе. Древнейшие повозки восточной Европы. Выделение Днепро-Кубанской культуры – культуры древнейших кочевников восточной Европы. Кочевники Азово-Каспийского междуморя С. О. 1983 г.



26. А. Мартиросян, Армения в эпоху бронзы и раннего железа, Ереван, 1964.
27. К. Пицхалаури, Восточная Грузия в конце бронзового века. Тбилиси, 1979.
28. А. Рамишвили, Археологические раскопки в с. Цагвли. ПАИ в 1977 г. Тб, 1980 г.
29. Ранняя и средняя бронза Кавказа. Археология, Москва, „Наука“, 1994 г.
30. И. Синицин, У. Эрдниев, элистинский могильник, Элиста, 1971 г.
31. В. Садрадзе, Археологические памятники „Мцхета Великой“, эпохи средней бронзы. Тб, 1993 г.
32. Н. Тушишвили, Результаты работ Археологической экспедиции Алгетского ущелья. ПАИ в 1978 г. Тб, 1981 г.
33. Н. Тушишвили, Дж. Амиранашвили, Итоги работ Алгетской экспедиции, ПАИ в 1980 г. Тб, 1982 г.
34. Н. Тушишвили, Д. Амиранашвили, С. Маргишвили. Арх. экспедиция Алгетского ущелья (1983-1985 гг.) ПАИ в 1984-85 гг. Тб, 1987 г.
35. Т. Хачатрян, Древняя культура Ширака. Ереван, 1975 г.
36. Э. Ханзадян, Эллар-Дарани, Ереван, 1979 г.
37. Н. Z. Kosay – Die Ausgrabungen Alaca hoyük. 1936.
38. С. Clark, S. Piggott. Prehistoric Societies. London, 1965.
39. G. Mansfeld. Gräber mit Wagenbeigaben vom Frühdynastikum des Vorderen Orients bis zur Hallstattzeit Mitteleuropas, Keltiski voz, Posavski Muzeu Brežice, Knjiga 6.
40. Ozgüc Tahsin, Die Bestattungsbräuche vorgeschichtlichen Anatolien. Ankara, 1948.
41. Unterwegs zum goldenen Vlies archeologische Funde aus Georgien, Saarbrücken, 1995.
42. George Leon Kavtaradze, The importance of metallurgical Data for the formation of Central Transcaucasion Chronology, in Der Anschrift, Zeitschrift für Kunst und Kultur im Bergbau. Bochum, 1997.

ჯუმაბერ კოკალიანი

ვახტანგ ჯაფარიძე და დმანისის პალეოლითური ძეგლი

„საუკუნის აღმოჩენა“ — ასე შეიძლება შევაფასოთ დმანისის ნაქა-
ლაქარის ტერიტორიაზე 1983 წელს გამოვლენილი პალეოლითური ძე-
გლი და 1991 წლის 24 სექტემბერს აღმოჩენილი თვით უძველესი ადა-
მიანის ნაშთი (ადამიანის ქვედა ყბა). მეცნიერულად დამტკიცებულია,
რომ დმანისის ადამიანი ევროპასა და აზიაში ერთ-ერთი ყველაზე უძ-
ველესია და იგი უახლოვდება ოლდუვაის (აფრიკა) ადამიანის თარიღს.


საჭიროდ მივიჩნეე, მეთქვა ზოგი რამ ამ დიდ აღმოჩენასთან დაკავ-
შირებით და ამ აღმოჩენაში ბ-ნი ვახტანგის როლზე.

1981 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. ივ. ჯა-
ვახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტიდან გადავე-
დი არქეოლოგიური კვლევის ცენტრში, კერძოდ, დმანისის არქეოლოგი-
ური ექსპედიციის ხელმძღვანელის ბ-ნი ვახტანგ ჯაფარიძის მოადგი-
ლედ. იმავე წელს არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარება მომიხდა
დმანისის რაიონის ტერიტორიაზე სხვადასხვა ადგილას (ძალზე საინ-
ტერესო შედეგებით). ეს გამოწვეული იყო ახალმშენებლობებით, კე-
რძოდ რაიონის ტერიტორიაზე სარწყავი სისტემის მშენებლობით და
დაფინანსებაც არქეოლოგიური სამუშაოებისათვის საქართველოს წყა-
ლთა მეურნეობის სამინისტროდან გვექონდა გამოყოფილი.

1982 წელს ბ-ნი ვახტანგი ძალზე დაკავებული იყო. მისი უშუალო
ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდებოდა „შინამრეწველობის მა-
სალების“ მორიგი ტომი და იმ ზაფხულს მე დამავალა თავის უბანზე
(ნაქალაქარის III უბანზე) არქეოლოგიური გათხრების ჩატარება. ამ
უბანზე მის მიერ წლების მანძილზე ჩატარებული გათხრების შედეგად
გამოვლენილი იყო შუა საუკუნეების ქალაქის ერთი, ძალზე მნიშვნე-
ლოვანი კვარტალი თავისი ყველა ატრიბუტით. იმ წელს მე გავთხარე
XIV შენობის B და C ოთახები, სადაც იატაკის ქვეშ „დედა ქანში“
აღმოჩნდა ხელით ჩაჭრილი სხვადასხვა ზომის ორმოები და მათ კედ-
ლებში გამოვლინდა განამარხებული ცხოველების ძვლები. ამ ძალზე
საინტერესო აღმოჩენის შესახებ მე მაშინვე მოვახსენე ბ-ნი ვახტანგს.
მან კი შემდეგი მიაპბო: „60-იან წლებში გათხრების დროს ამავე უბნის

XI შენობაში იატაკის დონეზე აღმოჩნდა ქვევრის მსგავსი სამეურნეო ორმო, ჩატრილი ნიადაგში, რომელიც უძრავ დედაქანად იყო მიჩნეული ორმო ძალზე დიდი იყო, თავი კი ქვევრის ყელივით ჰქონდა დავიწროებული და სათანადოდ მოწყობილი. ამ ორმოს ფსკერზე და კედლებში შევამჩნიეთ რაღაც ცხოველების ძვლების ფრაგმენტები. მივმართე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პალეობიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორს აკად. ლ. გაბუნიას. დმანისში ჩამოვიდა ცნობილი პალეონტოლოგი აბესალომ ვეკუა. მან შეაგროვა ძვლოვანი მასალა და შეისწავლა ისინი. გაირკვა, რომ ისინი მარტორქისა და სხვა უძველესი ცხოველების ძვლები იყო“.

ჩვენს მიერ ზემოთ აღნიშნულ ნაგებობაში აღმოჩენილმა ცხოველთა



XI ნაგებობა. ცენტრში ჩანს სამეურნეო ორმო, სადაც აღმოჩნდა უძველესი ცხოველების პირველი ნიმუშები.

ანალოგიურმა ძვლოვანმა მასალამ ბ-ნ ვახტანგს აფიქრებინა, რომ ამ უბანზე შეიძლებოდა ყოფილიყო პალეოლითური ძეგლი. ამის შესახებ არაერთხელ გვექონდა საუბარი. 1983 წელს სპეცელ-არქეოლოგიური სამუშაოების დაწყებისას კიდევ ერთხელ წამოვჭერთ საკითხი ამ ადგილას ძველი ქვის ხანის ძეგლის შესაძლო არსებობის შესახებ. ამიტომ გადავწყვიტეთ, იმავე XI ნაგებობაში აღმოჩენილი დიდი (სარქველიანი) ორმოს ერთი მონაკვეთი ჩაგვეჭრა და გაგვესინჯა, იყო თუ არა ფენაში ქვის იარაღებიც. ამ გადაწყვეტილების მიღება იმანაც განაპირობა, რომ ჩვენს ექსპედიციაში მუშაობდა არქეოლოგი ნუგზარ მგელაძე (იგი იმხანად ნაქალაქარის ტერიტორიაზე არსებულ „ქვემო უბნის“ ეკლესიასა და სამაროვანს თხრიდა), რომელიც წლების მანძილზე არ-

ქეოლოგიური კვლევის ცენტრის ქვის ხანის განყოფილებაში მუშაობდა და ჩვენს მიერ აღნიშნულ საკონტროლო თხრილში ქვის მესხელის შემოწმება შეეძლო. მართლაც, ამ ჩატრილ პატარა თხრილში შემოწმების ცხოველების ძვლებთან ერთად ქვის იარაღებიც აღმოჩნდა. გამართლდა ბ-ნი ვახტანგის ვარაუდი. ამის შემდეგ ექსპედიციის ხელმძღვანელმა გადაწყვიტა, ქვის ხანის სხვა სპეციალისტებისთვისაც გაეცნო ეს მასალა.

იმავე, 1983 წლის ზაფხულში ბ-ნმა ვახტანგმა თბილისიდან ჩამოიყვანა პალეოლითის ხანის ცნობილი სპეციალისტი ბ-ნი დავით თუშაბრაშიშვილი და ზაად ქიქოძე. მათ დაათვალიერეს გათხრილი ადგილი, იქვე დალაგებული არტეფაქტები (ცხოველების ძვლები და ქვის მასალა, რომელიც ნუგზარ მგელაძემ უტყუარ იარაღად მიიჩნია, თან გვქონდა წაღებული). შემდეგ ჩავედით იქვე მდებარე სოფ. პატარა დმანისში, ვასილ ლაშქარაშვილის ოჯახში. მისი სახლი, ფაქტობრივად, ჩვენი ექსპედიციის ბაზაც იყო, ხოლო ნუგზარ მგელაძე მის მეზობლად, გივი ლაშქარაშვილის სახლში ცხოვრობდა, სადაც ჰქონდა ქვის მასალაც. ბ-ნ დავით თუშაბრაშიშვილს ქვის მასალის ნახვა აინტერესებდა. შევედით ნუგზარის ოთახში (იგი იმ დღეს თბილისში იყო წასული). შეხვეული ქვის მასალა ამოვალაგეთ და მაგიდაზე დავაწყეთ. აღტაცებულმა ბ-მა დავითმა შესძახა: — „ეს მსოფლიო მნიშვნელობის აღმოჩენაა!“ ბატონმა დავითმა დაწვრილებით აგვიხსნა, თუ რატომ იყო ეს მსოფლიო მნიშვნელობის აღმოჩენა. ეს სასიხარულო ფაქტი ვასილ ლაშქარაშვილის სახლში „აღვნიშნეთ“. ყველამ მივულოცეთ ბ-ნ ვახტანგ



ვახტანგ ჯაფარიძე და თამაზ ბუგაიანიშვილი დმანისის ნაქალაქარის III უბანზე, XI ნაკვობაში. მოჩანს ფენაში სპილოს ნეკის ძვალი.

ჯაფარიძეს (როგორც ექსპედიციის ხელმძღვანელს) ასეთი მნიშვნელოვანი აღმოჩენა. მე დაუყოვნებლივ დავურეკე და მივულოცე დმანისის რაიკომის პირველ მდივანს ბ-ნ ემზარ ბერიძესაც (რომლის ინიციატივით ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთდა რაიონში და ყოველმხრივ დახმარებას და თანადგომას გვიწვევდა ჩვენც).

იმავლე ადგილას (XI ნაგებობაში) 4,0X4,0 მ. ფართობზე დავიწყეთ არქეოლოგიური გათხრები სათანადო მეთოდით (კაზრეთში საჭირო იარაღები დავამზადებინეთ, რადგან ეს ფენა ძალზე მკვრივი იყო). გარკვეულ სიღრმეზე ჩასვლის შემდეგ ისევ აღმოჩნდა ანალოგიური ქვისა და ძვლოვანი მასალა. ბ-ნი ვახტანგი არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ხელმძღვანელობისაგან დაუინებით მოითხოვდა სათანადო სპეციალისტები მოეკვლინებინათ ჩვენს ექსპედიციაში და ინტენსიური მუშაობა წარმართულიყო (თანხები გვქონდა) ამ ძეგლის სრულყოფილი, კომპლექსური შესწავლის მიზნით. მან წერილობით მიმართა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებულ არქეოლოგიურ კომისიასაც, რომელიც იმავე წელს ჩამოვიდა დმანისში ბ-ნი ანდრია აფაქიძის ხელმძღვანელობით. კომისიის შემადგენლობაში იყვნენ ბ-ნები დეო გაბუნია, თეიმურაზ მიქელაძე, თიარ ჯაფარიძე, დავით თუშაბრაძე, აბესალომ ვეკუა და სხვ. ჩვენთან მოვიდა დმანისის რაიკომის პირველი მდივანი ბ-ნი ემზარ ბერიძეც. გადაწყვედა, რომ ამ მნიშვნელოვანი ძეგლის არქეოლოგიური შესწავლის მიზნით აუცილებელი იყო კომპლექსური სამუშაოების ჩატარება.

1984-1989 წლებში მეტნაკლები ინტენსიურობით მიმდინარეობდა ამ ძეგლის გათხრა ჯერ თამაზ ბუგაიანიშვილის, შემდეგ ნუგზარ მგელაძის ხელმძღვანელობით (ბ-ნი ვახტანგის თხოვნით აგი ისევ ქვის ხანის ძეგლის შესწავლის საქმეს დაუბრუნდა). ექსპედიციაში მოწვეულნი იყვნენ: პალეონტოლოგი — აბესალომ ვეკუა, გეოლოგი — გივი მაისურაძე, პალინოლოგი — ნინო კლოპოტოვსკაია, გეოფიზიკოსები — ჯემალ სოლოლაშვილი და ელისაბედ ფავლენიშვილი. ბოლომდე გაითხარა XI ნაგებობის მთლიანი ფართობი. გარკვეული სამუშაოები ჩატარდა სხვა ნაგებობებშიც. გათხრების შედეგად გამოვლინდა ძალზე საინტერესო მასალა. ამ მასალის შესწავლის საფუძველზე ქართველმა მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ დმანისის პალეოლითური ძეგლი არის უნიკალური. იგი დაათარიღეს 1,0 მილიონ წელზე ადრეული ხანით. ძეგლის დათარიღებისათვის არქეოლოგიურ მასალასთან ერთად უმთავრესი, შეიძლება ითქვას, საფუძველთა საფუძველი პალეონტოლოგიური მასალა აღმოჩნდა (ძალზე მრავალფეროვანი ფაუნა). ამდენად ეს სადგომი მიჩნეულ იქნა მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლად.

1983 წლიდან (ამ ძეგლის აღმოჩენის დღიდან) ყველა ჩვენგანის ნატვრა იყო ამ ფენაში ადამიანის ნაშთის აღმოჩენაც. ერთხელ ბ-ნ აბესალომ ვეკუას ვკითხე — ბატონო აბესალომ, ადამიანის რა ნაწილის აღმოჩენას ინატრებთ-მეთქი? მან მიპასუხა — ერთი კბილი მაკოვნიანა, ისიც საკმარისიათ. ამის შემდეგ მალე მოხდა საოცრება: ამ ძეგლზე ქვის იარაღებისა და უძველესი ცხოველების ძვლებთან ერთად მა-

რთლაც აღმოჩნდა ადამიანის არა თუ ერთი კბილი, არამედ მთელი ყბა-
თექვსმეტივე კბილით! ეს მართლაც სენსაცია იყო. ეს აღმოჩენა
1991 წელს.

მინდა შედარებით დაწვრილებით აღვწერთ, თუ რა უძლოდა წინ ამ
დიდ (ადამიანის ნაშთი) აღმოჩენას.

XI ნაგებობაში გათხრების შემდეგ ნუგზარ მგელაძის მიერ 1988-
1989 წლებში ერთი კვადრანტი (2,0X2,0 მმ) ჩაიჭრა X შენობაში, დარა-
ნის სამხრეთით. იქაც საინჟინერო მასალა გამოვლინდა. შემდეგ, 1990
წელს, თბილისში ჩამოვიდა პალეოლითის ხანის მსოფლიოში ერთ-ერთი
ცნობილი სპეციალისტი გერმანელი პროფესორი ბ-ნი გერჰარდ ბოზი-
ნსკი. ინფორმაცია ჩვენი ძეგლის შესახებ მას მიღებული ჰქონდა და-
ვით ღორთქიფანიძისაგან (პალეოგეოგრაფი), უფრო დაწვრილებით კი
არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დირექტორის პროფ. თეარ ღორთ-
ქიფანიძისაგან. სტუმარი წავიყვანეთ დმანისში (მანამდე, თბილისში,



დმანისის ნაქალაქარს XI ნაგებობაში.

მარცხნიდან: დავით ღორთქიფანიძე, გერჰარდ ბოზინსკი, ვახტანგ ჯაფარიძე,
ჯუმბერ კოპალიანი, აბესალომ ვეკუა და შედეა ნიორაძე.

პალეონტოლოგიურ ლაბორატორიაში მას დათვალიერებული ჰქონდა
ბ-ნ აბესალომ ვეკუას მიერ შესწავლილი დმანისის ფაუნა). დაათვალი-
ერა ნაქალაქარის ფაქტიურად გათხრილი XI ნაგებობა, აქ აღმოჩენი-
ლი არქეოლოგიური მასალით. სტუმარიც ისეთივე აღტაცებული და-
რჩა, როგორც თავის დროზე ბ-ნი დავით თუშაბრამიშვილი. ბ-ნმა ბოზი-
ნსკიმ გამოთქვა სურვილი ჩვენთან თანამშრომლობისა და გვთხოვა,
ერთობლივი ძალისხმევით გაგვეგრძელებია ამ ძეგლის შესწავლა. ასეც
მოსდა, — 1991 წლიდან დმანისის არქეოლოგიურ ექსპედიციაში შეი-
ქმნა აქ არსებული ადრეპალეოლითური ძეგლის შემსწავლელი რაზმი



ქ-ნი მედეა ნიორაძის ხელმძღვანელობით (ბ-ნი ვახტანგის სურვილითა და თანხმობით). რაზმის შემადგენლობა გაფართოვდა, მასში ა. ვეკუა, ს. სტან, გ. მაისურაძესთან, ნ. კლოპოტოვსკაიასთან, ჯ. სოლოღაშვილთან, ე. ფავლენიშვილთან ერთად გაერთიანდნენ გ. ბოზინსკი, ა. იუსტუსი (გერმანია), დ. თუშაბრამიშვილი, დ. ლორთქიფანიძე, მ. თვალჭრელიძე და სხვები.

პირველ რიგში გადაწყდა ნუგზარ მეგლადის მიერ X ნაგებობაში გათხრილი ზემოთ აღნიშნული კვადრატის აღმოსავლეთით გაფართოება. სწორედ ამ გაფართოებულ მონაკვეთში მოხდა ის სენსაციური აღმოჩენა აღამიანის ნაშთისა.

სიამოვნებით მინდა აღვნიშნო, რომ თუ დღეს მსოფლიო მასშტაბით ასეთი დიდი ინტერესია ამ ძეგლისადმი, ეს ბ-ნი ვახტანგ ჯაფარიძის (ექსპედიციის ხელმძღვანელის) დიდი დამსახურებაა. მისმა აღდომ და დაუცხრომელმა ზრუნვამ ძეგლის სათანადო დონეზე შესწავლისათვის, როგორც აღვნიშნეთ, ძალიან ძალე გამოიღო სასურველი შედეგი.

თამაზ შაბინაშვილი

ქვის ხანის ახალი მონაკოვარი ქვემო ქართლში

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ქვემო ქართლში, დმანისის აღმინისტრაციულ რაიონში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის პალეოლითური რაზმის მიერ 1984-1986 წლებში შუა საუკუნეების დმანისის ნაქალაქარის ქვედაპალეოლითური ადგილსამყოფლის სტაციონალური თხრითა და რაიონში ჩატარებული დაზვერვითი სამუშაოებით მოპოვებული ძველი ქვის ხანის ნივთიერი მასალები.

დმანისის შუა საუკუნეების ნაქალაქარი მდებარეობს სოფელ პატარა დმანისის მახლობლად მდ. მაშავერასა და მისი შენაკადის მდ. ფინეზაურის ხეობებს შორის, ვულკანური წარმოშობის ზეგნისებურ შეუნიღ კონცხზე. მისი ნანგრევები ძვეს დოლერიტული ლავებით შეგუბებული რაღაც უძველესი წყალსატევის (ნამდინარევი ტბა?), ნამარხი ცხოველების მრავალრიცხოვანი ძვლოვანი ნაშთების შემცველი დელუვიურ-პროლუვიური მძლავრი დანალექებით ამოვსებული დრმუდის ზედაპირზე. შუა საუკუნეების სხვადასხვა ნაგებობების ნანგრევებისა და 3-4 მ სისქის გვიანი ფხვიერი ფენებისაგან გაწმენდილი ამ დანალექების ხილული ფართობი ამჟამად ნაქალაქარის ტერიტორიის დაახლოებით 3000 კვ. მ. მოიცავს.

1983 წელს დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ნაქალაქარის III უბნის XI ნაგებობის შიგნით თხატკვნიღ იატაკში ჩატრიღი სასინჯი თხრიღიღან, იატაკქვეშა დელუვიურ-პროლუვიური დანალექების სულ ზეღა პორიზონტებიღან ამოღებულ მიწაში, მეცნიერ თანამშრომელმა ნ. მგელაძემ იპოვღ ქვეღაპალეოლითური იერის ქვის რამდენიმე ნივთი. ნაპოვნი ნაკეთობების თავღაპირვეღი ადგიღსამყოფღის მეტი სიზუსტით განსაზღვრღ არ მოხერხღღ, მაგრამ მათი მოპოვების ფაქტმა სავარაუდო გზაღღღ, რომ ქვეღღ ფენები ცხოვეღღღ ძვღების გარღღღ, შესაძღღღღ, პირვეღღღღღღ აღამიანის ნახეღღღღ ნივთებისა ც შეიცავღღღღ და დღღღღღ საკითხი დმანისის ნაქალაქარის ამ უბანზე ქვის ხანის ნაშთების მიზნობრივი საძიებო სამუშაოების ჩატარების აუცილებლობის შესახებ.

1984 წლიღღღ ცხოვეღღღ ძვღებისა და სავარაუდო ქვის ხანის ნაშ-



თების შემცველი ფენების გათხრასა და შესწავლას შეუდგა დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის საგანგებოდ შექმნილი ზემოხსენებული პალეოლითური რაზმი. არქეოლოგიური თხრა 1984-1986 წლების მანძილზე მიმდინარეობდა XI შენობაში, საიდანაც ამოყრილ მიწაში პირველად იპოვეს ადრეული პალეოლითის ხანის ნუკლეუს-ნაბრეკვები. გათხრების პირველივე წელს აქ მკაფიო სტრატოგრაფიულ განფენილობაში აღმოჩნდა უძველესი ადამიანის გაკეთებული სხვადასხვა ქანის 7 ნივთი და საბოლოოდ დადგინდა, რომ სიღრმისეული ფენები ცხოველთა ძვლებთან ერთად შეიცავდა ქვედაპალეოლითურ ქვის ნაკეთობებსაც.

XI შენობა საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების 21 მ სიგრძის ქვითკირის ასიმეტრიული ნაგებობაა, რომლის ყველაზე ფართო ნაწილი 7,5 მ, ხოლო ვიწრო — 4 მ სიგანისაა. მეტ-ნაკლებად შემორჩენილი თიხივე კედლის სიმაღლე 1 მ-დან 4 მ-მდეა. შიგა ფართობი 120 კვ. მეტრს აღწევს. არქეოლოგიური სამუშაოების დაწყებამდე შენობის შიგნითა ნაწილი დაყოფილი იყო IXI მ ზომის კვადრატებად, აივანით კვადრატების ბაღე და ინსტრუმენტალურად გაევილო პირობითი ნულის ხაზი. გათხრების დროს გაირკვა, რომ შენობის ძველი შიგნითა ნაწილი, ლავურ საფუძვლამდე, ჩატრილი იყო შუა საუკუნეების სხვადასხვა დიამეტრის სამეურნეო ორმოებით, რომელთაც გაუნადგურებიათ ძველებიანი და ქვის იარაღიანი დანადგებების თიქმის ერთი შესამადი. გარდა ამისა, შენობის კედლების დაზიანება-დანგრევისაგან დასაცავად, არქეოლოგიური გათხრების მიმდინარეობისას მათ გასწვრივ დატოვებულ იქნა ხელუხლებლად ერთი მეტრი სიგანის მიწის ზოლი, რის შედეგადაც გასათხრელი ფართობი შემცირდა 50-52 კვ. მ-მდე. სამი საველე სეზონის განმავლობაში ნულის ხაზიდან 3 მ სიღრმემდე გათხარა 42 კვ. მ. (ტაბ. I; II, 1, 2).

არქეოლოგიური თხრილის დასავლეთ და ჩრდილოეთ ჭრილებში გეოლოგმა გ. მაისურაძემ გამოყოფა და აღწერა 9 შრე, რომელთაგანაც ზედა 7 დელევიური, ხოლო ქვედა, მერვე და მეცხრე, მდინარეული და ვულკანური წარმოშობისაა (ტაბ. II, 1,2; IV, 1).

I შრე. (ზევიდან ქვევით). თიხამწა და ყავისფერი, შუა საუკუნეების ადამიანის სამეურნეო ზემოქმედების კვალით (წარმოადგენდა XI შენობის თხატკეპნილ იატაკს), ძლიერ შეცემენტებული, კარბონატული. სიმძლავრე 0,15-0,2 მ. სიღრმე ნულის ხაზიდან 0,00-0,2 მ.

II შრე. თიხნარი სუსტად კარბონატული, და ყავისფერი, სუსტად დაქვიშიანებული, საშუალო ცემენტაციისა, 2-3 სმ ზომის ლავების ნატეხების ჩანარებით (30%), ნაგორები ლავების ქვარგვანების იშვიათი ჩანარებით. სიმძლავრე 0,43-0,45 მ. H=0,2-0,65 მ.

III შრე. კარბონატული ქერქი, ძლიერ შეცემენტებული, თეთრი ქვცლისებური სტრუქტურისა (ფსევდოფენოვანი), მკვრივი. სიმძლავრე 0,2-0,22 მ. H=0,65-0,87 მ.

IV შრე. თიხები ძლიერ ქვიშიანი, და მოყავისფრო, თეთრი წინწკლების ჩანარებით; შეინიშნება 2-3 სმ დიამეტრის დაუმუშავებელი

ლავების იშვიათი ჩანართები. სიმძლავრე 0,35-0,37 მ. $H=0,87-1,24$ მ.

V შრძ. თიხები ძლიერ ქვიშიანი (30%), ღია ყავისფერი, კარბონატული, სუსტად ტენიანი, 0,5-1 სმ ზომის ღავეური ქანების ნატეხებისა (10%) და წვრილი ღორღისებური მასალის (36%-მდე) ჩანართებით. სიმძლავრე 0,15-0,18 მ. $H=1,24-1,42$ მ.

VI შრძ. თიხები მოყავისფრო, მკვრივი, ტენიანი, წვრილი ნაშალი მასალის გარეშე, კარბონატული ძარღვებითა და ბუდეებით. სიმძლავრე 0,24-0,25 მ. $H=1,42-1,67$ მ.

VII შრძ. თიხები მოყავისფრო, ქვიშიანი, ტენიანი, საშუალო სიმკვრივის, კოშტოვანი ტექსტურის, წვრილი ღორღის იშვიათი ჩანართებით (საერთო მასის დაახლოებით 8%-10%), კარბონატული ძარღვებით. სიმძლავრე 0,5 მ. $H=1,67-2,17$ მ.

VIII შრძ. მდინარეული (?) დანალექების ღინზა, წარმოდგენილი ღია მონაცრისფრო საშუალო და მსხვილმარცვლოვანი ქვიშით; შეიცავს 0,5 სმ ზომის ღორღისებურ მასალას 20% რაოდენობით; შემაჯვებლის 80% ფხვიერი და შლადია. შეცემენტებული არ არის. მას ზოგან ენაცვლება ზედა VII შრე. სიმძლავრე 0,24-0,5 მ. $H=2,17-2,67$ მ.

IX შრძ. ვულკანური ქვიშა, მუქი მონაცრისფრო, საშუალომარცვლოვანი, ფხვიერი, ტენიანი, ნაშალი მასალის ჩანართების გარეშე, ადგილ-ადგილ გამკვრივებული. ძვეს ღავებზე (ძირითადი ქანი). სილული სიმძლავრე 0,2-0,25 მ. $H=2,67-2,92$ მ (ტაბ. III) (1).

აღმოსავლეთ და სამხრეთ ჭრილებში ფენათა აღწერილი სტრატოგრაფიული სვეტი დარღვეულია და სრულად არ არის წარმოდგენილი. დოლერიტული ღავები, რომლებიც ქვეშ უგია აღნიშნულ ფენებს, დახრილია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. თავის პიკურ სიმძლავრეს ისინი აღწევენ ჭრილის აღმოსავლეთ ნაწილში და ამიტომ აქ წარმოდგენილია მხოლოდ დელუვიური დანალექები, რომელთა სისქეც 1,4 მ-ს არ აღემატება. თხრისის სამხრეთ ნაწილში ზედა სამი ფენა მოჭრილია შუა საუკუნეებში ჩატარებული მიწის სამუშაოების დროს, მაგრამ ღავების განლაგების მნიშვნელოვნად დაბალი დონისა და მდინარეული ნალექების მეტი სიმძლავრის პირობებში ჭრილის სიღრმე აქაც 3 მ-ს აღწევს (ტაბ. IV, 1).

არქეოლოგიურ თხრისში ღავებისაგან მოტეხილ იქნა შტუფი პალეომაგნიტური განსაზღვრისათვის. იგი ნორმალურად დამაგნიტებული აღმოჩნდა (გ. მაისურაძე, ე. ფავლენიშვილი, ჯ. სოლოდაშვილი). ღავას და შრეების მთელ კონას გ. მაისურაძე ქვედა პლეისტოცენის ქვედა საფეხურს მიაკუთვნებს (1).

ყველა შრიდან აღებულია ნიმუშები მტვრის ანალიზისათვის. ჯერ-ჯერობით შესწავლილია ქვედა ორი შრის (VIII, IX) მონაცემები, რომლებშიაც ჭარბობს მუხის, რცხილისა და წიფლის მტვერი, ხოლო წიწვიანი მცენარეების მტვრის რაოდენობა უმნიშვნელოა. მტვრის ანალიზი ამ ეტაპზე პალეონოლოგ ნ. კლოპოტოვსკაიას საშუალებას აძლევს, გამოიტანოს დასკვნა, რომ აღნიშნული ქვედა პორიზონტების დალე-



ქვის დროს აქ გავრცელებული ყოფილა ფართოფოთლოვანი მეზობელი ლური ტყეები. ნიმუშების შესწავლა გრძელდება.

ნამარხი ცხოველების ძვლებს შეიცავდა ყველა შრე (ტაბ. IV, 2), მაგრამ მათი მეტი თავმოყრა შეინიშნებოდა ჭრილის ქვედა ნაწილში. უფრო ხშირად ისინი ქმნიან ბუდობისებურ გროვებს, მოკლებულს რაიმე გარკვეულ კანონზომიერებას განამარხებაში. ძვლები კარგადაა დაცული, ზომიერადაა ფოსილიზებული და აქვთ თეთრ-მონაცრისფრო ელფერი. მონაპოვარს შორის არის მთელი თავის ქალები ქვედაბოლოურთ და ჩონჩხის პოსტკრანიალური ნაწილები ანატომიურ შესახსრებაში. ბევრია ცალკეული და დამტვრეული ძვლები, მაგრამ გორვა-გადაადგილების ნიშნები მათ არ ეტყობათ. ეს მიუთითებს, რომ ძვლები წყალსატევში მოხვედრილა ძალიან ახლო მანძილიდან, ცხოველის დაღუპვისთანავე ან სულ ცოტა ხნის შემდეგ. უეჭველია, რომ პალეონტოლოგიური მასალის გარკვეული ნაწილი უძველესი ადამიანის „ნასუფრადის“ ნარჩენებია, რასაც მოწმობს შუაზე გაპობილი და დამსხვრეული ლულოვანი და სხვა ძვლები და მათი მოპოვება შრეებში ქვედაპალეოლითურ ქვის ნაკეთობებთან ერთად.

დმანისის ფაუნის შესწავლა ახლახანს დაიწყო და ბევრი ფორმები განსაზღვრულია მხოლოდ გვარამდე. სადღეისოდ მის შემადგენლობაში დადგენილია: არქიდისკოდონტა ჯგუფის სამხრეთის სპილო, სტენონის ცხენი, ეტრუსკული მარტორქა, მგელი, დათვი, დიდტანიანი კატისნაირი, ირემი, შველი, ირემლადი, ნამარხი თხა, გვიანი პლიოცენისა და ადრეული პლეისტოცენის ეობიზონების მსგავსი არქაული ძროხა, ზაზუნა და სხვ. აქვე აღმოჩნდა დიდტანიანი სირაქლემას თემოს ძვალი, მსგავსი ამ გვარის თღლუკაელი წარმომადგენლის ასეთივე ძვალი. ამრიგად, დმანისის ფაუნისტური კომპლექსი წარმოდგენილია ტყისა და ღია სივრცეების ბინადრებით, რომლებსაც უნდა ეცხოვრათ ზომიერად ცხელი კლიმატის პირობებში. პალეონტოლოგი ა. ვეპუა მთელ ამ ფაუნას და მისი ნაშთების შემცველ შრეებს წინასწარულად ეობიზონისტოცენის დასასრულითა და ქვედა პლეისტოცენის ქვედა დონის ათარიდებს (2, გვ. 22-23).

XI შენობის არქეოლოგიურ თხრილში გამოვლენილი ქვედაპალეოლითური ქვის ნივთები წარმოდგენილია სულ 19 ერთეულით და ცხოველის ძვლებისაგან განსხვავებით აღმოჩენილია მხოლოდ თხრილის 7 შრეში. ისინი არ იყო ზედა, მესამე, კარბონატისებული ქერქის შრეში და სულ ქვედა, კულკანური ქვიშის ფენაში. 9 მათგანი აღმოჩნდა ორ ყველაზე ზედა (I, II) ჰორიზონტში, ნულის ხაზიდან 0,18- 0,6 მ დონეზე, დანარჩენები კი ქვედა ფენებში. ამ პატარა კოლექციაში არის სხვადასხვა ადგილობრივი ქანების ბუნებრივი ნარეხებისა და ქვარგვანლებისაგან დამზადებული 5 ნუკლეუსი და 14 ანატაკეცი. მათი წიბობის გადაუღესაობა მოწმობს, რომ ნუკლეუსები და ანატაკეციები, ისევე როგორც ცხოველის ძვლები, ჩატანილია წყალსატევში ძალიან ახლო მანძილიდან. უეჭველია, რომ ისინი გადმოადგილებულია აქ ერთდროულად და, როგორც ჩანს, ერთი და იმავე თავდაპირველი ადგილსამყოფე-



ლიდან. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დღევანდელი განლაგების დღე-ღამე ქვის ნაკეთობები და ძვლების ნაწილი მოხვდა სადღაც აქვე-აქვით რზე, უშუალოდ წყალსატევთან, განლაგებული „ლია“ სადგომიდან.

ხუთივე ნუკლეუსი ერთფუძიანია, მათ შორის სამი გრძივი და ორი განივი ტიპისაა. გრძივები აღმოჩნდა შემდეგ კვადრატებში: კვ. A12, შრე II, H=0,5 მ (ტაბ. V), კვ. E15, შრე II, H=0,6 მ (ტაბ. VI, 1) და კვ. D17, შრე VIII, H=2,8 მ (ტაბ. VI, 2), ხოლო განივები — კვ. B6, შრე VIII, H=2,25 მ (ტაბ. VII) და კვ. D13, შრე V, H=1,5 მ (ტაბ. VIII). სამივე გრძივ ნუკლეუსს დარტყმის მოედანი გაფორმებული აქვს ერთი ფართო და მსხვილი ფირფიტის, განივებს კი ორი და რამდენიმე ასეთივე ფირფიტის ატკეცილი. ერთი ფირფიტის ატკეცილი გაფორმებული მოედნები დახრილია ზურგისაკენ და განლაგებულია ფრონტალური მხრის მიმართ 50° - 80° -იანი მახვილი კუთხით. ნუკლეუსის ზურგი ინარჩუნებს ქვარგვალის ქერქს, ან უკანო და უსწორმასწოროა. სამუშაო სიბრტყეზე განლაგებული ატკეცის ნეგატივები არასწორი მოყვანილობისაა, ფართო და ღრმაა. ნუკლეუსების სიმაღლე 3,5 სმ-დან 8,2 სმ-მდეა, სიგანე 2,4 სმ-დან 7,8 სმ-მდე, ხოლო სისქე 2,3 სმ-დან 5,9 სმ-მდე. ყველაზე დიდი ნუკლეუსი $8,2 \times 6,5 \times 6$ სმ ზომისაა (ტაბ. VI, 1), ხოლო ყველაზე პატარა, მინიატურული (ტაბ. VI, 2) — $3,5 \times 2,4 \times 3$ სმ ზომისა.

ანატკეცები მოგრძო (9 ც.) და მოკლე და ფართო (5 ც.) არასწორი მოყვანილობისაა. მოგრძოები ნაპოვნია შემდეგ კვადრატებში: კვ. E16, შრე VI, H=1მ (ტაბ. VI, 3), კვ. A11, შრე I, H=0,18 მ (ტაბ. IX, 1), კვ. B11, შრე VIII, H=2,27 მ (ტაბ. IX, 2), კვ. B4, შრე II, H=0,6 მ (ტაბ. X, 1), კვ. C6, შრე VII, H=2,1 მ (ტაბ. X, 2), კვ. E13, შრე II, H=0,4 მ (ტაბ. XI, 1), კვ. 12, შრე II, H=0,45 მ (ტაბ. XI, 2), კვ. C13, შრე II, H=0,4 მ (ტაბ. XII, 2), კვ. C14, შრე VI, H=1,6 მ (ტაბ. XIII, 1), ხოლო მოკლე, ფართო ანატკეცები — კვ. B8, შრე I, H=0,2 მ (ტაბ. IX, 3), კვ. B4, შრე VIII, H=2,2 მ (ტაბ. X, 3), კვ. A12, შრე IV, H=0,95 მ (ტაბ. XII, 1), კვ. D17, შრე IV, H=0,9 მ (ტაბ. XIII, 2) და კვ. D16, შრე II, H=0,45 მ (ტაბ. XIII, 3). ანატკეცებს, ძირითადად, აქვთ ფართო, გლუვი დარტყმის მოედნები (13 ც.), მკაფიოდ გამოსახული ნახევარწრიული მოყვანილობის დარტყმის წერტილით. მხოლოდ ერთსა აქვს მთლიანად ქვარგვალის ქერქით დაფარული მოედანი (ტაბ. XIII, 3). გლუვი დარტყმის მოედნები ანატკეცის გრძივი ღერძის მიმართ ირიბადაა განლაგებული და დახრილია ქვედა სიბრტყისაკენ 95° - 130° -იანი ბლაგვი კუთხით. წამყვანი ადგილი უკავია 110° - 120° -იანი კუთხით განლაგებულ მოედნებს (9 ც.). ანატკეცების ბურცული რელიეფურია და ქვედა სიბრტყის $1/3$, ნახევარი და ზოგჯერ $2/3$ -იც კი უკავია; ზურგს ეტყობა წინამორბედი უხეში ატკეცის კვალი, იგი უსწორმასწოროა ან, უფრო იშვიათად, დაფარულია ქვარგვალის გლუვი კანით, ე. ი. ნამზადი პირველადია. ანატკეცების სიგრძე 2,4 სმ-დან 9 სმ-მდეა, სიგანე 1,8 სმ-დან 7,7 სმ-მდე, ხოლო სისქე 0,8 სმ-დან 2,6 სმ-მდე. ყველაზე დიდი $9 \times 5,5 \times 2,5$ სმ ზომისაა (ტაბ. X, 1), ხოლო ყველაზე პატარა (ტაბ. V, 3) — $2,4 \times 1,8 \times 0,9$ სმ ზომისა.

ამრიგად, ნუკლეუსები და ანატკეცები ხასიათდებიან უხეში იერით,



საშუალო ზომებით, შედარებითი მასიურობით და ქვის გაპობა ატკეცის პრიმიტიული წესით. ქვის ნაკეთობების არქაული იერი, ტექნიკური ნიშნები და მათი მოპოვების პირობები, საბუნებისმეტყველო გამოკვლევების მონაცემებთან ერთად, ჯერჯერობით მხოლოდ იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ ისინი ადრეული აშელის ან წინააშელის ხანას მიეკუთვნოს და როგორც აქვე აღმოჩენილი ფაუნა, ასევე წინასწარულად, ეოპლეისტოცენის დასასრულითა თუ ქვედა პლეისტოცენის ქვედა დონით დათარიღდეს, ხოლო მიახლოებითი ასაკი 1-1,5 მილიონი წლით განისაზღვროს.

შემდგომი ყოველმხრივი გამოკვლევა და ახალი მონაცემების დაგროვება, უნდა ვივარაუდოთ, შეავსებს ჩვენს ცნობებს დმანისის ადგილსამყოფლის მასალების შესახებ და უფლებას მოგვცემს, დავაზუსტოთ მათი ასაკი და კულტურული კუთვნილება. თუმცა, მიუხედავად ამისა, უკვე ახლაც შეიძლება ითქვას, რომ დმანისის ნაქალაქარის ქვედაპალეოლითური ადგილსამყოფელი სადღეისოდ საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილი ამ ეპოქის უძველეს ძეგლს წარმოადგენს.

დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის პალეოლითური რაზმი, როგორც აღინიშნა, გარდა სტაციონარული გათხრებისა, დმანისის ადმინისტრაციული რაიონის ფარგლებში, შეძლებისდაგვარად, ატარებდა მოკლევადიან საძიებო სამუშაოებსაც. ამ დაზვერვების დროს მდ. ფინეზაურის მარჯვენა სანაპიროზე, სოფ. პატარა დმანისის ტერიტორიაზე, არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზის შენობის მახლობლად, მის ჩრდილო-აღმოსავლეთ-აღმოსავლეთით დაახლოებით 100-150 მ დაშორებით, მდინარის დონიდან 60-80 მ შეფარდებით სიმაღლეზე, ნახნავებში აღმოჩნდა ნუკლეუსი და ორი ანატკეცი.

ნუკლეუსი ერთფუძიანი, გრძივი ტიპისაა. დამზადებულია თამბაქოსფრად პატინირებული კირქვის მასიურ, სამკუთხედისებური მოყვანილობის ნატეხზე. მისი სიმაღლე 13 სმ-ია, სიგანე ფუძესთან — 11,2 სმ, ხოლო სისქე — 5,3 სმ. დარტყმის მოედანი გაფორმებულია სამკუთხედის ფუძის გადაბტკრევით, გლუვია და ფართო, დაქანებულია ზურგისაკენ და სამუშაო ზედაპირის მიმართ 80° -იანი მახვილი კუთხითაა განლაგებული. სამუშაო ზედაპირზე აქვს ატკეცის ერთი ფართო და ღრმა ნეგატივი. ზურგი სწორია. წიბოები სუსტად გადაღეხილი აქვს (ტაბ. XIV).

ერთი ანატკეცი გაკაუებული კირქვისა, დაბალი, ფართო მოყვანილობისაა. მისი სიგრძე 4,5 სმ-ია, სიგანე — 6,7 სმ, სისქე — 1,1 სმ, გრძივი ღერძის მიმართ ირიბად განლაგებული ფართო და გლუვი დარტყმის მოედანი დაქანებულია ქვედა სიბრტყისაკენ და 120° -იან ბლაგვ კუთხეს ქმნის მასთან. რელიეფური ბურცული ნიჟარისებური წარმონაქმნით ქვედა სიბრტყის ნახევარს მოიცავს. ზურგზე ეტყობა წინამორბედი ატკეცის ერთი ფართო და ღრმა ნეგატივი, დანარჩენი ნაწილი ქანის გლუვი კანით არის დაფარული (ტაბ. XV, 2).

მეორე ანატკეცი მონაცრისფრო ქანისა, მოგრძო, განიერი, არასწორი სამკუთხედისებური მოყვანილობისაა და მასიურია. მისი სიგრძე 7,5 სმ-ია, სიგანე — 4,7 სმ, ხოლო სისქე — 2,3 სმ. აქვს გრძივი ღერძის



მიმართ ირიბად განლაგებული ფართო, გლუვი ქვედა სიბრტყისაკენ 120⁰-იანი ბლაგვი კუთხით დაქანებული დარტყმის მოედანი კარგად მოსახული ნახევარწრიული მოყვანილობის დარტყმის წერტილით და რელიეფური ბურცული, რომელსაც ქვედა სიბრტყის ნახევარი უკავია. ზურგი მაღალი ორფერდაა, ეტყობა აგრეთვე წინამორბედი ატკეცის ერთი ფართო და ღრმა ნეგატივი (ტაბ. XV, 1).

მდ. მაშავერას მარცხენა შენაკადის მდ. აბულმუგის შუა ხეობის მარცხენა სანაპიროზე ელინისტური ხანის სამაროვნისა და გვიანი შუა საუკუნეების ნამოსახლარის ნაგებობების ნანგრევებთან, ხეობის გასწვრივ გამავალი სასოფლო გზის გადაღმა მეჩხერი ბუჩქნარითა და ხშირი დაბალი ბალახით დაფარულ მონაკვეთზე გამოვლინდა ქვის ორი ნივთი — ანატკეცი და სახოკი.

ანატკეცი მონაცრისფრო ქანისა, პირველადია. ზურგი დაფარული აქვს გლუვი კანით მისი სიგრძე 6 სმ-ია, სიგანე — 6,3 სმ, სისქე — 1,2 სმ, ე. ი. ანატკეცი დაბალი, ფართო მოყვანილობისაა. აქვს გრძივი ღერძის პერპენდიკულარული დარტყმის გლუვი მოედანი, რომელიც დაქანებულია ქვედა სიბრტყისაკენ და 120⁰-იან ბლაგვი კუთხეს ქმნის მასთან. რელიეფურ ბურცულს ქვედა სიბრტყის 2/3 უკავია (ტაბ. XVI, 2).

სახოკს აქვს ამოზნექილი სამუშაო პირი, განივი ტიპისაა, დამზადებულია მონაცრისფრო-მომწვანო ქანის მოგრძო, ფართო მოყვანილობის მასიურ ანატკეცზე. მისი სიგრძე 7,9 სმ-ია, სიგანე — 6,2 სმ, სისქე — 2,5 სმ. ზურგი არასწორი ორფერდაა, დაფარულია ქანის ბუნებრივი გლუვი კანით. გრძივი ღერძის პერპენდიკულარული დარტყმის მოედანი გაფორმებულია ორი ფართო ფორფიტის ატკეცით. ბურცულს ქვედა სიბრტყის მცირე მონაკვეთი უკავია, წიბოები სუსტად გადაღესილი აქვს. სახოკის სამუშაო პირი განლაგებულია დარტყმის მოედნის საპირისპირო, მასიურ, ამოზნექილ განივ გვერდზე, დამუშავებულია ზურგისმიერი ფართოფაცეტოვანი ციცაბო და საფეხუროვანი რეტუშით (ტაბ. XVI, 1).

მდ. მაშავერას მარცხენა სანაპიროს პლატოზე, დაახლოებით 100-150 მ შეფარდებით სიმაღლეზე, ზუსტად დმანისის ნაქალაქარის მოპირდაპირედ, სოფ. ვარდისუბნის მიწაზე, საკარტოფილე ნახნავებში ნაპოვნია იქნა ორი ანატკეცი: ერთი მათგანი შავი ფერის ქანისა (ანდეზიტ-ბაზალტი?) ღვევალუას ტიპისაა. ბოლო მოტეხილი აქვს. დარწმინდი ნაწილის სიგრძე 3,6 სმ-ია, სიგანე — 3,7 სმ, სისქე — 1 სმ. აქვს შუაში ამოზნექილი რეტუშით შესწორებულ-ფაცეტირებული დარტყმის მოედანი. ბურცულს ქვედა სიბრტყის მცირე მონაკვეთი უკავია. ზურგზე აქვს წინამორბედი ატკეცის ფართო და ღრმა ნეგატივი, რომელიც მას თითქმის მთლიანად მოიცავს. გრძივ გვერდებს ეტყობა ზურგისმიერი საკმაოდ ფართო და მსხვილფაცეტოვანი რეტუშით დამუშავების ცდის კვალი (ტაბ. XV, 4).

მეორე ანატკეცი თამბაქოსფრად ღრმად პატინირებული ქანისა, მოგრძო სამკუთხედისებური მოყვანილობისა, დაბალი ორფერდა ზურგისაა. იგი, შესაძლოა, წარმოადგენს ნამზადს წვეტანისათვის. მისი სი-



გრძე 6,7 სმ-ია, სიგანე ფუძესთან — 4,4 სმ, ხოლო სისქე — 1,4 სმ. აქვს სამკუთხედის ფუძეზე, გრძივი ღერძის მიმართ ირიბად განლაგებული ფართო, გლუვი, ქვედა სიბრტყისაკენ 110° -იანი ბლაგვი კუთხით დახრილი დარტყმის მოედანი. ბურცვლი არაა გამოსახული და ქვედა სიბრტყე სწორია (ტაბ. XV, 3).

თავისი ტექნიკური და მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით პატარა დმანისისა და მდ. აბულმუგის ხეობის ქვის ნივთები ქვედა პალეოლითის, კერძოდ, აშელის ეპოქის მიეკუთვნება, ხოლო სოფ. ვარდისუბნის ტერიტორიაზე მოპოვებული ანატკეცების ზოგადი თარიღია მუსტის ხანა.

ტაბულების აღწერილობა


- ტაბ. I. შენობა XI. გეგმა. 1984-1986 წლებში გათხრილი ფართობი.
- ტაბ. II. 1. შენობა XI. 1984-1986 წლების განახარი, დასავლეთი ჭრილი.
2. შენობა XI. 1986 წელს გათხრილი ნრდილოეთი ნაწილი. ჭრილი და შუა საუკუნეების სამკურნეო ორბოების ნაშთები.
- ტაბ. III. შენობა XI. ქვედაპალეოლითური ნაშთების შემცველი დასავლეთი შრეების დასავლეთი ჭრილი.
- ტაბ. IV. 1. შენობა XI. 1984-1986 წლების განახარი. აღმოსავლეთი და სამხრეთი ჭრილები და დაცვა.
2. 1985 წლის გათხრები. კვ. B13. შრე VII. H=1,75 მ. ცხოველის ძვლები.
- ტაბ. V. ნუკლეუსი ერთფუძიანი, გრძივი.
- ტაბ. VI. 1. ნუკლეუსი ერთფუძიანი, გრძივი.
2. ნუკლეუსი ერთფუძიანი, გრძივი, პაწია.
3. ანატკეცი შოგრძო, პაწია.
- ტაბ. VII. ნუკლეუსი ერთფუძიანი, განივი.
- ტაბ. VIII. ნუკლეუსი ერთფუძიანი, განივი.
- ტაბ. IX. 1. ანატკეცი შოგრძო.
2. ანატკეცი შოგრძო, პირველადი.
3. ანატკეცი შოკლე, ფართო.
- ტაბ. X. 1. ანატკეცი შოგრძო.
2. ანატკეცი შოგრძო, დანისებური.
3. ანატკეცი შოკლე, ფართო.
- ტაბ. XI. 1. ანატკეცი შოგრძო.
2. ანატკეცი შოგრძო.
- ტაბ. XII. 1. ანატკეცი შოკლე, ფართო.
2. ანატკეცი შოგრძო.

- ტაბ. XIII. 1. ანატკეცი შოგროძო.
2. ანატკეცი შოკლე, ფართო.
3. ანატკეცი შოკლე, ფართო, პირველადი.




ტაბ. XIV. ნუკლეუსი ერთფუძიანი, გრძივი, სამკუთხედისებური მოყვანილობისა.

- ტაბ. XV. 1. ანატკეცი შოგროძო.
2. ანატკეცი დაბალი, ფართო.
3. ანატკეცი შოგროძო, სამკუთხედისებური.
4. ანატკეცი ლეკალაური ამოხსეკილ-ფაცვეტირებული დარტყმის მოედნით.

- ტაბ. XVI. 1. სახოკი ამოხსეკილ სამუშაო პირიანი, განივი.
2. ანატკეცი დაბალი, ფართო.




 - ქვიშაქვიანი ქვიშაქვიანი;  - სამეცნიერო მონიტორინგი;


 - 1984 წ.;  - 1985 წ.;  - 1986 წ.;



կղ. 1



կղ. 2











Ելք. 1




Ելք. 2



1




1







2








3

































1







1. გ. შაისურაძე, დმანისის ნაქალაქარი, გეოლოგია და პალეომაგნიტური ანალიზის შედეგები (ხელნაწერი), თბილისი, 1985 წ.
2. А. К. Векуа; Ц. Д. Габелая; З. А. векуа, Дманисская фауна ископаемых позвоночных. II научная сессия Грузинского отделения Всесоюзного териологического общества посвященная 40-летию Великой Победы. План работы и краткое содержание докладов. Тбилиси, 1985 г.

მეფეა ნიორაძე, ანტიმ იუსტუსი

ქვის იარაღები დმანისის ადრეპალეოლითური კულტურა

არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დმანისის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ვახტანგ ჯაფარიძის ხელმძღვანელობით ამ თხუთმეტოდე წლის წინათ დმანისის ნაქალაქარის ტერიტორიაზე ქვის ხანის ადამიანის უძველესი დასახლების ნაშთებს მიაკვლია. ძველი მდებარეობს თბილისიდან სამხრეთ-დასავლეთით 85 კმ-ის დაშორებით, მდინარეების ფინეზაურისა და მაშავერას შესართავთან, მდინარის დონიდან 90 მ-ის, ხოლო ზღვის დონიდან 1000 მ-ის სიმაღლეზე აღმართულ კლდოვან კონცხზე (ტაბ. I).

დმანისის ნაქალაქარის ტერიტორიაზე ძველი ქვის ხანის ძეგლის (ტაბ. II) არსებობა 1983 წელს გახდა ცნობილი, როდესაც საგანგებოდ გაჭრილ საცდელ თხრილში პირველი ქვის იარაღები აღმოჩნდა (16, გვ. 7-8). მანამდე კი ექსპედიციის მიერ ნაქალაქარზე სამეურნეო დანიშნულების ორმოების წმენდისას დანალექ ფენებში აღმოჩენილმა ვილაფრანკული დროის განამარხებულმა ცხოველთა ძვლებმა, რომლებიც შეისწავლა პალეონტოლოგმა აბესალომ ვეკუამ (7, გვ. 22-23; 8, გვ. 13-14), შესაძლებელი გახდა გამოთქმულიყო ვარაუდი ამ ფენებში უძველესი დროის ადამიანის მატერიალური კულტურის ნაშთების არსებობის შესახებ.

1984-1986 წლებში თამაზ ბუგაინიშვილის მიერ, ხოლო შემდგომ 1987, 1989 წლებში ნუგზარ მგელაძის მიერ ძეგლზე მიკვლეულმა მეტად მნიშვნელოვანმა პრიმიტიულმა ქვის იარაღებმა და წარმოების ნაშთებმა, აგრეთვე ფაუნისტურმა მასალამ, ნათელი გახადა, რომ ძველი ადრეპალეოლითური ხანისაა (17, გვ. 102-110).

მკვლევართა მითითებით, ქვის ნაწარმის — ნუკლეუსები, ანატკეც-ანამტკრევეები ქვარგვალეებიდან, ქვარგვალეებზე და ანატკეცებზე დამზადებული იარაღები და სხვ. — ზედაპირის, მათი ნაპირებისა და წიბოების გადაღვისილობის არარსებობა მაჩვენებელი უნდა იყოს იმისა, რომ ისინი, ისევე როგორც ცხოველთა ძვლები, ძალზე ახლოს მდებარე თავდაპირველი ადგილსამყოფელიდან უნდა იყოს გადმოადგილებული. მათი ვარაუდით, ქვის ნაწარმი და ცხოველთა ძვლები განამარხების

ადგილას მოხვედრილი უნდა იყოს უშუალოდ წყალსაცავის ნაპირას მდებარე ე.წ. „ღია ტიპის“ ქვედაპალეოლითური სადგომიდან.

მკვლევარნი ქვის ნაწარმს მათი ტექნიკურ-ტიპოლოგიური ნიშნების მიხედვით (არქაული იერი, პირველადი ატკეცვისა და სამუშაო პირის გაფორმების პრიმიტიული ხერხები, უხეში მოყვანილობა და სხვ.), აგრეთვე პალეონტოლოგიური მონაცემების გათვალისწინებით, წინასწარი დაკვირვებით აღრუელ აშელს, ხან წინა შელს მიაკუთვნებდნენ და დმანისის ძველი ქვის ხანის ადამიანის სადგომს საქართველოსა და ყოფილი საბჭოთა კავშირის მთელს ტერიტორიაზე ყველაზე უფრო აღრუელ ძეგლად მიიჩნევდნენ (5, გვ. 9-11; 14, გვ. 344-349; 9, გვ. 33-35; 6, გვ. 26-28).

1991 წლიდან დღემდე დმანისის პალეოლითურ ძეგლზე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრისა და გერმანიის ქ. მაინცის რომაულ-გერმანული ცენტრალური მუზეუმის წინარე და აღრე ისტორიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ძველი ქვის ხანის განყოფილების თანამშრომელთა ერთობლივი საველე სამუშაოები მიმდინარეობს. სამუშაოებს ახორციელებს დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის (ხელმძღვანელები ვახტანგ ჯაფარიძე, ჯუმბერ კოპალიანი) ძველი ქვის ხანის შემსწავლელი რაზმი (ხელმძღვანელი — მედეა ნიორაძე) დავით თუშაბრამიშვილის, გერჰარდ ბოზინსკისა და ანტიე იუსტუსის (გერმანია) მონაწილეობით. ძეგლის მეცნიერულ კვლევა-ძიებაში უდიდესი როლი ენიჭება საბუნებისმეტყველო დარგის მეცნიერთა მონაწილეობას.

დმანისის აღრეპალეოლითურ ძეგლზე დღემდე ჩატარებულმა გათხრებმა ბახალტის ლავებზე დაღექილი დაახლოებით 3,5-4 მეტრი სისქის ერთმანეთისაგან ლითოლოგიურად განსხვავებული სხვადასხვა სიმძლავრის დელუვიური, მდინარეული და ვულკანური წარმოშობის ექვსი ფენა გამოავლინა (I-VI ფენები) (ტაბ. III). ამათგან II-V ფენები აღრეპალეოლითური ხანის ქვის მასალისა და ვილაფრანკული ასაკის ფაუნისტური ნაშთების შემცველია, ხოლო V ფენაში აღმოჩნდა ნამარხი ჰომინიდის *Homo erectus*-ის ქვედა ყბა კბილებით (4, გვ. 1-34; 33, გვ. 67-116; 2, გვ. 28; 3, გვ. 31-32; 13).

დღემდე მეცნიერები ადამიანის მიერ კავკასიის თავდაპირველი დასახლების პრობლემის განხილვისას გამოჰყოფდნენ აშ დასახლების ორ ეტაპს: პირველს — სავარაუდოდ აღრეპლეისტოცენურს, რომელიც შეესაბამებოდა ევრაზიის თავდაპირველი დასახლების დროს და მეორეს — შუაპლეისტოცენურს, რაც დასტურდებოდა მონაპოვარი მასალებით ე.წ. „ღია“ და მღვიმური ტიპის სტრატეფიცირებული ძეგლებიდან (27, გვ. 105-108).

დმანისის ნაქალაქარის ტერიტორიაზე და მის გარშემო ამ ბოლო წლებში ჩატარებულმა კვლევა-ძიებამ გვიჩვენა, რომ ადამიანის მიერ კავკასიის პირველი, უძველესი დასახლება ჯერ კიდევ ეოპლეისტოცენში მომხდარა.

როგორც აღვნიშნეთ, დმანისის აღრეპალეოლითურ ძეგლზე ქვის არტეფაქტები II, III, IV და V ფენებშია აღმოჩენილი.

ქვის მასალის სიუხვით გამოირჩევა II კულტურული ფენა — თიხნარი ღია ყავისფერი (სიძმ. 0,5-1 მ). ფენაში ძვლებთან შედარებით ქვის ნაწარმი გაცილებით უფრო დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი. II ფენა 1992-1995 წლებში 250 კვ. მეტრზე უფრო მეტ ფართობზე გაითხარა (I ფართობზე: X=45-54; Y=51-65; II ფართობზე: X=59-68; Y=55-59; III ფართობზე — X=70-74; Y=32-34; აგრეთვე შურფები: № 1-№ 4) (ტაბ. II).

III ფენაში ე.წ. „ქერქში“ — მკვრივი კარბონატიზირებული კირქვის შრე (სიძმლ. 0.2-0.3 მ), რომელიც 1996 წელს II გასათხრელ ფართობზე მხოლოდ 35 კვ. მეტრ ფართობზე გაითხარა, მცირე რაოდენობით ჩნდებოდა როგორც ქვის ნაწარმი, აგრეთვე ცხოველთა ძვლების ფრაგმენტები.

IV ფენა — თიხნარი მოყავისფრო და V ფენა — თიხნარი მოშავო-მოყავისფრო, ალაგ-ალაგ ქვიშისა და ღია ფერის თიხნარის ლინზების ჩანართებით, რომლებიც წინა წლებში გაითხარა შუა საუკუნეების ნაქალაქარის XI ნაგებობის შიგნით, ხოლო 1991 წელს — 1-9 კვადრატებში, ძვლებთან შედარებით აშკარად უფრო უმნიშვნელო რაოდენობის ქვის ნივთების შემცველია.

ქვის არტეფაქტები სხვადასხვა ფენებიდან საკმაოდ ერთგვაროვანია. არ ჩანს განსხვავება არც ქვის დამუშავების ტექნიკაში, არც იარაღთა ტიპებსა და ნედლეულში.

ნაპოვნია აგრეთვე ისეთი ქვებიც (ძირითადად ქვარგვალეები), რომელთაც არ გააჩნიათ დამუშავების კვალი ან მათი იარაღად გამოყენების აშკარად შესამჩნევი ნიშნები. ამგვარი ქვები, ერთეული ბაზალტის ქვების გარდა, რომლებიც ასევე მიკვლეულია დანაღეკ ფენებში, ბუნებრივია, ადამიანის მიერ იყო მოტანილი (ესენია ე. წ. მანუპორტები).

დღეისათვის ძეგლზე ათასეულობით ქვის ნიმუშია აღმოჩენილი, რომელთა შორის მასალის დაახლ. 90-95% II კულტურულ ფენას განეკუთვნება. გათხრებით ცხადი გახდა, რომ III ფენის ე. წ. „ქერქის“ ზემოთ 0,15-0,2 მ. სიმაღლეზე მდებარეობდა მონაპოვრებით მდიდარი შრე, რომელიც შეიცავდა მნიშვნელოვან ქვის მასალას: სხვადასხვა ზომის ქვარგვალეებს, ლავას, ბუნებრივ ანამტვრევებს, საეჭვო არტეფაქტებს, აგრეთვე დიდი რაოდენობით სხვადასხვა ანატეცებს, მათ შორის რეტუშირებულებს, ნუკლეუსებს, ქვარგვალეებზე დამზადებულ იარაღებს და სხვ. ძეგლზე ნუკლეუსების, ხელჩაქუჩების, იარაღებისა და წარმოების ნაშთების ერთად აღმოჩენა იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ქვის დამუშავება ხდებოდა ადგილზე.

ქვის მასალისა და ძვლოვანი ნაშთების კონცენტრაცია, მათი განაწილება ნამოსახლარის ფართობზე, აქ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ადამიანის ბინადრობის ამსახველი უნდა იყოს (ტაბ. IV).

ქვის იარაღების დასამზადებლად ნედლ მასალად ძირითადად ტუფია გამოყენებული, რომელიც დასამუშავებლად კარგ ნედლეულს წარმოადგენდა. მსგავსი ტუფი მრავალი ქვების სახით დღესაც გვხვდება დიდი რაოდენობით მდ. მაშავერასა და მდ. ფინეზაურის ხეობებში. კულტურულ ფენებში მიკვლეული ტუფის ქვები, რომლებიც შეისწავლა მერაბ თვალჭრელიძემ, ერთმანეთისაგან განსხვავდება სილიციუმის

შემცველობით (რაც მათი გაკაუების ხარისხის განმსაზღვრელია), აგრეთვე ფერთა და მარცვლოვანებით. გვხვდება როგორც წვრილი, ასევე მსხვილმარცვლოვანი ტუფები, რომელთაც გააჩნიათ ღია და მუქი ნაცრისფერი, მოყვითალო, მოვარდისფრო, მომწვანო შეფერილობა. ამავდროს შეიმჩნევა, რომ ფერადი ტუფი უმეტესად მდ. ფინეზაურის ხეობაში გვხვდება, მაშინ როდესაც მდ. მაშავერას ხეობაში უმთავრესად ვხვდებით ნაცრისფერ ტუფს. გარდა ამისა, ორივე მდინარის კალაპოტიდან ტუფის ქვარგვალეები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ფორმის მიხედვითაც. მდ. მაშავერას ხეობაში ძირითადად მრგვალი ქვები გვხვდება, მაშინ, როდესაც მდ. ფინეზაურის ხეობაში უფრო მოგრძო, დაკუთხული ფორმის ქვარგვალეებია წარმოდგენილი. მათი ზომებიც უფრო დიდია მდ. მაშავერას ხეობის ქვარგვალეებთან შედარებით.

ქვის ნაწარმზე გამოფიტვის განსხვავებული სტადიებია დადგენილი, რაც პირდაპირ კავშირშია ნედლი მასალის ქიმიურ და ფიზიკურ თვისებებთან. ირკვევა, რომ სილიციუმის მუავის შემცველობისა და წვრილმარცვლოვანი სტრუქტურის ნედლი მასალა უკეთესადაა შემონახული, ვიდრე უხეშმარცვლოვანი სილიციუმის მუავით ღარიბი ნედლი მასალა. მაღალი სილიციუმის მუავის შემცველი კაუსის მსგავსი მინისებური ქვის მასალა იშვიათად მოიპოვება ორივე მდინარის ხეობაში, რის გამოც ძეგლზე უმნიშვნელოა რიცხვი იმ არტეფაქტებისა, რომლებიც ამგვარი ნედლი მასალისაგანაა დამზადებული. ძირითადად ისინი გვხვდება პატარა ქვარგვალეების სახით, საიდანაც აიტკიცებოდა შესაბამისი მცირე ზომის ანატკეცები.

ტუფთან ერთად მიკვლეულია აგრეთვე კვარცისა და კვარციტის თითო-ორი ნაწარმიც. ამგვარი ქვები იშვიათად თუ მოიძებნება მდ. ფინეზაურისა და მდ. მაშავერას ხეობებში, რის გამოც ისინი ძეგლზე მხოლოდ ერთეული ნიმუშებითაა წარმოდგენილი.

ძეგლზე გამოვლენილი ყველა სახის ბახალტის ქვა არაერთგვაროვანია და დასამუშავებლად არ გამოდგება.

ზოგიერთი სპეციალურად შერჩეული და გამოყენებული მჭრელპირიანი ქვების გარდა, ყველა არტეფაქტი დამზადებულია მდინარეული ქვარგვალეებისაგან. ძეგლის მიდამოებში ამგვარი ქვარგვალეები არ აღმოჩენილა. ისინი მოტანილი უნდა იყოს დაახლოებით 200-300 მეტრის მოშორებით მდინარეების ხეობებიდან.

გაკაუებული ტუფიდან მიღებული ქვის ნაწარმის ზედაპირი მეტ-ნაკლებად პატინიზირებულია. პატინის გამო ქვის ქანის ფერი, სტრუქტურა და ზოგჯერ ქვის დამუშავების ნიშნებიც არაა მკაფიოდ გამოხატული.

დმანისის ადრეპალეოლითურ ძეგლზე მოპოვებული ქვის მასალა შეიძლება დაიყოს ოთხ ჯგუფად:

I. „ქვები“, რომელთა შორისაა: ქვარგვალეები < 4 სმ-ზე, ლავისა და სხვ. მასალის ბუნებრივი ანამტვრევები. მათი წარმოშობა, რომლებზედაც ადამიანის საქმიანობის კვალი არ ჩანს, ჯერ-ჯერობით არაა საკმარისად გამოკვლეული;

II. ქვარგვალეები დაზიანების გარეშე, რომელთა სიგრძე 4 სმ-ზე მეტია;



III. საექვო არტეფაქტები, რომელთა შორისაა ქვარგვალეები, ნეგატივებით და საექვო ანატკეცები;

IV. არტეფაქტები, რომელთა შორისაა ანატკეცები და ქვარგვალე-ბზე დამზადებული იარაღები, აგრეთვე ნუკლეუსები. გვხვდება სხვა-დასხვა ზომის ანამტვრევები, როგორც ბუნებრივი ქერქით, ისე მის გარეშე, რომლებიც ქვარგვალეებიდანაა ამტვრეული, ზოგიერთი კი მიღებულია იარაღის კეთების პროცესში.

იარაღის მისაღებად ქვის დამუშავება ხდებოდა ქვის ხელნაქუნებით. აღსანიშნავია, რომ ხელნაქუნად გამოყენებული ქვები, რომლებსაც ხანგრძლივად გამოყენების შედეგად დაჩეხილი ბოლოები გააჩნიათ, სულ ათიოდე ცალია აღმოჩენილი. როგორც ჩანს, ამგვარი ქვები არ იყო გამიზნულად შერჩეული და მხოლოდ ხანმოკლე დროის განმავლობაში გამოიყენებოდნენ. ანატკეცების მისაღებად ხელნაქუნით დარტყმა ხდებოდა ქვარგვალის მოხერხებულ ადგილზე (ტაბ. V_{1,2}). ხშირად ძნელია თქმა, რა იყო მიზანი — ანატკეცის მიღება, თუ ატკეცის შედეგად ქვარგვალზე მიღებული მჭრელი პირის შექმნა. შესაძლებელია ორივე. რაც შეეხება ანატკეცების გეგმაზომიერად მიღებას, ამ მიზნით პირველ რიგში ქვარგვალეებზე ერთი ან რამდენიმე დარტყმის გზით ხდებოდა დარტყმის მოედნის მომზადება (ტაბ V_{3,4}). ამგვარი დარტყმის მოედანი ნუკლეუსის სამუშაო ზედაპირთან 60°-იან კუთხეს ქმნის. ასეთ ფუძეზე მიყენებული დარტყმით ხდებოდა ანატკეცების ატკეცვა. ნუკლეუსებად გამოიყენებოდა როგორც ქვარგვალეები, ასევე უსწორმასწორო ფორმის ქვის ნატეხები, რომლებზედაც შეინიშნება ატკეცვის შედეგად მიღებული ნეგატივები. შესაძლოა, ნუკლეუსებიც გამოიყენებოდა, როგორც უხეში საჩეხისებური იარაღები.

ნუკლეუსები ძირითადად ერთფუძიანია, ცალმხრივი, განივი ან გრძივი ტიპის. ნუკლეუსების ცალი მხარე ხშირად ქვარგვალის გლუვი ქერქითაა დაფარული. სამუშაო ზედაპირზე განლაგებული ნეგატივები არასწორი მოყვანილობისაა, ფართოა და ღრმა. გვხვდება აგრეთვე ორი ან მრავალფუძიანი ნუკლეუსებიც. ნუკლეუსების სიმაღლე 3,5 სმ-დან 8,5-9 სმ-მდე მერყეობს, სიგანე — 2,5 სმ-დან 7,5 სმ-მდე, ხოლო სისქე 2,5 სმ-დან 6 სმ-მდე აღწევს (ტაბ. V_{3,4,5}). დმანისში აღმოჩენილია არა მხოლოდ დიდი ნუკლეუსები, საიდანაც ხდებოდა დიდი ზომის ანატკეცების მიღება, არამედ პატარა ზომისაც, საიდანაც აიტკიცებოდა შესაბამისი მცირე ზომის ანატკეცები. პატარა ქვარგვალეების დამუშავების პრინციპი — დარტყმის მოედნის მომზადება და სხვ. — ისეთივეა, როგორც დიდი ნუკლეუსების მიღებისას გამოყენებული ხერხები (ტაბ. V_{6,7}).

იარაღებად პირველ რიგში გამოიყენებოდა ანატკეცები (ტაბ. VI; VII). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დმანისის ადრეპალეოლითურ ძეგლზე მიკვლეულ ყველა არტეფაქტზე არსებული ნეგატივების რაოდენობა ერთად აღებული იქ აღმოჩენილი ანატკეცების რაოდენობასთან შეფარდებით 3,5-ჯერ მეტია. ანატკეცებს შორის გვხვდება გრძელი ან მოკლე და განიერი ანატკეცები. მათ ძირითადად გააჩნიათ გლუვი, სქელი და ფართო დარტყმის მოედნები აშკარად გამოხატული დარტყმის წერტილები



ბით (ტაბ. VI_{3,5}). გვხვდება ასევე შედარებით თხელი, ვიწრო გლუვდარტყმისმოედნიანი ანატაკეციბც. მოიპოვება ბუნებრივი ქერქით დაფარული დარტყმის მოედნიანებიც (ტაბ. VI₄; ტაბ. VII_{2,4,9}). ანატაკეტა შორის გვხვდება ისეთიც, რომელთაც არ გააჩნიათ კარგად გამოხატული დარტყმის მოედანი და ატაკეცვის ბურცობი. ხშირად გლუვი დარტყმის მოედნები ანატაკეცის სიგრძივი ღერძის მიმართ ირიბადაა განლაგებული და დახრილია ქვედა სიბრტყისაკენ 100⁰-130⁰-იანი ბლაგვი კუთხით. ატაკეცვის ბურცობები რელიეფურია და ქვედა სიბრტყის ნახევარი ან 1/3 ნაწილი უკავიათ. ანატაკეციბი, რომლებსაც ზურგის მხარე, ისევე როგორც შერჩენილი დარტყმის მოედანი მთლიანად 100%-ით აქვს დაფარული ბუნებრივი ქერქით, ანუ პირველადი ანატაკეციბი იშვიათად გვხვდება (ანატაკეტა 8,1%). მოიპოვება ისეთი ანატაკეციბიც, რომელთაც დარტყმის მოედნებზე გააჩნიათ როგორც ბუნებრივი ქერქი, აგრეთვე, სულ ცოტა, ერთი ნეგატივი. ანატაკეციბის 16%-ს ზურგი მთლიანად დაფარული აქვთ ბუნებრივი ქერქით, რაც ქვარგვალიდან ანატაკეტა ატაკეცვის დასაწყისი სტადიის მაჩვენებელია (ტაბ. VII_{1,6}). ზოგიერთს ნაწილობრივ აქვს ზურგზე შერჩენილი ქერქი (ტაბ. VI_{1,2}). ანატაკეტა 40%-ს ზურგის მხარეს ან სრულიად არ გააჩნიათ ქერქი, ანდა 25%-ზე უფრო ნაკლები ქერქი აქვთ (ტაბ. VI_{4,5,6,7}; ტაბ. VII_{3,4}). ამგვარი ანატაკეციბი ქერქის გარეშე განეკუთვნებიან ქვარგვალიდან ატაკეცვის უფრო განვითარებულ სტადიას.

ანატაკეციბი ზურგის მხრიდან ნეგატივებით მიუთითებენ ქვარგვალის ინტენსიურ დამუშავებაზე, ატაკეცვის თანამიმდევრობაზე (ტაბ. VII_{4,9}). ჭარბობენ ანატაკეციბი, რომელთა ნეგატივები მოწმობენ, რომ ქვარგვალიდან ატაკეტა ხდებოდა მხოლოდ ერთი მიმართულებით. ნეგატივები სხვადასხვა მიმართულებით ატაკეცვის ნიშნით იშვიათად შეინიშნება. ანატაკეტა სიგრძე 3,5-10 სმ-ია; სიგანე 3-8 სმ, ხოლო სისქე 1-3 სმ-ს შორის მერყეობს. ანატაკეციბი ხშირ შემთხვევაში მეორადი დამუშავების გარეშე გვხვდება.

დიდ ანატაკეტა ნაპირებს მჭრელი დანების ფუნქცია შეეძლოთ შეესრულებიათ. იარაღად გამოყენების შედეგად ანატაკეტა ნაპირები დაკბილულია. ზოგჯერ ეს დაკბილული ნაწილები ანატაკეცის გვერდებზე მომიჯნავე პაწია ამონადარებს წარმოშობს, ზოგჯერ კი ხერხისებურად გასდევს იარაღის სამუშაო მჭრელ პირს (ტაბ. VI₆; ტაბ. VII_{2,3,5,8}).

ღმანისის ქვის ინვენტარის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს პატარა ანატაკეციბი, რომლებიც სამუშაო იარაღებად გამოიყენებოდა (ტაბ. VII_{10,11,12}). ისინი ხშირად სპეციალურად შერჩეული, ძლიერ გაკაუბრებული ტუფისაგანაა მიღებული. ამგვარ ანატაკეციბს ნაპირებზე თითქმის ყოველთვის გააჩნიათ გამოყენების შედეგად მიღებული არაღრმა კბილანები, მსუბუქი რეტუშირების კვალი, რაც მათ ინტენსიურ გამოყენებაზე უნდა მიუთითებდეს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამგვარ ნიმუშებს, პირველ რიგში, ჭრის ან ამოკვეთის ფუნქცია შეეძლოთ შეესრულებიათ. ძალზე მცირე რაოდენობითაა აღმოჩენილი აგრეთვე 2-3 სმ-ზე უფრო პატარა ზომის ანატაკეციბიც, რაც ქვის დამუშავების დროსაა მიღებული.



დმანისის ადრეპალეოლითურ ძეგლზე რეტუშირებული ანატკეცები შედარებით იშვიათად გვხვდება (ტაბ. VII_{6,7}). ცხადია, ამგვარი ანატკეცები, რომელთაც მეორადი დამუშავების — რეტუშირების ნაპირები უფრო ბლაგვი ჰქონდათ, ვიდრე დამუშავებულ ანატკეცებს, საჭრელ დანებად არ გამოიყენებოდა. ისინი სხვა სამუშაოებისათვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი. შესაძლებელი იქნებოდა მათი სახოკებად გამოყენება. ანატკეცთა რეტუშირებული ნაპირები მიუთითებს, რომ რეტუშის სახე მარტივია, იგი ერთრიგაა და ანატკეცის ერთ-ერთ გვერდს გასდევს ზურგისა ან მუცლის მხრიდან. ამგვარი ანატკეცების რიცხვი 114 ცალს აღწევს. ამ ჯგუფში არაა გაერთიანებული ის ანატკეცები, რომელთაც რეტუში მათი იარაღად გამოყენების შედეგად აქვთ გააკეთებული.

დმანისის ქვის ინვენტარისათვის დამახასიათებელია ქვარგვალეებზე დამზადებული იარაღები. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ყოველთვის არ ხერხდება განსხვავების დადგენა ამ იარაღებსა და ნუკლეუსებს შორის, რომლებიც, პირველ რიგში, ანატკეცების მისაღებად იყო განკუთვნილი. აშკარად გამოხატული ნუკლეუსები, რომელთა დარტყმის მოედნის ნაპირებზე შეიმჩნევა გამოყენების ნიშნები პატარა კბილანების სახით, მოწმობს, რომ ისინი ერთდროულად გამოიყენებოდა როგორც ნუკლეუსებად, ასევე იარაღებად, ე.ი. არტეფაქტის ორივე ფუნქცია — ნუკლეუსი და იარაღი — ერთად თანაარსებობდა და თანამონაცვლობდა. ქვარგვალის დამუშავებისას მცირე ზომის ანატკეცების ატკეცვის შედეგად მიღებული პატარა ზომის ნეგატივები იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ისინი იარაღებად ყოფილა გამოყენებული და არა ნუკლეუსებად (ტაბ. VIII_{1,2,4}). თუმცა გვხვდება ისეთი ქვარგვალეებიც, რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ მათგან დიდი ზომის ანატკეცებია მიღებული, თავიანთი ფორმით, მჭრელი სამუშაო პირით, უპჭველია, საჩეხ იარაღებადაა გამოყენებული.

უხეში საჩეხისებური იარაღები — ე.წ. ჩოპერები მიიღებოდა ოვალური ან მომრგვალებული ფორმის ქვარგვალეების ერთი მხრიდან დამუშავებით — ირიბი, ძლიერი დარტყმით ერთი ან რამდენიმე ფირფიტის აცლის გზით (ტაბ. VIII_{1,2}). ქვარგვალეებიდან მიღებული სხვა საჩეხისებური იარაღების — ე.წ. ჩოპინგების მჭრელი სამუშაო პირები კი მიიღებოდა ქვარგვალეების ორივე მხრიდან დამუშავების გზით (ტაბ. VIII_{3,4}) ნაპოვნია ქვარგვალეებზე დამზადებული ისეთი იარაღებიც, რომლებსაც სამუშაო პირი სხვადასხვა ადგილებზე და სხვადასხვა მიმართულებით აქვთ განლაგებული. II ფენაში მოპოვებულ ერთ-ერთ ამგვარ იარაღს როგორც ერთი, აგრეთვე მეორე მხრიდან გათლის გზით მიღებული აქვს სამი სამუშაო პირი (ტაბ. VIII₅). ქვარგვალეებზე დამზადებული უხეში საჩეხისებური იარაღების სამუშაო პირი ზოგჯერ ამოხენქილია, ზოგჯერ თითქმის სწორი, გვხვდება აგრეთვე ჩახენქილსამუშაოპირიანებიც.

ხელცულელი დმანისის ადრეპალეოლითურ ძეგლზე არ აღმოჩენილა. არ შეგვხვედრია არც სამკუთხა მოყვანილობისა და არც წაწვეტებული



სამუშაო პირის მქონე იარაღები, რაც საშუალებას მოგვცემდა გვეზო-
რაუდა მათი გადასვლის შესაძლებლობა ხელცულის მაგვარი იარაღის
ფორმაზე. გვხვდება შემთხვევითი, მჭრელპირიანი ქვები, რომლებიც
იარაღად გამოყენების მიზნით ადამიანის მიერ საგანგებოდაა შერჩეუ-
ლი და სადგომზე მოტანილი. ამგვარი ქვების კიდეებზე აშკარად შეი-
ნიშნება მათი იარაღად გამოყენების შედეგად წარმოქმნილი მეტ-ნა-
კლებად მკაფიოდ გამოხატული დაკბილული ნაწილები.

იარაღების დასამზადებლად მხოლოდ და მხოლოდ ადგილობრივი ნე-
დლი ქანების გამოყენება; ქვის დამუშავების უხეში და მარტივი ატკე-
ცვის ტექნიკა; ქვარგვალეებზე დამზადებული იარაღები, ისევე, როგორც
იარაღთა არასტანდარტული ფორმები; ხელცულების არარსებობა —
წარმოადგენს დმანისის ადგილსამყოფელის დამახასიათებელ ნიშანს
და განსაზღვრავს მას, როგორც ტიპიურ ადრეპალეოლითურ ძეგლს.

ადრეულ პალეოლითში კულტურული დაჯგუფებების გამოსაყოფად,
აგრეთვე ქრონოლოგიური კლასიფიკაციისათვის, დიდი მნიშვნელობა
ენიჭება ხელცულებსა და ე.წ. კლივერებს — ორმხრივდამუშავებულ
იარაღებს — ბიფასებს, რომლებიც ადრეული აშელისათვისაა დამახა-
სიათებელი. ის ფაქტი, რომ დმანისში აღნიშნული იარაღები ნაპოვნი
არაა, ქვის ნაწარმის ტექნიკურ-ტიპოლოგიური ნიშნებისა და ბიოსტრა-
ტიგრაფიული მონაცემების გათვალისწინებით იმაზე მიუთითებს, რომ
ეს ძეგლი წინააშეღური პერიოდის უნდა იყოს.

დმანისის ადრეპალეოლითური ძეგლის დათარიღებისათვის დიდი მნი-
შვნელობა ენიჭება მდ. მაშავერას ლავური ნაკადის პალეომაგნიტური
კვლევის შედეგებს (28, გვ. 11-13) და კულტურული ფენების ქვეშ მდებ-
არე ბაზალტის ლავების იზოტოპურ ასაკს (33, გვ. 74-76). კალი-არგო-
ნული მეთოდის გამოყენებით ჰანს ულრიხ შმინკეს მიერ უკვე ორი
თარიღია მიღებული $1.8 \pm 0,1$ მლნ. წ. და $1,9 \pm 0,2$ მლნ.წ. თუ გავითვალის-
წინებთ დმანისის ადრეპალეოლითურ ძეგლზე ფენების ქვეშ ბაზა-
ლტის ლავების პირდაპირ დამაგნიტებულობას და იმასაც, რომ მკვლე-
ვართა მითითებით „დადებითი“ (პირდაპირი) დამაგნიტებულობა შესაძ-
ლოა დაკავშირებული იყოს ოლდუვას ეპიზოდთან, მაშინ გამოდის,
რომ დმანისის ადრეპალეოლითური ძეგლი შეიძლება დავუკავშიროთ
პალეომაგნიტური სკალის ოლდუვას ეპიზოდს, რომელსაც ადგილი
ჰქონდა მატუიამას პალეომაგნიტურ ეპოქაში 1,87 - 1,67 მლნ. წლის
წინ, რაც სრულ შესაბამისობაშია დმანისის ბაზალტის ლავების იზო-
ტოპურ ასაკთან.

დმანისის მონაპოვრებით ცხადი გახდა, რომ კავკასია უკვე ეოპლეო-
სტოცენში ყოფილა დასახლებული ადამიანთა მიერ.

დღეისათვის ეოპლეისტოცენსა და ქვედა პლეისტოცენის დასაწყისს
მიაკუთვნებენ კავკასიის სხვა ძეგლებსაც. ესენია: ამირანის გორა სა-
მხრეთ საქართველოში (1, გვ. 15-16) და აზიხის მღვიმე (VII - X ფენე-
ბი) მთიან ყარაბაღში (15), რომელიც წლების განმავლობაში მწვავე
დისკუსიის საგანს წარმოადგენდა. აზიხის მღვიმის ქვედა პორიზო-
ნტებს (მე-16, მე-17) მკვლევარნი ეოპლეისტოცენს, დაახლ. 1 მლნ. წლის



წინანდელ დროს, მიაკუთვნებენ (11, გვ. 22-31).

არქაული ქვის არტეფაქტები ეოპლეისტოცენის ფაუნით ნაჯავნია აგრეთვე ჩრდილოეთ კავკასიაში. ესენია: ყუბანისპირეთში იგნატენკოვ კუტოკი (20; 29; 31; 10) და ციმბალი ტამანზე (31; 23; 12; 21). ეს ადგილსაპოვებლები, რომელთა აღუვიურ ნაღებებში მიკვლეული ქვის ნაწარმისა და განამარხებულ ცხოველთა ძვლების თანადროულობა არაერთხელ დამდგარა ეჭვის ქვეშ, მოითხოვს სპეციალურ შესწავლას.

ქვარგვალების ინდუსტრია სამკუთხა ეხშიცაა (ყარაჩაი-ჩერქეზეთი) მიკვლეული (18), სადაც მესამე და მეოთხე ყველაზე ძველი კულტურულ-ქრონოლოგიური კომპლექსების ასაკი ბევრად უფრო ახალგაზრდაა დმანისზე (19). ასევე ახალგაზრდაა აზიხის მღვიმის V ფენა, სადაც ადამიანის ქვედა ყბის ფრაგმენტია აღმოჩენილი, კუდარო I, III-ის (24, გვ. 59; 25, გვ. 23-35.), წონას (22; 30, გვ. 440-442) მღვიმეების ქვედა ფენები, რომლებიც აშელურ ხანას განეკუთვნება.

კავკასიის პალეოლითის ქრონოსტრატოგრაფიულ სქემაში, რომელიც ძირითადად მღვიმური ძეგლების შედარებითი და აბსოლუტური გეოქრონოლოგიის მონაცემებზე დაყრდნობითაა წარმოდგენილი (26, გვ. 5-14), დმანისის ღია ტიპის ძეგლი ძველი ქვის ხანის დასაწყისს, სულ ქვედა საფეხურს მიეკუთვნება და, ამდენად, კავკასიის ტერიტორიაზე ყველაზე უფრო ადრეულ ძეგლს წარმოადგენს.

გარკვეულ მსგავსებას ავლენს დმანისის მასალები უბედიას მონაპორებთან პალესტინაში, რომლის ასაკია 1,4 მლნ. წ. (41; 32), თუმცა ბიოსტრატოგრაფიული თვალსაზრისით დმანისი უბედიასზე რამდენადმე უფრო ძველი უნდა იყოს (42, გვ. 77-180). დმანისზე უფრო ადრეული ძეგლი ჩანს პალესტინაში იურონი, სადაც 2,4 მლნ. წლით დათარიღებული ბაზალტის ლავების ქვეშ მიკვლეულია ქვის არტეფაქტები ცხოველთა ძვლების გარეშე (40).

დმანისის თანადროული ძეგლები კარგადაა ცნობილი აღმოსავლეთ აფრიკიდან — ოლდუვაის ხეობიდან (34; 35; 36; 37; 38; 39): ოლდუვაი DK, რუდოლფის ტბასთან ლეკ ტურკანა, კოობი ფორა (36) და სხვ., სადაც ოლდუვაის კულტურისათვის დამახასიათებელ არტეფაქტთა გარკვეული ჯგუფებია წარმოდგენილი, ესენია: ქვარგვალები, ანატაკეცები, ქვარგვალეებზე და ანატაკეცებზე დამზადებული იარაღები და სხვ., ხელცულები არ მოიპოვება.


დმანისის ქვის მასალა საშუალებას გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ შესაძლოა აქ საქმე გვქონდეს ოლდუვაის ინდუსტრიის მსგავსი ქვარგვალების ინდუსტრიასთან ხელცულების გარეშე.

არქეოლოგიური სამუშაოები დმანისის ადრეპალეოლითურ ძეგლზე გრძელდება, მოსალოდნელია ახალი საინტერესო მასალის მოპოვება, რაც უფრო სრულად გამოავლენს დმანისის უძველეს პალეოლითურ კულტურას.




- ტაბ. I — მდ. მაშავერასა და მდ. ფინეზაურის მიერ წარმოქმნილი კონცხი, სადაც განლაგებულია დმანისის შუასაუკუნეების ნაქალაქარი და ადრეპალეოლითური ძეგლი;
- ტაბ. II — შუასაუკუნეების ნაქალაქარის გეგმა, სადაც მდებარეობს პალეოლითური ძეგლი. გეგმაზე ნაჩვენებია სხვადასხვა წლების გათხრები, 1991-1996 წლებში გათხრილი I, II და III ფართობები (FL), აგრეთვე საკონტროლო თხრილები №1-№4;
- ტაბ. III — პალეოლითური ნამოსახლარის კულტურული ფენების ჭრილი;
- ტაბ. IV — მონაპოვარი მასალის განაწილება II კულტურულ ფენაში;
- ტაბ. V — ქვარგვალეები ნეგატივით, ნუკლეუსები;
- ტაბ. VI და VII — ანატკეცები სხვადასხვა, მათ შორის რეტუშირეზულეები და იარაღად გამოყენების შედეგად გვერდებზე წარმოქმნილი კვალით;
- ტაბ. VIII — ქვარგვალეებზე დამზადებული იარაღები.

ღმანისის ნაქალაქარი




ღმანისის ადრეკალაოლითური კვბლი.
მონაკოვზარი მასალის ბანაწრილება II ვენაში
(1992 წლის ბათხრები)



 — კვა (არტეფაქტი ან მონუპორტი)


 — ძვალი

ՅձԸ. III






ՅձԸ. IV








1






2




3

4



6





?




M=2:3.


5






VII







1. მ. გაბუნია, ჯავახეთის ამირანის გორის ძველი ქვის ხანის ნაბინარი, კავკასიის არქეოლოგია: უახლესი აღმოჩენები და პერსპექტივები, საერთაშორისო მეცნიერო სესიის მოხსენებათა მოკლე შინაარსები, თბილისი, 1997 წ.
2. მ. ნიორაძე, დმანისის ადრეპალეოლითური ძეგლი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: საქართველოს ებრაელთა ისტორია, საქართველო-პალესტინისა და ქართულ-ებრაული ურთიერთობანი, თუზისები, თბილისი, 1996 წ.
3. მ. ნიორაძე, ა. იუსტუსი, დმანისის ადრეპალეოლითური ძეგლის არქეოლოგიური კვლევის შედეგები, კავკასიის არქეოლოგია: უახლესი აღმოჩენები და პერსპექტივები, საერთაშორისო სამეცნიერო სესიის მოხსენებათა მოკლე შინაარსები, თბილისი, 1997 წ.
4. ვ. ჯაფარიძე, გ. ბოსინსკი, თ. ბუგინიშვილი, დ. გაბუნია, ა. ვეკუა, მ. თვალჭრელიძე, დ. თუშაბრამიშვილი, ა. იუსტუსი, ნ. კლოპოტოვსკაია, დ. ლორთქიფანიძე, გ. მანსურაძე, ნ. შველაძე, მ. ნიორაძე, დმანისი, ძველი ქვის ხანის აღმოჩენები სამხრეთ საქართველოდან, პრეპრინტი, თბილისი, 1991 წ.
5. Бугианишвили Т. В. Мгеладзе Н. Р. Нижнепалеолитическое местонахождение Дманисского городища, научная конференция по археологии Кавказа: „Средневековые города и городская жизнь Кавказа“, Тезисы докладов, Тбилиси, 1988 г.
6. Бугианишвили Т. В. Векуа А. К. Векуа З. А., Мгеладзе Н. Р., Древнейшее нижнепалеолитическое местонахождение, в сб.: „Палеолит Кавказа и сопредельных территорий, посвященный 100-летию со дня рождения проф. Ниорадзе Г. К., Тбилиси, 1990 г.
7. Векуа А. К., Габелая Ц. Д., Векуа З. А. Дманисская фауна ископаемых позвоночных, II научная сессия Грузинского отделения всесоюзного териологического общества, Тбилиси, 1985 г.
8. Векуа А. К., Векуа З. А. Дманисская фауна позвоночных и ее стратиграфическое значение, научная конференция по археологии Кавказа „Средневековые города и городская жизнь Кавказа“. Тезисы докладов, Тбилиси, 1988 г.
9. Векуа А. К. Мгеладзе Н. Р., Природная среда древнего человека из Дманиси, Всесоюзное совещание по проблеме „Человек и природа в древнекаменном веке“, краткие содержания докладов, Тбилиси, 1990 г.
10. Величко А. А., Иванова И. К. Муратов В. М., Геологическая история Русской равнины Крыма и Кавказа в плейстоцене и возраст палеолитических культур, Природа и развитие первобытного общества на территории Европейской части СССР, М. 1969 г.
11. Величко А. А., Антонова Г. В., Зеликсон Э. М. и др., Палеогеография стоянки Азых — древнейшего поселения первобытного человека на территории СССР, Изв. АН СССР, серия географическая, №3, М. 1980 г.
12. Верещагин Н. К. Остатки млекопитающих из четвертичных отложений Таманского полуострова, Труды Зоологического института, т. 22, М. Л. 1957 г.
13. Габуния Л. К., Векуа А. К. Дманисский человек и сопутствующая фауна позвоночных, Тбилиси, 1993 г.
14. Габуния Л. К., Векуа А. К., Бугианишвили Т. В., Среда обитания древнейших ископаемых людей Кавказа, Известия АН Грузии, серия биологическая 14, №5, Тбилиси, 1988 г.
15. Гусейнов М. М. Древний палеолит Азербайджана, Баку, 1985 г.
16. Джапаридзе В. В. Дманиси — город средневековой Грузии, Научная конференция по археологии Кавказа, „Средневековые города и городская жизнь Кавказа“, Тезисы докладов, Тбилиси, 1988 г.

- 
17. Джапаридзе В. В., Копалиани Дж. Д., Бугианишвили Т. В., Болквадзе Т. С., Гочиашвили М. С., Мгеладзе Н. Р., Абрамишвили Р. С. О работах Дманисской экспедиции, Полевые археологические исследования в 1986 года, Тбилиси, 1991 г.
 18. Дороничев В. Б. Палеолит Карачаево-Черкесии, Проблемы антропологии и археологии каменного века Евразии, Тез. докл. науч. конференции. Иркутск, 1987 г.
 19. Дороничев В. Б., Ашельская стоянка в Треугольной пещере, Вопросы археологии Адыгеи, Майкоп, 1992 г.
 20. Замятнин С. Н. Очерки по палеолиту, М. Л. 1961 г.
 21. Иванова И. К., О следах деятельности ископаемых гоминид в отложениях эоплейстоцена и раннего плейстоцена Европы, В кн.: Геология и фауна нижнего и среднего плейстоцена Европы, М. 1972 г.
 22. Каландадзе А. Н. Цонская пещера и ее культура, IV Internat. Speläologenkongr. in Jugoslawien, Ljubljana, 1969.
 23. Любин В. П. Палеолит Северной Осетии, Материалы по археологии и древней истории Северной Осетии, т. 2. Орджоникидзе, 1969 г.
 24. Любин В. П. Ранний палеолит Кавказа, в кн.: Палеолит СССР, М. 1984 г.
 25. Любин В. П. Палеолит Кавказа, Палеолит Мира, Палеолит Кавказа и Северной Азии, Л. 1989 г.
 26. Любин В. П., Хроностратиграфия палеолита Кавказа, Российская археология, М., 1993 г.
 27. Любин В. П., Проблемы первоначального заселения Северного Кавказа, Актуальные проблемы археологии Северного Кавказа (XIX "Крупновские чтения"). Тезисы докладов, М., 1996 г.
 28. Майсурадзе Г. М., Сологашвили Дж. З., Павленишвили Е. М., О возрасте Машаверского долеритового потока, научная конференция по археологии Кавказа, „Средневековые города и городская жизнь Кавказа“, Тезисы докладов, Тбилиси, 1988 г.
 29. Паничкина М. З. Новые палеолитические местонахождения левобережных притоков р. Кубани, в кн.: Материалы по археологии, Адыгеи, т. 2. 1961 г.
 30. Тушабрамишвили Д. М., Развитие культуры, в кн.: Грузия в антропогене, Тбилиси, 1991 г.
 31. Формозов А. А., Каменный век и энеолит Прикубанья, М., 1965 г.
 32. Bar-Yosef O., The evidence for the earliest hominids in the Near East, In: Les Premiers Peuplements Humains de l'Europe, 114 Congr. des Sociétés Savantes, 1989.
 33. Džaparidze V., Bosinski G., Bugianišvili T., Gabunia L., Justus A., Klopotovskaja N., Kvavadze E., Lordkipanidze D., Majsuradze G., Mgeladze N., Nioradze M., Pavlenišvili E., Schminke H.-U., Sologašvili D., Tušabramišvili D., Tvalčrelidze M., Vekua A., Der altpaläolithische Fundplatz Dmanisi in Georgien (Kaukasus), Jahrbuch des Römisch-Germanischen Zentralmuseums Mainz, 36, 1989 (1991).
 34. Leakey L. S. B. , Leakey M. D. Recent discoveries of fossil hominids in Tanganyika. At Olduvai and near Lake Natron. - "Nature", vol. 202, 1964.
 35. Leakey M. D. Preliminary survey of the cultural material from Beds 1 and 11, Olduvai Gorge, Tanzania - In: Background to evolution in Africa. Ed. by W. W. Bishop and J. D. Clark. Chicago, 1967.
 36. Leakey M. D. Early artefacts from Koobi Fora area. -"Nature", vol. 226, 1970.
 37. Leakey M. D. Olduvai Gorge, vol 3. Excavations in Beds 1 and 11, 1960-1963. Cambridge, 1971.



ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ԳՐԱԴԱՐԱՆ և ՀԱՄԱՐՏԱՅԻՆՈՒԹՅԱՆ ԱԿՏԻՎՈՒԹՅԱՆ ԿԵՆՏՐՈՆ

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ԳՐԱԴԱՐԱՆ և ՀԱՄԱՐՏԱՅԻՆՈՒԹՅԱՆ ԱԿՏԻՎՈՒԹՅԱՆ ԿԵՆՏՐՈՆ

38. Leakey R. E. F. Evidence for an advanced Plio-Pleistocene hominid from East Rudolf, Kenya. - "Nature", vol. 242, 1973.
39. Leakey R. E. F., Behrensmeyer A. K., Fitch F. J., Miller J. A., Leakey M. Fauna and artefacts from a new Plio-Pleistocene locality near lake Rudolf in Kenya. - "Nature", vol. 223, 1970.
40. Ronen A., The Yiron-Gravel Lithic Assemblage, Artifacts older than 2.4 my in Israel. Arch. Korbl. 21, 1991.
41. Tchernov. E., Guerin Cl., Conclusions sur la faune du gisement Pleistocène ancien d'Oubeidiyeh (Israel), Mém. et Trav. du Centre de Recherche Français de Jerusalem 5, 1986.
42. Vekua A., Die Wirbeltierfauna des Villafranchium von Dmanisi und ihre biostratigraphische Bedeutung, Jahrbuch des RGZM Mainz, 42, 1, 1996.

ლეო ბაბუნია, აკადემიკოსი ვაკუა, ღაზით ლორთქიფანიძე

დმანისის ჰომინიდის ეკოლოგიური გარემო

ნამარხი ადამიანის არასრული, მაგრამ კარგად დაცული ქვედა ყბის აღმოჩენა დმანისის მილამოებში ამ ბოლო დროის უმნიშვნელოვანეს მოვლენად უნდა ჩაითვალოს პალეოანთროპოლოგიისათვის. საქმე ისაა, რომ დმანისის ადამიანის თანმხლები ფაუნისა და არტეფაქტების დიდი სიძველე უკვე აღარ იწვევს ეჭვს. დღეს ამ ჰომინიდის ქვედა აფშერონული ან ბიჰარიული ასაკი (შეპირისპირების სქემა) დასტურდება არა მარტო ბიო და მაგნიტოსტრატოგრაფიული მონაცემებით (41; 9; 29), არამედ უშუალოდ ძვლოვანი შრეების ქვეშ მდებარე ბაზალტების იზოტოპური ასაკითაც (43). ამიტომაც საკმაოდ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ადამიანი, რომელმაც დმანისის ქვის ინდუსტრია შექმნა, ერთ-ერთი უძველესია ევრაზიაში. ეს კი საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ დმანისის რეგიონი შეიძლებოდა ყოფილიყო ადამიანის ევრაზიაში განსახლების ერთი ყველაზე ადრინდელი კერათაგანი. არაა გამორიცხული, რომ სწორედ აქ გადიოდა ე. წ. დევანტური დერეფნიდან (20) დასავლეთითა და ჩრდილო-აღმოსავლეთით მიმავალი პროჰორეზის გზები. ყოველივე ამის გამო განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ ეკოლოგიური წინაპირობების გაშუქებას, რომლებმაც განსაზღვრეს ამიერკავკასიაში ადრეული ჰომინიდების განსახლება. მაგრამ ვიდრე ამ წინაპირობებზე გავაგრძელებდეთ სიტყვას, მოკლედ შევეხდეთ თვით დმანისის ადამიანს — იმ ახალი ბიოცენოზური თანასახოტადობის უმნიშვნელოვანეს წევრს, რომელიც, როგორც ჩანს, ამიერკავკასიაში უკვე პლიოცენის ბოლოს გავრცეელდა.

როდესაც ჩვენ დმანისის ადამიანის *Homo erectus*-ის ჯგუფისადმი მიკუთვნების საკითხს ვიხილავდით, ხაზგასმით მივუთითეთ მის ისეთ თვისებებზეც, რომლებითაც ის საგრძნობლად განსხვავდება ამ სახეობის დღემდე ცნობილი წარმომადგენლებისაგან (33). ვგულისხმობთ დმანისელის მოლარების მკვეთრ დისტალურ რედუქციას (სიდიდის შემცირებას M_1 -დან M_3 -მდე), პრემოლარების, განსაკუთრებით P_2 -ის მცირე ზომებს, სიმფიზის წინა ზედაპირის შედარებით ნაკლებ დახრილობას და სხვ., რომელთა აპომორფული ხასიათი თითქოს არ იწვევს ეჭვს

და შესაძლოა მის ადრეულ *Homo Sapiens*-თან მსგავსებას მივხვდეთ ნებდეს. დმანისის ქვედა ყბის სწორედ ამ ჰომინიდულმა ნიშნებმა მიიქცია გერმანელი ანთროპოლოგის ბრაუერის (25) განსაკუთრებული ყურადღება და მიიყვანა იგი დასკვნამდე, რომ დმანისის ადამიანი *Homo erectus*-ის პროტრესული ფორმაა. მაგრამ რადგან ასეთი „პროტრესულობა“ ნაკლებად შეესაბამება ამ ნამარხის ადამიანის ადრეაფშერონულ ასაკს (პლეისტოცენის დასაწყისი), ავტორმა სცადა ერთგვარი ეჭვი შეეტანა მის ხიდველეშიც: დმანისის ჰომინიდის თანმხლები *Arc-hidiskodon meridionalis* შუა პლეისტოცენამდე აღწევდაო, შენიშნა მან. დმანისის ადამიანის გეოლოგიურ ასაკს ცოტა მოგვიანებით შევეხებით და იმასაც ვუჩვენებთ, რომ ჩვენი დათარიღება ნაკლებად ეყრდნობა სამხრეთულ სპილოს და რომ ამ უკანასკნელის სისტემატიკისა და სტრატოგრაფიული გავრცელების საკითხი უფრო რთულია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს (არსებობს *A. meridionalis*-ის არქაული და ევოლუციური ფორმები). ხოლო რაც შეეხება ამ ადამიანის „პროტრესულობას“, ჩვენ უფრო იმ აზრისკენ ვიხრებით, რომ მისი აპომორფული თვისებები უნდა განვიხილოთ, როგორც, თუ შეიძლება ასე ითქვას, ნაადრევად წარმოშობილი წინ წაწეული ევოლუციის ნიშნები, რომელთა განვითარება მიმდინარეობს ქვედა ყბისა და კბილების აშკარად შეუსაბამო პრიმიტიული თავისებურებების ფონზე. გავიხსენოთ თუნდაც დმანისის ადამიანის ქვედა ყბის ძლიერი სივიწროვე და მასიურობა (ნახ. 1, 2), მისი აღმავალი ტოტის წინ წაწეული მდებარეობა და ფუძის მკაფიო ლატერალური გადახრა, რეტრომოდარული ფოსოს ძლიერი რელუქცია, *trigonum mentale*-ს არსებობა, M_1 -ისა და M_2 -ის წაგრძელებული ფორმა და მათი ტალონიდის შედარებითი სივიწროვე და სხვ. (33). ჩვენ ვფიქრობთ, რომ დმანისის ადამიანის ნიკაპის დახრილობის შემცირება და M_2 -ისა და M_3 -ის ზომების რელუქცია შეიძლება გამოწვეული ყოფილიყო ქვედა ყბის, განსაკუთრებით მისი უკანა ნაწილის წინა-უკანა შტაკუმში, რასაც უთუოდ უკავშირდებოდა აღმავალი ტოტის ფუძის ლატერალური გადახრა. M_3 დაპატარავდა და ოდნავ გადაინაცვლა მედიალურად (ტაბ. 1), რაც გვიქმნის შთაბეჭდილებას, თითქოს ამ კბილისათვის ყბაში ადგილი აღარ რჩებოდა. ყოველივე ეს, ჩვენი აზრით, მოზაიკური ევოლუციის შედეგია, როდესაც ისტორიულ გარდაქმნათა პროცესში ცალკეული ნიშნები ერთგვარ „დამოუკიდებლობას“ ამჟღავნებენ და განსაკუთრებული გზითა და ტემპით ვითარდებიან. დმანისის ადამიანი ჩვენ გვესახება როგორც *Homo erectus*-ის ადრეულ აფრიკულ ფორმებთან დაკავშირებული, მაგრამ შესამჩნევად განცალკევებული მორფოლოგიური ტიპი, რომელიც ქვედა ყბისა და განსაკუთრებით კბილების ზოგიერთი წინ წაწეული ნიშნით წინ უსწრებს არა მარტო *Homo erectus*-ის ადრინდელ, არამედ რიგ შემთხვევაში გვიანდელ ფორმებსაც და თითქოს გვაუწყებს *Homo sapiens*-ის ხაზის წარმოშობის შესაძლებლობას.

პლიოცენის ბოლოს ამიერკავკასია წარმოადგენდა მცირე აზიის ხმელეთის თავისებურ ფორპოსტს, რომელსაც დასავლეთიდან და აღმოსა-



ვლეთიდან შესაბამისად კუიანლიკური და აღჩაგილური ზღვები ესაზღვრებოდა, ხოლო ჩრდილოეთიდან კავკასიონის მთა, რომლის წინააღმდეგობაზე მანინის სრუტე გადიოდა. აღჩაგილური და აფშერონული ზღვების მტკვრის უბე ღრმად იყო შეჭრილი აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. მთელი ეს ტერიტორია ეკავა ღრმა ხეობებითა და ველეობით დანაწევრებულ საშუალო სიმაღლის მთაგორიან მასივებს. სწორედ ამ პალეოგეოგრაფიულ ფონზე მიმდინარეობდა აქ აღრეული ჰომინიდების თანასახოგადობების ჩამოყალიბების პროცესი. ზომიერად მშრალი და თბილი ჰავა, მდინარეებისა და ტბების სიუხვე, მდიდარი მცენარეული საფარი და ცხოველთა სამყარო, რაზედაც ნათლად მეტყველებს დმანისის მიდამოების პლიო-პლეისტოცენური ფლორისა და ფაუნის კვლევის ქვემოთ მოყვანილი მონაცემები, დიდად უწყობდა ხელს ამიერკავკასიაში ადამიანის აღრეულ განსახლებასა და დამკვიდრებას.

ისევე, როგორც მთელი ძველი ხმელთაშუაზღვისპირეთის რეგიონში, შუა პლიოცენის ბოლოსათვის (შუა აღჩაგილის მეორე ნახევარი და გვიანი აღჩაგილი) ამიერკავკასიაშიც მკვეთრად იცვლება გარემო პირობები, რაც უთუოდ საყოველთაო აცივებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული. ამ დროს ძუძუმწოვრების ფაუნაში აღარ გვხვდება ჰიპარონი და მისი თანმხლები ფორმები *Dicerorhinus megarhinus*, *Nyctereutes megamastoides*, *Ursus arvernensis*, *Prepofamochoerus provincialis* და სხვ. (32). შუა აღჩაგილის მეორე ნახევარში უკვე გამოჩნდნენ ცხენების (*Equus*) უძველესი წარმომადგენელი *Equus stenorhinus vireti* და სამხრეთის სპილო *Archidiskodon meridionalis* (13), რომელთა გვერდით ჯერ კიდევ განაგრძობდნენ არსებობას პლიოცენური *Anancus*, *Chasmoportates* და ზოგიერთი არქაული ანტილოპა და ძროხისნაირი. მათი ნამარხი ნაშთები დადგენილია ზემო მელაანის, დილისკისა (საქართველო) და კუშკუნას (აზერბაიჯანი) ადგილსაპოვებლებში. მღრღნელებიდან აქ ნაპოვნია *Mimomys pliocaenicus* (ა. მუსხელიშვილის ზეპირი გადმოცემით), რომელიც დამახასიათებელია დასავლეთ ხმელთაშუაზღვის გვიანვილანისური კომპლექსებისათვის (18) და გვხვდება აგრეთვე აღმოსავლეთ ევროპის აღრეული ხაპრების ფაუნებში (17; 1) (იხ. სქემა).

ქსეროფიტიზაციის გაძლიერებამ აღჩაგილის დასასრულსა და აფშერონის დასაწყისში ძუძუმწოვართა ფაუნის საგრძნობი ცვლილებები გამოიწვია. ჩნდება ტიპობრივი სტენონის ცხენი, ეტრუსკის მარტორქა, ტარიბანის სპილო და სხვ. დროს ამ მონაკვეთს აღმოსავლეთ ევროპაში შეესატყვისება ფერლანდური და დამაშკინის ჰორიზონტები (15), ხოლო დასავლეთ ევროპაში ვილანისურიდან ბიხარიულში გარდამავალი პერიოდი ან ბიხარიულის ყველაზე აღრეული ეტაპი (45). აღმოსავლეთ საქართველოში ცნობილია ტარიბანის (კოწახური) ხერხემლიანთა ფაუნის პატარა კომპლექსი, რომელიც დაკავშირებულია აღრეაფშერონული ზღვის გამტკნარებულ ფაციესთან და შეიცავს ისეთ ფორმებს, როგორიცაა *Testudo* sp., *Emys orbicularis*, *Struthio* sp., *Arc-*



hidiskodon meridionalis taribanensis, Equus stenorhinus, Dicerorhinus cf. etruscus, Camelus sp., Protoryx sp., Leptobos - sp. და სხვა (32; 6). ეს ფაუნა უკვე აშკარად უფრო არიდულ პირობებს ასახავს, ვიდრე ეს იყო შუა აღზავილში, როდესაც ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ბინადრობდა ადრევილაფრანკული ქვაბების ფაუნა (4). პალინოლოგიური მონაცემები მოწმობენ, რომ ტარიბანის მიდამოებში მდიდარი ბალახეული მცენარეულობა იყო განვითარებული, რომელშიც გაბატონებული მდგომარეობა (47%) უჭირავთ მარცვლოვანებს (6). აქვეა აღნიშნული Chenopodiaceae-ს და Artemisia-ს მტკრის საკმაოდ დიდი რაოდენობა. ტყის ასოციაციაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს Platanus orientalis, Alnus, Pinus. ზოგადად აღნიშნული პალეოფლორისტული მასალა მოწმობს აქ დაახლოებით თანამედროვე სავანის ტიპის ტყე-სტეპური პირობების გაბატონებულ მდგომარეობას, მაგრამ შედარებით უფრო ფართოდ უნდა ყოფილიყო მაინც გავრცელებული სტეპური ლანდშაფტი მისთვის დამახასიათებელი მრავალფეროვანი ბალახოვანი საფარით, ხოლო ტყე ძირითადად გვხვდებოდა, ალბათ, მდინარეების ხეობებში და მათთან მომიჯნავე ამადლებულ ადგილებში.

დმანისის ფაუნა (იხ. ფაუნის სია) ძალიან ახლოს დგას ტარიბანის კომპლექსთან და უთუოდ ასევე ქვედა აფშერონულად თარიღდება. ორივე ადგილსამყოფელი ტერიტორიულადაც საკმაოდ დაახლოვებულია ერთიმეორეს და, როგორც დავინახავთ, მათი ხერხემლიანთა ფაუნაც მსგავსი ბუნებრივი პირობების ამსახველია.

დმანისის ადრეპალეოლითური ადამიანის სადგომი მდებარეობს ქვემო ქართლის პროვინციაში, დმანისის შუა საუკუნეების ნაქალაქარის ტერიტორიაზე, მდინარეების მაშავერასა და ფინეზაურის შესართავთან წარმოქმნილ კლდოვან კონცხზე. ეს კონცხი წარმოადგენს ფრაგმენტს, რომელიც მაშავერას ხეობას დმანისის ვულკანური ზეგნისათვის მოუწყვეტია. მისი მიდამოები აგებულია გვიანცარცული ვულკანოგენური ქანებით, რომლებიც ქვეშ უდევს ბაზალტურ ლავებს. ამ უკანასკნელთა ამონთხევის ცენტრი დმანისის აღმოსავლეთით ემლიკლის მთის მიდამოებში მდებარეობს. აღნიშნული ლავები დაღებითადაა დამაგნიტებული (29) და შეესატყვისება ოლდუვაის პალეომაგნიტურ ეპიზოდს. ახლახან გერმანელი სპეციალისტების მიერ დმანისის დოლერიტებისათვის მიღებულია აბსოლუტური ასაკი K/Ar მეთოდით: $1,8 \pm 0,2$; $1,9 \pm 0,1$; $1,95 \pm 0,22$; $2,04 \pm 1,37$ მილ. წ. (43).

დმანისის ქვედაპალეოლითური სადგომი მდებარეობდა პატარა ტბის მახლობლად, რომელიც წარმოიშვა ლავური ნაკადის მიერ მდინარის ჩაკეტვის შედეგად, რაზედაც ნათლად მეტყველებს ფინეზაურის ხეობაში დოლერიტული ლავის შეღწევა. ძვლების შემცველი ნალექები წარმოდგენილია პროლუვიურ-დელუვიური წარმონაქმნებით, რომელთა სიმძლავრე არ აღემატება 4 მ. (24). აქ აღმავალი ჭრილი იწყება მუქი ფერის ვულკანური ფერფლით (VI შრე), რომელშიც ძვლები იშვიათია. V და IV შრეები უხვად შეიცავენ ძვლებსა და უფრო იშვიათად ქვის იარაღებს. ადამიანის ქვედა ყბა ნაპოვნია მეხუთე შრეში, დაახ-



ლოებით 4 მ სიდრმეზე. ქვის იარაღები ძალიან პრიმიტიული იერისა და ჭრილის ყველა შრეში გვხვდება, გარდა მეექვსე შრისა.

ნამარხი ძვლების რაოდენობა საგრძნობლად კლებულობს ზედა შრეებში, მაგრამ ქვის იარაღები განსაკუთრებით ბევრია მეორე შრეში. მესამე შრე წარმოადგენს დოლომიტიზირებულ კარბონატულ ქერქს, რომელიც პალეოლითური ძეგლის მთელ ფართობს ფარავს. სავარაუდოა, რომ ქერქის წარმოშობა დმანისის აუზში ცხელი და არიდული პირობებითაა გამოწვეული. ეს ქერქი ქმნის თავისებურ ჯავშანს, რომელიც თითქოს იცავს მის ქვეშ მდებარე შრეებს და სავსებით გამორიცხავს ზედა შრეებიდან ქვის იარაღისა და ნამარხი ძვლების ქვედა შრეებში მოხვედრას, ისევე როგორც მათ გადაადგილებას ქვედა შრეებიდან ზედა შრეებში. ძვლების შეცველი ნალექების დალექვასა და ლავის ამოფრქვევას შორის არ უნდა ყოფილიყო ხანგრძლივი დროის ხარვეზი, რაზედაც მეტყველებს ის ფაქტი, რომ ლავის ზედაპირს სულ არ ატყვია ეროზიის ნიშნები და აქ არ ჰქონია ადგილი პედოგენეზს.

მეოთხე და მეხუთე შრეებში ძვლები პირველად განლაგებაშია. გვხვდება თავის ქალები და ანატომიურ განლაგებაში მყოფი პოსტკრანიალური ჩონჩხის ნაწილები, რაც ამავე დროს იმაზე მიუთითებს, რომ ცხოველთა გვამები აუზში ახლო მანძილიდანაა ჩამოტანილი.

მესამე შრეში ნამარხი ძვლების რაოდენობა ძალზე უმნიშვნელოა, ხოლო მეორე შრეში ისევე მატულობს. ამ შრეში ნამარხი ძვლები ძირითადად ძლიერ დამსხვრეულია და გაპობილი: აშკარაა, რომ აქ ნასუფრალ ძვლებთან გვაქვს საქმე. როგორც აღინიშნა უკვე, აქ ქვის იარაღიც ბევრად მეტია, ვიდრე სხვა შრეებში.

დმანისის ხერხემლიანთა ფაუნა ძირითადად ვილაფრანკული ფაუნის ტიპისაა და მასში აშკარად ჭარბობენ შუა ვილაფრანკულის ზედა ნაწილისათვის დამახასიათებელი ფორმები, რომლებიც შეესატყვისებიან დროში გვიან ვილანიურს ან ადრეულ ბიჰარიულს. (იხ. სქემა). ისეთი სახეობები, როგორიცაა *A. meridionalis*, *D. etruscus* და ზოგიერთი სხვ. თითქმის მთელი ვილაფრანკულის მანძილზე გვხვდებიან (48), რის გამოც ვერ იძლევიან გარკვეულ მითითებას დმანისის ფაუნის ზუსტ გეოლოგიურ ასაკზე, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ დმანისში, აღნიშნულ ფორმებთან ერთად, გვხვდება ოლდუვაის სირაქლემა-სთან (38) ძალიან ახლოს მდგომი გიგანტური *Struthio dmanisensis*, *Mimomys reidi*, *Kowalskia* sp., *Pachycrocuta perrieri*, *Cervus perrieri*, *Gazella* cf. *borbonica*, *Palaeotragus* sp. და სხვ., ეს ფაუნა შეიძლება გვიან ვილაფრანკულზე უფრო ძველი დროითაც კი დათარიღდეს (გვიანი შუა ვილაფრანკი).

მართლაც, უნდა აღინიშნოს, რომ სირაქლემა აღმოსავლეთ პარატეტიკისში პლიოცენზე უფრო ახალგაზრდა ნალექებში არ გვხვდება (12), ხოლო კავკასიაში ყველაზე ახალგაზრდა მონაპოვრები დაკავშირებულია ტარიბანისა და პალან-ტიუკანის ქვედა აფშერონულ ნალექებთან (2). *Mimomys reidi* ზოგადად ვილაფრანკული ფორმაა, მაგრამ ყველაზე ხშირად მაინც შუა ვილაფრანკის მეორე ნახევარში გვხვდება, სა-

დაც *M. reidi*-ს ბიოზონაც არის გამოყოფილი (18). გვარი *Kowalskia* ძირითადად ცნობილია ვალეზიურში და რუსცინულში, იშვიათად ვალეზიურში. ამ მდრდნელის დმანისის ადგილსაპოვებელში დადგენა მოულოდნელი იყო და აშკარად აძველებს მისი ფაუნის გეოლოგიურ ასაკს. ასევე მოულოდნელი იყო დმანისში ჟირაფიდების ნაშთის აღმოჩენა, რომელთა ყველაზე გვიანდელი წარმომადგენელი საქართველოში დაკავშირებულია გვიანი პლიოცენის ადრეულ საფეხურთან (8). *Pachycrocuta perrieri* და განსაკუთრებით *Cervus perrieri* დასავლეთ ევროპის ადრეული და შუა ვილდფრანკული ფაუნების დამახასიათებელი ელემენტებია. დმანისის კომპლექსში *Arvernoceros ardei*-სა და *Gazella borbonica*-ს მსგავსი ფორმების არსებობა ასევე მეტყველებს მის სიძველეზე: დასავლეთ ევროპაში ეს სახეები შუა ვილდფრანკულზე უფრო ახალგაზრდა ნალექებში არ გვხვდება (18).

დმანისის ადგილსაპოვებელში აღმოჩენილია აგრეთვე გეოლოგიურად თითქოსდა შედარებით ახალგაზრდა ფორმა. მათ შორის განსაკუთრებით საყურადღებოა *Soergelia* sp., რომლის ნაშთები ცნობილია ზედა ვილდფრანკულიდან მოყოლებული ქვედა პლეისტოცენამდე. მაგრამ აქ უნდა აღინიშნოს, რომ გვარი *Soergelia*-ს პალეობიოლოგიური ისტორია სუსტადაა შესწავლილი. როგორც ახლა ირკვევა, ეს გვარი უფრო ადრე ჩნდება, ვიდრე ამას დღემდე ფიქრობდნენ. ცოტა ხნის წინათ იგი აღმოაჩინეს ესპანეთის ადრეპლეისტოცენურ ადგილსაპოვებელში, ვენტა-მიცენაში (18). თუ მხედველობაში მივიღებთ ზორგელიას სავარაუდო აზიურ წარმოშობას, უნდა დავუშვათ, რომ მის პროქორეუს აზიიდან ევროპაში საკმაოდ გეოლოგიურადაც შესამჩნევი დრო დასჭირდებოდა. ამიტომ ამიერკავკასიაში ზორგელიას ადრეული წარმომადგენლის გამოჩენა უკვე პლიოცენის ბოლოს ან პლეისტოცენის დასაწყისში არ უნდა იყოს დიდად გასაკვირი. რაც შეეხება ასევე შედარებით გვიანდელ *Dama nestii*-ს, თუმცა დასავლეთ ევროპაში იგი ძირითადად ზედა ვილდფრანკულიდანაა ცნობილი (19), მისი დმანისის ადრეაფშერონულში გამოჩენაც არ უნდა იყოს დიდად მოულოდნელი, მით უმეტეს, რომ აფშერონის დასაწყისი, როგორც ცნობილია, შეესატყვისება პლეისტოცენის ადრეულ საფეხურს (იხ. სქემა), როდესაც პირველად ვხვდებით შუა ვილდფრანკული კომპლექსის განახლების ნიშნებს. იგივე შეიძლება ითქვას დმანისის ფაუნის ზოგიერთ სხვა წარმომადგენლებზე (*Hypolagus brachygnathus*, *Apodemus dominans*, *Megantereon megantereon*, *Canis etruscus*, *Ursus etruscus*), რომელთა სტრატეგრაფიული გავრცელების დიაპაზონი შედარებით ფართოა. აქვე უნდა აღინიშნოთ დმანისის სამხრეთის სპილო (*Archidiskodon meridionalis taribanensis*), რომელიც აშკარად არქაული ფორმაა და, შესაძლებელია, ახალ სახედ გამოყოფასაც იმსახურებდეს (1). რაც შეეხება ნამარხი ძროხების ახალ წარმომადგენელს *Dmanisibos georgicus*-ს (3), დღეს ძნელია რისიმე გარკვეულად თქმა ამ ცხოველის სტრატეგრაფიულ მნიშვნელობაზე, მაგრამ ისეთი მორფოლოგიუ-

რი ნიშნებით, როგორცაა ბრტყელი შუბლი, დაგრძელებული კეფის ნაწილი და რქების მეტად თავისებური მდებარეობა, ეს გვარო-ლოქოს შუალედურ აღვილს იკავებს ჩაუღურ ეობიზონსა და აშკარად უფრო არქაულ (გვიანი აღჩაგილი) *Adjiderebos*-ს (11) შორის, რაც მის შედარებით სიძველეზე მეტყველებს.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ დმანისის კომპლექსი ასაკობრივად შეესატყვისება ტარიბანის ფაუნას და, უთუოდ, მისი სინქრონულია. მსგავსებას იჩენს დმანისის ფაუნა აგრეთვე წადკის ფაუნასთანაც, რომლის შემადგენლობაში დადგენილია *A. meridionalis* cf. *taribanensis*, *Canis etruscus*, *Homotherium* cf. *crenatidens*, *Dama* cf. *nestii*, *Eucladoceros* sp., *Leptobos* sp. (5).

აღმოსავლეთ ევროპაში დმანისის ფაუნას დაახლოებით შეესაბამება ხაპრის ფაუნის გვიანდელი კომპლექსი (1), რომელიც უკვე არ შეიცავს ანაკუსსა და ჰიპაროინს, მაგრამ რომელშიც გვხვდება ელასმთიერიუმი, პარაკამელუსი და ზოგიერთი სხვა. დმანისის ფაუნისაგან განსხვავებული ამ ელემენტების არსებობა აქ მიუთითებს იმაზე, რომ პლიოცენის ბოლოს ან პლიოცენის დასაწყისში აღმოსავლეთ ევროპაში შედარებით უფრო მკაცრი კლიმატური პირობები უნდა ყოფილიყო გაბატონებული.

დასავლეთ ევროპაში ჩვენ არ გვხვდება დმანისის ფაუნის სრული ანალოგი. შედარებით ახლოსაა მასთან ლეკუპეს, ოლიგოლას, სენეზის, ტასოს და სხვა ფაუნების კომპლექსები, რომლებიც შეიცავენ ტიპობრივ *A. meridionalis*, *E. stenonis*, *U. etruscus* და სხვ., მაგრამ ამავე დროს რიგ განსხვავებულ ფორმასაც (36; 23; 19). აღნიშნული კომპლექსები ჩვეულებრივ შუა ვილაფრანკულის ბოლოდ და ზედა ვილაფრანკულის დასაწყისად თარიღდება (გერენის მე-17 ზონის ზედა ნაწილი და მე-18 ზონა). დასავლეთ ევროპის გვიანვილაფრანკული ფაუნებიდან დმანისის ფაუნასთან მსგავსებას იჩენს ვენტა-მიცენას კომპლექსი (40), რომელიც დმანისის ფაუნისაგან უმთავრესად ზოგიერთი საერთო ფორმის ეკოლუციის უფრო წინ წაწეული ნიშნებით განსხვავდება.

უნდა აღინიშნოს გარკვეული მსგავსება დმანისისა და უბედიის (ისრაელი) ფაუნებს შორისაც. საყურადღებოა, რომ უბედიაში, ხერხემლიანთა ფაუნის გარდა, ნაპოვნია *Homo* sp. (cf. *erectus*) ნაშთები მისი თანმხლები ინდუსტრიით (46). მაგრამ, მიუხედავად ფაუნის ზოგიერთი საერთო ელემენტის არსებობისა, უბედიის კომპლექსი აშკარად უფრო ახალგაზრდა ჩანს დმანისზე. მისი *A. meridionalis tamanensis*, *Gazella gazella*, *Oryx*, *Hippopotamus* და სხვ. შედარებით გვიანდელი ფორმებია. ამასთანავე ეს ფაუნა, როგორც ჩანს, ბინადრობდა რამდენადმე განსხვავებულ ეკოლოგიურ პირობებში, რასაც მოწმობს მასში ეთიოპური ელემენტის სიჭარბე. საინტერესოა დმანისის ფაუნის შედარება დაკიური აუზის (რუმინეთი) ტატიოუს ფაუნისტურ კომპლექსთან (42), რომელშიც დადგენილია *A. meridionalis meridionalis*, *U. etruscus*, *Pachycrocuta perrieri*, *H. crenatidens*,




M. cultridens, *E. stenorhis*, უირაფი *Mitilanotherium* და სხვ. ფაუნასთან ერთად აქ ნაპოვნია არტეფაქტებიც. დმანისის ფაუნის მსგავსად აგრეთვე არტეფაქტების შემცველი ფაუნისტური კომპლექსი აღმოჩენილია იუგოსლავიაშიც, სანდალიაში (39), რაც საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ამიერკავკასია პლეისტოცენის დასაწყისში დაკიურ-ბალკანურ რეგიონთან უფრო მჭიდროდ იყო დაკავშირებული, ვიდრე დასავლეთ ევროპასთან.

დმანისის ფაუნის ეკოლოგიური დახასიათებისას უნდა გვახსოვდეს, რომ დმანისში გათხრები ჯერ მხოლოდ მცირე ფართობზეა განხორციელებული, ამიტომ ჩვენს ხელთ არსებული ფაუნის სია შორს არის სისრულისაგან. მიუხედავად ამისა, დმანისის ფაუნა საკმაოდ ასახავს იმდროინდელი ბუნებრივი პირობების მრავალფეროვნებას, რასაც პალეობოტანიკური მონაცემებიც ადასტურებს. პირველ რიგში, ყურადღებას იპყრობს დმანისის ფაუნაში მტაცებლების სიჭარბე (21%-ზე მეტი), რაც მიუთითებს ტყე-სტეპის ფართო გავრცელებაზე. დმანისის ფაუნის შემადგენლობის დაახლოებით 30% წყვილჩლიქოსნებია, 27% კურდღლისნაირები და მღრღნელები, ხოლო 9% კენტჩლიქოსნები. ხორთუმიანები და სხვა ჯგუფები თითო-ორი ძვლითაა წარმოდგენილი. ცალკეული ეკოლოგიური ჯგუფების პროცენტული შეფარდების გარკვევა გვიჩვენებს, რომ ინდივიდთა რაოდენობით (134 ინდ.) წამყვანი ადგილი უჭირავთ გაშლილი და ნახევრად გაშლილი სივრცეების (სტეპი, ტყე-სტეპი) ბინადარ ცხოველებს, რომლებიც საერთო რაოდენობის 52,7%-ს შეადგენენ. ინდივიდთა საერთო რაოდენობის 22% ტყის ბინადარი ფორმებია, ხოლო 12% — ჭაობიანი ბიოტოპის ცხოველებია.

ინდივიდთა საერთო რაოდენობის 14% ევრიბიონტული ფორმებია. ამრიგად ძირითადი ეკოლოგიური ჯგუფების შეფარდება ადასტურებს ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ დმანისის მიდამოებში მისი ფაუნის არსებობისა და განამარხების პერიოდში ტყე-სტეპის ეკოსისტემას წამყვანი ადგილი ეჭირა. ამაზე მიუთითებს, კერძოდ, ფაუნაში ისეთი ფორმების არსებობა, როგორიცაა *Struthio*, *Ochotona*, *Meriones*, *Cricetus*, *Kowalskia*, *Equus*, *Gazella* და ზოგიერთი სხვა. ტარიბანის კომპლექსში ამ ეკოლოგიურ დაჯგუფებას ეკუთვნის აგრეთვე *Camelus*. დმანისის მიდამოებში ქსეროფიტული ლანდშაფტის ფართო გავრცელებას მოწმობენ აგრეთვე დმანისის რეპტილიები: *Coluber najadum*, *C. robertmertensi*, *Vipera cf. raddei* და *Boiga cf. trigonatum* (26). ტყე-სტეპში მობინადრე დმანისის ძუძუმწოვრებიდან უნდა აღინიშნოს *H. brachygnathus*, *A. meridionalis taribanensis*, *Giraffidae cf. Palaeotragus*, *D. etruscus etruscus* და სხვ.

ამავე დროს დმანისის ფაუნაში აღინიშნება ირმების სიჭარბე (წყვილჩლიქოსნების საერთო რაოდენობის 80%), რაც გვიჩვენებს, რომ ტყის ეკოსისტემა რეგიონში საკმაოდ ფართოდ იყო წარმოდგენილი. ამ ეკოსისტემის ბინადრებია *Sorex sp.*, *Ursus etruscus*, *Martes sp.*, შესაძლოა *Dmanisibos georgicus* და ზოგიერთი სხვა.

უნდა ვიფიქროთ, რომ დმანისის პალეოლითური სადგომი მდებარე-



ობდა გაშლილი, შედარებით ღია ლანდშაფტის გარემოცვაში, რომელსაც ემიჯნებოდა ძირითადად ხეობებში გავრცელებული ტყეების ფარული უბნები.

უნდა ითქვას, რომ თუ გვიანპლიოცენურ და ადრეპლეისტოცენურ ხერხემლიანთა ფაუნის ეკოლოგიურ მნიშვნელობაზე ჩვენ მხოლოდ ნამარხი ფორმების მიხედვით შეგვიძლია მსჯელობა, სხვაგვარადაა საქმე ნამარხი ფლორის შემთხვევაში, რომლის წარმომადგენელთა საგრძნობი ნაწილი ცნობილია დღესაც, განსაკუთრებით ამიერკავკასიაში, სადაც თერმოფილურმა ელემენტებმა პლეისტოცენურ გამყინვარებასაც კი გაუძლო. როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ გვიან მიოცენში მოხდა კავკასიის კოლხურ და ჰირკანულ ფლორისტულ პროვინციებად დაყოფა. პირველი გენეტიკურად უფრო ახლო იყო ხმელთაშუაზღვის ფლორასთან, ხოლო მეორე — აღმოსავლეთ აზიის ფლორასთან. შედარებით უფრო გვიან, ალბათ, პლიოცენში, ხდება მცირე კავკასიონის ზოლში და მასთან მომიჯნავე ტერიტორიაზე ნახევრად ქსეროფიტული მცენარეების წინა აზიიდან შემოდქევა. დმანისის რაიონი აღნიშნული ორი პროვინციის შესაყარზე მდებარეობს, მაგრამ შედარებით უფრო მჭიდროდაა დაკავშირებული ჰირკანულ პროვინციასთან.

აღსანიშნავია, რომ ეკოლოგიური მრავალფეროვნება, რომელიც დმანისში კოპროლიტების პალეონოლოგიური ნაშთების შესწავლის შედეგად იქნა გამოვლენილი (6), მხოლოდ ნაწილობრივ დადასტურდა შემდგომი პალეონოლოგიური გამოკვლევებით. მეოთხე შრეში პალეონოლოგიური მონაცემების მიხედვით აღინიშნა ბუჩქნარი და ბალახოვანი მცენარეების (*Chenopodiaceae*, *Artemisia*, *Ephedra*) სიჭარბე. ხემცენარეების (*Tilia*) მტკვრი ძაღზე მცირეა. ამავე დროს თითქმის ყველა შრე შეიცავს *Borraginaceae*-ს ათასობით თესლს. იგი წარმოდგენილია გვარებით *Anchusa*, *Lycopsis*, *Lithospermum* და სხვ. ხშირია აქაკის (*Celtis*) თესლიც, რომელიც აფრიკული სავანის დამახასიათებელი ელემენტია (14), თუმცა გვხვდება ამიერკავკასიისა და შუა აზიის მეჩხერ ტყეებშიც (10). არ არის გამორიცხული, რომ აკაკის და ეფედრის ნაყოფს დმანისის ადამიანი საკვებადაც იყენებდა. ამ მცენარეთა თესლები ნაპოვნია აგრეთვე ჯოჯოკოუთიანში (30), ლაზარეში, ტრანაშაში, ტრტაველში და სხვ. (22), რაც გვაფიქრებინებს, რომ მათი ნაყოფი ჩამოთვლილი სადგომების ბინადართა რაციონში შედიოდა.

ტყის მცენარეთაგან დმანისში დადგენილია *Abies*, *Pinus*, *Fagus*, *Alnus*, *Castanea*, *Betula*, *Tilia*, *Carpinus* და იშვიათად *Ulmus* და *Salix* (37). რა თქმა უნდა, მტკვრი ასახავს არა მარტო მცენარეული საფარის მრავალფეროვნებას, არამედ მის ვერტიკალურ ზონალობასაც. დმანისშიც და ტარიბანაშიც ტყის ლანდშაფტი — ტყით დაფარული გორაკები და დაჭაობებული უბნები — უთუოდ მონაცვლეობდა ვრცელ სავანურ ბიოტოპებთან. ზოგადად კი ეჭვს არ უნდა იწვევდეს ის, რომ ადრეპალეოლითელი ადამიანის მიერ დმანისის რაიონის საცხოვრებლად ათვისების დროს აქ თბილი და ზომიერად მშრალი ჰავის პირობები იყო გაბატონებული. მსგავსი კლიმატის არსებობა სავსებით შეე-



სატყვისება ღანდ'შაფტის ქსეროფიტიზაციის პროცესს, რომელიც აღინიშნება აღმოსავლეთ საქართველოში პლიოცენის დასასრულს. საბოლოოდ ამ პროცესმა გამოიწვია აქ ტყის მასივების მკვეთრი შემცირება და ბაღახოვანი ცენტრების გაფართოება (16).

ხაზი უნდა გაესვას იმახად, რომ ამ პერიოდში, რომელიც აშკარად შეესაბამება ოლდუვაის პალეომაგნიტურ ეპიზოდს, თითქმის მთელს ევროპაში აღინიშნება თბილი ჰავის გაბატონება (27).

ჩვენს მიერ მოყვანილი მონაცემები დმანისის ადამიანის საარსებო პირობების შესახებ გვიჩვენებს, რომ ადამიანი აქ არ განიცდიდა არც წყლისა და არც საკვების ნაკლებობას. მისი საღვთო მდებარეობდა ტბის ახლოს, რომლის მიდამოებში უხვად იყო გავრცელებული როგორც მრავალფეროვანი მცენარეულობა, ისე ხერხემლიანთა მდიდარი ფაუნა. ადამიანს არც იარაღის დასამზადებელი მასალის მოსაპოვებლად უხდებოდა შორს წასვლა: მახლობელი ხეობები სავსე იყო იარაღის დამზადებისათვის საჭირო რეზის ქვით.

ფიქრობენ, რომ Homo erectus ძირითადად თბილი ჰავის პირობებში ბინადრობდა. ბარ-ოსეფის (20) აზრით, უკანასკნელი გამყინვარების პერიოდშიც კი ხმელთაშუა ზღვის ლევიანტში ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები იყო უძველესი ადამიანის საარსებოდ. თბილი ჰავა და სტაბილური ცხოველური თუ მცენარეული წარმოშობის საკვები აქ იზიდავდა ჰომინიდებს მეზობელი რეგიონებიდან, კერძოდ, ანატოლიიდან, ბალკანეთიდან და სხვა ადგილებიდან, სადაც ჰავის შედარებით მკაცრი პირობები უნდა ყოფილიყო გაბატონებული. ავტორი სამართლიანად შენიშნავს, რომ შესაძლებელია განსხვავებული მდგომარეობა ვივარაუდოთ კავკასიაში. სადაც ადამიანს ჰქონდა ბუნებრივი თავშესაფარი. განსაკუთრებით შავი და კასპიის ზღვების სანაპირო ზოლში, ხოლო კავკასიონი იცავდა ამ რეგიონს ჩრდილოეთიდან ცივი ჰაერის შემოტრისაგან. დაბეჯითებით შეიძლება იმის მტკიცება, რომ ჰომინიდების განსახლებისათვის კავკასიაში ბუნებრივი გარემო ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო უკვე პლიოცენის დასასრულიდან და პლეისტოცენის დასაწყისიდან, როდესაც აღმოსავლეთ ამიერკავკასიის საკმაოდ ვრცელი ტერიტორია მტკვრის უბეს ეკავა, ხოლო კლდეებისა და კასპიის რეფუგიუმები თითქმის ერწყმოლენ ერთმანეთს. ამ დროს არსებობდა, ალბათ, ლევიანტის დერეფანიც (47), რომლითაც მყარდებოდა კავშირი აფრიკასა და ევრაზიას შორის. ადამიანის შემოდგევა აფრიკიდან ევრაზიაში არ შეიძლება განვიხილოთ როგორც ერთჯერადი პროცესი. უძველესი ადამიანის მიერ ევრაზიისთვის გასვლას, უთუოდ, წინ უძღოდა პროქორეზის არაერთი ნაკლებად შედეგიანი ცდა (7), რომელსაც შესაძლოა თითქმის არც დაეტოვებინოს კვალი. ვფიქრობთ, რომ ადამიანის განსახლება აფრიკიდან ევრაზიაში იყო ხანგრძლივი და თითქმის უწყვეტი პროცესი, ხოლო დმანისის ადამიანი, ალბათ, წარმატებული პროქორეზის ერთ-ერთი პირველი ტაღლის წარმომადგენელი იყო. უდავოა, რომ ეს პროქორეზი როული და წინააღმდეგობებით სავსე პროცესი იყო. ადამიანი ამ როულ გზაზე ზოგჯერ ახერხებდა, ალბათ, საკმაოდ დიდ

და მდგრადი პოპულაციების შექმნას. ამიერკავკასიაში მას დახვდა განსაკუთრებით ხელსაყრელი საარსებო პირობები, რამაც შესაძლოა კიდევ შეუწყო ხელი არა მარტო მის დაფუძნებას, არამედ უზობელ უბნებში განსახლებასაც.

მართლაც, ჩვენ გვაქვს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ Homo erectus-ის წარმომადგენლები დიდი ხნით არ გაჩერებულან ევროპის „კარიბჭე-სთან“. ამის დამადასტურებელია დმანისის ფაუნის მსგავსი ფაუნებისა და პრიმიტიული ქვის იარაღების აღმოჩენა რუმინეთში და იუგოსლავიაში. საყურადღებოა, რომ, როგორც ირკვევა, დმანისის ფაუნის მსგავსი კომპლექსი ესპანეთშიც (ორსე) შეიცავს ნამარხი ადამიანის ნაშთებს (35).

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ გეოლოგიური ასაკით დმანისის ადამიანთან მეტ-ნაკლებად ახლო მდგომი ჰომინიდები ქმნიდნენ ცალკეულ, შესაძლოა, ჯერ კიდევ იშვიათ პოპულაციებს არა მარტო აზიაში, იავაზე (44) და პაკისტანში (28), არამედ ევროპაშიც.

დმანისში გათხრები გრძელდება. მოსალოდნელია ახალი და საინტერესო მასალების აღმოჩენა, რომელიც, ვიმედოვნებთ, საშუალებას მოგვცემს არა მარტო დავაზუსტოთ დმანისის სადგომის გეოლოგიური ასაკი, არამედ შევიქმნათ უფრო სრული წარმოდგენა დმანისის ადამიანზე და იმ გარემოზე, რომელშიც მას არსებობა უხდებოდა.

ტაბულის აღწერილობა

1. დმანისის ადამიანის ქვედა ყბა ზემოდან
2. დმანისის ადამიანის ქვედა ყბა გვერდიდან
3. *Megantereon megantereon*. ქალა
4. *Homotherium crenatidens*. M₁
5. *Cervus perrieri*. მარცხენა რქა
6. *Dmanisibos georgicus*. ქალა



ტაბულა



1




2




4



3



5



6

Lacerta sp.
Coluber najadum
C. robertmertensi
Vipera cf. raddei
Boiga cf. trigonatum
Testudo graeca
Struthio dmanisensis
Sorex sp.
Ochotona lagreli
Hypolagus brachygnathus
Marmota sp.
Apodemus aff. dominans
Kowalskia sp.
Mimomys reidi
Meriones aff. tristrami
Canis etruscus
Martes sp.
Pachycrocuta perrieri
Megantereon megartereon
Homotherium crenatidens
Archidiskodon meridionalis taribanensis
Equus cf. stenonis
Dicerorhinus etruscus etruscus
Cervus perrieri
Cervidae cf. Arvernoceros
Dama cf. nestii
Giraffidae cf. palaeotragus
Soergelia sp.
Gazella cf. borbonica
Dmanisibos georgicus




მდ. წ.	პალეომაგნიტური სკალა	კოქსი	რეგიონ- სართული		ძუძუმწოვრების კომპლექსი		ზონა	კონტინენტ- სკალა	დამახასიათებელი გვარი
			შქსინ. აუზი	კასპ. აუზი	კავკასია	აღმოს. ევროპა			
1	ბრიუნესი 0.78 ხარამილი 1.07	პლეისტოცენი	ჩაულის	ბაქო	გირეის	ტორს- პილის	19	ბიპარნიული	—
2	ოლდვუვი 1.95 მატუიამა	პლიოცენი	კუილნიკი	აღსაგილი	ტარობანის	ოღესის	18	ბიპარნიული	Equus —
3	გაუსი	პლიოცენი	კუილნიკი	აღსაგილი	შელაანის	საპრის	17	ვილანოური	—
							16	რუსინოური	—
									Hipparion —
									Anancus —
									Archidiskodon —



ფაუნა	ამწიფი	ვილანური	ბაპარიული		სართული
	16	17	18	19	ზონა
<i>Struthio dmanisensis</i>	-----				
<i>Ochotona cf. lagreli</i>	-----				
<i>Hypolagus brachygnathus</i>		-----			
<i>Apodemus aff. dominans</i>		-----			
<i>Kowalskia sp.</i>		-----			
<i>Mimomys reidi</i>		-----			
<i>Meriones aff. tristrami</i>		-----			
<i>Canis etruscus</i>		-----			
<i>Ursus etruscus</i>		-----			
<i>Pachycrocuta perrieri</i>	-----				
<i>Megantereon megartereon</i>		-----			
<i>Homotherium crenatidens</i>		-----			
<i>Archidiskodon meridionalis taribanensis</i>			-----		
<i>Equus stenonis</i>		-----			
<i>Dicerorhinus etruscus etruscus</i>		-----			
<i>Cervus perrieri</i>	-----				
<i>Eucladoceros aff. senexensis</i>		-----			
<i>Dama cf. nestii</i>		-----			
<i>Gazella cf. borbonica</i>	-----				
<i>Dmanisibos georgicus</i>			-----		
<i>Soergelia sp.</i>			-----		
<i>Palaeotragus sp.</i>	-----				



1. Алексеева Л. И. Териофауна раннего антропогена Восточной Европы. Тр. Геоин-та АН СССР. М.: 1997 г. Вып. 300. 171с.
2. Бурчак-Абрамович Н. И., Ископаемые-страусы Кавказа и юга Украины. Тр. Ест.-ист. Музея АН Аз.ССР, в. VII. Баку, 1953 г. стр. 206.
3. Бурчак-Абрамович Н. И., Векуа А. К., Новый представитель плейстоценовых быков из восточной Грузии. Вопросы териологии. Палеотериология. М. 1994 г. стр. 253-261
4. Векуа А. К. Квабобская фауна Акчагылских позвоночных. М.: 1972 г. 350 с.
5. Векуа А. К., Джигаური Д. Г., Торозов Р. И. Новые палеонтологические находки в окрестностях Цалки. Сообщ. АН Грузии. Г-118. 1985 г. №2. с. 373-376.
6. Векуа А. К., Квавадзе Э. В. Палинологическая характеристика плиоценовых костеносных отложений Иорского плоскогорья. Сообщ. АН Грузии. 104. 1981 г. №4. С. 741-744.
7. Величко А. А. Козволюция человека и окружающей среды. Изв. РАН. Сер. геогр. 1993 г. №5. С. 17-31.
8. Габуния Л. К. Буачидзе Ц. И., Первая находка в СССР позднелиоценовой жирафы. Сообщ. АН Груз. ССР. 1970 г. т. 57, №1.
9. Габуния Л. К., Векуа А. К. Дманисский ископаемый человек и сопутствующая ему фауна позвоночных. Тбилиси. Мецниереба, 1993 г. 72 с.
10. Гулисашвили В. З. Саванны – редколесья. Тбилиси. Мецниереба, 1980 г. 99 с.
11. Дуброво И. А., Бурчак-Абрамович Н. И., Новый вид плиоценового быка (*Adjderebos gen. nov.*) из Закавказья. ДАН СССР, 1984 г. 717-720 с.
12. Дуброво И. А., Капелист К. В. Каталог местонахождений третичных позвоночных УССР. М. 1974 г. 153 с.
13. Лебедева Н. А. О геологическом положении остатков наземных млекопитающих хапровского, таманского и тираспольского фаунистических комплексов в разрезе морских слоёв акчагыле и апшерона Войлочного Закавказья. бюлл. Ком. по изуч. четвертичного периода. 1972 г. № 38.
14. Леме Ж. Основы биогеографии. М.: Прогресс, 1976 г.
15. Никифорова К. В. Стратиграфическое расчленение и корреляция верхнелиоценовых и четвертичных отложений. Проблемы геологии и истории четвертичного периода (антропогена). М.: Наука, 1982 г. С. 36-88.
16. Шатилова И. И., Рамишвили И. Ш. Растительность Грузии. Тбилиси, Мецниереба. 1990 г. 232 с.
17. Шевченко А. И. Опорные комплексы мелких млекопитающих плиоцена и нижнего антропогена юго-западной части Русской равнины. Стратиграфическое значение антропогеновой фауны мелких млекопитающих. М.: Наука, 1965 г.
18. Agustí J. A., Moia-Sola S. Mammalian dispersal events in the Spanish Pleistocene. Courier Forschungs inst. Senckenberg, 1992. 153. P. 69-77.
19. Azzaroli A., Giuli C., de, Ficarelli G. A. Torre D. Late Pliocene to early mid-Pleistocene mammals in Eurasia: faunal succession and dispersal events. Palaeogeogr., Palaeoecol., Palaeoclimat. 1988. 66. P. 77-100.
20. Bar-Yosef O. The contribution of Southwest Asia to the study of the origin of modern humans. Origins of anatomically modern humans/Ed. Nitecki M. H., Nitecki D. V. N. Y.: Plenum Press. 1994. P. 23-66.
21. Bar-Yosef O. The lower paleolithic of the Near East. J. World Prehist. 1994. V. 8. 13. P. 211-265.
22. Bahn P. Pyrenean Prehistory. Aris and Phillips, Warminster. 1984.

- 
23. Banodonna F. P., Alberdi M. T. *Equus stenorhis cocchi* as a biostratigraphical marker in the Neogene-Quaternary of the Western Mediterranean basin: consequence of Galirian-Villafranchian chronostratigraphy. *Quaternary Sc. Rev.* 1987. 6. P. 55-66.
 24. Bosinski G. et al., Dmanisi im altpalaolithikum Eurasiens. Der altpalaolithische Fundplatz Dmanisi in Georgien (Kaukasus). *Jahrb.RGZM*, 1989, v. 36, pp. 111-113.
 25. Brauer G. The Dmanisi mandible and its affinities to African and Asian Hominids. *Congreso Internacional de Palaontologia Humana*. Orce, 1995.
 26. Chkhikvadze V., Kharabadze E. Amphibians and Reptiles from the Early Pleistocene of Georgia. *Abstr. XIV INQUA Congress*, Berlin, P. 48.
 27. De Jong J. Climatic variability during the past 3 million years as indicated by vegetational evolution in Northwest Europe and with emphasis on data from the Netherlands. *Phil. Trans. R. Soc. Lond.* 1988. B318. P. 603-617.
 28. Dennell R. W., Rendell H. M., Hurcombe L., Hailwood E. A. Archaeological evidence for Hominids in Northern Pakistan before one million years ago. *Courier Forschungs. inst. Senckenberg*. 1994. V.171. P. 151-155.
 29. Dzaparidze V., Bosinski G., Bugianishvili T., Gabunia L., Justus A., Klopotovskaja N., Kvavadze E., Lordkipanidze D., Majsuradze J., Mgeladze N., Nioradze M., Pavlenishvili E., Schmincke H. U., Sologashvili D., Tushabramishvili D., Tvalchrelidze M., Vekua A. Der altpaleolithische Fundplatz Dmanisi in Georgien. *Jahrb. RGZM*. 1989 V. 36. P.67-116.
 30. Dohnai Z. Die Steinkerne des Zuercherbaumes (*celtis*) im tschechoslowakischen Quartar-Anthropozoikum 9. *Praha*. 1961. P. 203-239.
 31. Gabunia L. K. Der menschliche Unterkiefer von Dmanisi (Georgien, Kaukasus). *Jahrb. RGZM*, 1992, 39, pp. 185-208
 32. Gabunia L., Vekua A. Terrestrial mammals of the Pliocene and the Early Pleistocene and boundary between Neogene and Quaternary in Georgia, USSR N/Q Boundary Field Conference, India. *Proc.* 1981. P. 45-48.
 33. Gabunia L., Vekua A. A Plio-Pleistocene hominid from Dmanisi, East Georgia, Caucasus. *Nature*. 1995. 373. P. 509-512.
 34. Gabunia M., Vekua A., Tvalchrelidze M. Der altpaleolithische Fundplatz Achalkalaki am Amiranis Berg im Dzavacheti - Gebiet Archeologische Korrespondent Platz. Mainz, 1994.
 35. Gibert J., Arribas A., Martinez B. Biostratigraphie et magnetostratigraphie des gisements a presence humaine et action anthropique pleistocene inferieur de la regio d'Orce (Granada, Espagne). *C.Roy Acad Sci. Paris*, 1994. V.318 N 11.P. 1277-1282.
 36. Guerin C. Premiere biozonation du pleistocene europeen, principal resultat biostratigraphique de l'etude des Rhinocerotidae (Mammalia, Perissodactyla) du miocene terminal au pleistocene superieur d'Europe occidentale. *Ceobios*. 1982. V. 15. N4. 593-598.
 37. Klopotovskaja N., Kvavadze E., Lordkipanidze D., Vorlaufige mitteilung zur palaobotanik. Der altpalaolithische Fundplatz Dmanisi in Georgien (Kaukasus). *Jahrb. RGZM*, 1989, V. 36. P. 92.
 38. Leakey L.S.B. Olduvai Gorge 1951-1961. A preliminary report on the geology and fauna. Cambridge: Univ. Press, 1967.V. 1. P. 1-109.
 39. Malez M. On the significance of the genus *Homo* discovery in the Villafranchian sediments of Sandalja I Near Pula. *Red JAZU*. 1975. 371. P. 181-201.



საქართველოს
რესპუბლიკის
ეროვნული ბიბლიოთეკა

40. Martinez B. Revision sistemática de la fauna de macromamíferos del yacimiento de Venta Micena (Orce, Granada, España). Presencia humana en el Pleistoceno inferior de Granada y Murcia. Ayuntamiento de Orce ed. 1992. P. 21-86.
41. Majsuradze G., et al., Palaeomagnetic und datierung der basaltlava. Der altpaläolithische Fundplatz Dmanshi in Georgien (Kaukasus). Jahrb. RGZM, 1989, V. 36. 74-76.
42. Radulesco C., Samson P. The Plio-Pleistocene Mammalian Succession of the Oltet Valley, Dacic Basin, Romania. Quaterpaleontologie. 1990. 8. P. 225-232.
43. Schmincke H.-U., Bogaard P., Die datirung des Masavera-basaltlavastroms. Jahrb. RGZM, 95, 1996, P. 51-52.
44. Swisher C. C., Curtis G. H., Jacob T., Getty A. G., Sceprijo A. Widiasmoro. Age of the earliest known Hominids in Java, Indonesia. Science. 1994. 263. P. 1118-1121.
45. Tchernov E. Eurasian-African biotic exchanges through the Levantine corridor during the Neogene and Quaternary. Courier Forschungs. Inst. Senckenberg. 1992. P. 103-124.
46. Tchernov E., Guerin C. Les mammiferes du pleistocene inferieur de la Vallee du Jordan a Oubeidiyeh. Mem. Centr. Rech. fr. Jerusalem. 1986. 5. P. 351-398.
47. Thomas H. The Early and Middle Miocene land connection of the Afro-Arabian plateau and Asia: A major event for Hominid dispersal? In Delson E. (Ed). Ancestors: the Hard Evidence. A. R. Liss, N.Y. 1985. P. 42-50.
48. Turner A. Evolution and Dispersion of large Mammals in Europe. Courier Forschungs. Inst. Senckenberg. 1994. 171. p. 241-247.
49. Turner A. Large carnivores and earliest European hominids: changing determinants of resource availability during the Lower and Middle Pliocene. J. Hum. E. 1992. P.109-126.

ბივი მაისურაძე, რობერტ ახვლედიანი, ნინო კლოკოტოვსკაია

ქვემო ქართლის გეოლოგიურ-ბეოგორფოლოგიური და კალეობეობრაფიული ნარკვევი (მდ. მაშავერას აუზი)

შესავალი

ქვემო ქართლის ტერიტორიაზე მეოთხეული კონტინენტური ნალექების შესწავლას ვაწარმოებდით 1980 წლიდან. 1983 წელს, დმანისის ნაქალაქარის ტერიტორიაზე არქაული ქვის იარაღების აღმოჩენასთან დაკავშირებით, ჩვენ დაუკავშირდით არქეოლოგიურ ექსპედიციას, რომელსაც იმ დროს ხელმძღვანელობდა ვ. ჯაფარიძე, და შევთავაზეთ თანამშრომლობა. აქედან დაიწყო არქეოლოგიური ცენტრის პატარა დმანისის ექსპედიციასთან ჩვენი მჭიდრო მეცნიერული კავშირი, რომელიც დღესაც გრძელდება.

მოცემულ ნაშრომში განხილული იქნება მდ. მაშავერას აუზის გეომორფოლოგიური, გეოლოგიური და რელიეფის განვითარების ისტორიის საკითხები. ამ მხრივ რეგიონი საკმაოდ რთული აგებულებით ხასიათდება. აქ, ტიპიური ეროზიულ-დენუდაციური რელიეფის გვერდით, ფართოდაა წარმოდგენილი ვულკანური რელიეფი ლავური ნაკადებითა და ზეწრებით. ტერიტორიაზე გავრცელებულია გეოლოგიური წარმონაქმნების ფართო სპექტრი — დამრეცად დანაოჭებული პალეოზოური და ინტენსიურად დისლოცირებული მეზო-კაინოზოური ვულკანოგენურ-ნალექი ქანებიდან თანამედროვე ნალექებამდე. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ეროზიით გაშიშვლებული ლავური ნაკადების მიერ „დამარხული“ პალეოხეობის ფერდობები, სადაც მკაფიოდ ჩანს დელუვიური და ელუვიური ნალექების განამარხება. როგორც ლავებს შორის, ასევე ლავებზე არსებული ეოლური და ფლუვიალური გენეზისის ვულკანოგენურ-პროლუვიურ ნალექებში ხშირად ვხვდებით ძუძუმწოვარა ცხოველთა განამარხებულ ძვლოვან მასალას, აგრეთვე არქეოლოგიური მნიშვნელობის ქვის იარაღს.



როგორც ცნობილია, მაშავერასა და ფინეზაურის მდინარეთა წყალთ-
შესაყარზე შემორჩენილია მაშავერას ბაზალტური ლავების ერთობლი-
ლი შთენილი, რომელზედაც შუა საუკუნეებში ციხე-ქალაქი იყო გაშე-
ნებული. ამ ტერიტორიაზე ლავებზე დანაგროვებ ფლუვიალური გენე-
ზისის ნალექებში აღმოჩენილ იქნა უძველესი ოდღუგაის ტიპის ქვის
იარაღები (ქვარგვალების კულტურა), არქაული ძუძუმწოვართა ძვლის
მასალა და, რაც მთავარია, ჩვენი წინაპრის, ჰომინიდების ერთერთი
ადრეული წარმომადგენლის *Homo erectus*-ის ქვედა ყბა (1). ყოველი-
ვე ამან სტიმული მისცა რეგიონის საფუძვლიან შესწავლას. აუცილე-
ბელი გახდა აქ გავრცელებული მეოთხეული ნალექების დეტალური
შესწავლა, რელიეფის და ბუნებრივი გარემოს რეკონსტრუქცია.


რაიონის ფიზიკურ-გეოგრაფიული დასახიანება

შესწავლილი ტერიტორია მთიანე მდ. მაშავერას ზემო და შუა დი-
ნებას. იგი თავსდება დმანისის ადმინისტრაციული რაიონის ფარგლე-
ბში. ტერიტორიის საზღვრები, აღმოსავლეთის გამოკლებით, მორფო-
ლოგიურად მკვეთრად გამოყოფილი.

ჩრდილო საზღვარს წარმოადგენს სუბგანედური მიმართულების დუ-
კუნის ქედი, მუსაფრიანის შტოქედით (სურ.1). ქედის მაქსიმალური სი-
მაღლე 1900 მეტრია (მ. ლუკუნი). იგი აგებულია ზედა ცარცული და
შუა ეოცენური ასაკის ვულკანოგენურ-დანალექი წარმონაქმნებით. დუ-
კუნის ქედი შტოქედით წარმოადგენს მდინარეების ხრამისა და მაშავე-
რას აუზების წყალგამყოფს.

სამხრეთიდან საკვლევი ტერიტორია შემოფარგლულია ასევე სუბგა-
ნედური მიმართულების სომხითის ქედით. მისი დასავლეთი კიდე ჯავა-
ხეთის ქედთან მოდის შეხებაში (მ. ლეგლისთან); აღმოსავლეთის მიმა-
რთულებით იგი დაუყვება სახელმწიფო საზღვარს სომხეთთან. ლოქის
უღელტეხილის (1838 მ.) მახლობლად ქედს გამოეყოფა ჩრდილო-აღმო-
სავლეთის მიმართულების ბოლნისის შტოქედი. აღნიშნულ მონაკვეთ-
ზე სომხითის ქედის საშუალო სიმაღლე 1850 მეტრია. მის აგებულება-
ში მონაწილეობენ ქვედა პალეოზოური გრანეტიტები და იურული,
ზედა ცარცული და შუა ეოცენური ვულკანოგენურ-დანალექი ქანები.
ქედის ჩრდილო კალთების მდინარეები — შავსაყდარა, წყალთამამი,
შავწყალა, ფინეზაური გამოიმუშავენ ღრმა V-ს მაგვარ ეროზიულ
ხეობებს სიღრმით 80-დან 250 მ-დე. ეროზიისადმი მდგრადი ქანების
გავრცელების ადგილებში მდინარეები მიედინებიან კანიონისმაგვარ
ვიწრობებში.


რაიონის დასავლეთ საზღვარს წარმოადგენს ჯავახეთის ქედის ცენ-
ტრალური სეგმენტი, აღზევებული ზღვის დონიდან 3000 მ-დე. ქედის
აღმოსავლური ექსპოზიციის კალთები ციცაბოა და ეროზიით ინტენსი-
ურად დანაწევრებული. თხემის ზოლში, აგრიკარისა და ემლიკლის ვუ-
ლკანური მასივების ძირზე, ჩვენს მიერ დაფიქსირებულ იქნა მორფო-
ტექტონიკური საფეხური, რომელიც აქ გამავალი სიღრმული რღვევის



სურ. 1. მდინარეების — ხრამის, მაშავერასა და ძორაგეთის
აუზების სქემატური რუკა.

I — ვაღკის პლატო-ქვაბული; II — გომარეთის პლატო; III — დმანისის პლატო; IV — ღორის
პლატო; V — ხრამის კრისტალური მასივი; VI — ღორის კრისტალური მასივი. ჭრილები: 1. ბეღენი,
2. გომარეთი, 3. ახა, 4. ზურტაკეთი, 5. დმანისი, 6-7. ზემო და ქვემო იოროზმანი, 8. ძორაგეთი, 9.
დმანისის ნაქალაქარი.

◆ ვულკანები.



წადკა-ახადკადაქის წყება —
ლოღურიტები, ბაზალტები, ღა-
ვებსშორისი ტბიური ნალექები.

გამომხატველი უნდა იყოს. შესაძლოა, აღნიშნული სტრუქტურა წარმოადგენდა ბაზალტური ლავების ნაპრალოვანი ამოღვრის კერას. ჯავახეთის ქედის აგებულებაში მონაწილეობენ გოდერძის წყების ვულკანოგენური წარმონაქმნები (მიოპლიოცენი). აღმოსავლეთის მიმართულებით ისინი იფარებიან მეოთხეული ასაკის ბაზალტური და ანდეზიტ-ბაზალტური ლავებით.

საკვლევი ტერიტორიის აღმოსავლეთი საზღვარი პირობითია და გადის ლოქის უღელტეხილსა და სოფ. კაზრეთზე გამავალი მერიდიანის გასწვრივ.

რაიონის მთავარ მდინარეულ არტერიას წარმოადგენს მდ. მაშავერა. იგი სათავეს იღებს ჯავახეთის ქედის თხემისპირა სარტყელში. მდ. მაშავერას სათავედ მიიჩნევენ ადგილს, სადაც ერთმანეთს ერთვიან მდინარეები არყნალის ხევი და პანტიანის ხევი, 1861 მეტრის სიმაღლეზე ზდ. დ. (15). მდინარე მიედინება V-ს მაგვარ, რიგ შემთხვევაში ასიმეტრიულ ხეობაში, რომელიც გამომუშავებულია მეზოკაინოზოურ ნალექებში.

მდ. მაშავერას ყველაზე მნიშვნელოვან შენაკადებს შორის გამოირჩევა მდ. ფინეზაური (მოშეგანი), რომელიც სათავეს იღებს სომხეთის ქედზე, ლოქის უღელტეხილის რაიონში. ხეობა ჩატრილია პალეოზოური ასაკის კრისტალურ და მეზოზოურ ვულკანოგენურ-დანალექ ქანებში. იგი პალეომაშავერას ხეობის თანადროულია და არსებობდა ჯერ კიდევ ბაზალტური ლავების ამოღვრამდე. დღეს იგი რელიქტური ბუნების მატარებელია (პატარა დმანისთან არსებული კანიონის გამოკლებით).

რაიონის კლიმატი ზომიერად ნოტიოა. აქ გავრცელებულია ტყის ყავისფერი, ზოგჯერ ყომრალ-კარბონატული ნიადაგები. ტერიტორიის დასავლეთ ნაწილში გვხვდება გამოტუტული შავმიწა ნიადაგები. ჯავახეთის ქედის თხემზე გავრცელებულია მთა-მდელოს ნიადაგები.

კვლევის მეთოდები

მეოთხეული (ანთროპოგენული) კონტინენტური ნალექების, მათ შორის ახალგაზრდა ვულკანიტების სტრატиграფიული შესწავლისათვის ჩვენ ძირითადად ვიყენებით ტრადიციულ გეოლოგიურ-გეომორფოლოგიურ, ბიოსტრატиграფიულ და პალეომაგნიტურ მეთოდებს. პალეომაგნიტურ კვლევას საფუძვლად ედო მჭიდრო მეცნიერული თანამშრომლობა თსუ-ს გეოფიზიკის კათედრის თანამშრომლებთან (აბესალომ ვეკუა, ჯემალ სოლოლაშვილი, ელისაბედ ფავლენიშვილი).

ნაშრომში ჩვენ ვიყენებთ კასპიის ზღვის კარგად ცნობილ სტრატиграფიულ სკალას, რამდენადაც სამხრეთ საქართველოს ჰიდროგრაფიული ქსელის ევოლუცია მეოთხეულში მჭიდროდ იყო დაკავშირებული კასპიის ზღვის განვითარების მეოთხეულ ისტორიასთან.

მეოთხეული სისტემის ქვედა საზღვარი საერთაშორისო გეოლოგიუ-

რი კონგრესის XXIV სესიის რეკომენდაციით (მონრეალი, 1972) გადის აფშერონული სართულის ძირში ან ოლდუვას პალეომაგნიტური სტრატოზონის ზედა ნაწილში — 1,64-1,66 მლნ.წ. (24). დღეისათვის არსებული სტრატოგრაფიული სქემების მიხედვით მეოთხეული სისტემა იყოფა: ეოპლეისტოცენი (აფშერონი — 0,76 მლნ. წ.), ქვედა პლეისტოცენი (350-760 ათასი წელი), შუა კლეისტოცენი (120-350 ათასი წელი), ზედა პლეისტოცენი (11-120 ათასი წ.) და პოლოცენი (11 ათასი წ. — თანამედროვე ეპოქა).

მოკლე გეოლოგიური მიმოხილვა

საქართველოს გეოტექტონიკური სქემების მიხედვით შესწავლილი ტერიტორია მოიცავს ართვინ-ბოლნისის ბელტის აღმოსავლეთ ნაწილს, მასში შემავალი ლოქის და დმანისი-საკირეს ქვეზონებით (11, 12).


ლოქის ქვეზონა წარმოადგენს კრისტალურ სუბსტრატზე განვითარებულ მსხვილ ანტიკლინურ მორფოსტრუქტურას, რომლის აგებულებაში მონაწილეობასღებულობენ ქვედა პალეოზოური ასაკის გრანიტოიდები და მეტამორფული ფილიტები, აგრეთვე იურული ასაკის ტერიგენული ნალექები. ლოქის მასივი მდებარეობს პატარა დმანისის სამხრეთით სულ რაღაც 4-5 კმ-ზე. მდ. ფინეზაური სოფ. გორახთან მერიდიონალურად ჰკვეთს მას.

ლოქის ქვეზონის დასავლეთით მდებარეობს დმანისი-საკირეს ქვეზონა, რომელიც სტრუქტურულად წარმოადგენს მსხვილ მონოკლინს, დახრილს სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით. იგი აგებულია ძირითადად შუაეოცენური ვულკანოგენურ-დანალექი წარმონაქმნებით. ჯავახეთის ქედის მიმართულებით ეს ნალექები „იძირებიან“ შედარებით ახალგაზრდა ვულკანიტების ქვეშ.

მდ. ფინეზაურის ქვემო დინებაში, პატარა დმანისი — უკანგორის მონაკვეთზე, გავრცელებულია ცარცული ასაკის ვულკანოგენები. ეს ნალექები მოცემულ მონაკვეთზე წარმოადგენენ პალეორელიეფის სუბსტრატს, რომელიც დაჯავშნულია მაშავერას ბაზალტური ლავებით.

შედარებით ახალგაზრდა ნალექები რაიონში წარმოდგენილია პოსტ-პალეოგენური ვულკანოგენურ-კონტინენტური ნალექებით (მიო-პლიოცენი — გოდერძის წყება) და მეოთხეული წარმონაქმნებით. მისი აგებენ როგორც ჯავახეთის ქედის აღმოსავლეთ ფერდობებს, ასევე მათ ძირზე არსებულ გომარეთის, დმანისის და ლორის პლატოებს.

გოდერძის წყების ვულკანიტები ანდეზიტური შედგენილობის ტუფოქვიშაქვებით, ტუფობრეკიებით, ტუფებითაა წარმოდგენილი. წყებას თითქმის ყველგან „ავვირგვინებს“ ანდეზიტ-დაციტური და დაციტური ლავები. მდ. ხრამის აუზში ეს ნალექები აგებენ ჯავახეთის ქედის ფუნდამენტს, ცალკეულ შემთხვევებში გამოსავლებს პოულობენ ქედის თხემზე ცენტრალური ვულკანების, ექსტრუზიული გუმბათების ან შლაკური კონუსების სახით.



სურ. 2. მაშავერას ლავური ნაკადის გასწვრივი სქემატური ჭრილი პატარა დმანისიდან ემლიკლიძე.

გოდერძის წყებას თავზე უთანხმოდ ადევს ქანთა კომპლექსი, წარმოდგენილი დოლერიტებით, ბაზალტებით, ანდეზიტ-ბაზალტებით, ტბიური ნალექებით. ეს ახალქალაქის ან წალკა-ახალქალაქის წყების ნალექებია. ამ წარმონაქმნების სახელმძღვანელო ჭრილები კარგადაა ცნობილი ახალქალაქის პლატოზე (მდ. ფარავნის ხეობა), წალკის ქვაბულში (მდ. ხრამის ხეობა) და ლორის პლატოზე (მდ. ძორაგეთის ხეობა). მათი გეოლოგიური ასაკის შესახებ აზრთა სხვადასხვაობა არსებობს, კერძოდ — ზედა პლიოცენი — ქვედა პლეისტოცენი (13, 26, 29), ზედა პლიოცენი — შუა პლეისტოცენი (1), ზედა პლიოცენი (3, 9, 14, 17, 30).

სამსარისა და ჯავახეთის ქედების თხემურ ნაწილში ახალქალაქის წყების ლავები იფარებიან შედარებით ახალგაზრდა მუჯვე ეფუზივებით — ანდეზიტებით, ანდეზიტ-დაციტებით, დაციტებით (ჰიალოდაციტებით). ისინი ლიტერატურაში ცნობილი არიან კეჩუთის წყების სახელწოდებით (შუა-ზედა პლეისტოცენი). ლავები აგებენ პოლიგენურ ცენტრალურ ვულკანებს — ემლიკლის, შავნაბადას, ჩომჩას და სხვ.

ბეომორფოლოგია

ჯავახეთის ქედის აღმოსავლური ფერდობის ძირში მდებარეობს დმანისის ლავური პლატო. გეგმაში იგი სამკუთხოვანი მოხაზულობისაა, განიერი, ქედს მიბჯენილი 12 კმ-ის სიგრძის ფერდით. აღმოსავლეთის მიმართულებით იგი ვიწროვდება და ბოლნისამდე ფრაგმენტების სახით აღწევს. პლატოს საშუალო სიმაღლე 1360 მ-ია. სამხრეთის მიმართულებით პლატო (ლავები) ვიწრო ყელით გადადის ირგანჩაის ვაკეში, რომელიც თავის მხრივ ერწყმის ლორის პლატოს. ჩრდილოეთით დმანისის პლატო დაკავშირებულია გომარეთის ლავურ პლატოსთან.

გასწვრივ ჭრილში დმანისის პლატოს აქვს საფეხურისებრი აღნაგობა (სურ. 2). სამი, დამრეცად დახრილი ზედაპირი 1800-1600მ, 1500-1300მ და 1250-900 მ აბს. სიმაღლეზე ერთმანეთს გამოეყოფა 80-150 მ-ის სიმაღლის საფეხურებით. პირველი (ქვედა) ზედაპირი რელიეფში კარგადაა

გამოსატული. იგი ვრცელდება რაიცენტრ დმანისის გარეუბნიდან სოფ. ვარდისუბნამდე 10კმ-ის სიგრძეზე. მდ. მაშავერა ჰკვეთს ლავებზე, პლატოს სამხრეთ კიდეზე ცარცულ ვულკანიტებთან კონტაქტის ზონაში, გამოიმუშავენს რა კოლოფისმაგვარ, ზოგჯერ ასიმეტრიულ ხეობას, სიღრმით 80-150 მ. ხეობის ქარაფოვან კალთებზე შიშვლდებიან ლავური ნაკადები, რომელთა რიცხვიც მერყეობს 4-დან 11-მდე. სოფლების ვარდისუბანი — პატ. დმანისის მონაკვეთზე მდინარემ პირველ საფეხურს ეროზიით მოსწყვიტა ბაზალტური ლავების ორი ფრაგმენტი, შექმნა რა გორინჯუკის (სოფ. მაშავერას) ლავური პლატო (ხეობის მარჯვენა ნაპირი) და ეროზიული შთენილი მაშავერას და ფინეზაურის წყალშესაყართან. ხეობაში კაგად ჩანს, თუ როგორ იჯავშნებიან ლავებით პალეოხეობის ფერდობები და მათზე გავრცელებული დელუვიური ნალექები. ლავური ნაკადების კონტაქტის ზონაში ხშირია ხელოვნური თუ ბუნებრივი სიღრუკეები ან სიცარიელები, რომლებსაც ადამიანი იყენებდა საცხოვრებლად, რიტუალების და თავდაცვის საჭიროებისათვის.

მეორე საფეხური გამოიყოფა რაიონულ ცენტრ დმანისისა და ს. ქვემო თროზმანის მერიდიანზე. მისი საშუალო სიმაღლე 1400 მ-ია. ზედაპირი ტალღებრივია, ბორცვიანი, აგებულია დოლერიტული ბაზალტებით, რიგ შემთხვევებში შუა ეოცენური ვულკანიტებით. ს. პანტიანთან, არადრმა ტაფობში, 1358 მ-ის სიმაღლეზე მდებარეობს ტბა საწურბლია (სოლფლიგელი). ადრე ფიქრობდნენ, რომ იგი წარმოადგენდა „ჩამქრალი ვულკანის ამოქოლილ კრატერს“ (23, გვ. 383) სოფ. ქვემო და ზემო თროზმანთან, კარიერებში შიშვლდებიან ირიბშრეებრივი ვულკანური ქვიშები, ფერფლის ღინზებით და იშვიათი პიროკლასტური მასალით.

მესამე ზედაპირი განვითარებულია ბახტიალოსა და ბაზაკლოს იალაღების რაიონში, 1700 მ-ის აბს. სიმაღლეზე. მის აგებულებაში მონაწილეობენ ანდეზიტ-ბაზალტური და ბაზალტური ლავები, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ვულკანური აქტივობის მესამე ციკლთან (იმპულსთან). დასავლეთის მიმართულებით ეს ლავები იფარებიან შედარებით ახალგაზრდა ჯავახეთის კომპლექსის მუავე ეფუზივებით.

დმანისის პლატოს და მაშავერას ლავური ნაკადის ზედაპირი დაფარულია ფლუვიოგენური დელუვიურ-პროლუვიური ნალექებით. ისინი უმეტესად ავსებენ რელიეფში არსებულ უარყოფით ფორმებს — დარტაფებს, მათლაბისებრ ჩაქცევებს და სხვა.

საქრდენი ჭრილების აღწერა

სტრატეგრაფიული საკითხების გადაწყვეტისათვის აუცილებლობას წარმოადგენს რეგიონში არსებული მეოთხეული ნალექების საყრდენი ჭრილების აღწერა. ქვემოთ მოგვყავს წადკის, გომარეთის და ლორის პლატოებზე, როგორც ლიტერატურაში აღწერილი, ასევე ჩვენს მიერ შესწავლილი ჭრილების მოკლე დახასიათება.



ბედენის ჭრილი. საყრდენი ჭრილი მდებარეობს ბედენის ქედის დასავლეთ ფერდობზე ს. ახალციხის ჩრდილოეთით 1 კმ-ში, საავტომობილო გზის გასწვრივ. აქ, ჯერ კიდევ 40-იან წლებში, დადგენილ იქნა „ქვედა“ და „ზედა“ დოლერიტული განფენების და მათ შორის ტბიური ნალექების არსებობა (წალკა-ახალქალაქის წყება). ქვიშიან თიხებში აღმოჩენილ იქნა — *Elephas (Archidiscodon) planifrons* Fals., *Equus stenorionis* Cocchi (14). მოგვიანებით, ამავე ნალექებში აკვეკუას მიერ განსაზღვრულ იქნა *Archidiscodon meridionalis* Nesti., *Eucladoceras* sp., *Dama aff. nestii*, *Leptobos* sp., *Cervus* sp., *Canis aff. etruscus* Majr (7); ფაუნა და შემცველი ნალექები ავტორის მიერ თარიღდება ქვედა ეოკლენისტოცენურად (ქვედა აფშერონი).

გომარეთის ჭრილი. ჭაბურღილების მასალების ანალიზის საფუძველზე გომარეთის პლატოს აგებულებაში ნალექთა შემდეგი თანმიმდევრობა ფიქსირდება (26);


1. ცარცის ვულკანოგენური ნალექები;
2. ტუფოგენური და კირქვული ნალექების ბრეკჩიები;
3. ქვიშაქვები, ვულკანური ქვიშა, ტუფები, ქვიშნარი, თიხნარი, ალუვიურ-ტბიური გენეზისის კონგლომერატები;
4. ბაზალტური ლავები — რამოდენიმე ნაკადი;
5. ტბიური ნალექები — ვულკანური ტუფი, ფერფლი, ქვიშა;
6. ბაზალტური ლავები;
7. ვულკანური ქვიშა, თიხნარი ღორღით.

მოცემული ჭრილი იმითაა საინტერესო, რომ 1. პლატოს ამგები ლავები მკვლევარების მიერ მიჩნეულია დმანისის და ღორის პლატოს ლავების იდენტურად, რაც ჩვენი გამოკვლევებითაც დასტურდება; 2. ლავების ქვეშ არსებულ ტბიურ ალუვიურ ნალექებში მიკვლევულია ნამარხი ფაუნის ნაშთები *Ursys cf. arvernensis* Cr, et Job., *Anoncus arvernensis* Cr. et Job., *Hipparion cf. crusafonti* Villalta, *Dicerorhinus cf. megarhinus* (Cristol), *Procaprelus* sp. and *Giraffa* sp. (10). აღნიშნულ ფაუნას ავტორები მიიჩნევენ ქვაბების ფაუნის ანალოგებად და ათარიღებენ შუა ალჩაგილურად (ზედა პლიოცენი).

ახას ჭრილი — მდებარეობს გომარეთის პლატოზე, ს. ახას მახლობლად. აღმართულ ჭრილში ასეთი სურათი გვაქვს (სურ.3):

1. ვულკანური ქვიშები, მუქი-ნაცრისფერი, ირიბშრეებრივი, ლავის წვრილი ნატეხების ჩანართებით. ხილული სიმძლავრე — 6-8 მ;
2. დოლერიტული ლავები მონაცრისფრო, დანაპრადიანებული. ჭრილის დასავლეთ კიდეზე შეიმჩნევა ორი ნაკადი საერთო სიმძლავრით 4-5 მ;
3. დელუვიური თიხნარები, დაკუთხული ლავური მასალის ჩანართებით; შეიცავს ძვლის მასალას. დელუვიონი ფარავს როგორც ლავებს, ასევე ვულკანურ ქვიშებს, ავსებს რა ზედაპირის უსწორმასწორობას, სიმძლავრე 0,8 მ.

60-იან წლებში ახას კარიერში ნაპოვნი იქნა ძუძუმწოვარა ცხოვე-



სურ. 3. ახას ჭრილი (დ. ჯილაურის მიხედვით).

1. ნიადაგის საფარი; 2. დელუვიური ნალექები;
3. დოლერიტული ღავეები; 4. ვულკანური ქვიშა;
5. ფაუნის ადგილსაპოვებელი.

ლთა ძვლის მასალა (2), შემცველი ნალექები ტბიურებად იქნა მიჩნეული. ა. ვეკუას მიერ აქ განისაზღვრა *Elephas sp.*, *Equus caballus L.*, *Bos sp.*, *Hyaena sp.* ფაუნა ზედა პლეისტოცენურია. მოგვიანებით გაირკვა, რომ ფაუნა მეორად განლაგებაშია, რამაც ეჭვქვეშ დააყენა მათი სტრატиграფიული მნიშვნელობა.

ზურტაკეთის ჭრილი. იგი პირველად ლ. მარუაშვილის მიერ იქნა შესწავლილი 1946 წელს. სამეცნიერო წრეებში ჭრილი ცნობილი იყო, როგორც კულტურული შრის და ფაუნის შემცველი. ლ. მარუაშვილის მიხედვით ლავისშორისი ტბიურ ნალექებში აღმოჩენილია გვიანი მუსტიერული ან ორინიაკული ქვის ინდუსტრია, ხოლო ძუძუმწოვართა ძვლები ეკუთვნით *Bison Priscus Boj.*, *Equus cabalus L.*, *Ovis cf. ophion Blytt.*, *Asinus sp.*, *Cervus elephus L.* ფაუნის ასაკი ზედა პლეისტოცენურია (20).

მოგვიანებით ლ. მარუაშვილმა (21) გადახედა თავის შეხედულებას, რამდენადაც მრავალი მკვლევარის მიერ აღიარებულ იქნა, რომ ფაუნის და ქვამასალის შემცველი ნალექები დელუვიური გენეზისისაა. ქვის ინვენტარი ეკუთვნის მეზოლითის მადლენურ ან აზილურ სტადიას და უახლოვდება ეძანის კულტურას.

ზურტაკეთის ეპიპალეოლითური ფაუნის შედარებით დეტალური აღწერა მოგვცეს ნ. ბურჩაკ-აბრამოვიჩმა და ო. ბენდუქიძემ (5). ავტორები აქ გამოჰყოფენ *Cervus elephus maral Ogilvy*, *Capreolus capreolus l.*, *Bison cf. bonasus l.*, *Ovis cf. ophion Blyth.*, *Equus cf. Przewalski Pol.*, *E. cf. hemionus Poll.*, *Lepus europeus L.*, და სხვ. ისინი მიიჩნევენ, რომ ზურტაკეთის ცხოველთა კომპლექსი თავსდება ზედა პალეოლითის (მადლენი) და ქვედა ჰოლოცენის საზღვარზე.

ქვემოთ პირველად ვაქვეყნებთ ჩვენს მიერ აღწერილ ზურტაკეთის ჭრილს. გაშიშვლება მდებარეობს ს. ზემო ყარაბუღახის სამხრეთ-აღმოსავლეთ გარეუბანში, მდ. აგრიკარის კოლოფისებრი ხეობის მარჯვენა ნაპირზე. ჭრილში ქვევიდან ზევით შიშვლდებიან (სურ. 4):

1. დოლერიტები ღია ნაცრისფერი, მასიურები, ზედაპირზე დანა-

პრალიანებული. ხილული სიმძლავრე ნაკადისა მატულობს მდინარის დინების მიმართულებით 0,5 მ-დან 5 მეტრამდე;


2. ლენტური თიხები, მკაფიოდ გამოხატული წლის სეზონურ შრეებრიობით. შრეების დათვლამ გვიჩვენა, რომ ტბიური ნალექების სედიმენტაცია მიმდინარეობდა 1240-1260 წლის მანძილზე. სიმძლავრე — 3,5-4 მ.

ქვემოთ, მდინარის დინების მიმართულებით, აღმავალ ჭრილში ლენტური თიხები თანდათანობით გადადიან ალუვიურ ნალექებში, რომელთა სიმძლავრეც 2 მ-ს აღწევს. ძირითადი მასა წარმოდგენილია უხეშად დამუშავებული ბაზალტური ლავების ქვარგვალეებით და ლოდნარით. შემადგემენტებელი მასა წარმოდგენილია მსხვილმარცვლოვანი ქვიშით და თიხიანი ქვიშნარით. ალუვიური ნალექები იფარებიან 40 სმ სისქის ნიდაგის ფენით. უკანასკნელი ატარებს ტემპერატურული ზემოქმედების კვალს.

3. დოლერიტული ბაზალტები, მუქი ნაცრისფერი, მასიურები, დანაპრალიანებული, ბელტური განწევრებით. მკაფიოდ ჩანს ცხელი კონტაქტი ქვემოთ მდებარე ტბიურ ნალექებთან. ლავური ნაკადი ჭრილის ფარგლებში მთავრდება; იგი ისოლება ტბიურ და ალუვიურ ნალექებს შორის (მეორე შრე). სიმძლავრე — 6-7 მ;

4. ქვიშნარი, მოყვითალო-მონაცრისფრო შეფერილობის, ლავების დაკუთხული მასალის ჩანართებით, ჭრილის ფარგლებში გამოსოფლებიან. სიმძლავრე — 2-2,5 მ;

5. დოლერიტული ბაზალტები, მუქი-ნაცრისფერი, მთლიანად ფა-



სურ. 4. ზურტაკეთის ჭრილი.

1. ბაზალტები; 2. ტბიური თიხები; 3. ალუვიური ნალექები; 4. მღვიმე; 5. ლავების კონტაქტი; 6. ქვიშნარი; 7. ცხელი კონტაქტის ნაკვალევი.



რავენ მე-4 შრის ნალექებს და ისოლებიან რამდენიმე მეტრში.
სიმძლავრე 4, 5 მ;

6. დოლერიტები, ღია-ნაცრისფერი, ჯავშნიან მესამე და მეხუთე ლავურ ნაკადებს (შრე 2). სიმძლავრე — 4-6 მ;
7. ბაზალტური ლავების ორი მოკლე ნაკადი, რომლებიც კიბის-მაგვარად ერთი მეორეზე არიან განლაგებულნი. ისინი უშუალოდ უკავშირდებიან ვულკანურ ცენტრს, რომელიც გამოვლენილ იქნა ჩვენს მიერ ჯერ კიდევ 1979 წელს. უკანასკნელი მდებარეობს ტრილის სამხრეთით 2-3 ასეულ მეტრში.

დმანისის ტრილი — მდებარეობს მდ. მაშავერას ხეობის მარჯვენა კალთაზე, რაიცენტრ დმანისის მოპირდაპირე მხარეს. საავტომობილო გზის გასწვრივ შიშვლდებიან:

1. დოლერიტული ბაზალტები, მუქი-ნაცრისფერი, მასიურები, ბელტური განწევრებით, ხილული სიმძლავრე — 4-5 მ;
2. თიხნარები, ღია ყავისფერი, დაკუთხური ლავური მასალის ჩანართებით. სიმძლავრე — 4-5 მ;
3. განამარხებული ნიადაგი მოწითალო შეფერილობის, ძლიერ გამომწვარი, სვეტებრივი განწევრებით. სიმძლავრე — 0,3-0,4 მ;
4. დოლერიტული ლავების ორი ნაკადი, თითოეული სიმძლავრით 4-6 მ.

ქვემო ოროზმანის ტრილი — მდებარეობს მდ. ოროზმანის მარცხენა ვერდობაზე. დმანისი — მთისძირის სამანქანო გზის პირას, ხიდის მახლობლად. აღმავალ ტრილში შიშვლდებიან:

1. დოლერიტული ბაზალტები, მუქი-ნაცრისფერი, დანაპრადიანებული. სიმძლავრე — 5-8 მ;
2. ვულკანური ქვიშა, მუქი-ნაცრისფერი და შავი შეფერილობის, მსხვილმარცვლოვანი, ირიბშრეებრივი, ვულკანური ფერფლის ღინზებით. ქვიშის შრეთა პერიკლინალური წყობა უნდა მიუთითებდეს მათ აერალურ წარმოშობაზე და არა ტბიურ აუზში სელიმენტაციაზე. სიმძლავრე — 6-8 მ;
3. ბაზალტური ლავა, რომელიც თხელი ფენით ფარავს ქვიშებს. ისინი ზედაპირზე ქმნიან „გიგანტების ქვაფენილს“. დასავლეთის მიმართულებით ლავების სიმძლავრე მატულობს.

ზემო ოროზმანის ტრილი. აქ გავრცელებული ვულკანური ქვიშები წინამორბედ მკვლევართა მიერ მიხნეული იყო, როგორც ლავებშორისი ტბიური ნალექები, რომელიც შეიცავდა ფაუნას, განსაზღვრულს ა. ვეკუას მიერ. აქ გვხვდება *Felis cf. spelaea* Goldf., *Equus caballus* L., *Bos cf. primigenius* Boj(?), *Ovis* sp., *Cervus elephus* L, *Marmotta* sp. და ადამიანის კბილი. ა. ვეკუა მიიხნევს, რომ ფაუნა და მისი შემცველი ტბიური ნალექები შუა ან ზედა პლეისტოცენურია.


70-იან წლებში ტრილი შესწავლილ იქნა დ. ჯიღაურის მიერ და ხელმეორედ გადამოწმებული შ. ადამიას და სხვა სპეციალისტების მიერ. აღმოჩნდა, რომ აქ იგივე სიტუაცია გვაქვს, როგორც ეს იყო ახას ტრილში. ცხოველთა ძვლები მეორად განლაგებაში იმყოფება და ამდენად

მათი სტრატეგრაფიული მნიშვნელობა დმანისის ლავების დათარიღებისათვის საეჭვო ხდება. ვულკანური ქვიშა აერალურ პირობებშია და მულტირებული. ისინი ლავებით იჯავშნებიან, მაგრამ არა ყველგან. ქვიშების ხილული სიმძლავრე 3-4 მ.

ლორის პლატო (სომხეთი). ლორის პლატოზე ინტენსიურად დისლოცირებულ მეზოკაინოზოურ ეროდირებულ სუბტრატს ჯავშნავენ შედარებით ახალგაზრდა ლავური წარმონაქმნები (სურ. 5). მხარის გეოლოგიურ აგებულებას სწავლობდა მკვლევართა დიდი ჯგუფი — კ. პაფენგოლცი, ა. ასლანიანი, ს. ბაღიანი, ა. გაბრიელიანი, ლ. ზოგრაბიანი, ე. ხარაზიანი და სხვანი. მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის არ არსებობს ერთიანააზრი ჯავახეთის ქედის და ლორის პლატოს ახალგაზრდა ვულკანიტების გენეზისის და ასაკის შესახებ, მაინც აღიარებულ იქნა, რომ აქაც გამოიყოფა „ქვედა“ და „ზედა“ დოლერიტული ლავები და მათ შორის არსებული ანდეზიტ-ბაზალტური შედგენილობის შლაკური წარმონაქმნები (28, 29).

დამახასიათებელი ჭრილი შესწავლილია მდ. ძორაგეთის ზემო დინებაში, კარახანის უღელტეხილამდე. აქ შიშვლდებიან (ჭრილი განზოგადებულია):

1. დოლერიტული ბაზალტები, მუქი-ნაცრისფერი, მასიური, ახასიათებელი როგორც სვეტობრივი, ასევე ბელტური განწევრება. გამოიყოფა 5-მდე განფენი. საერთო სიმძლავრე — 50 მ;
2. ანდეზიტ-ბაზალტური შედგენილობის შლაკურ-წიღისებრი წარმონაქმნები, მოწითალო ფერის. სიმძლავრე — 2-5 მ;
3. ანდეზიტ-ბაზალტები, ღია-ნაცრისფერი, ერთი ნაკადი. სიმძლავრე 55 მ;
4. ანდეზიტ-ბაზალტური შედგენილობის შლაკი. სიმძლავრე 15 მ;
5. დოლერიტული ბაზალტები „ზედა“ ნაკადები, ნაცრისფერი.



სურ. 5. ჯავახეთის ქედის და ლორის პლატოს სქემატური ჭრილი.
1. დაციტები; 2. ბაზალტები; 3. ალუვიურ-ტბიური ნალექები; 4. ანდეზიტ-ბაზალტები; 5. გოლერძის წყების პიროკლასტოიდობები; 6. ეოცენური ვულკანიტები; 7. ცარცული ნალექები.



რი, მასიურები, ნაკადების რაოდენობა 6. ჯამური სიმძლავრე — 30 მ;

6. ანდეზიტ-ბაზალტები, ანდეზიტები, ანდეზიტ-დაციტები, ვიბროლაციტები, ჯავახეთის ვულკანური კომპლექსი.

ე. ხარაზიანის მიხედვით ლორის პლატოს დოლერიტული ლავები ზედა პლიოცენ — ქვედა პლეისტოცენურია, ხოლო ჯავახეთის კომპლექსის მუავე ვულკანიტები — შუა, ზედა პლეისტოცენური.


ჭრილი პატარა დმანისთან. მდ. ფინეზაურის ხეობის მარცხენა ფერდობზე, პატარა დმანისის პირდაპირ შიშველდებიან ზედა ცარცის ვულკანოგენური ნალექები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ მაშავერასა და ფინეზაურის წყალგამყოფი სერის აგებულებაში. საავტომობილო გზის გასწვრივ აღმავალ ჭრილში შიშველდებიან:

1. ტუფები, ტუფოქვიშაქვები მომწვანო ფერის, მასიურები, შრეებრივი აღნაგობის, დისლოცირებული. სიმძლავრე — 25-30 მ;
2. მიკროტუფობრეკიები მოყვითალო-მონაცრისფრო, სქელშრეებრივი, მასიური, დანაპრაღიანებული, ბელტური განწევრებით. სიმძლავრე 80 მ.

ქვემოთ, დინების მიმართულებით, კანიონის დასაწყისში, ეს ნალექები ქმნიან ანტიკლინს და სინკლინს. უკანასკნელი საკმაოდ გაშლილია, მუდღის ზედა შრე ეროდირებულია, ქვემოთ, იქ სადაც სამანქანო გზა მკვეთრად უხვევს ჩრდილოეთისაკენ, ზედაპირზე გამოდიან ცარცული ნალექები, რომლებიც ჰქმნიან 30-35 მ სიმაღლის ქარაფოვან კედელს.

3. ბაზალტური ლავები, მუქი ფერის, მასიურები, ზედაპირზე დახეტილი; ახასიათებთ ბელტური განწევრება. ლავები ავსებენ სინკლინურ სტრუქტურას (ჩვენ იგი მიგვაჩნია ერთდროულად სტრუქტურის თანხვედრილ პალეოხეობად — იხ. ქვემოთ). ლავები ჰორიზონტალურად არიან განლაგებულნი (სურ. 6).
6. ანალოგიური სურათი გვაქვს ხეობის მარჯვენა ქარაფოვან ფერდობზე. ლავური ნაკადების სიმძლავრე 6-8 მეტრია. კარგად ჩანს ნაკადების კონტაქტის ზონები, ყველაზე ზედა ნაკადის ფლექსურისმაგვარი წოლა ადასტურებს ნაკადის გადმოდვრის ფაქტს მდ. ფინეზაურის ხეობის მარცხენა ფერდობზე. ჭრილში დაითვლება 10-მდე ნაკადი ჯამური სიმძლავრით 80-100 მ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დმანისის ნაქალაქარის ტერიტორიაზე, სულ ზედა ნაკადის ზედაპირი გოფირირებულია. მიკრო რელიეფის უარყოფითი ფორმები ნაქალაქარის მთელ ტერიტორიაზე ამოვსილია აკვალური გენეზისის პროლუვიური ნალექებით. უკანასკნელთა წარმოშობის შესახებ განსხვავებული შეხედულებები არსებობს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ფხვიერ ნალექთა აკუმულაცია მიმდინარეობდა დროებითი, მეჩხერი, გამდინარე ბუნებრივი წყალსატევის (შესაძლებელია ეს იყო ნარიონალის ტიპის გუბურა) პირობებში. ასეთი ნალექები, მართალია, არ ეკუთვნიან ტბიური ნალექების გენეტიურ ტიპს კლასიკური გაგებით, მაგრამ ისინი შედიან შესატყვისად აღუვიური და პროლუვიური ნალე-




სურ. 6. მდ. ფინჯახურის კანიონის ჭრილი დმანისის ნაქალაქართან.
1. ზედა ცარცის ვულკანოგენური ნალექები;
2. ბაზალტები; 3. დელუვიურ-პროდუვიური ნალექები.

ქების ფაციალურ რიგში და განხილულ უნდა იქნან, როგორც ალუვიონისა და პროდუვიონის თავისებური ტბიური ფაციესები. აღნიშნული ნალექები რომ აკვალურ პირობებშია დაგროვილი, ამის შესახებ მეტყველებს ვულკანურ ქვიშებში არსებული ხლართული შრეებრიობა, გრაველიტების და ცალკეული ქვარგვანების, აგრეთვე ლენტური თიხების მსგავსი წლიური მიკროშრეების არსებობა კარბონატულ ქერქში.

დმანისის ნაქალაქარის მე-11 ნაგებობის ჭრილი. პირველად სუბაერალური ნალექების ჭრილი ჩვენს მიერ აღწერილ იქნა 1982 წელს მეთერთმეტე ნაგებობის დასავლეთის კედლის ფარგლებში (იმ დროისათვის მხოლოდ ეს მონაკვეთი იყო გათხრილი). ჯერ კიდევ მაშინ არ იწვევდა ჩვენში ეჭვს არსებული „ძვლის შემცველი“ ნალექების ტბიურ-პროდუვიური წარმოშობა, მას შემდეგ, რაც 1983 წელს, აღნიშნულ ნალექებში არქეოლოგ ნ. მგელაძის მიერ მიკვლეულ იქნა უძველესი ქვის იარაღები, რომლებიც „ქვარგვანების კულტურას“ მიესადაგებოდა, ჩვენ მთლიანად ჩავერთეთ მოცემული ობიექტის კომპლექსური კვლევის პროგრამაში; მოგვიანებით მე-11 ნაგებობის თხრილში ჩვენ გამოვყავით 11 სეგმენტი (სურ.7) და მოვიცავით ნაგებობის ყველა კედელი, ავღწერეთ რა თითოეული ცალ-ცალკე. ქვემოთ მოგვყავს ყველაზე სრული ჭრილის აღწერა მე-10 სეგმენტიდან (ქვემოდან ზევით):

1. ბაზალტური ლავა, შავი ფერის, მასიური, გაშიშვლებული ზედაპირი სრულად საღ შთაბეჭდილებას სტოვებს; შეინიშნება ლავური ზედაპირის დახრა დასავლეთის მიმართულებით 28-30°-იანი კუთხით;
2. ვულკანური ფერფლი, შავი ფერის, ნამიანი, მკვრივი; თხრილის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში (1-ლი სეგმენტი) ლავებთან კონტაქტში ფერფლი იძლევა მიკროდაშრეებას, რომელიც მოგვაგონებს სეზონური ლენტური თიხების წყობას; რიგ



სურ. 7. მე-11 ნაგებობის სქემატური გეგმა (ცოფრებით აღნიშნულია სეკმენტები).

შემთხვევაში შეიმჩნევა შრეთა ირიბშრეებრიობა. ეჭვგარეშეა, რომ ნაღებქდაგროვება აკვალურ ჰირობებში მიმდინარეობდა. საერთო სიმძლავრე — 1,25-1,30 მ;

3. ვულკანური ქვიშა, მუქი-მონაცრისფრო, საშუალო და მსხვილ-მარცვლოვანი, ფხვიერი, ხვინჭკის მინარევი. პროცენტული შეფარდება: ვულკანური ქვიშა 80%, ხვინჭკა 20%. სიმძლავრე ცვალებადია 25-დან 50 სმ;
4. ქვიშიანი თიხები (მსუბუქი თიხნარები), ყავისფერი, ნოტიო, საშუალო სიმკვრივის, ხვინჭკის იშვიათი ჩანარებით (8-10%-მდე საერთო მასაში), კარბონატული ძარღვაკებით. სიმძლავრე — 47-50 სმ;
5. თიხნარი, ყავისფერი, ნოტიო, მკვრივი, ჩანარების გარეშე, კარბონატული ძარღვაკებით და ბუდეებით. სიმძლავრე — 24-25 სმ;
6. ქვიშიანი თიხები (მსუბუქი თიხნარები), ღია-ყავისფერი, კარბონატული, ლავების ნატეხების ჩანარებით. საერთო მასაში ქვიშა 30%-ია, დაკუთხული მასალა 10%, შრეში შეიმჩნევა ხვინჭკის თხელი შრეები. სიმძლავრე — 20-22 სმ;
7. თიხნარი, ღია-ყავისფერი, კარბონატული, კალციტის ძარღვაკებით და ბუდეებით, შეინიშნება ცარცული ასაკის ვულკანიტების ნატეხების ჩანარები. სიმძლავრე — 35-38 სმ;



8. კარბონატული ქერქი, თეთრი ფერის, მკვრივი, მაღალი ცემენტაციის, სუსტად გამოსატული ჰორიზონტალური შრეებრივობით და გაფიქლებულობით. სიმძლავრე — 25-30 სმ;
9. თიხნარი, ღია ყავისფერი, კარბონატული, საშუალო სიმკვრივის, ღაჯის ნატეხების ჩანართებით (საერთო მასაში 30%). სიმძლავრე — 40-50 სმ;
10. თიხნარი, ღია ყავისფერი, კარბონატული, მასიური, დატკეპნილი, ანთროპოგენული ზემოქმედების ნაკვალევით, სიმძლავრე — 15-20 სმ.

გაშიშვლების თითქმის ყველა შრეში შეინიშნება დიდი რაოდენობით მუქმწოვარა ცხოველთა ძვლების ჩანართები. ნალექების საერთო სიმძლავრე — 3,5-4,0 მ-ია.

ჭრილი „ღარანი“, აღმოსავლეთის კედელი (ქვევიდან ზევით):

1. ბაზალტები — ჭრილის ფუძეში;
2. ვულკანური ფერფლი, შავი ფერის, ჩანართების გარეშე, ნოტიო, ფხვიერი. სიმძლავრე — 0,9-1,0 მ;
3. ვულკანური ქვიშა, მუქი-მოყავისფრო, ფერფლის ღინზებით, ნოტიო, გამკვრივებული. სიმძლავრე — 70-80 სმ;
4. თიხნარი, მუქი-ყავისფერი, კოშტოვანი სტრუქტურით, ბაზალტების ნატეხების ჩანართებით, კარბონატული, მკვრივი, კალციტის ძარღვაკებით და ბუდეებით. სიმძლავრე — 35 სმ;
5. თიხნარი, ღია-ყავისფერი, ნოტიო, სუსტი შეცემენტების, კარბონატული, ჩანართების გარეშე. სიმძლავრე — 35 სმ;
6. კარბონატული ქერქი, თეთრი ფერის, მკვრივი, სუსტად გამოსატული შრეებრივობით. სიმძლავრე — 30-40 სმ;
7. თიხნარი, მუქი-ყავისფერი, კარბონატული, საშუალო შეცემენტების, ნატეხი მასალის იშვიათი ჩანართებით. სიმძლავრე — 45-50 სმ;
8. თიხნარი, ღია-ყავისფერი, კარბონატული, დატკეპნილი (ნაგებობის იატაკი). სიმძლავრე — 32-35 სმ.

თითქმის ყველა ღონეზე ჭრილში შეინიშნება ძვლის მასალის მნიშვნელოვანი დაგროვება. საერთო სიმძლავრე — 3,8-4,0 მ.

მე-10 ნაგებობის მე-9 კვადრატის ჭრილი (ქვევიდან ზევით):

1. ბაზალტური ლავები — საგები;
2. ვულკანური ქვიშა, შავი ფერის, ვულკანური ფერფლის ჩანართებით, ნოტიო, ფხვიერი. სიმძლავრე — 55-70 სმ;
3. თიხნარი, ღია-ყავისფერი, მკვრივი, კარბონატული ძარღვაკებით, ქვამასალის ჩანართების გარეშე. სიმძლავრე — 35-40 სმ;
4. თიხნარი, ღია-ყავისფერი, კოშტოვანი სტრუქტურით, კარბონატული ძარღვაკებით. სიმძლავრე — 50 სმ;
5. ქვიშნარი, ღამიანი, ღია-ყავისფერი, მკვრივი, კარბონატული ძარღვაკებით, რომლებიც ჰორიზონტალურად არიან მიმართულნი. სიმძლავრე — 30-35 სმ;
6. კარბონატული ქერქი, მოყვითალო-თეთრი ფერის, ღენტური



თიხების მსგავსი აღნაგობით; ქერქი მკვრივია. სიმძლავრე
30-35 სმ;

7. თიხნარი, მოყავისფრო-აგურისფერი, დაკუთხული მასალის ჩა-
ნარობით, ვერტიკალური (დაღმავალი) კარბონატული ძარღ-
ვაკებით. სიმძლავრე — 28-30 სმ.

როგორც აღნიშნული იყო, მე-10 და მე-11 ნაგებობების და „ღარანის“
ნაღებები სავსეა ძუძუმწოვარა ცხოველთა ძვლის მასალით, და, რაც
მთავარია, მე-10 ნაგებობის მე-9 კვადრატში არქეოლოგიურად მე-5 შრეში
(გეოლოგიურად იგი ქვევიდან მესამეა) აღმოჩენილ იქნა ევრაზიისა-
თვის ყველაზე ადრეული ჰომინიდის ქვედა ყბა. დმანისის ფაუნის ანა-
ლიზისა და მათი ამიერკავკასიის და დასავლეთ ევროპის ცნობილ ზე-
დაპლიოცენურ ფაუნებთან შეპირისპირების საფუძველზე ა. ვეკუა მი-
დის დასკვნამდე, რომ დმანისის ფაუნა კარგ შესატყვისობაში მოდის
კოჭახურის ქვედაფშერონულ ფაუნასთან (აღმ. საქართველო) და ასა-
კობრივად იდენტურია წაღკის ფაუნისტური კომპლექსისა (ქვედა ეოპ-
ლეისტოცენი — ქვედა აფშერონი).

ლაბორატორიული ბამოკვლევის შედეგები

ნიმუშები, რომლებიც შეკრებილი იყო 1993 წელს დმანისის ნაქალა-
ქარის მე-10 ნაგებობის მე-9 კვადრატის ჭრილიდან, შესწავლილ იქნა
გეოლოგიური ინსტიტუტის რენტგენო-მინერალოგიურ ლაბორატორია-
ში. როგორც ირკვევა, ჭრილში მოცემული ნაღებები შერეული ტიპი-
საა, რომლის ტერიგენული ნაწილიც წარმოდგენილია ლავებქვეშა სუ-
ბსტრატის ვულკანოგენების ფსამიტური, ალევრიტული და პელიტური
ზომის გამოფიტული მასალით.

ყველა ნიმუში ფხვიერი სახესხვაობებით არის წარმოდგენილი. შემა-
ცემენტებლის როლს თამაშობს დოლომიტიზირებული კირქვა, რომე-
ლიც ზოგ შემთხვევაში შეადგენს მთელი მასის 60%-ს. ნაღებთა ტე-
რიგენული ნაწილის მინერალოგიური შედგენილობა წარმოდგენილია
პლაგიოკლაზით, ოლიგოკლაზიდან ანდეზინამდე, კვარციით, მცირე რა-
ოდენობის პიროქსენით და მადნეული მინერალით — მაგეპიტით.

პლაგიოკლაზის, პიროქსენის, პლაგონიტის კრისტალოგლასტების ნა-
ხევრადმრგვალი ხასიათი, აგრეთვე მინის ნატეხების და ნამსხრევების
არსებობა, რომლებიც შეიცავენ დიდი ოდენობით გაზოვან-თხევად ჩანა-
რთებს, წყალ-ნახშირორთუნიან ხსნარებს, ადასტურებს ვულკანური ფერ-
ფლისა და ქვიშის (შრე 2) პირდაპირ მოხვედრას სელიმენტაციის აუზში.

მე-5 შრის მინერალოგიურმა გამოთვლამ გამოავლინა მონტმორინოლი-
ტური შემადგენლის მაღალი პროცენტული შემცველობა, ნაწილობრივ
ორგანიკისა (8,5%), რაც საშუალებას იძლევა ვივარაუდოთ, რომ ეს ნაღე-
ქები ლამისებრი გენეზისისაა. როგორც ჩანს, მათი ფორმირება მიმდინარე-
ობდა ჰუმიდურიდან არიდულისაკენ გარდამავალ კლიმატურ პირობებში.

განსაკუთრებულ წარმონაქმნს იძლევა კარბონატული „ქერქი“, წა-



რმოდგენილი დოლომიტიზირებული კარბონატით (შრე ნ). ამგვარი ტიპის ქანები ჩვეულებრივ წარმოიქმნებიან ან წყლის არეში, საწყის ეტაპზე დაღეპილი კალციუმის კარბონატის დოლომიტიზაციის შედეგად. ცხელი, არიდული კლიმატის გარემოში, ან კიდევ მაგნიუმით მდიდარი იუვენილური ან გრუნტის წყლების მოქმედებით.

აღნიშნული ნალექების აკუმულაციისა და შემოგარენი ტერიტორიის გეოლოგიური პირობების გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ, რომ ნალექდაგროვება მიმდინარეობდა ვულკანური აქტივობის შესუსტების ფონზე, კალციუმითა და მაგნიუმით გამდიდრებულ წყლით გაჯირჯვულ კარბონატულ არეში, ჰუმიდურიდან არიდულ კლიმატზე გადასვლის პირობებში.

პატარა დმანისის შემოგარენის ბუნებრივი პირობების რეკონსტრუქციისათვის საინტერესო ინფორმაციას იძლევა ნალექებში შემონახული მცენარეთა ნაშთები — მტვრიანები და სპორები, მათი შემადგენლობა, სიმრავლე, შენახულობის ხარისხი სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად წარმოადგენს გასადებს შემცველი ნალექების დაგროვების თანადროული ლანდშაფტის ამოსაცნობად.

ლაბორატორიული დამუშავებისათვის ნიმუშები აღებულ იქნა მე-11 ნაგებობის მე-10 სეგმენტიდან. ცალკეული ფენებიდან მტვრიანების შედგენილობა და რაოდენობა არაერთგვაროვანია. მიკროსკოპული კვლევისათვის მასალა საკმაოდ მძიმეა — ნიმუშების უმრავლესობაში მტვრიანათა მარცვლების დაცულობა არაღამაკმაყოფილებელია, მტვრიანებთან ერთად გამოიყოფა უწვრილესი მინერალური ნაწილაკები, რომლებსაც იგივე კუთრი წონა გააჩნიათ, რაც მტვრიანებს. მათი არსებობა მხედველობის არეში მეტად ართულებს მცენარეთა მტვრის მარცვლების განსაზღვრას.

მტვრის მაღალი კონცენტრაცია და საუცხოო დაცულობა აღინიშნება ჭრილის ქვედა ჰორიზონტებში. აქ გამოვლენილია აგრეთვე ჭრილში უმდიდრესი ფროლისტული შედგენილობა. აღმავე ჭრილში კარბონატულ თიხებსა და თიხნარში მტვრისა და სპორების აბსოლუტური შემცველობა საგრძნობლად ნაკლებია, დაცულობა გაცილებით უარესია.

სპექტრის საერთო შემადგენლობაში მნიშვნელოვნად სჭარბობს ხემცენარეთა მტვერი. იგი წარმოდგენილია წიწვოვანთა — ფიჭვის და ნაძვის, აგრეთვე მეზოფილური ფესვის მქონე ხემცენარეთა — წიფლის, რცხილას, მუხის, მურყანის მტვრით, ნეკერჩხლის და არყის ხის მტვრის ერთეული მარცვლებით. დაფიქსირებულია ტსუგის მტვრის არსებობა. ბუჩქნარებიდან მუდმივად გვხვდება თხილის მტვრის მარცვლები, ქოლგოსნები და ნაცარქათმოსნები. სპორების როლი საერთო შედგენილობაში მინიმალურია, ისინი უპირატესად წარმოდგენილია გვიმრისნაირებით.

როგორც მთიანი ქვეყნის პირობებში სპორებისა და მტვრის სპექტრების ფორმირების ძირითად კანონზომიერებათა გამოვლენის მიზნით ჩატარებული კავკასიონის მთიანი რეგიონებიდან სუბრეცენტული სპორებისა და მტვრის სპექტრების შესწავლის შედეგებმა გვიჩვენა (16), ნალექებში მტვრისა და სპორების შედგენილობა მნიშვნელოვნად განისაზღვრება ნალექდაგროვების რაიონის რელიეფის ხასიათით და ამ-



დენად ყველა შემთხვევაში სპორებისა და მტვრის შესახებ მონაცემების ინტერპრეტაცია უნდა ემყარებოდეს კონკრეტული ოროგრაფიული სიტუაციის შეფასებას. ოროგრაფიულად განსხვავებული რაიონების ერთნაირი შედგენილობის სპექტრები შეიძლება მიღებული იყოს სხვადასხვა ხასიათის მცენარეულობისაგან, ისევე, როგორც მსგავსი მცენარეულობის პირობებში შეიძლება მოხდეს შედგენილობით მკვეთრად განსხვავებული სპექტრების ფორმირება. ჩვენს მონაცემებს ქვემოთ ამ თვალსაზრისით განვიხილავთ.

როგორც ნაშრომის გეომორფოლოგიური ნაწილიდან ჩანს, ესოდენ ვრცელი ტერიტორიისათვის სიმაღლეთა არამკვეთრი გარდატეხები უნდა მიგვითითებდეს რელიეფის შედარებით მშვიდ ხასიათზე, რაც თავის მხრივ ბალებს მოსაზრებას ამ სივრცეზე იმდროინდელი მცენარეულობის შედარებით ერთფეროვნების შესახებ. რელიეფის სუსტი დანაწევრება ხელს არ უწყობდა გარკვეული დაჯგუფებებისა და ცალკეული ჯიშების მისწრაფებას ამა თუ იმ ექსპოზიციის ფერდობებისადმი, აგრეთვე ინვერსიულ მოვლენებს მათ განაწილებაში. ამასთანავე, ვრცელ ტერიტორიაზე ამ ნაღველების ერთიანი სუბსტრატი — ბაზალტები, არ ქმნიდნენ წინაპირობას ლითოლოგიურად მრავალფეროვანი ნაღველების დაგროვებისა და, როგორც შედეგი, მათთან დაკავშირებული მცენარეული დაჯგუფებების წარმოსაქმნელად. ისმის კითხვა — რომელი ფორმაციები განსაზღვრავდნენ მცენარეული საფარის იერსახეს ამ რაიონში? ჩვენ ვუშვებთ ამ რაიონში წიფელას, რცხილას და მუხის ტყეების ფართო გავრცელებას. ამ მცენარეთა მტვერი უფრო ხშირად გვხვდება მასალაში და ამდენად მართლზომიერია დაშვება, რომ ისევე, როგორც დღეს, სწორედ ეს ჯიშებია ტყის წარმომქმნელი. წიწვოვანი ჯიშების მტვრის არსებობა მოცემულ ოროგრაფიულ ვითარებაში მხოლოდ საბუთია მათი გავრცელებისა უფრო მაღალ ჰიფსომეტრიულ დონეზე (როგორც ჩანს, უახლოესი ქედების ფერდობებზე). ეს დასტურდება წიწვოვანთა მტვრის დამორჩილებული მდგომარეობით ხემცენარეების მტვრის საერთო შემადგენლობაში.

პალეობოტანიკური და პალეონტოლოგიური მასალის ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ დმანისის შემოგარენში, ღავეების გავრცელების ზოლში გაბატონებული იყო სავანების ტიპის ღანდშაფტი, ხოლო მთის ფერდობებზე და მდინარეთა ხეობებში — ფართოფოთლოვანი ტყის მასივები.

უპატობრივი მასალის ანალიზი

სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია, რომ წალკა-თრიალეთის და დმანისის რაიონებში გამოყოფილია სამი ასაკობრივად განსხვავებული ეფუზიური კომპლექსი (2, 25, 26, 28). ყველაზე ახალგაზრდად მიჩნეულია ანდეზიტები, ანდეზიტ-დაციტები, დაკავშირებულნი თავკვეთილას და შაენაბადას ვულკანებთან სამსარის ქედზე; აკჩაღა, ჩომჩა



და სხვანი ჯავახერის ქედზე; მათი ასაკი — ზედა პლეისტოცენი, ან ზედა-პლეისტოცენ-ჰოლოცენია. მეორე, შედარებით ადრეული კომპლექსი, წარმოდგენილია ძირითადად დოლერიტული ბაზალტებით გაგრძელებული ბედენის ქედზე, გომარეთის, დმანისის, ლორის პლატოებზე და მაშავერას ხეობაში. კომპლექსის ზედა ნაწილს აკუთვნებდნენ შუა პლეისტოცენს ზემო ოროზმანის, ზურტაკეთის და ახას ფაუნების საფუძველზე (2), ქვედას — გვიან პლიოცენს. აქაც დათარიღებას საფუძვლად უდევს ბედენის ქედის და გომარეთის პლატოს ნამარხი ფაუნა (10, 14). მესამე ეფუზიური კომპლექსი, წარმოდგენილი ანდეზიტებით, ანდეზიტ-დაციტებით და დაციტებით, ეკუთვნის მხო-პლიოცენურ გოდერძის ვულკანოგენურ წყებას.

რაც შეეხება მაშავერას ბაზალტური ნაკადის გეოლოგიურ ასაკს, აქ არსებობდა საპირისპირო შეხედულებები. ფიქრობდნენ, რომ ლავების ასაკი ზედა პლეისტოცენური-ჰოლოცენურია (11, 26, 27); ზედა პლიოცენურია (4); ზედა პლიოცენი-შუა პლეისტოცენურია (2,23) ან ქვედა პლეისტოცენური (8, 30).

მოგვიანებით გაირკვა, რომ მაშავერას ბაზალტური ლავების K/Ar-ული ასაკი 1,8-0,1 მლნ. წელია (31), Ar/Ar მეთოდით კი ასაკი ვარირებს 1,6-დან 3,2 მლნ. წლამდე; ლავების პალეომაგნიტური პარამეტრები დაემთხვა მატუიამას შებრუნებულ ეპოქაში არსებულ ოლდუვაის ნორმალურად დამაგნიტებულ ეპიზოდს და ახლოს დგას ახალქალაქის წყების „ქვედა“ დოლერიტების პარამეტრებთან (8, 30). არსებული მონაცემების საფუძველზე დაზუსტდა მაშავერას ბაზალტური ლავების ასაკი — ქვედა ეოპლეისტოცენი (ქვედა აფშერონული).

პირობითად წილებული „ქვედა“ და „ზედა“ დოლერიტული ბაზალტების არსებობა ეჭვს არ იწვევს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს ლავები და მათ შორის არსებული ტბიური ნალექები ჰქმნიან ახალქალაქის წყებას, ხოლო მათი ასაკი არ სცილდება ზედა პლიოცენს (აღზაგილ-აფშერონი) — (8, 17, 30). წყების ქვედა საზღვარი კარგად თარიღდება ბედენის ქედისა და გომარეთის პლატოს ფაუნით, პალეომაგნიტური მონაცემებით და რადიოლოგიური დათარიღებით, რომელიც ფრანგმა სპეციალისტებმა მიიღეს თოკის ჭრილში (ფარავნის ხეობა) არსებული ლავების Ar/Ar მეთოდით შესწავლისას — 3,4 მლნ. წ. რაც შეეხება ზედა საზღვარს, უკვე აღინიშნა, რომ ამისათვის ზურტაკეთის, ზემო ოროზმანის და ახას ფაუნა ლავების ასაკის დასადგენად ვერ გამოდგება. ამ მიზნისათვის გამოდგება ახალქალაქის პლატოზე არსებული ჭრილები, სადაც „ზედა“ დოლერიტებს თავზე ადევთ ნორმალურად დამაგნიტებული კუმურდოს ანდეზიტური ლავები, რომელთა რადიოლოგიური ასაკი 1,1-1,2 მლნ. წელია (18, 19, 30), აგრეთვე, კარგად ცნობილი ახალქალაქის ქვედაპლეისტოცენური ფაუნა (6, 32) და მისი შემცველი დელუვიურ-პროდუვიური ნალექები, რომლებიც „ზედა“ დოლერიტებს ადევთ თავზე ამირანის გორასთან.

დავუბრუნდეთ ზურტაკეთის, ზემო ოროზმანის და ახას ჭრილებს. აქ არსებული ვულკანური ქვიშები და ფერფლი დიდხანს ფიგურირებდნენ




სამეცნიერო ლიტერატურაში, როგორც ტბიური წარმონაქმნები. **ფიზიკური**
 ლაბორატორიულმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, ამ ნალექებში არ **გვხვდება**
 თიხოვანი (ლამისებრი) ფრაქცია, რაც მათ სუბაერალური წარმოშობის
 სასარგებლოდ უნდა მეტყველებდეს. ლითოგენეტურად ვულკანური ქვი-
 შების აკუმულაცია უთუოდ ხორციელდებოდა ვულკანური ცენტრების
 ან ნაპრალების უშუალო სიახლოვეს, შესაძლებელია ემთხვეოდა კი-
 დევაც მათ გამოსავლებს, როგორც ამას ვარაუდობდა დ. ჯიღაური (13).
 ნათელი ხდება, რომ ჩვენს მიერ გამოვლენილი ვულკანური ცენტრი
 ზურტაკეთთან და ბახალტური ლავების ამომყვანი ყელი რღვევის
 ზოლში, დიდი გომარეთის ჩრდილო დასავლეთით 2 კმ-ში, დაფიქსირე-
 ბული ჩვენს მიერ ს. ყულაშვილთან ერთად 1978 წელს, აგრეთვე ვულ-
 კანური ქვიშის გამოსავლები ზემო და ქვემო ოროზმანის და ახას კა-
 რიერებში, განლაგებულია სუბმერიდიონალური მიმართულების სავა-
 რაულო რღვევის გასწვრივ. როგორც ჩანს, ეს უკანასკნელი აკონტრო-
 ლებდა ბახალტური ლავების ამოღვრას გომარეთის, დმანისის და ლო-
 რის პლატოებზე.

ახას, ზურტაკეთის და ოროზმანის ფაუნები ჰაბიტუსით ზედმიწე-
 ვნით ერთგვაროვანია და მიეკუთვნებიან ზედა პალეოლითურ ფაუნის-
 სტურ კომპლექსს. ლიტერატურული მონაცემებით ამ ტიპის ფაუნა არ-
 სებობდა რისული გამყინვარებიდან (შუა პლეისტოცენი) ვიურმის და-
 სასრულამდე, ხოლო ცალკეული წარმომადგენელი — ჰოლოცენშიაც
 (მაგ. *Bos primigenius* u. a.).

არსებული ფაქტიური მასალიდან გამომდინარე, რომ ზურტაკეთის
 გაშიშვლებაში ფაუნასთან ერთად ნაპოვნი იქნა ქვის იარაღები, რომ-
 ლებიც, ს. ზამიატინის მიხედვით, ეკუთვნის პალეოლითის გვიანმად-
 ლენურ ან მეზოლითის აზილურ სტადიას (21), ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქ
 არსებული ფაუნა ეპიპალეოლითურია. აქედან გამომდინარე, იგი არ
 შეიძლება გამოყენებულ იქნას ლავური კომპლექსების დასათარიღე-
 ბლად.

მდ. ფინეზაურის კანიონის მარცხენა ფერდის გეოლოგიურ ჭრილში
 კარგადაა გამოხატული ეროლირებული სინკლინური მორფოტექტონი-
 კური სტრუქტურა, რომელიც შევსებულია მაშავერას ლავური ნაკადე-
 ბით. ჩვენ ვუშვებთ, რომ აქ არსებობდა სინკლინური ბუნების პალეო-
 ხეობა (სურ. 6-8), რომელშიაც მიედინებოდა მდ. ფინეზაური. საბუთად,
 რომ ამ ხეობის კალაპოტი გაცილებით დაბლა იყო პიფსომეტრიულად,
 ვიდრე თანამედროვე მდინარისა, გამომდგება ლავების არსებობის ფა-
 ქტი მის ქვეშ. ამ მონაკვეთზე მდინარის მიერ ლავები ჯერ კიდევ ბო-
 ლომდე არაა ჩატრილი. თქმულიდან ვასკვნივთ, რომ პალეომაშავერას
 ხეობაში ჩადვრილი ლავები ფინეზაურის ხეობაში შეიჭრა ზემოთხსე-
 ნებული „დამარხული“ ხეობის მეშვეობით.

რაც შეეხება ნაქალაქარის ტერიტორიაზე გავრცელებულ აკვალურ-
 პროლევიურ ნალექებს, მათი აკუმულაცია დაიწყო უმაღლ, პირველი მო-
 რფოლოგიური საფეხურის ბოლო ნაკადის ამოღვრის შემდეგ. ჯერ ად-
 გილი ჰქონდა ვულკანური ქვიშის და ფერფლის გადატანას საპაერო




სურ. 8. პალეომცხეთის და პალეოფინშაურის ხეობების რეკონსტრუქცია.

გზით, შემდგომ მათ აკუმულირებას მარჩხი წყალსატევის პირობებში; მოგვიანებით მოხდა გარემომცველი დამრეცი ფერდობებიდან ძირითადი ქანების გამოფიტული, ფხვიერი მასალის შემოტანა ზედაპირული წყლებით. ნალექების აკუმულაცია გრძელდებოდა მდინარეების მაშავერასა და ფინეზაურის მიერ ლაგების ჩატრამდე. მდინარეთაშუეთში ეროზიული ლაგური კონცხის კონტურების გამოქანდაკებისთანავე ფხვიერი ტერიგენული მასალის შემოტანა ნაქალაქარის ტერიტორიაზე წყდება.

აღნიშნულ ნალექებში საინტერესო წარმონაქმნად გვევლინება კარბონატული „ქერქი“, რომელიც მარკირებულ ჰორიზონტს წარმოადგენს ამ ნალექებისათვის. იგი გვხვდება ყველგან ერთი და იგივე დონეზე. ჯერ კიდევ ჭრილის პირველი გაცნობის დროს ჩვენ გამოვთქვით ვარაუდი, რომ კარბონატული ქერქის გაჩენა თიხნარებში უნდა ყოფილიყო შედეგი რეგიონში კლიმატური პირობების ცვლილებისა არიდზაციის მიმართულებით. შემდგომმა გამოკვლევებმა დაადასტურა ჩვენი ვარაუდი.

კლიმატი თამაშობს ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს ნალექდაგროვებაში. იგი განსაზღვრავს ეკზოგენური პროცესების ხასიათსა და მასშტაბებს — ქანების გამოფიტვას, ფხვიერი მასალის ტრანსპორტირებას, მის აკუმულაციას, ზეგავლენას ახდენს მიწისქვეშა წყლების რეჟიმზე და გრუნტების სინოტივეზე, განსაზღვრავს ქანების დაშლის ქიმიურ პროცესებს და ქიმიური ნივთიერებების გადაადგილების ხასიათს ფხვიერ ნალექებში.

მე-10 და მე-11 ნაგებობებში თიხნარები მაღალმინერალიზებულია. რელიეფის უარყოფითი ფორმა, სადაც გროვდებოდა პროლუვიური მასალა, თავისთავად ხელს უწყობდა ზედაპირული წყლების ფილტრაციას; ერთდროულად ლოგიკურია დაგუშვათ მიწისქვეშა წყლების შეღარე-



ბით მაღალი დონე, რის გამოც ისინი კაპილარების მეშვეობით აღწე-
ვდნენ ზედაპირს, გამოჰქონდათ რა მარილები.

ჭრილებში კარგად ჩანს კარბონატული ძარღვაკები. მე-10 ნაგებობის
ჭრილის მესამე (ქვევიდან) შრიდან შეიმჩნევა ვერტიკალური (აღმავა-
ლი) კარბონატული ძარღვაკები — წყალში გახსნილი კარბონატების
კაპილარებით გადაადგილების შედეგი. მეხუთე შრის ფარგლებში
ძარღვაკები სუბჰორიზონტალურია და მათი წილი ქვიშნარის საერთო
მასაში საგრძნობლად მაღალია. ზემოთ მოსდევს კარბონატული ქერქი.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ კარბონატული ძარღვაკები შეინიშნე-
ბა მე-7 შრეშიც — თიხნარებში. ისინი მიმართულია ზევიდან ქვევით
(დაღმავალი), მაგრამ კარბონატული ქერქის დონეს ვერ აღწევენ. ძარ-
ღვაკების ბოლოებში შეინიშნება მარილების დანაგროვები, ჯიბეების
ან სფერული ბუდეების სახით.

როგორც ლაბორატორიულმა გამოკვლევამ გვიჩვენა, თვითონ კარბო-
ნატული ქერქი წარმოადგენს დოლომიტიზირებულ კარბონატულ წარ-
მონაქმნს, გენეზისით დაკავშირებულს არიდულ გარემოსთან. ქერქი-
დან აღებულ ცალკეულ შტუფში, რომელიც მოჭრილ იქნა პალეომაგნი-
ტური შესწავლისათვის, შეიმჩნევა მიკროშრეებრიობა, რომელიც წაა-
გავს ლენტურ თიხებს. 3-4 მმ-იანი კარბონატული შრეები მორიგეობენ
2-3 მმ-ის სისქის პელიტური ფრაქციის მქონე შრეებთან. ეს ფაქტი
უნდა მეტყველებდეს ამ ნალექების აკუმულაციაზე წყლის გარემოში
(რასაკვირველია ქერქის წარმოშობამდე), შესაძლებელია ნარიონალის
ტიპის მეჩხერ ტბიურ აუზში. რეგიონში კლიმატური პირობების შე-
ცვლამ არიდიზაციის მიმართულებით, გამოიწვია წყალსატევის სწრა-
ფი დაშრობა, იმავდროულად, კაპილარების გზით ზესვლას იწყებს გრუ-
ნტის წყლები. წყალი ორთქლდებოდა, ხოლო მარილები კრისტალდებო-
და წყალსატევის ფსკერზე არსებულ ლამიან მასაში. სწორედ პელიტუ-
რი მასალის არსებობამ ამ ნალექებში განსაზღვრა მათი სიმკვრივე.
შედეგად წარმოიშვა კარბონატული ქერქი. მისი გავრცელების არეა-
ლი, ფაქტობრივად, აფიქსირებს არსებული წყალსატევის მასშტაბებს.

დასკვნები

მდ. მაშავერას აუზის გეოლოგიური შესწავლის საფუძველზე შესა-
ძლებელი ხდება ზოგიერთი დასკვნის გაკეთება, კერძოდ:

1. დმანისის პლატოს და მაშავერას ბაზალტური ლავები მიეკუთვნე-
ბა წალკა-ახალქალაქის წყების „ქვედა“ ლავურ კომპლექსს და თარი-
ღდება ზედა ალჩაგილი — ქვედა აფშერონით (ეოპლეისტოცენი);
2. მაგნიტოქრონოსტრატოგრაფიულად ლავები და პროლუვიური ნა-
ლექები შემცველ ფაუნასთან ერთად თავსდება ოლდუვაის პალეომაგ-
ნიტური ეპიზოდის ფარგლებში — 1,66-1,87 მლნ. წელი;
3. ფაქტი, რომ მდინარეების — მაშავერასა და ფინეზაურის მიერ
ბაზალტური ლავები ზოგ ადგილას ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის

ნაჭრილი ეროზიით, უნდა მიუთითებდეს პალეოხეობების ფსკერის დრმა მდებარეობაზე;


4. პალეობოტანიკური და პალეონტოლოგიური მასალის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დმანისის შემოგარენში იმ დროს გაბატონებული იყო სავანების ტიპის ლანდშაფტი;

5. კარბონატული ქერქის გაჩენა დაკავშირებული იყო ჰავის მკვეთრ ცვლილებასთან არდიზაციის მიმართულებით; იგი ადგილობრივ (რეგიონულ) ხასიათს ატარებდა;

6. გომარეთის, დმანისის, ღორის კლატოს და მაშავერას ნაკადის ლავების ეროპტიული ცენტრები მდებარეობდნენ როგორც ჯავახეთის ქედის თხემზე, ასევე სავარაუდო რღვევის გასწვრივ ჭოჭიანი-ახა-ზუ-რტაკეთი-ორთომანის მერიდიანზე.

ლიტერატურა

1. გაბუნია ლ., ვეკუა ა., თუსტუსი ა. დმანისის გვიანვილადრანკული ნამარხი ადამიანის ქვედა ყბის შესახებ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ბიოლოგიის სერია, ტ. 18, №6, თბილისი, 1992 წ. გვ. 418-427.
2. Адамия Ш. А., Мацхонашвили К. Г., Хуцишвили О.Д. Неогеновые и четвертичные образования. — В кн.: Геологическое строение и металогения Юго-Восточной Грузии. Тр. ГИН АНГССР, новая серия, вып. I, 1965 г. с.113-135.
3. Асланян А. Т. Региональная геология Армении. Изд. Айпетрат, Ереван, 1958 г. 430 с.
4. Астахов Н. Е. Геоморфологический очерк южной части Нижней Картли. Тр. ИГАН ГССР, т.VII, 1957 г. с. 45-79.
5. Бурчак-Абрамович Н. И., Бендукидзе О. Г. Фауна эпилеолитической стоянки Зуртакети. Сообщения АН ГССР, т.55, № 3, 1969 г. с. 493-496.
6. Векуа А. К. Ахалкалакская нижнеплейстоценовая фауна млекопитающих. Автореф. канд. дисс. Ин-т палеобиологии АН ГССР, Тбилиси, 1961 г. 16 с.
7. Векуа А. К., Джигаური Д. Г., Торозов Р. И. Новые палеонтологические находки в окрестностях Цалка. Сообщения АН ГССР, т.118, № 2, 1985 г. с. 373-376.
8. Векуа А. В., Маисурадзе Г. М., Какулия В. К., Павленишвили Е. Ш., Сологашвили Дж. З. Магнитохроностратиграфия позднекайнозойских вулканитов Грузии. В кн.: Четвертичная система Грузии. Изд. „Мецნიერება“, Тбилиси, 1982 г. с. 3-25.
9. Габриелян А. А. Неоген. В кн.: Геология Армянской ССР. т. 2, Стратиграфия, Ереван, 1964 г. с. 340-381.
10. Габунია Л. К., Буачидзе И. И. О первой находке позднеплиоценовой жирафы в СССР. Сообщения АН ГССР, т. 57, № 1, 1970 г. с. 241-244.
11. Гамкрелидзе П. Д. Геологическое строение Аджаро-Триалетской складчатой системы. Монография № 2. Тр. ГИН АНГССР, Тбилиси, 1949 г. 508 с.
12. Гамкрелидзе П. Д. Тектоника. Геология СССР, Грузинская ССР, т. X, Изд. „Недра“, М., 1964 г. с. 453-491.
13. Джигаური Д. Г. Южно-Грузинское нагорье. В кн.: Грузия в Антропоген Изд. „Сакартველო“, Тбилиси, 1991 г. с. 91-125.
14. Зәридзе Г. М., Татришвили Н. Ф. О возрасте Цалкинского лавового комплекса. ДАН СССР, т. IX, № 1, 1948 г. с. 111-113.

- 
15. Кавришвили В. И. Физико-географическое описание бассейна р. Кция-Храми. Водный кадастр Закавказья, т. 1, Бассейн р. Кция-Храми. Тифлис, 1931 г. с. 123.
 16. Клопотовская Н. Б. Основные закономерности формирования споровопыльцевых спектров в горных районах Кавказа. Изд. „Мецниереба“, Тбилиси, 1973 г. 183 с.
 17. Майсурадзе Г. М. Четвертичные отложения и история развития рельефа Ахалцихской котловины. Автореф. канд. дисс. Тбилиси, ИГАН ГССР, 1970 г. 28 с.
 18. Майсурадзе Г. М., Смелов С. Б., Твалчрелидзе М. Г. Новые данные о вулканиках Джавахетии. Сообщения АН ГССР, т. 98, № 3, 1980 г. с. 605-608.
 19. Майсурадзе Г. М. Антропоген Кавказа. Изд. „Мецниереба“, Тбилиси, 1990 г. 51 с.
 20. Маруашвили Л. И. Зуртакетская палеолитическая стоянка в Южной Грузии и ее геологическое значение. „Природа“, № 12, 1946 г. с. 59-62.
 21. Маруашвили Л. И. Антропогенные континентальные отложения нагорной части Храмского бассейна (Южная Грузия) в стратиграфическом и палеогеографическом освещении. В кн.: Проблемы географии Грузии. Изд. „Мецниереба“, Тбилиси, 1965 г. с. 3-30.
 22. Маруашвили Л. И. Морфология и история развития новейших вулканических сооружений Южной Грузии. Сообщения АН ГССР, т. 17, № 4, 1956 г. с. 321-328.
 23. Маруашвили Л. И. Южно-Грузинское вулканическое нагорье. В кн.: Геоморфология Грузии. Изд. „Мецниереба“, Тбилиси, 1971 г. с. 346-384.
 24. Никифорова К. В., Иванова И. К., Кинд Н. В. Актуальные проблемы хроностратиграфии Четвертичной системы. В кн.: Новые данные по геохронологии четвертичного периода, „Наука“, М., 1987 г. с. 15-23.
 25. Рубинштейн М. М., Адамия Ш. А., Девнозашвили Д. И., Добрыдин В. Н., Розентур Л. И. Датирование некоторых верхнеэоценовых и четвертичных эффузивов Закавказья по геологическим, радиологическим и палеомагнитным данным. В сб.: Граница между неогеном и четвертичной системой М., т. 1, 1972 г. с. 162-174.
 26. Схиртладзе Н. И. Постпалеогеновый эффузивный вулканизм Грузии. Тр. ГИН АН ГССР, монография № 8, Тбилиси, 1958 г. 333 с.
 27. Тутберидзе Б. Д. Петрографические, минералогические и геохимические особенности неоген-антропогенных вулканических образований Джавахетского хребта. Автореф. канд. дисс. Тбилиси, 1975 г. 33 с.
 28. Харазян Э. Х. Стратиграфическое положение долеритовых лав Лорииского плато в разрезе вулканического комплекса Джавахетского хребта. Изв. АН Арм. ССР, т. XIX, № 5, 1966 г. с. 38-46.
 29. Харазян Э. Х. Геология новейших вулканических образований северо-западной части территории Арм. ССР. Автореф. канд. дисс. Ереван, 1970 г. 24 с.
 30. Maisuradze G. M. Anthropogene of the Anticaucasus. *Palaeogeography, Palaeoclimatology, Palaeoecology*, v. 72, Elsevier Science Publishers B. V. Amsterdam, 1989. pp. 53-62.
 31. Maisuradze G. M., Pavlenis vili E., Schmincke H., Sologavili D. Paläomagnetik und datierung der basaltlava. Der altpaläolithische Fundplatz Dmanisi in Georgien (Kaukasus). Mainz, 1989. pp. 74-76.
 32. Vekua A. K. The Lower Pleistocene Mammalian Fauna of Akhalkalaki (Southern Georgia). *Palaontographia Italica*, v. LXXIV, 1987. pp. 63-96.

ჯემალ სოლოჯაშვილი, ელისაბედ შავლენიშვილი,
ავთანდილ ბობიჩაიშვილი

**მაშავერას აუზის
(სამხრეთ საქართველო)
კლიო-მეოთხეული ვულკანიტიზმისა
და დანალექი ქანების
მაგნიტოსტრატობრაფია**

დედამიწის შემსწავლელ თანამედროვე მეცნიერებათა შორის პალეომაგნეტიზმმა თვალსაჩინო ადგილი დაიკავა თავისი საინტერესო შედეგებით. პალეომაგნეტური კვლევის მონაცემებით შეიძლება გაირკვეს ისტორიული თუ წინაისტორიული ხასიათის ზოგიერთი საკამათო საკითხიც. ბუნებრივ ქანებში სტაბილურად შემონახული დედამიწის მაგნეტური ველის ანაბეჭდების შესწავლის საფუძველზე შესაძლებელია დედამიწის პალეომაგნეტური ველის რეჟიმების სავარაუდო ხასიათის აღდგენა და აგრეთვე, ერთმანეთისაგან დაშორებული თანაასაკოვანი გეოლოგიური ტერილების პალეომაგნეტური კორელაცია. შესწავლილი ობიექტების ასაკობრივი მიბმა მაგნიტოქრონოლოგიურ სკალასთან ეყრდნობა დათარიღების აბსოლუტური მეთოდების მონაცემებს, ითვალისწინებს რა საკვლევ რეგიონში მორფო-სტრატოგრაფიული და პალეონტოლოგიური შესწავლის შედეგებს.

ნაშრომის მიზანია მდ. მაშავერას აუზში ახალგაზრდა ვულკანური წარმონაქმნებისა და დმანისის ნაქალაქარის ტერიტორიაზე გავრცელებული დელუვიურ-პროლუვიური დანალექების პალეომაგნეტური გამოკვლევების ძირითადი შედეგების წარმოდგენა და ინტერპრეტაცია.

დმანისის რეგიონზე, რომელიც მდებარეობს სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე და მოიცავს მდინარეების — მაშავერასა და ფინეზაურის სათავეებს, თანამედროვე გეოლოგიური წარმოდგენები განხილულია გ. მაისურაძის მიერ (გ. მაისურაძე, რ. ახვლედიანი, ნ. კლოპოტოვსკაია)*. დმანისის ვულკანური პლატოს სამსაფეხურიანი აგებულება და საფეხურებს შორის დელუვიურ-პროლუვიური ნალექების ლოკალური გავრცელება სვამს პრობლემას საზოგადოდ, მათი ასაკის და

* იხ. ამავე კრებულში



ფენის და ნიმუშის № კან-გეულ-ის წონა %	II-A6 ღია ფავის-თიხნარი	III-A5 კარბონატული ქერქი	IV-A4 ქვიშნარი	IV-A3 ფავის-ფერი თიხნარი	V-A2 ღია ფავის-თიხნარი	VI-A1 ვულკანური ფერ-ფლი	დოლერიტები
SiO ₂	49,42	29,33	61,55	54,15	46,05	54,12	51,20
Al ₂ O ₃	13,36	6,35	17,10	12,31	10,79	16,07	18,35
Fe ₂ O ₃	6,43	2,57	6,11	6,50	7,03	9,88	3,58
TiO ₂	0,80	0,26	1,28	0,87	0,81	1,30	1,37
MnO	0,12	0,04	0,21	0,13	0,12	0,19	0,15
MgO	2,76	3,07	3,51	2,61	3,10	3,47	5,05
CaO	7,69	28,45	1,30	10,14	16,02	7,86	7,86
Na ₂ O	1,16	0,58	2,51	2,19	0,95	3,14	2,14
K ₂ O	2,53	1,08	2,74	1,98	2,04	1,71	1,92
P ₂ O ₅	0,20	0,22	0,64	0,19	0,31	0,28	0,50
SO ₃	0,04	0,05	0,11	0,04	0,05	0,02	0,78
H ₂ O	5,02	2,40	2,14	2,98	2,56	0,71	0,30
FeO	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	6,64
ღ ა ნ ა კ ა რ გ ე ბ ი გ ა ხ უ რ ე ბ ი ს ა ს	10,48	25,60	0,80	5,90	10,16	1,25	0,36

კერძოდ კი, საფეხურების ასაკობრივი დანაწევრების შესაძლებლობის შესახებ (17). ამ საკითხზე პასუხი არაცალსახაა (5). თუ გავითვალისწინებთ აღნიშნული საკვლევი ობიექტის ასაკზე მორფოსტრატოგრაფიულ, პალეონტოლოგიურ წარმოდგენებსა და აბსოლუტური დათარიღების K-Ar მეთოდით მიღებულ მონაცემებს შორის გაბნევას (17).

მაშავერას ხეობაში ღმანისის მაღალმთიანი პლატოს პალეომაგნიტური შესწავლის პირველი სამუშაოები ჩატარდა სამოციანი წლების დასაწყისში (1), რომლის მიხედვითაც დადგენილია ვულკანოგენურ ლავურ საფარებში პირდაპირი დამაგნიტებულობის არსებობა; აქვე მინერალოგიური ანალიზით განსაზღვრულია მდ. მაშავერას ხეობის დოლერიტების ქიმიური შედგენილობა (ცხრ. № 1); აღნიშნული ქანები შეიცავენ ვულკანურ მინაში გაბნეულ მაგნეტიტის წვრილ მარცვლებს. ბაზალტები დოლერიტების ანალოგიურია შემადგენლობით, ისინი განსხვავდებიან მხოლოდ სტრუქტურით, შესწავლილი ქანების ასაკად მითითებულია ზედა პლიოცენი-პლეისტოცენი (1).

ღმანისის რეგიონის პალეომაგნიტური შესწავლის შემდგომ ეტაპს წარმოადგენს ლ. ვეკუას მიერ თანაავტორებთან ერთად შესრულებული გამოკვლევა (4). მასში მოყვანილია სოფ. მაშავერასთან არსებული II დოლერიტული ნაკადისაგან შემდგარი სრული პალეომაგნიტური ჭრილის შესწავლის შედეგები. ყველა ნაკადი შეიცავს პირდაპირ დამაგნიტებულობას და მათში პირველადი ნარჩენი დამაგნიტებულობის ვექტორები ახლოსაა ერთმანეთთან ყველა პალეომაგნიტური პარამეტრით. ავტორთა აზრით, ისინი წარმოადგენენ N პოლარობის ერთ გეომაგნიტურ ზონას, რომლის ასაკი, მაშინდელი მორფოსტრატოგრაფიული, პა-


ლეომაგნიტური და K-Ar მეთოდით განსაზღვრული მონაცემებით, მიეკუთვნებოდა შუა პლეისტოცენს. მინერალოგიური ანალიზით დადგინდა ორი ფერომაგნიტური ფრაქციის ძირითადი შემადგენლობა (მაგნეტიტი, ჰემატიტი, ტიტანომაგნეტიტი, ილმენიტი და მაგნიტი) დამტკიცებულია მაგნიტური გამოკვლევებითაც (4).

დმანისის ვულკანოგენური პლატოს უფრო მასშტაბური პალეომაგნიტური გამოკვლევები ჩატარებულ იქნა მოგვიანებით (17). ამასთან, გამოკვლევებს დაექვემდებარა აგრეთვე დელუვიურ-პროლუვიური დანალექები, რომლებიც განლაგებულია მდ. მაშავერას და მდ. ფინეხაურის შესართავთან არსებული ლავეების წყალგამყოფ ეროზიულ შთენილზე. ქვემოთ განვიხილავთ ამ გამოკვლევების ყველა ძირითად შედეგს, რომელთა ინტერპრეტაცია შეესაბამება ავტორთა ახლანდელ წარმოდგენებს სადღეისოდ არსებული მეცნიერული მონაცემების გათვალისწინებით. უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში, მაშავერას ჭრის გარდა, ჩვენ პალეომაგნიტურად შევისწავლეთ კიდევ ექვსი ვულკანოგენური და ორი დელუვიურ-პროლუვიური დანალექებისაგან აგებული ჭრილი (ნახ.1). რამდენადაც ქრონოლოგიურად ვულკანოგენური ლავური ნაკადების შესწავლა წინ უსწრებდა დანალექი ქანებისას საკვლევ რეგიონში, ამიტომ ჯერ შევჩერდებით დმანისის ახალგაზრდა ვულკანური წარმონაქმნების პალეომაგნიტური კვლევის მეთოდებსა და შედეგებზე, შემდეგ კი დელუვიურ-პროლუვიური დანალექი ქანების შესწავლაზე.

შევნიშნავთ, რომ წარმოდგენილი პალეომაგნიტური სამუშაოების ჩატარებაში ავტორები მნიშვნელოვან მხარდაჭერას ღებულობდნენ პროფ. ვახტანგ ჯაფარიძისა და დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის მეცნიერ თანამშრომლების ჯ. კოპალიანის, მ. ნიორაძის, ა.ვეკუას, დ. ლორთქიფანიძისაგან; აგრეთვე კელნის უნივერსიტეტის პროფესორის გ. ბოზინსკისა და რომაულ-გერმანული ცენტრალური მუზეუმის გენერალური დირექტორის კ. ვაიდემანისაგან, რისთვისაც მათ ვუხდით მადლობას. პალეომაგნიტური კვლევის საკონტროლო გაზომვები შესრულებულია სანკტ-პეტერბურგის ექსპერიმენტული გეომაგნიტური გაზომვების ლაბორატორიაში (ვოეიკოვო) პროფ. დ. შოლჰოს ხელმძღვანელობით. მადლიერებით აღვნიშნავთ, რომ სავლელ სამუშაოების ჩატარებაში აქტიურად მონაწილეობდნენ გეოლოგი გ. მაისურაძე, არქეომაგნიტოლოგი მ. კვირიკაძე, გეოფიზიკოსი ნ. ხუნდაძე და სხვები.

პალეომაგნიტური სავლელ შტუფები შევარჩიეთ *in situ* მდგომარეობაში და მათზე თეოდოლიტის (იშვიათად კი კომპასის) მეშვეობით დავიტანეთ ასტრონომიული (ან მაგნიტური) მერიდიანის მიმართულება. რადგან გამოსაკვლავი ვულკანური ქანები ძლიერაა დამაგნიტებული ($J_n=5\pm 20$ ა/მ), ამიტომ თეოდოლიტის გამოყენება ნიმუშთა კოლექციის მოპოვებაში მიზანშეწონილია; ასეთი ქანები მათთან მიანხლოვებისას კომპასის ისარს მაგნიტური მერიდიანისაგან მნიშვნელოვნად ($\sim 20^\circ$) გადახრის, რის გამოც დამაგნიტებულობის სივრცული ორიენტაციის დაზუსტებისას გვიხდება შესწორების შეტანა

დანალექი ქანების ჭრილი
პალეომაგნიტური
მონაცემებით



- პირობითი აღნიშვნები:
- პირდაპირი } დამაგნიტებულობა
 - კარბონატული ქვრქი } დამაგნიტებულობა
 - ყავისფერი თიხნარი } დამაგნიტებულობა
 - მოშავო-მოყავისფერი თიხნარი } დამაგნიტებულობა
 - ქვიშიანი თიხნარი } დამაგნიტებულობა
 - მაგნიტური თიხნარი } დამაგნიტებულობა
 - დოლერიტი } ლავური ნაკალი
 - ბაზალტი } ლავური ნაკალი

- დანალექი ქანების ჭრილი
დმანისის ნაქალაქარზე
- ღია ყავისფერი თიხნარი
 - კარბონატული ქვრქი
 - ყავისფერი თიხნარი
 - მოშავო-მოყავისფერი თიხნარი
 - ქვიშიანი თიხნარი
 - მაგნიტური თიხნარი
 - დოლერიტი
 - ბაზალტი

რიცხვები სვეტის მარცხენა მხარეს მიუთითებენ ჯამური ჭრილის ლავური ნაკალების რიგით ნომერს ფორმირების დროის გათვალისწინებით, ხოლო მარჯვენა მხარეს - პალეომაგნიტური D₀ და I₀ კუთხურ პარამეტრებს.

ნახ. 1. დმანისის რეგიონის ულკანიტების ცალკეული (I-VII) და ჯამური (VIII) პალეომაგნიტური ჭრილები. დმანისის ნაქალაქარის დანალექი ქანების ჭრილი (IX).



საველე მონაცემებში. ცალკეული ლავური ნაკადიდან ავიღეთ ორი ან სამი შტუფი ზომებით $\sim 25 \times 25 \times 25$ სმ³.

დმანისის ვულკანური პლატოს ქვედა საფეხური წარმოდგენილია ლეომაგნიტური ვულკანოგენური ჭრილებით: I — მაშავერა (11 ლავური ნაკადი), II — პატარა დმანისის ნაქალაქარი (5 ლავური ნაკადი), III — პატარა დმანისი (2 ლავური ნაკადი), VII — პატარა დმანისის წისკვილი (3 ლავური ნაკადი), VI — დიდი დმანისი (1 ლავური ნაკადი); შუა და ზედა საფეხურები წარმოდგენილია ერთეული პალეომაგნიტური ჭრილებით: V — დმანისი (2 ლავური ნაკადი) და IV — პანტიანი (2 ლავური ნაკადი) შესაბამისად: შესწავლილი ლავური დოლერიტული-ბაზალტური ნაკადების სიმძლავრე მერყეობს 0,5-დან 30 მ-მდე. ნახ.1-ზე წარმოდგენილია ინფორმაცია შესწავლილი პალეომაგნიტური ჭრილების შესახებ ლავური ნაკადების სიმძლავრეების გაუთვალისწინებლად.


საველე შტუფებიდან დავამზადეთ ორიენტირებული 195 კუბური ნიმუში 5 სმ სიგრძის წიბოებით. ნიმუშთა ამ კოლექციაზე გამოვიყენეთ პალეომაგნიტური კვლევის მეთოდების კომპლექსი მაგნიტური სტაბილურობის, J_n დამაგნიტებულობის კომპონენტის სიძლიერისა და სტაბილური პირველადი კომპონენტის გამოსაყოფად, J_n⁰-ის წარმოშობის თერმონარჩენი ბუნების დასადგენად, პალეოდაძაბულობის შესაფასებლად, შესასწავლი პერიოდისათვის ვირტუალური გეომაგნიტური პოლუსების (მზკ) მიგრაციის ტრაექტორიისა და გეომაგნიტური რეჟიმის ზოგადი ხასიათის დასადგენად.

ყველა ძირითადი ექსპერიმენტი ჩავატარეთ ოსუ მარტყოფის პალეომაგნიტურ ლაბორატორიაში.

ლაბორატორიულ პირობებში დროითი მაგნიტური წმენდის ჩატარების შედეგად დადგინდა იქნა J_n ბუნებრივი ნარჩენი დამაგნიტებულობის მაღალი სტაბილურობა (S=0,87±0,98). შევისწავლეთ სიბლანტის S_v კოეფიციენტი (ნახ. 2). აღმოჩნდა, რომ S_v<12 ერსტედზე (1000 ა/მ), რაც დამატებით ადასტურებს J_n-ის მაღალსტაბილურობას.


J_n ვექტორის კომპონენტის დასადგენად და J_n⁰-ის გამოსაყოფად გამოვიყენეთ ცვლადი h მაგნიტური ველით განმაგნიტების მეთოდით: მივიღეთ, რომ 637-955 ა/მ ცვლადი მაგნიტური ველის ზემოქმედებით, კომპენსირებული გეომაგნიტური ველის პირობებში, J_n სრულად თავისუფლდება მეორეული კომპონენტებისაგან. J_n⁰-ის მაღალტემპერატურული წარმოშობის დასადგენად გამოვიყენეთ კოერციტიული სპექტრები და შევაფასეთ N_r (0,25-0,35) ტემპერატურამგრძობიარე კოეფიციენტი (15), რითაც გაირკვა J_n⁰-ის სინქრონულობა ქანის წარმოშობასთან. ასე, რომ J_n⁰-ის მაგნიტური პარამეტრები (მიხრილობა — D_n, დახრილობა — J_n, მაგნიტური შემთვისებლობა — α , კენიგსბერგერის ფაქტორი — Q, ძველი მაგნიტური ველის დაძაბულობა — H₀) წარმოადგენენ საკვლევი ვულკანიტების პალეომაგნიტურ მახასიათებლებს.

დელამიწის ძველი მაგნიტური ველის დაძაბულობის შესწავლისათვის გამოვიყენეთ ტელიუს (19) (ნახ.3), ვან-ზიილის და ვილსონის (2) მეთოდები (ნახ. 4). მითითებული მეთოდების მიხედვით ნიმუშების



ნახ. 2. სიბლანტის კოეფიციენტის $S_V=7$ ერსტ. განსახლების ექსპერიმენტული მონაცემების გრაფიკული წარმოდგენა ნიმუშისათვის პ. დმ. 6ქ. 93-1₁₀ $H_E=5,6$ ერსტ. მუდმივ მაგნიტურ ველში.

$J_n/J_{n0}, J_{rt}/J_{n0}$




ნახ. 3. პ. დმ. 16 ნიმუშის თერმული დამუშავების შედეგები ტელიეს მეთოდებით: ა) ტემპერატურული განმაგნიტებისა J_n/J_{n0} (1) და დამაგნიტების J_{rt}/J_{n0} (2) მრუდები; ბ) J_n ვექტორის მიმართულების ცვლილება ტემპერატურის მიხედვით; ც) არაინვაზიას დამოკიდებულება, $k=0,58$.


თერმული დამუშავების შედეგებით შევარსებულ მათში არსებული ძე-
რიანი ფერომაგნიტური მინერალის კიურის წერტილი (ნახ. 4) და თერმული
ფერომაგნიტური ფრაქცია (მაგნეტიტი, მაგნეტიტი).

J_n -ის გამოყოფის შემდეგ დმანისის რეგიონის ნიმუშთა საკვლევი
კოლექციისათვის ნაკადების მიხედვით დამაგნიტებულობის ვექტორის
გასაშუალებელი მნიშვნელობების პროექციები წარმოდგენილია ნახ.
5-ზე, საიდანაც ჩანს, რომ მხოლოდ რამდენიმე ღრუვრ ნაკადშია ასა-
ხული ანომალური პოლარობის გეომაგნიტური ველი.

გავითვალისწინეთ რა რეგიონის მორფოსტრატოგრაფიული მონაცე-
მები, ჩავატარეთ ცალკეული ჭრილის მაგნიტოსტრატოგრაფიული კო-
რელაცია. აღმოჩნდა, რომ შესწავლილ თბიქტებს შორის უძველეს ნა-
კადებს (III-VII ჭრილები) გააჩნიათ ანომალური პალეომაგნიტური მა-
ჩვენებლები; მათთვის 300° -ზე აღმოჩნდა ჩ. გ. 60° -ზე ქვემოთ, ხოლო პალეო-
ტადაბულობის სიდიდე — ორჯერ დადაბლებული გეომაგნიტური ვე-



ნახ. 4. H_n -ს კომპლექსური განსაზღვრის მაგალითი (ნიმუში მაშავერა XII-9). ა) ტემპერატურის ზემოქმედებით J_n (1) და J_r (2) განმაგნიტების მრუდები; ბ) არა-ნაგატას მეთოდით დამუშავებული ვილსონის მეთოდის ექსპერიმენტული მონაცემები. გრაფიკზე გამოსახული რიცხვები მიუთითებენ გაზურების ტემპერატურას $^{\circ}C$ -ში; ც) ვან-ხილის კოეფიციენტის განსაზღვრა; დ) K_{rt} შესწორების კოეფიციენტის განსაზღვრა; ამ ნიმუშისათვის $k' = 0.65$. დურძებზე J_n , J_r , J_r' , J_r'' , სიდიდეების მონაცემები გამოსახულია პირობით ერთულებში.




ნახ. 5. J_1^2 დამაგნიტებულობის ვექტორის პროექციების განაწილება დმანისის რეგიონის ვულკანური ლავური ნაკადების (შეკვებული წერტილები) და დმანისის ნაქალაქარის დანალექი ქანების (წრები) მიხედვით.

ღის ნორმალურ მნიშვნელობასთან (39,8 ა/მ) შედარებით. ამის საფუძველზე გამოიყვანეთ ანომალური პოლარობის პალეომაგნიტური NR სუბზონა. დანარჩენი ვულკანოგენური ჭრილების პალეომაგნიტური მონაცემები იმდენად ახლოს არიან ერთმანეთთან (ნახ. 6 ა, ბ), რომ ისინი გავაერთიანეთ პირდაპირი N პოლარობის ერთ პალეომაგნიტურ სუბზონაში.

პალეომაგნიტური კორელაციისას ცალკეული ნაკადების ასაკობრივი დანაწევრებისათვის გამოვიყენეთ ვბპ-ს ტრაექტორიის მეთოდი (ნახ. 7) (11). პალეომანგიტური კორელაციის ამ სქემის მიხედვით შემოთავაზებულია ვულკანოგენური ლავური ნაკადების წარმოქმნის სავარაუდო თანმიმდევრობა დმანისის რეგიონში (ნახ. 1). I და VI ჭრილების ზედა ნაკადების პალეომაგნიტური პარამეტრების მსგავსებას მიყვართ საინტერესო დასკვნამდე: დმანისის ნაქალაქარის დელუვიურ-პროლუვიური ნალექების ვულკანოგენური საგების წარმოქმნა დამთავრდა დიდი დმანისის ზედა ლავური ნაკადის და მაშავერას ზედა ლავური ნაკადების ამოღვრამდე. სავარაუდოა, რომ სწორედ ამ ნაკადების ამოღვრამ გამოიწვია მდ. მაშავერას და მდ. ფინეხაურის ხეობების გადაკეტვა და დელუვიურ-პროლუვიური ნალექების აკუმულაციისათვის აკვალური პირობების შექმნა. I, VI, IV და V ჭრილებში (ნახ.1) საფარი ლავური ნაკადების პალეომანგიტური პარამეტრების მსგავსების საფუძველზე რეალურად მიგვანჩნია ვარაუდი იმის შესახებ, რომ სხვადასხვა ვულკანური კერების თითქმის ერთდროულ აქტიურობას შეეძლო ცხელი მიკროკლიმატის შექმნა გამოსაკვლევ რეგიონში.

დელამიწის მაგნიტური ველის დაძაბულობის სიდიდეთა მნიშვნელო-




ნახ. 6. დმანისის რეგიონის ვულკანების (ა, ბ) და დმანისის ნაქლადქარის დანალექი ქანების (ც, დ) J_0 დამაგნიტებულობის მიხრილობისა D ; და დახრილობის I ჰისტოგრამები; დმანისის რეგიონის ვულკანების პალეოდაბულობის ჰისტოგრამა J_0 დამაგნიტებულობის მიხედვით $H_q=(22,4\pm 0,3$ ა/მ (ე).

ბების ჰისტოგრამების ანალიზიდან (ნახ.ბ, დ) ვრწმუნდებით, რომ დმანისის მაღალმთიანი პლატოს წარმოშობა მომხდარა დედამიწის მაგნიტური ველის ერთგვაროვან რეჟიმში: ველის დაბაბულობა შემცირებულია ნორმალურ ველთან შედარებით და მთელი პერიოდისათვის მისი მნიშვნელობა შეფასდა $H_q=(22,4\pm 0,3)$ ა/მ.

საკვლევი რეგიონის პალეომაგნიტური პარამეტრების დროში განაწილებაზე ზოგად წარმოდგენას გვაძლევს ნახ. 8.

ამგვარად, მდ. მაშავერას აუზის ახალგაზრდა ვულკანური წარმონაქმნების პალეომაგნიტური შესწავლის საფუძველზე დავადგინეთ, რომ




ნახ. 7. დმანისის რეგიონის ვულკანიტების (შუქსებული წერტილები) და დმანისის ნაქალაქარის დანალექი ქანების (წრეები) დამაგნიტებულობის ვექტორის მიხედვით შედგენილი ვაკ-ს ტრაექტორია.

დმანისის მაღალმთიანი საფეხურებრივი ზეგანის ფორმირებისას არსებობდა გეომაგნიტური ველი ინვერსიის შემდგომი ან გეომაგნიტური ეპიზოდის რეჟიმის სახასიათო თვისებებით (8); ქვედა ლავურ 5 ნაკადში დაფიქსირებულია ანომალური NR სუბზონა, ხოლო შემდგომ ყველა 21-ვე ნაკადში — პირდაპირი N პოლარობის სუბზონა; ორივე სუბზონაში გეომაგნიტური ველის პალეოდატაბულობა შემცირებულია 56%-მდე ნორმალურ გეომაგნიტურ ველთან შედარებით.

საკვლევი ობიექტის ასაკობრივი მიბმა კოქსის მაგნიტოქრონოლოგიურ სკალასთან, როგორც წესი, დაფუძნებულია ვულკანოგენური ქანების აბსოლუტურ ასაკზე. პალეომაგნიტური მონაცემებით შესაძლებელია გარკვეული კორექტურის შეტანა მაგნიტური ზონის საზღვრებში. დმანისის დოლერიტების კვლევის საწყის ეტაპზე (17) არსებობდა აბსოლუტური ასაკის $(0,53 \pm 0,02$ მლნ. წ.) (9) მხოლოდ ერთი განსაზღვრა K-Ar მეთოდით.


ამ მონაცემების გათვალისწინებით მდ. მაშავერას აუზის ახალგაზრდა ვულკანიტები მიეკუთვნებოდა ბრიუნესის ეპოქას.

მაგნიტოქრონოლოგიურ სკალაზე პალეომაგნიტური მონაცემების მიხედვით დმანისის ვულკანიტებისათვის იმ ადგილის მიკუთვნება, რომელსაც აძლევდა მათ K-Ar-ული ასაკი, ვერ მივიხნით სარწმუნოდ და მიზანშეწონილად ჩავთვალეთ მათი განთავსება გეომაგნიტური ეპოქების მატუიამა-ბრიუნესის ინვერსიის სასაზღვრო არეში. ამ მოსაზრების არგუმენტებად გამოვიყენეთ: 1) დმანისის ვულკანიტების პალეომაგნიტური მონაცემები არასრულყოფილად წარმოაჩენენ გეომაგნიტურ



ნახ. 8. ღმანისის რეგიონის ვულკანური ღაფური ნაკადების მაგნიტური მახასიათებლები: ბ) მისტილობა; ბ) დახრილობა; ც) პირველადი ბუნებრივი ნარჩენი დამაგნიტებულობის მოდული; ც) მაგნიტური შექმთვისებლობა; ე) დაბეჭდვების ფაქტორი; ე) მაგნიტური ველის პალეოდაბაბულობის მოდული; ნაკადთა ნუმერაცია, ლითოლოგია და დამაგნიტებულობის პოლარობა შეესაბამება ნახ.1-ზე გამოსახულ ღმანისის რეგიონის ჯამური პალეომაგნიტური ტრიდის მონაცემებს.

ეპიზოდს. სხვანაირად საკმე გვექნებოდა ახალი გეომაგნიტური ეპიზოდის დაფიქსირებასთან. 2) სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდეც კი არაა დაფიქსირებული შესატყვისი ასაკის ეპიზოდი ან ექსკურსი. 3) ჩვენს მიერ მიღებული ვბპ-ს ტრაექტორიის შედარებისას (ნახ. 7) კონისა (1973) და ბუსას (1970) (ნახ.9) მონაცემებთან მატუიამა-ბრიუნესის ინვერსიისათვის შეინიშნება დამაკმაყოფილებელი შესატყვისობა ინვერსიის დამამთავრებელ ეტაპზე (6).




ნახ. 9. შპპ-ს ტრაექტორია მატუია-
მა-ბროუნესის ინვერსიისას. ა) 1— კო-
ჩი, 1973; 2 — ბუნა, 1970. ბ) კოჩი, 1973.
ვ) კოჩი, ზობრავა, 1976.

დმანისის რეგიონის ახალგაზრდა ვულკანიტებისათვის კ. შმინკეს (17) მიერ განსაზღვრულმა ასაკმა ($1,8 \pm 0,1$ მლნ. წ.) დაგვანახა იმის აუცილებლობა, რომ ხელახლა გავანალიზოთ არსებული პალეომაგნიტური მონაცემები და შევავსოთ ისინი საჭიროებისამებრ ახლით. ამ განსაზღვრით დმანისის ვულკანიტების ასაკი შეესაბამება ოლდუვაის გეომაგნიტურ ეპიზოდს კოქსის მაგნიტოქრონოლოგიურ სკალაზე მატუიამას შებრუნებული პოლარობის ეპოქაში.

დმანისის ვულკანიტების ახალ ასაკთან დაკავშირებით წარმოიშვა ზოგიერთი საკამათო საკითხი, რაც ჩვეულებრივ თან სდევს ახალი მეცნიერული მონაცემებისა და მოსაზრებების გამოჩენას. კერძოდ, როგორ შეესაბამება ახალი ასაკი ძველს და რით მტკიცდება ახალი მონაცემის უპირატესობა ძველთან შედარებით? როგორ შესატყვისობაშია დმანისის ვულკანიტების პალეომაგნიტური მონაცემები ოლდუვაის ეპიზოდისათვის არსებულ მონაცემებთან ახალი ასაკის გათვალისწინებით? როგორია თვალსაზრისი მორფოსტრატეგრაფიული და პალეომაგნიტური მონაცემების მიხედვით არსებული წარმოდგენების ხელახალი ინტერპრეტაციისათვის?

დმანისის ახალგაზრდა ვულკანიტების ასაკის დაძველება 0,53 მლნ წლიდან (9) 1,8 მლნ. წლამდე მეტად სარწმუნო გახდა სტატისტიკური





თვალსაზრისით მას შემდეგ, რაც შმინკეს მიერ დათარიღებულ თქნა სხვა ახალი ნიმუშებიც და მიღებულია 1,9 მლნ. წელი და ბოლოს 2,0 მლნ. წელი, რაც განსაზღვრის ცდომილების ფარგლებში მის მიერ აღრუ დადგენილ მონაცემებთან კარგ თანხვედრაშია. მიუხედავად ამისა, საკვლევი ობიექტის აბსოლუტური ასაკის ძველსა და ახალ მონაცემებს შორის ასეთი თვალსაზრისით განსხვავება მოითხოვს საფუძვლიან გარკვევას.

ერთ-ერთ სარწმუნო ვერსიად მიგვაჩნია პეტროგრაფის ო. დულაური-სა და მინერალოგ-პეტროგრაფის რ. ახვლედიანის თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც დმანისის რეგიონის ახალგაზრდა ვულკანიტების აბსოლუტური ასაკის მონაცემებს შორის ამგვარი გაბნევა უნდა უკავშირდებოდეს ამ ქანებში ორგანული მინარეგების არსებობას, რომელთა არათანაბარი განაწილება არაერთგვაროვნად მოქმედებს ასაკის განსაზღვრის ექსპერიმენტულ შედეგებზე.


საქართველოს პლიო-პლეისტოცენური ვულკანიტების მაგნიტოქრონოსტრატიგრაფიულ სკალაზე (13) გეომაგნიტური ეპიზოდი ოლდუვაი წარმოდგენილია დიდისკას, კორხის, ახალქალაქის ჭრილებზე ქვედა დოლერიტებით და ბერთაყანის, აფნიას ჭრილებზე ზედა დოლერიტებით (ნახ. 10). ამ ქანების პალეომაგნიტურ გასაშუალებულ მონაცემებს ($\bar{D}=343^{\circ}$, $\bar{I}_0=+55^{\circ}$) კარგად უთავსდება დმანისის რეგიონის ზედა ლავური ნაკადების პარამეტრები (ნახ. 1);

მატუიამა-ოლდუვაის ინვერსიისათვის დელამიწის მაგნიტური ველის პალეოდაბაზულობის მოღული შემცირებულია ~57%-მდე ნორმალური ველის სიდიდესთან შედარებით (ნახ. 11) (13), რაც კარგად ეთანადება დმანისის რეგიონის შესაბამის მონაცემებს. ამ ინვერსიის მზპ-ს ახასიათებს $\Lambda \approx 75^{\circ}$ გრძელი (6), რაც მნიშვნელოვნად არ განსხვავდება მატუიამა-ბრიუნესის ინვერსიის გრძელსაგან.

ასე, რომ გეომაგნიტური ველის საუკუნითი ვარიაციების პერიოდულობის გათვალისწინებით გეომაგნიტური მოვლენების ცალსახა იდენტიფიკაცია პალეომაგნიტური ნიშნებით ყოველთვის არაა შესაძლებელი. ამრიგად, დმანისის ვულკანური რეგიონისათვის მიღებული მონაცემების ასაკობრივი მიბმა კოქსის პალეომაგნიტურ სკალასთან ძირითადად ეფუძნება საკვლევი რეგიონის აბსოლუტური დათარიღების მონაცემებს და, ჩვენი რწმენით, ყველაზე სავარაუდოა, რომ მდ. მაშავერას აუზის ახალგაზრდა ვულკანური წარმონაქმნები თავიანთი პალეომაგნიტური მონაცემებით ასახავენ ოლდუვაის გეომაგნიტურ ეპიზოდს. ამ დასკვნას არ ეწინააღმდეგება თანამედროვე პალეონტოლოგიური (5) და გეომორფოლოგიური წარმოდგენებიც.

რაც შეეხება საკითხს, ეკუთვნის თუ არა შესწავლილი ვულკანოგენური წარმონაქმნები ჰარამიდიოს ეპიზოდს, შეიძლება მხოლოდ იმისი აღნიშვნა, რომ მატუიამა-ჰარამიდიოს ინვერსიის შესახებ არსებული მდიდარი ლიტერატურული მონაცემების (6) საფუძველზე სხვადასხვა გამოკვლევების შედეგები ამ ეპიზოდისათვის არ არიან დამაკმაყოფილებელ თანხვედრაში: მზპ-ს სუბმერიდიონალური გადასვლის გრძელი


საქართველოს ჯამური მანქანათმშენობელი სკოლა		ფაქტობრივი	ფიქტიური	ფიქტიური	ფიქტიური
პლან. მან. კვ.	მანქანათმშენობელი	ფაქტობრივი	ფიქტიური	ფიქტიური	ფიქტიური
0.01	1	n_1'			
0.01	2	n_2'			
	3	n_3'			
	4	n_4'			
	5	n_5'			
	6	n_6			
	7	n_7'			
	8	r_2			
1.0	9	n_9			
	10	r_3			
	11	n_{11}'			
	12	n_{12}'			
2.0	13	r_4			
	14	r_4'			
	15	r_5'			
	16	r_6'			
	17	r_7'			
	18	n_8'			
	19	n_9'			




ნახ.11. გეომეგნიტური ველის პალეომაგნიტობა საქართველოს პლიო-პლეისტოცენური კულ-კანოცენური წარმონაქმნების დამეგნიტებულობის მიხედვით: ც) K კოეფიციენტის საშუალო მნიშვნელობები პალეომაგნიტური ზონების მიხედვით. ბ) K კოეფიციენტის საშუალო მნიშვნელობები პალეომაგნიტური ჰორიზონტების მიხედვით.

მერყეობს $\Lambda=50^{\circ}\div 160^{\circ}$ (ნახ.12). ასე, რომ გ. ბოზინსკის, ა. ვეკუას და სხვ. (3) შრომაში გამოთქმული მოსაზრება ამ საკითხის ირგვლივ, მიუღებლად მიგვაჩნია.

როგორც შესავალში აღვნიშნეთ, ჩვენი პალეომაგნიტური კვლევის



მაგუიამა - ჰარამილიო



მაგუიამა - ჰარამილიო




მატუიამა - ოლღუვაი K 75-02

ნახ. 12. შბზ-ს ტრაექტორია მატუიამა-ჰარამილიოს და მატუიამა-ოლღუვის ინვერსიისათვის (ჰამონდის და სხვ., 1979)-ის მონაცემების მიხედვით. ჭაბურღილის ნომერი - k-75-02.

ინტერესების სფეროში შევიდა აგრეთვე დმანისის ნაქალაქარის ტერიტორიაზე გავრცელებული დელუვიურ-პროლუვიური წარმონაქმნები, რომლებიც მდიდარია ფაუნისტურად. მათში, ე. წ. მეხუთე ფენაში, აღმოჩენილია უძველესი დმანისელი ადამიანის ქვედა ყბა (5). აღნიშნული დელუვიურ-პროლუვიური დანალექების მაგნიტოსტრატოგრაფიული საკითხის გადაწყვეტით შესაძლებლობა იქმნება, ნათელი მოეფინოს მათში განამარხებული ფაუნის ასაკს. ცალკეული ფენის აღწერა დეტალურადაა წარმოდგენილი (17) შრომაში.

დმანისის ნაქალაქარის დანალექი ქანების ძირითადი პალეომაგნიტური მახასიათებლები, ნიმუშთა განლაგების გათვალისწინებით ჭრილებში ქვევიდან ზევით, გრაფიკულად წარმოდგენილია ნახ. 13-ზე.

ნიმუშთა კოლექცია მოვიპოვეთ ორი ჭრილიდან, რომელთაგან პირველი მდებარეობს „ღარანში“, მეორე კი მისგან ~3,5 მ-ზე მე-10 ნაგებობის მე-9 კვადრატში. შევნიშნავთ, რომ კენჭებისა და სხვა სტრუქტურული ჩანართების არსებობის გამო ჭრილების უწყვეტი შესწავლა ვერ მოგვიხერხდა. სიძნელეების მიუხედავად, შევძელით 2,5 მ საერთო სიმძლავრის ჯამური ჭრილის შესწავლა 22 სხვადასხვა დონეზე. ყველაზე დაბალი დონე დავაფიქსირეთ ვულკანური ფერფლის (VI ფენა) ნიმუშებით ვულკანური ბაზალტური საგების ზედაპირის ზემოთ 20 სმ-ზე. მთელი დანალექი წყება წარმოდგენილია კუბური ფორმის 163 დაბორატორიული ნიმუშით.



დმანისის ნაქალაქარის დანალექი ქანების ჭრილი საგებითურთ

ნახ. 13. დმანისის ნაქალაქარის დანალექი ქანების ლითოლოგიური და მაგნიტური მახასიათებლები: ა) მიხრილობა, ბ) დახრილობა, ც) დამაგნიტებულობის სიდიდე, დ) მაგნიტური ამთვისებლობა, ე) კენსბერგერის ფარდობა. ლითოლოგიური აღნიშვნები შეესაბამება ნახ. 1-ს.



დმანისის ნაქალაქარს დელუვიურ-პროდუვიური წყების მინერალურ-პეტროგრაფიული დასახილვა.

საქართველო
საგარეო საზღვარების დაცვის ეროვნული ცენტრი

მინერალი	ნიმუშის დასახელება და ქანის სახელი	II-A6 თიხნარი ბაზალტური	III-A5 კარბონატული ქერქი. ბაზალტური	IV-A4 ქვიშნარი. ანდეზიტური	IV-A3 თიხნარი. ბაზალტური	V-A2 თიხნარი. ანდეზიტურ ბაზალტური	VI-A1 ვულკანური ფერფლი, ანდეზიტური
	პლაგიოკლაზი	28.9	14.5	44.3	21.1	32.6	37.2
	კვარცი	6.8	13.5	15.6	17.0	10.0	—
	ვულკანური მინა	—	—	—	—	—	5.3
	პიროქსენი	4.7	1.7	5.7	—	—	13.7
	მადნეული მინერალი	2.8	1.1	3.8	2.5	3.4	2.6
	კალციუმი	14.4	58.7	—	1.2	14.8	—
	ჰიდროქარსი — მონტმორილინიტი	42.4	10.5	30.7	49.5	39.0	18.6
	თხევადი გაზი ($H_2O + CO_2$)	—	—	—	8.5	—	22.9
	N პლაგიოკლაზი	58	56	44	39	39	18
	მაგნიტი — $\gamma - Fe_2O_3$	71.4	80.0	72.1	67.4	71.9	70.8
	რუტილი TiO_2	24.5	15.0	23.0	27.9	24.9	25.0
	პიროლიუზიტი	4.1	5.0	4.9	4.7	3.7	4.2

დმანისის ნაქალაქარს დელუვიურ-პროდუვიური ქანების ჭრილის რენტგენოსტრუქტურული ანალიზის შედეგები

ცხრილი №3

ფენის № და ქანის ტიპი	ნიმუშის აღების ადგილი ბაზალტის ზედაპირის მიმართ. სმ.	პლაგიოკლაზი	კვარცი	ვულკანური მინა	პიროქსენი და მადნეული მინერალი	ჰიდროქარსი-მორილინიტი	კალციუმი
II-თიხნარი	250	26.0	25.6	—	5.3	20.0	23.1
III-კარბონატული ქერქი	215	16.5	16.5	—	5.0	9.7	52.3
IV-ქვიშა	180	23.5	28.0	—	14.0	34.5	—
IV-თიხნარი	140	15.6	12.6	12.6	4.4	4.8	50.0
V-თიხნარი	80	32.6	9.8	—	3.8	39.0	14.8
VI-ვულკანური ფერფლი	25	37.3	8.2	8.3	16.6	29.6	—





გაზომვების დაწყების წინ ნიმუშების შემტკიცების მიზნით ოსინი გავაჯერეთ საკანცელარით წებოს წყალხსნარით. ნიმუშთა სრულყოფილ ლექციის შენარჩუნებისათვის მცდელობის მიუხედავად 10 ნიმუში მაინც გამოვიდა მწყობრიდან. ამის გამო ზოგიერთი დონე ერთი ნიმუშითაა წარმოდგენილი, რაზეც დაყრდნობა არამიზანშეწონილი იქნება. მესამე კარბონატული ფენის, ანუ ქერქის ფენობრივმა განაწილებამ არ მოგვცა საშუალება მასში 15 სმ-ის სიმძლავრეზე ცალკეული დონეების გამოყოფისა; იგი წარმოდგენილია საერთო გასაშუალებული პალეომაგნიტური მონაცემებით (ნახ. 14ა).

დელუვიურ-პროლუვიური წყების ყველა ფენის მინერალოგიური ანალიზი და ფერომაგნიტური ჩანარების გენეზისის შესწავლა შეასრულა რ. ახვლედიანმა, ქიმიური ანალიზი კი — ვ. ჩიტაიშვილმა. შედეგები წარმოდგენილია № 1 და № 2 ცხრილებით. № 1 ცხრილის ბოლო სვეტში მოცემულია მდ. მაშავერას ხეობის დოლერიტების მინერალოგიური ანალიზის შედეგები ვულკანური ფერფლის შედგენილობასთან რაოდენობრივი თანაფარდობის ჩვენების მიზნით. № 3 ცხრილში წარმოდგენილია შესწავლილი დანალექი წყების რენტგენო-სტრუქტურული ანალიზის შედეგები.

საკვლევი ქანები შედგება შერეული ხასიათის ნალექებისაგან, რომელთა ტერიგენული ნაწილი წარმოდგენილია ფსამიტური, ალუვირტული და პელიტური ზომის ვულკანოგენური წარმონაქმნების გამოფიტვის პროდუქტებით. შესწავლილი პროდუქტები უმთავრესად წარმოდგენილია ფხვიერი სახესხვაობებით, რომელთა შემაკოწიწებელი ნივთიერებაა დოლომიტური კირქვა. მისი რაოდენობა ცალკეულ შემთხვევაში მთელი მასის 60%-ს შეადგენს. მაგალითად, მესამე ფენის („ქერქი“) III-A5 ნიმუშის ტერიგენული ნაწილის მინერალოგიური შედგენილობა წარმოდგენილია პლაგიოკლაზით ოლიგოკლაზიდან ანდეზინამდე, კვარციით, მცირე რაოდენობის პიროქსენით (დიოპრინი, ავგიტი) და მადნეული მინერალით — მაგმეტით, ვიტროკლასიკური ნაწილი კი — ჰიდროქარსული მონტმორილითონიტური ანუ ვულკანური მინის კრისტობალიტური მდგენელით.

პლაგიოკლაზის, პიროქსენის, ახალი და დევიტრიფიცირებული მინის, პლაგონიტის კრისტალოკლასტების ნახევრადმრგვალი ხასიათი, აგრეთვე მინისათვის დამახასიათებელი ნატეხებისა და ნამსხვრევების არსებობა, რომლებიც შეიცავენ დიდი რაოდენობით აიროვან-თხევად, ნახშირუანგა წყალხსნარების ჩანარებს, რაც მტკიცდება მეექვსე და მეოთხე სტრატეგრაფიული ფენებიდან ვულკანური ფერფლის და ქვიშის A1 და A4 ნიმუშების ქიმიური ანალიზების მინერალოგიური გამოთვლებით, მოწმობს ამონახვევის პროდუქტების პირდაპირ შეტანაზე სელიმენტაციის რაიონში.

შემდგომ ფენებში ტერიგენული ნატეხების ხასიათი და შემაკოწიწებელი კარბონატული ნივთიერების არსებობა მიუთითებს სელიმენტაციის რაიონში ბაზალტური, ანდეზიტურ-ბაზალტური, ანდეზიტური და კა-



ნახ. 14. დმანისის ნაკლავარის დელუვიურ-პროდუვიური წარმონაქმნების ჯრილის „ქერქის“ ნიმუშების Π ვექტორთა განაწილება დროით მაგნიტურ წმენდამდე (ა) და წმენდის ხატარების შემდეგ (ბ).



რობონატული ქანების გამოფიტული პროდუქტების შემოტანაზე, რომელიც მონაწილეობდნენ შესწავლილი თიხნარების შერეული წარმონაქმნების ფორმირებაში.

აუცილებელია, აღვნიშნოთ განსაკუთრებული ქანის არსებობა მესამე და მეოთხე ფენების კონტაქტზე (ნიმუში A3), რომლის ქიმიური ანალიზის მინერალოგიურმა გამოთვლებმა გამოავლინეს მონტმორილონიტური მდგენელის შემცველობის მაღალი პროცენტი და აგრეთვე ორგანული ნივთიერების არსებობა (8,5 %), რაც იძლევა საფუძველს, გამოვთქვათ მოსაზრება, რომ გამყოფი ფენა წარმოადგენს ლამიან ფენას, რაც მიგვითითებს გარდამავალი კლიმატური ზონის არსებობაზე ჰუმიდურიდან არიდულში (აუცილებელია უფრო გულდასმითი გამოკვლევების ჩატარება).

ქანის განსაკუთრებულ ტიპს წარმოადგენს კირქვის ქერქი, რომელიც შედგება დოლომიტიზირებული კარბონატისაგან.

აღნიშნული ტიპის ქანების წარმოქმნა უნდა მიმდინარეობდეს ან ლავუნის ტიპის აუზში თავდაპირველად დალექილი კალციუმის კარბონატის დოლომიტიზაციისას ცხელ, არიდული კლიმატის პირობებში, ან იუვენილური (ან მიწისქვეშა) წყლების ზემოქმედებით მაგნიუმით გადიდრებულ ვულკანურ არეებში.

ამგვარად, შესწავლილი სელიმენტაციის რეგიონის გეოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, შეიძლება გამოითქვას მოსაზრება, რომ ნალექწარმოქმნა მიმდინარეობდა ვულკანური პროცესების ჩატრობის პერიოდში წყლით გაჟღენთილ კარბონატულ გარემოში, რომელიც გადიდრებული იყო კალციუმით და მაგნიუმით, ჰუმიდური კლიმატის არიდულში გადასვლის პირობებში.

პალეომაგნიტური გამოკვლევებისათვის მინერალოგიურ-პეტროგრაფიული ანალიზის მნიშვნელოვან შედეგს წარმოადგენს ის, რომ დანალექ წყებებში არსებულ მაღნულ მინარეგებს შორის ფიქსირდება ~70% ვულკანური წარმოშობის მაგგემიტი, რომელსაც არ განუცდია ჰიპერგენული ცვლილებები.

ბუნებრივი ნარჩენი დამაგნიტებიდან პირველადის გამოყოფისა და მისი მაგნიტური სტაბილურობის შეფასების მიზნით, ყველა ნიმუშებისათვის ჩატარებულ იქნა დროითი მაგნიტური წმენდა. გარდა ამისა, დონეების ან ფენების მიხედვით გამოყენებულ იქნა ცვლადი მაგნიტური ველით მაგნიტური წმენდის მეთოდი. განსაზღვრულ იქნა აგრეთვე სიბლანტის კოეფიციენტი (ნახ. 2). „ქერქის“ ფენისათვის პოლარულ პროექციაზე (ნახ. 14) კონტროლების განაწილება დროითი წმენდის ჩატარების შემდეგ საკმაოდ კარგად ჯგუფდება (ბ) (ა)-სთან შედარებით, სადაც მოტანილია მონაცემები დროითი წმენდის ჩატარებამდე. ზოგიერთი გაბნეული მნიშვნელობა მიეკუთვნება შემთხვევით განაწილებას და შეიძლება მათი უგულვებელყოფა.

შესწავლილი პალეომაგნიტური პარამეტრების საშუალებით შესაძლებელი გახდა ზოგიერთი მონაცემის გაერთიანება სხვადასხვა დონეებზე სხვადასხვა ფენებში. ასე, მაგალითად, II ფენაში ყველა შესწავ-



ლილი 7 დონე გაერთიანდა ერთ ქვეჯგუფში საშუალო პარამეტრებით $\bar{D}_1=359^\circ$ და $\bar{I}_1=+61^\circ$; III ფენაზე უკვე იყო საუბარი და მისთვის $\bar{D}_3=358^\circ$ და $\bar{I}_3=+67^\circ$; IV ფენაში დაფიქსირებული ოთხი დონე ერთიანდება ორ ქვეჯგუფში; ზედა ორი დონე ($\bar{D}_4=359^\circ$ და $\bar{I}_4=+52^\circ$) ცალ-ცალკე; მეხუთე ფენაში ზედა სამი დონე ქმნის ცალკე ქვეჯგუფს ($\bar{D}_5=13^\circ$ და $\bar{I}_5=+52^\circ$); შემდგომი ოთხი დონე იყოფა ორ ქვეჯგუფად ($\bar{D}_6=9^\circ$ და $\bar{I}_6=+60^\circ$; $\bar{D}_7=4^\circ$ და $\bar{I}_7=+56^\circ$); და ბოლოს, VI ფენის ზედა ორი ვულკანური ფერფლის დონე გამოსახავს გეომაგნიტურ ველს მონაცემებით ($\bar{D}_8=13^\circ$ და $\bar{I}_8=+54^\circ$), ხოლო სულ ქვედა დონე ანომალური პარამეტრებით ($\bar{D}=162^\circ$ და $\bar{I}=+76^\circ$), ჩვენი აზრით მოითხოვს დამატებით გამოკვლევებს არასაკმარისი სტატისტიკის გამო.

ამგვარად, მთელ დელუვიურ-პროლუვიურ ფენაში დმანისის ნაქალაქარის ტერიტორიაზე გამოიყოფა 8 სხვადასხვა ქვეჯგუფი, რომლებიც შემდგომ შეიძლება გაერთიანდეს სამ ჯგუფად: I — $\bar{D}=359^\circ$, $\bar{I}=+64^\circ$; II — $\bar{D}=6^\circ$, $\bar{I}=+52^\circ$; III — $\bar{D}=9^\circ$ და $\bar{I}=+57^\circ$. მდლიანობაში ეს სამი ჯგუფი წარმოქმნის პირდაპირი N პოლარობის ერთ პალეომაგნიტურ სუბზონას.

დელუვიურ-პროლუვიური წყებების \bar{D} და \bar{I} -ს განაწილებაზე ზოგად წარმოდგენას გვაძლევს ნახ. 6 ც, d.

თუ შევფასებთ \bar{D} და \bar{I} საშუალო მნიშვნელობებს ცალკეული ფენების მაგნიტური პარამეტრების მნიშვნელობების მიხედვით შექმნილი ჯგუფების მონაცემებით, მაშინ ვდებულობთ, რომ დმანისის ნაქალაქარის ტერიტორიაზე ნაღვექდაგროვების პერიოდისათვის $\bar{D}=5^\circ$ და $\bar{I}=+58^\circ$, რაც დამახასიათებელია ამ სუბზონისათვის.

ამ მონაცემების მისაღებებით მაშვეერას, დიდი დმანისის, დმანისის, პანტიანის პალეომაგნიტური ვულკანოგენური ტრილების ზედა ნაკადების დამაგნიტებულობის მონაცემებთან, შეიძლება დავასკვნათ, რომ შესასწავლი დანაღვექი ქანების ფორმირება მათთან დროში თავსებადია, რაც არ ეწინააღმდეგება ამ გეოლოგიური ობიექტის მორფოსტრატოგრაფიულ მონაცემებს.

ზემოთ გამოყოფილი რვა ქვეჯგუფისათვის ვბვ გამოსახავენ ტრაექტორიას, რომელიც დატანილია ნახ. 7-ზე პატარა წრეებით და შეიძლება მისი კარგად მიერთება დმანისის რეგიონის ვულკანოგენური ქანების ვგპ-ის ტრაექტორიასთან მის ბოლო ნაწილში.

დელუვიურ-პროლუვიური წყებებისათვის ექსპერიმენტულად მიღებული შედეგების საიმედოობაზე მეტყველებს აგრეთვე ვ.მ. ტრუბინის მიერ მიღებული გამოუქვეყნებელი მონაცემები, რომელმაც ეს შედეგები გადასცა ა. ვეკუას. მისმა მონაცემებმა 201 ნიმუშისათვის ($\bar{D}=351^\circ$, $\bar{I}=-74^\circ$) ვერ ვპოვეს ახახვა ნიმუშების ჩვენს კოლექციაში; ეს დონე მოითხოვს დამატებით გამოკვლევებს.

სამწუხაროდ, ჩვენს ექსპერიმენტებში ვერ შევძელით შეგვეფასებინა პალეოდაქაბულობის სიდიდე კვლავდაღვექვის ცნობილი მეთოდით, რათა დამატებით გაგვემაგრობინა ჩვენს მიერ გამოთქმული დასკვნები.

ამრიგად, დმანისის ნაქალაქარის ტერიტორიის დელუვიურ-პროლუ-



ვიური დანალექები თავისი პალეომაგნიტური მონაცემებით კარგად აღწერილი რელიეფი მდ. მაშავერას აუზის ლავური ზედა ნაკადების მონაცემებით ბთან და ისინი წარმოქმნიან N პოლარობის ერთ მაგნიტურ სუბზონას ($\bar{D}=5^\circ$ და $\bar{I}=+58^\circ$;) დმანისის ნაქალაქარის სახელწოდებით, რომელსაც დმანისის რეგიონისათვის აგებულ პალეომაგნიტური ჭრილის ზედა ნაწილში უკავია ადგილი. დმანისის ნაქალაქარის სუბზონის ქვეშ გაერთიანებულია ყველა პირდაპირი დამაგნიტებულობის მქონე დოლერიტული ნაკადი (6-დან 23 ნაკადის ჩათვლით) ერთ სუბზონაში (ნახ.1) ($\bar{D}=9^\circ$ და $\bar{I}=+69^\circ$); მის ზევით კი დოლერიტული ნაკადები (24, 25, 26) წარმოქმნიან ერთ სუბზონას ($\bar{D}=4^\circ$ და $\bar{I}=+61^\circ$); აქ მოყვანილი პალეომაგნიტური მონაცემებიდან ჩანს დმანისის ჭრილის ორი ზედა სუბზონის კარგი თანხვედრა დილისკის და კორხის პირდაპირ დამაგნიტებული დოლერიტების მონაცემებთან (ნახ. 10).

რადგანაც კ. შმინკეს განსაზღვრით ამ დანალექების ვულკანური საგების ასაკია $2,0 \pm 0,1$ მლნ. წ., ამიტომ დანალექი წყებები უნდა იყოს უფრო ახალგაზრდა. ამ ორი გეოლოგიური წარმონაქმნის პალეომაგნიტური კორელაცია არ იძლევა ვულკანიტური და დანალექი წყებების მნიშვნელოვან დროითი დანაწევრების საშუალებას. გარდა ამისა, ვულკანიტები თავისი მაგნიტური პარამეტრებით კარგ თანხმობაშია ოლდუვაის ეპიზოდის მონაცემებთან საქართველოს მაგნიტოქრონოსტრატიგრაფიული სკალის მიხედვით (13).

ყოველივე ეს იძლევა საფუძველს მდ. მაშავერას აუზის ახალგაზრდა ვულკანოგენური წარმონაქმნების ასაკობრივი მიბმისა კოქსის მაგნიტოქრონოლოგიური სკალის მიხედვით ოლდუვაის ეპიზოდთან, და, მაშასადამე, დელუვიურ-პროლივიური წყებებს თავისი ფაუნით უნდა გააჩნდეს ოლდუვაის ეპიზოდის ასაკი მატუიამას გეომაგნიტურ ეპოქაში.

პანტიანის დოლერიტული საფარის აბსოლუტური ასაკის განსაზღვრით შესაძლებელი იქნება გაირკვეს დელუვიურ-პროლივიური წყებების კოქსის პალეომაგნიტურ სკალასთან ასაკობრივი მიბმის საკითხი. ზევით მოყვანილი გამოკვლევების შედეგებით, ისინი წარმოადგენენ დმანისის რეგიონის ვულკანიტების ყველაზე ბოლო ამონთხევების პროდუქტს.

ნახ. 15-ზე წარმოდგენილია ვბპ-ს მიგრაციის ტრაექტორია ოლდუვაის ეპიზოდისათვის (13) მონაცემების მიხედვით. ვბპ-ს ეს წერტილები შეერთებულია უწყვეტი ხაზებით.


დატანილი ოთხი წერტილი (წრეები) შეესაბამებინ დმანისის ჯამური ჭრილის მონაცემებს: ისინი შეერთებულია წყვეტილი ხაზებით. როგორც ჩანს, ვბპ-ს წერტილები NR სუბზონისა და მის ზევით მდებარე N სუბზონისათვის განლაგებულია აფნიის ჭრილის ქვედა დოლერიტების J_n° დამაგნიტებულობის მიხედვით მიღებული ვბპ-ს კოორდინატებსა და კორხის ჭრილის ქვედა დოლერიტების ვბპ-ს კოორდინატებს შორის, ხოლო დელუვიურ-პროლივიური ქანების და დმანისის დოლერიტული საფარის ვბპ განლაგებიდან ერთმანეთთან ახლოს და იკავებენ ადგილს კორხისა და დილისკას ჭრილების ქვედა დოლერიტების

შპპ-ს შორის. შპპ-ს განლაგების ასეთი თანმიმდევრობა ქმნის უფრო დამაჯერებელ შთაბეჭდილებას. გარდა ამისა, ასეთი მსჯელობის გამომდინარეობს, რომ ზემოთხაზოთვლილი ვულკანოგენური ლავური ნაკადების წარმოქმნა დროის მიხედვით მიმდინარეობდა ანალოგიური თანმიმდევრობით. პალეომაგნიტური გამოკვლევების უკანასკნელი დასკვნა შეიძლება გამოყენებულ იქნეს ჯავახეთის ზეგანის მორფოსტრატოგრაფიული ამოცანის გადაწყვეტისას.

ამრიგად, მდ. მაშავერას აუზის ახალგაზრდა ქანების პალეომაგნიტური გამოკვლევის ძირითადი შედეგები შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგნაირად:

— პალეომაგნიტური მეთოდებით გამოკვლეული იყო ვულკანოგენური ლავური ნაკადები (მაშავერა, პატარა დმანისი, დმანისის ნაქალაქარი, დიდი დმანისი, დმანისი, პანტიანი) და დელუვიურ-პროლუვიური დანალექი წყებები დმანისის ნაქალაქარის ტერიტორიაზე;

— გამოკვლეული ვულკანური ქანების ნიმუშებში ექსპერიმენტულად გამოყოფილი ბუნებრივი ნარჩენი დამაგნიტებულობის სტაბილური ნაწილი მაღალტემპერატურული წარმოშობისაა, ე.ი. წარმოადგენს პირველად ნარჩენ დამაგნიტებულობას და იგი ქანის წარმოშობის სინქრონულია; დანალექი ქანების ნიმუშებში, რომელშიაც მაგნეტიკური ფერომაგნიტური ფრაქციის მატარებლებს წარმოადგენენ დედა-ქანის ნაწილაკები და მათ არ განუცდიათ მნიშვნელოვანი ჰიპერგენული ცვლი-



ნახ. 15 საქართველოს ვულკანიტების K_1 დამაგნიტებულობის მონაცემების მიხედვით შედგენილი შპპ-ს ტრაექტორია ოდესის ეპიზოდისათვის (13). წვეტილით შეერთებულია წერტილები დმანისის ჯამური პალეომაგნიტური ჭრილის მიხედვით.



ლებები, J_n -ს გააჩნია ორიენტაციული ბუნება და ასახავს სელიმენტაციის შესაბამის გეომაგნიტურ ველს; მიღებული მაგნიტური პარამეტრები შეესაბამება დელამიწის მაგნიტური ველის პალეოდატაბულაციას, რომლის სიდიდე 56%-მდეა შემცირებული დელამიწის თანამედროვე ნორმალური მაგნიტური ველთან შედარებით;

— ყველა ვულკანოგენური ლავური ნაკადი თავისი პალეომაგნიტური პარამეტრებით ქვევიდან ზევით წარმოქმნის სამ ჯგუფს: I — ($\bar{D}_0=74^\circ$, $\bar{I}_0=+72^\circ$) — NR პოლარობის, II — ($\bar{D}_0=9^\circ$, $\bar{I}_0=+69^\circ$) — N პოლარობის და III — ($\bar{D}_0=4^\circ$, $\bar{I}_0=+61^\circ$) — N პოლარობის, ხოლო დანალექი ქანები IV ($\bar{D}_0=5^\circ$, $\bar{I}_0=+58^\circ$) — N პოლარობის ერთ ჯგუფს;

— მორფოსტრატოგრაფიული და პალეომაგნიტური მონაცემების შედარებისას IV ჯგუფმა დაიკავა ადგილი II და III ჯგუფებს შორის დმანისის რეგიონისათვის აგებულ ჯამურ პალეომაგნიტურ ჭრილში; ამ გზით დადგენილია დელუვიურ-პროლუვიური ნალექებისათვის ფარდობითი ასაკი დმანისის რეგიონის ვულკანოგენურ წარმონაქმნებს შორის;

— დმანისის ჯამური ჭრილის პალეომაგნიტური მონაცემების გაანალიზების საფუძველზე დადგენილია, რომ მდ. მაშავერას აუზის შესწავლილი ახალგაზრდა ქანები წარმოქმნილია ინვერსიის შემდგომ პერიოდში. თუ დავეყრდნობით დელუვიურ-პროლუვიური ქანების ვულკანოგენური საგების აბსოლუტურ ასაკს ($2,0 \pm 0,1$ მლნ. წ.) და გავითვალისწინებთ პალეონტოლოგიურ მონაცემებს, პალეომაგნიტური კოლერაციის მეთოდით დმანისის რეგიონის ახალგაზრდა ქანების სრული ჯამური ჭრილი ასახავს ოლდუვაის გეომაგნიტურ ეპიზოდს. ეს მოსაზრება მტკიცდება როგორც ჩვენს მიერ მიღებული პალეომაგნიტური მონაცემების და ვბპ-ს ტრაექტორიის მისადაგებით საქართველოს ჯამურ მაგნიტოქრონოლოგიურ სკალაზე ოლდუვაის ეპიზოდის მონაცემებთან, ასევე ცნობილი ლიტერატურული მონაცემებით.

ლიტერატურა

1. Ш. А. Адамия, А. Н. Храмов. Некоторые результаты палеомагнитных исследований в южной части Грузии. В кн.: Магнетизм горных пород и палеомагнетизм. Изд-во: Сиб. отд. АН СССР, Красноярск, 1963 г. с. 279-289.
2. Г. П. Борисова, Л. Е. Шолпо. Опыт сопоставления нагревных методов оценки палеонапряженности геомагнитного поля. Изв. АН СССР, физика земли, № 8, 1986 г. с. 72-81.
3. Г. Бозинский, А. Векуа, Д. Тушабрамишвили. Место Дманиси в нижнем палеолите Евразии. В препринте: Die Menschen Der Altsteinzeit im SudGeorgien. Тбилиси: ЦАИ, 1991 г. с. 9-11.
4. Л. В. Векуа, Н. М. Дзоценидзе, Е. Ш. Павленишвили, Б. З. Асанидзе, Дж. З. Сологашвили, В. К. Какулия. Палеомагнетизм неоген-антропогенных вулканогенных образований Джавахетского нагорья. Изв. АН СССР, физика Земли, № 10, М.: 1977 г. с. 87-94.



საქართველოს
მეცნიერებათა
აკადემია

5. Л. К. Габуня, А. К. векуа. Дманисский ископаемый человек и сопутствующая ему фауна позвоночных. — Тбилиси: Мецниереба, 1993 г. — 72 с.
6. Г. З. Гурарий. Геомагнитное поле во время инверсий в позднем кайнозое. М.: Наука, 1988 г. — 207 с.
7. Г. М. Майсурадзе, Дж. З. Сологашвили. Геоморфология, геология и магнито-стратиграфия молодых вулканитов с территории городища Дманиси и ее окрестности. Рукопись передана в труды ЦАИ Грузии, 1989 г. 22 с.
8. Г. Н. Петрова, И. Б. Сперантова. Напряженность поля во время инверсии. В сб.: Тонкая структура геомагнитного поля. М.: ИФЗ АН СССР, 1986 г. с. 33-34.
9. М. М. Рубинштейн, Ш. А. Адамия, Д. И. Девнозашвили, В. Н. Добридын, Л. И. Розентур. Датирование некоторых верхне неогеновых и четвертичных эффузивов Закавказья по геологическим, радиологическим и палеомагнитным данным. — В кн.: Международный коллоквиум по проблемам: Граница между неогеном и четвертичной системой. М., 1972 г. с. 162-167.
10. Дж. З. Сологашвили. Палеомагнетизм неоген-антропогеновых вулканогенных образований Грузии. Диссертация на соискание ученой степени канд. физ.-Мат. наук, Тбилиси, ТГУ, — 168 с.
11. Дж. З. Сологашвили. Некоторые вопросы совершенствования палеомагнитной корреляции вулканогенных образований. В сб.: Магнетизм горных пород. — М., ИЗМИРАН, 1989 г. — с. 184-189.
12. Дж. З. Сологашвили, Г. Майсурадзе, Е. Павленишвили, А. Гогичайшвили. Палеомагнетизм долеритовых лав Машаверы в связи с проблемой возраста „дманисского человека“ древнейшего каменного века. Тезисы докл. на юбилейной конф. ТГУ, Тб.: 1993 г. 1 с.
13. Дж. З. Сологашвили, Е. Ш. Павленишвили. Напряженность геомагнитного поля по неоген-четвертичным вулканитам Грузии. — В кн.: III Всесоюзный съезд по геомагнетизму. Тезисы докл. Киев, 1986 г. с. 128.
14. А. Н. Храмов; Г. И. Гончаров; Р. А. Комисарова и др. Палеомагнитология. Под ред. А. Н. Храмова. — Л.: Недра, 1982 г. — 312 с.
15. Л. Е. Шолпо, М. Н. Щекин. Изучение состава и структуры ферромагнитных компонентов по коэрцитивным спектрам горных пород. — Изв. АН СССР, физика Земли, 1977 г. № 9, с. 78-90.
16. G. Bosinski, D. Lordkipanidze, G. Majsuradze, M. Tvalčrelidze. Die Ablagerungen auf der Basaltlava. Der Altpaläolithische Fundplatz Dmanisi in Georgien (Kaukasus). Jahrbuch des Romisch-Germanischen Zentralmuseums Mainz, 36. Jahrgang, 1989. — p. 76-83.
17. Dzaparidze V., Bosinski G., Bugianisvili L. G., Justus A., Klopotovskaja H., Kvavadze E., Lordkipanidze D., Majsuradze G., Mgeladze H., Nioradze M., Pavlenišvili E., Schminke H.-U., Sologashvili D., Tušabvamišvili D., Tvalčrelidze M., Vekua A. Der altpaläolithische Fundplatz Dmanisi in Georgien (Kaukasus). Jahrb. RGZM 36, 1989 (1991), p. 67-116.
18. G. Majsuradze, E. Pavlenišvili, H. Schmincke, Dž. Sologashvili. Paleomagnetic und Datierung der Basaltlava. Der altpaläolithische Fundplatz Dmanisi in Georgien (Kaukasus). Jahrbuch des Romisch-Germanischen Zentralmuseums Mainz, 36. Jahrgang, 1989. — p. 74-76.
19. Thellier E., Thellier O. Sur la Possibilité de Contrôles Précis en Archéomagnétisme. — J. Geomagn. and Geoelectr.; 1962. XIII, № 3, 4, p. 120-127.

მერაბ თვალჭრელიძე, დავით ლორთქიფანიძე

ნალექდაბროვების თავისებურებანი დმანისის პირველყოფილი ადამიანის სადგომის ტერიტორიაზე

ადრე ქვის ხანის სადგომი დმანისი მდებარეობს საქართველოს ისტორიულ პროვინციაში, ქვემო ქართლში (გეოგრაფიული კოორდინატები: $44^{\circ} 21'$ — გრძედი, $41^{\circ} 19'$ — განედი), თანამედროვე დმანისის რაიონის ტერიტორიაზე, კლდოვან კონცხზე. კონცხი წარმოადგენს დმანისის ვულკანოგენური პლატოს ნაწილს და გამოყოფილია მისგან მდინარეების — მაშავერასა და ფინეზაურის კანიონისმაგვარი ხეობებით, რომელთა სიღრმე 80-90 მ-ია. კონცხს სამკუთხედის ფორმა აქვს, მისი ფართობი არ აღემატება $0,4 \text{ კმ}^2$ -ს.

გეოტექნიკურად საკვლევი რაიონი მიეკუთვნება ართვინ-ბოლნისის ბელტის ბოლნისის ზონას. იგი განლაგებულია ლოქის აზევეების და საკირე დმანისის დაძირვის ქვეზონებს შორის. გეომორფოლოგიური და ფიზ-გეოგრაფიული დარაიონების მიხედვით, დმანისი სამხრეთ საქართველოს ვულკანური მთიანეთის ნაწილია და უშუალოდ ესაზღვრება მცირე კავკასიონის ზონას (2). უნდა აღინიშნოს, რომ დმანისის რაიონი კავკასიის სამი ბუნებრივი-ისტორიული ოლქის (ცენტრალური ამიერკავკასია, სამცხე-ჯავახეთი და ზემო ქართლი) შესაყარზე მდებარეობს (1).

პირველყოფილი ადამიანის სადგომის მიმდებარე ტერიტორიისათვის დამახასიათებელია ზომიერად ტენიანი კლიმატი, ცივი ზამთრითა და ხანგრძლივი თბილი ზაფხულით. საშუალო წლიური ტემპერატურა — $+5$ — $+10^{\circ} \text{ C}$, იანვრის — -2 — $+7^{\circ} \text{ C}$, ივლისის — $+13$ — $+21^{\circ} \text{ C}$, ატმოსფერული ნალექების წლიური რაოდენობა 500-700 მმ-ია.

რაიონში ფართოდაა გავრცელებული სტეპური ღანდშაფტები, რომელიც ძირითადად ანთროპოგენული წარმოშობისაა. ცალკეულ ადგილ-



ბში გვხვდება ტყის უბნები, სადაც ედიფიკატორები წიფელი და მუსაა, დმანისის სადგომი ფართოფოთლოვანი ტყეების ზედა ზოლშია განლაგებული.

არქეოლოგიური ძეგლის მიდამოები აგებულია ზედაცარცული ვულკანოგენური და ვულკანოგენურ დანალექი ფორმაციებით, რომლებიც ქმნიან რელიეფის დადებით ფორმებს. ზედაპლიოცენური, ახალგაზრდა ბაზალტური ლავური ნაკადები სუბჰორიზონტალურადაა განლაგებული და უთანხმოდ აღეგვს ზედაცარცულ ნალექებს. ლავური ნაკადები საკმაოდ დიდ ფართობზე ვრცელდება და ქმნის პლატოსმაგვარ რელიეფს. ლავები დადებითადაა დამაგნიტებული და კოლერიდდება ოლდუვაის პალეომაგნიტურ ეპიზოდთან. მათი აბსოლუტური ასაკი განსაზღვრულია კალი-არგონული მეთოდით. მიღებულია შემდეგი თარიღები: $1,8 \pm 0,2$ მლნ. წელი, $1,9 \pm 0,1$ მლნ. წელი, $1,853 \pm 0,06$ მლნ. წელი (8, 5). ლავების ამოფრქვევის ცენტრად მიჩნეულია ჯავახეთის ქედზე არსებული ვულკანური კონუსი ემლიკლი (3, 2).

ლავურმა ნაკადებმა მთლიანად შეცვალა ამოფრქვევამდე არსებული როგორც პალეორელიეფი, ასევე პალეოჰიდროქსელი. მათ ამოავსეს მდინარეების მაშავერასა და ფინეზაურის ხეობები, რომელთა სიღრმეები გაცილებით მეტი იყო თანამედროვესთან შედარებით. ამ მოსაზრების გამოთქმის საშუალებას იძლევა ის გარემოება, რომ ამ ხეობების ფსკერი წარმოდგენილია ბაზალტური ლავებით. ბაზალტური ნაკადები რელიეფში ქმნის სამ საფეხურს, რომლებიც ჩვენი ვარაუდით ვულკანის აქტივობის სამ განსხვავებულ ციკლს შეესაბამება. ამოფრქვევებს (ციკლებს) შორის მნიშვნელოვანი შესვენება არ ყოფილა, წინააღმდეგ შემთხვევაში ლავურ საფეხურებს შორის გვექნებოდა განამარხებული ნიადაგები, გამოფიტვის ქერქები, ტერიგენული ნალექების ფრაგმენტები და პალეორელიეფის ეროზიის ნიშნები. ამგვარი რამ საკვლევ რაიონში არ ფიქსირდება.

არქეოლოგიური ძეგლი განლაგებულია ბაზალტური ლავების პირველ საფეხურზე, კონცხის ტერიტორიაზე დღეისთვის არსებულ ჭრილებში ნალექების თანმიმდევრობა (ზემოდან ქვემოთ) შემდეგი სახითაა წარმოდგენილი:

1. ნაცრისფერი თიხნარი. საშუალო სიმძლავრე $m \approx 0,15$ მ.
 2. მოყვითალო-მოყავისფრო თიხნარი. $m \approx 0,50$ მ.
 3. კარბონატული ქერქი. $m \approx 0,20-0,25$ მ.
 4. ყავისფერი თიხნარი. $m \approx 0,75$ მ.
 5. მოყავისფრო-მოშავო თიხნარი. $m \approx 0,80-1,0$ მ.
 6. შავი ვულკანური ქვიშა და ფერფლი. $m \approx 0,40$ მ.
 7. ბაზალტური ლავა. ხილული სიმძლავრე 90 მ.
- უკანასკნელი მონაცემები აჩვენებენ, ლინეების არსებობას.

VI შრ. ვულკანური ქვიშა და ფერფლი



არქეოლოგიური ძეგლის ტერიტორიაზე არსებულ ჭრილებში მასალურ ლავებს თავზე ადევს ვულკანური ქვიშა და ფერფლი. მინერალოგიური (ცხრილი 2) და რენდგენოსტრუქტურული კვლევის შედეგების მიხედვით, VI შრის აგებულებაში მონაწილეობას იღებს კვარცი, კალციტი, მინდვრის შპატები, ვულკანური მინა და შეცვლილი მუქი მინერალები. მინერალებს დამუშავების კვალი არ ეტყობათ, მათ დაკუთხული ფორმები ახასიათებთ. ქიმიური ანალიზის (ცხ. 1) შედეგების მიხედვით CaCO_3 -ის შემცველობა VI შრეში ერთზე ნაკლებია.

VI შრის სტრუქტურული თავისებურებანი და მინერალების ფორმა გვაძლევს საშუალებას დავუშვათ, რომ ვულკანური პროდუქტებისაგან აგებული შრის დალექვა ხდებოდა სუბაერაღურ პირობებში — ჰაერიდან, რის შედეგადაც წარმოიქმნა ერთგვაროვანი ფენა შიდასტრუქტურული ფორმების გარეშე, რომლის ამგები მასალა დახარისხებული არ არის.

გამონაკლისს წარმოადგენს XI ნაგებობის სამხრეთ-დასავლეთ კედლის ქვედა ნაწილი (6), სადაც სუბაერაღურ პირობებში, ლავებზე იდექებოდა ვულკანური ქვიშა და ფერფლი. აქ გვხვდება მუქი ფერის, განსხვავებული გრანულომეტრიული და მინერალოგიური შედგენილობის, მცირე სიმძლავრეების ჰორიზონტალური და ირიბშრებრივი შრეების მორიგეობა. ვულკანური მასალის ნაწილი დალექილი არის ჰაერიდან მცირე ზომის წყალსატევში, ხოლო ნაწილი კი მდინარის მიერ არის მოტანილი წყალსატევაში. ამ უკანასკნელი მოსაზრების გამოთქმის საშუალებას იძლევა ის გარემოება, რომ ვულკანური მასალის ნაწილს, რომლითაც აგებულია შრეები, ეტყობა წყლით ხანგრძლივი დამუშავების კვალი. VI შრის სტრუქტურული თავისებურებიდან გამომდინარე, მისი დალექვა ხდებოდა წყნარ პირობებში, ბაზალტური ნაკადის უსწორმასწორო ზედაპირზე წარმოქმნილ მცირე ზომის წყალსატევაში, რომლის სიღრმე და აკვატორია ხშირად იცვლებოდა. ვერტიკალურ ჭრილში, ჰორიზონტალური მცირე ზომის შრეები შეესაბამება წყალსატევის ღრმა ნაწილს, ხოლო ირიბი — სანაპირო ზონას.

ქიმიური (სილიკატური) ანალიზის შედეგები %
ცხრილი № 1

შრე №№	SiO_2	Al_2O_3	Fe_2O_3	TiO_2	MnO	P_2O_5	SO_2	CaO	MgO	K_2O	Na_2O	ΠΠΠ	სინთ- რივე	კარბო- ნატუ- ლობა
2	39,52	10,73	5,15	0,25	0,10	0,39	0,06	14,23	2,58	2,24	1,67	17,84	5,24	29,92
3	31,21	5,21	1,68	0,08	0,02	0,20	0,04	24,84	2,92	0,65	0,74	30,72	1,68	58,08
4	46,33	11,53	6,01	0,76	0,11	0,31	0,03	13,46	3,13	2,08	2,17	12,12	2,04	16,72
5	59,92	15,13	5,96	0,81	0,12	0,12	0,01	4,98	2,20	2,18	3,04	4,32	1,20	<1
6	58,56	15,62	6,89	0,76	0,13	0,21	0,02	7,44	1,96	2,13	3,33	2,76	0,20	<1



აღნიშნულ შრეებს ვერტიკალურ ჭრილში ზემოთ აგრძელებს ესევე მცირე სიმძლავრის ირიბშრეებრივი ქვიშები და ჰორიზონტალურ შრეებრივი ღია ფერის თიხნარი (6), რომლებიც აგრეთვე სუბაქვალური გენეზისისაა. ქვიშები ძირითადად შედგება ქანების მცირე ზომის ნატეხებისაგან, ხოლო თიხნარში სჭარბობს კვარცი, კალციტი, მინდვრის შპატები. იშვიათად გვხვდება ვულკანური მინა. მთლიანობაში მინერალებს ეტყობა წყლით დამუშავების კვალი.

V შრე. მოშავო-მოყავისფრო თიხნარი

VI შრე ზემოდან გადაფარულია მოშავო-მოყავისფრო თიხნარით. მის აგებულებაში ძირითადად მონაწილეობს კვარცი, მინდვრის შპატები და ვულკანური მინა. მცირე რაოდენობითაა მუქი მინერალები, ხოლო კალციტი ერთეული მარცვლების სახითაა წარმოდგენილი (ცხ. 2). $CaCO_3$ აქაც ერთზე ნაკლებია (ცხ. 1). მინერალებს არ ეტყობა დამუშავების კვალი. შრე დალექილია სუბაერალურ პირობებში.

შრეში გვხვდება ვულკანური ქვიშისა და ფერფლის ლინზები, რომლებიც მეორედ განლაგებაშია და გადალექილია VI შრიდან. თიხნარის მუქი ფერი გამოწვეული არის ალოქტონური ვულკანური მასალის შერევით.

V და VI შრეების კონტაქტზე ხშირია ღია ფერის, დიდი ზომის ქვიშიანი ლინზების ჩანართები, რომლებიც განსაკუთრებით ბევრია XI ნაგებობის დასავლეთ კედელში (6). მსგავსი ლინზისმაგვარი ჩანართები გვხვდება აგრეთვე № 1 და № 2 ორმოებშიც (6).

ზემოაღნიშნული ლინზები უფრო ახალგაზრდაა, ვიდრე ვულკანური ქვიშა და ფერფლი, რადგანაც XI ნაგებობის ჭრილში (6), VI შრე (სამხრეთ-დასავლეთი კედლის გარდა) თითქმის მთლიანად ერთზირებულია და შემორჩენილია ფრაგმენტების სახით. ამ ლინზების წარმოქმნა გამოწვეული იყო დროებითი წყლის ნაკადების მოქმედებით (წვიმა, თოვლი). ლინზების ამგები მასალა — ქანების ნატეხები და მინერა-

მინერალოგიური ანალიზის შედეგები % ცხრილი 2

№№	მ ი ნ ე რ ა ლ ე ბ ი					
	კალციტი	კვარცი	მინდვრის შპატები	თიხის ფრაქცია	ვულკანური მინა	ვანუსახ-ღვრული მინერალები
2	34	12	22	24	6	2
3	76	+	8	16	—	—
4	28	10	18	22	18	4
5	20	7	22	24	30	7
6	3	3	24	8	60	2



ლები (ძირითადად კვარცი, კალციტი და მინდვრის შპატები) მცირედად დამუშავებული. ლინზები შედარებით დიდი რაოდენობით გვხვდება ნაგებობის დასავლეთი კედლის ჭრილში (6), რადგანაც პირველყოფილი ადამიანის საღამოს ეს ნაწილი, ჩვენი ვარაუდით, ვულკანური ლავების მიერ შექმნილ ტაფობის კიდეც წარმოადგენდა.

IV შრე. ყაპისფერი თიხნარი

V შრე გადაფარულია ყავისფერი თიხნარით. ამ შრეში იზრდება ღია ფერის მინერალების — კალციტის, კვარცის (ცხ. 2) შემცველობა, ხოლო ვულკანური მინა ნაკლები რაოდენობითაა წინა შრეებთან შედარებით. CaCO_3 შრეში 16,72 %-ს აღწევს (ცხ. 1). მინერალებს დამუშავების კვალი არ ეტყობა. ქიმიური ანალიზის მონაცემებით, V და IV შრეები თითქმის არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და ამ უკანასკნელის (IV შრე) გენეზისიც სუბაერალურ პროცესებს შეესატყვისება. შრის შედარებით ღია ფერი, მის ქვეშ მდებარე შრეებთან შედარებით, გამოწვეულია მუქი მინარევების ნაკლები შემცველობით.

III შრე. კარბონატული ქერქი

III შრე დღეისათვის გვხვდება არქეოლოგიური გათხრების მთელ ფართობზე. მისი სიმძლავრე ჭრილებში მნიშვნელოვნად არ იცვლება, მხოლოდ კონცხის სამხრეთ-დასავლეთით შეიმჩნევა სისქის შემცირება.

III შრის გენეზისზე არსებობს არაერთგვაროვანი შეხედულებები. კერძოდ, გ. მაისურაძეს (7) ნაღეჭების კომპლექსური სელიმენტოლოგიურ-გეოქიმიური კვლევების ჩატარების გარეშე გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ კარბონატული ქერქი წარმოიქმნა ცხელი კლიმატის პირობებში, CaCO_3 -ის შემცველი ხსნარების კაპილარული არხებით ქვემოდან ამოსვლის შედეგად. გ. მაისურაძის პიპოთეზის მიხედვით (7): 1. კალციუმის კარბონატის შემცველობა უნდა იზრდებოდეს ქვემოდან ზემოთ — VI შრიდან III შრისაკენ. 2. ქვედა შრეებში (VI-V-IV) შემორჩენილი უნდა იყოს კარბონატით გაჯერებული ხსნარების ამომჟვანი კაპილარების (არხების) ფრაგმენტები. 3. კარბონატულ ქერქს უნდა ჰქონდეს ფართო გეოგრაფიული გავრცელება, რადგანაც კლიმატის ზემოქმედებას აქვს გლობალური და არა ვიწრო ლოკალური ხასიათი.

გ. მაისურაძეს სტატიაში (7) განსაზღვრული აქვს ნაღეჭების კარბონატულობა, რომელიც მეთოდიკის თვალსაზრისით სწორად არ არის შესწავლილი. იგი (კარბონატულობა) გამოთვლილია სილიკატური ანალიზის შედეგებიდან და შესაბამისად მისი სიზუსტე დიდ დიაპაზონში მერყეობს, რის გამოც შრის გენეზისის დადგენისას ამ მონაცემების გამოყენება მიზანშეწონილი ვერ იქნება.



ჩვენს მიერ კარბონატულობა განსაზღვრული იქნა კალციმეტრით, რომლის ცდომილებაც გაცილებით ნაკლებია 1%-ზე. ჩატარებულ ანალიზების მიხედვით (ცხ. 1), CaCO_3 -ის შემცველობა VI და V შრეებში ერთზე ნაკლებია, ხოლო IV შრეში 16,72%-ს აღწევს. ამ უკანასკნელში CaCO_3 -ის არსებობა III კარბონატული შრის გავლენით არის გამოწვეული.

ბუნებაში კალციუმის კარბონატით გაჯერებული ხსნარების აღმავალი გადაადგილების მრავალი შემთხვევა არსებობს (ამგვარი რამ არქეოლოგიური ძეგლის ერთ-ერთი ტრილის II შრეშიც გვხვდება, რომელსაც ქვემოთ შევხებით). ამ პროცესის კვალი გეოლოგიურ ტრილებში შემორჩენილი არის CaCO_3 -ით აგებული, სხვადასხვა ზომის ვერტიკალური არხების, ან მათი ფრაგმენტების სახით, რომლებიც კვეთენ შრეებს და კონცენტრირდებიან ზედა შრეებში. ამ მოვლენის ნიშნები არქეოლოგიური ძეგლის VI, V და IV შრეების გეოლოგიურ ტრილებში არ შეიმჩნევა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კლიმატის ზემოქმედებას აქვს ფართო და არა ვიწრო, ღოკალური ხასიათი. ამიტომ თუ კარბონატული ქერქის გენეზისი დაკავშირებულია მხოლოდ კლიმატთან (გ. მაისურაძე), მაშინ იგი დიდ ფართობზე უნდა ვრცელდებოდეს, რადგანაც საკვლევი რაიონი და მისი შემოგარენი თითქმის ერთი და იგივე ვულკანოგენურ და ვულკანოგენურ-დანალექი ქანებით არის აგებული. არსებული გეოლოგიური ტრილების თანახმად, კარბონატული ქერქი გვხვდება მხოლოდ კონცხის ტერიტორიაზე, რომლის ფართობიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არ აღემატება 0,4 კმ²-ს. კონცხის კიდიდან 300-400 მ-ზე, მდინარე მაშავერას ხეობის მარცხენა მხარეს გაკეთებულ შურფებში (3 შურფი) კარბონატული ქერქი ან მისი ნაშთი არ აღმოჩნდა. იგივე სურათია მდ. ფინეზაურის მარჯვენა მხარესაც.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, გ. მაისურაძის (7) მოსაზრება იმის შესახებ, რომ III შრის გენეზისი დაკავშირებულია ცხელ კლიმატთან და მიწისქვეშა კაპილარული არხების მოქმედებასთან, სინამდვილეს არ შეეფერება.

III შრეში კალციუმის კარბონატის (CaCO_3) შემცველობა 58,08%-ს აღწევს (ცხ. 1), ხოლო კალციტის რაოდენობა (ცხ. 2) 76%-ს, მნიშვნელოვნადაა შემცირებული მინდვრის შპატები და თიხის ფრაქცია, ხოლო კვარცი გვხვდება ერთეული მარცვლების სახით, ვულკანური მინა და მუქი მინერალები არ გამოიყოფა. ქიმიური ანალიზის შედეგების მიხედვით (ცხ. 1), III შრე მნიშვნელოვნად განსხვავდება დანარჩენი ტერიგენული ნალექებით აგებული შრეებისაგან.

ფაქტიური მასალის მონაცემების საფუძველზე, ჩვენი ვარაუდით კარბონატული ქერქის გენეზისი დაკავშირებულია წყლის გარემოსთან, რომელშიც CaCO_3 -ის შემცველობა მაღალი იყო. ამ მოსაზრებას ადასტურებს ის გარემოება, რომ ქერქს ახასიათებს შრეებრივი სტრუქტურა, ხოლო მასში ჩართული ტერიგენული მასალა და მინარევები გრანულიმეტრულადაა დახარისხებული, რომელთაც ემჩნევა წყლით დამუშავების კვალი.



III შრე მინერალოგიური და ქიმიური შედგენილობის (ცხ. 1, 2), ასევე სტრუქტურულ-ტექსტურული თავისებურებების მიხედვით ტერიტორიის წარმოადგენს, რომლის ფორმირების პერიოდში კონცხის ტერიტორია უკვე გამოყოფილი იყო დმანისის პლატოსაგან მდინარეების მაშავერასა და ფინეზაურის ხეობებით. კარბონატული ხსნარების წყარო მდებარეობდა კონცხის ტერიტორიაზე, რის შედეგადაც კარბონატული ქერქის გავრცელების არეალი კონცხს არ სცილდება.

რაც შეეხება კარბონატულ ქერქში ნანახ ერთეულ ხმელეთის მოლუსკებს, იგი დროებითი წყლის ნაკადებით (წვიმა, თოვლის ნადნობი წყლები) უნდა იყოს შეტანილი კარბონატული ნალექდაგროვების ზონაში.

II შრე. მოყვითალო-მოყავისფრო თიხნარი

II შრე, ისევე, როგორც მის ქვეშ მდებარე შრეები, ვრცელდება გათხრების მთელ ფართობზე. მინერალოგიური (ცხ. 2) ანალიზის შედეგად გამოყოფილია შემდეგი მინერალები — კალციტი, კვარცი, მინდვრის შპატები, ასევე თიხის ფრაქცია. მცირე რაოდენობითაა ვულკანური მინა. უფერული მინერალების დიდი რაოდენობით შემცველობა (ცხ.2) განსაზღვრავს შრის შედარებით ღია ფერს, ტერიგენული ნალექებით აგებულ დანარჩენ შრეებთან (VI,V,IV) შედარებით. მინერალებისა და ქანების ნატეხებს არ ემჩნევა დამუშავების კვალი. ისინი სუბაერალური ნალექდაგროვების პროდუქტს წარმოადგენს.

კონცხის დასავლეთ კიდეზე არსებულ ჭრილში, II შრე სტრუქტურულად მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვა ჭრილებისაგან. აქ II შრეში ვიზუალურად მკვეთრად გამოიყოფა მთეთრო ფერის ვერტიკალური არხები (სიგანე 3-5 სმ), რომლებიც მთელს სიგრძეზე კვეთავენ შრეს. არხებში CaCO_3 -ის შემცველობა 88%-ს აღწევს. მათი გენეზისი, ჩვენი ვარაუდით, დაკავშირებულია III შრიდან CaCO_3 -ის ხსნარების გადაადგილებით ვერტიკალურად ზემოთ, რასაც ხელს უწყობდა, როგორც კლიმატური პირობები, ასევე გრუნტის წყლების ხელსაყრელი განლაგება და რელიეფის ექსპოზიცია.

ჩვენს მიერ შესწავლილი იყო II შრეში არსებული ქვიური მასალა. მათი პეტროგრაფიული შედგენილობა ზუსტად ემთხვევა რაიონის ამგებ ვულკანოგენურ და ვულკანოგენურ-დანალექი ფორმაციების შედგენილობას. ქვიური მასალის ზომები ძირითადად მერყეობს 1-3 სმ-დან 15-20 სმ-მდე. მათი მთლიანი რაოდენობიდან (271 ერთეული), 107 — ალუვიური მასალაა, ხოლო დანარჩენი 164 — დამუშავებელი ქანების ნატეხებია.

ალუვიური მასალის (107) დამუშავების კოეფიციენტები ხაბაკოვის (4) ოთხბალიანი სისტემის მიხედვით განაწილებულია შემდეგი სახით:

1 ბალიანი — 49 ერთეული. სუსტად დამუშავებული კუთხეებით და წიბოებით;

2 ბალიანი — 36 ერთეული. სუსტად მომრგვალებული წიბოებით;

3 ბალიანი — 18 ერთეული. კარგად დამუშავებული;

4 ბალიანი — 4 ერთეული. იდეალურად დამუშავებული.

მდინარეების მაშავერასა და ფინეზაურის თანამედროვე ალუვიონის დამუშავების კოეფიციენტები და პეტროგრაფიული შედგენილობის თქმის არ განსხვავდება II შრის ალუვიონის დამუშავების მსგავსებისაგან და პეტროგრაფიული შედგენილობისაგან. II შრის დალეკვის პერიოდში მდინარეების მაშავერასა და ფინეზაურის ხეობების ფსკერი გაცილებით დაბლა მდებარეობდა კონცხის ზედაპირთან შედარებით. ამიტომ ალუვიონის მოხვედრა II შრეში ბუნებრივი პროცესებით შეუძლებელი იქნებოდა. ჩვენი ვარაუდით, ალუვიური მასალა მოტანილი იყო პირველყოფილი ადამიანის მიერ ქვის იარაღის ნედლეულის სახით.

სრულიად დაუმუშავებელი (0 ბალიანი) 164 ქვიური მასალიდან 11 ერთეული ადგილობრივი გენეზისის ბაზალტებია. დიდი ზომის, ფორვანი, დაკუთხული ბაზალტების ნატეხების არსებობა II შრეში გვადლევს საშუალებას დავუშვათ, რომ ისინი წარმოადგენს კონცხზე არსებული ბაზალტური ლავების შეინიღების დეზინტეგრაციის პროდუქტს, რომელთა დამსხვრევაც ფიზიკური გამოფიტვის შედეგად ხდებოდა II შრის დალეკვის პერიოდში. აქ ისინი მოხვდა მცირე მანძილიდან ძირითადად გრავიტაციის ძალების მეშვეობით.

რაც შეეხება დანარჩენ დაუმუშავებელ ქვიურ მასალას (153 ერთეული), ისინი წარმოადგენს ზედაცარცულ ვულკანოგენურ და ვულკანოგენურ-დანალექა ქანების დეზინტეგრაციის პროდუქტს, რომლებიც აგებენ კონცხზე არსებულ შუა საუკუნეების ძეგლის ციტადელს. ჩვენი ვარაუდით, II შრის დალეკვის პერიოდში, ციტადელის პალეორელიეფი გაცილებით მაღალი იყო თანამედროვესთან შედარებით და უფრო ახლოს მდებარეობდა არქეოლოგიურ ძეგლთან. აქედან გამომდინარე, დეზინტეგრირებული მასალის გადმოადგილება ხდებოდა მცირე მანძილიდან, სიმძიმის ძალისა (გრავიტაციის) და დროებითი წყლის ნაკადების (წვიმა, თოვლი) გავლენით, რის გამოც ისინი დაკუთხული ფორმისაა და დამუშავების კვალი სრულიად არ ეტყობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქვიური მასალის გრძელი ღერძების ორიენტაცია ადასტურებს ზემოთგამოთქმულ მოსაზრებას. რაც შეეხება შრეებში (თიხნარში) არსებულ ქვიურ მასალას, მისი განსაზღვრული რაოდენობა (ალუვიონი) მოტანილი არის ძეგლის ტერიტორიაზე პირველყოფილი ადამიანის მიერ, როგორც იარაღის ნედლეული, ხოლო ნაწილი (დაუმუშავებელი, დაკუთხული) შრეებში მოხვედრილია მცირე მანძილებიდან ფიზიკური ძალების მეშვეობით.

I შრე. ნაცრისშერი თიხნარი.

მას შემდეგ, რაც დაილექა ზედაპირული შრე, მოხდა პირველყოფილი ადამიანის სადგომისა და კონცხის ზედაპირების ნიველირება, რის შედეგადაც შეწყდა სუბაერალური ნალექაგროვება და დაიწყო ნიადაგის ფორმირების პროცესი.

ზედაპლიოცენში, ჯავახეთის ზეგნიდან წამოსულმა ბაზალტურმა კაღმა გადაკეტა მდინარე ფინეზაურის ხეობა და წარმოქმნა ტბიური აუზი. მისი სიგრძე დაახლოებით 6-7 კმ. იყო, სიგანე — 500-800 მ., ხოლო სიღრმე 90 მ-ს აღემატებოდა (ტბიური ნალექების ფრაგმენტები გვხვდება სოფელ პატარა დმანისის ტერიტორიაზე). წყალსატევის ავსების შემდეგ, წყლის ნაკადები ძირითადი ხეობის გამომუშავებამდე გადაედინებოდნენ ბაზალტურ ზღურბლზე და მის უსწორმასწორო ზედაპირზე ქმნიდნენ მცირე ზომის წყლის აუზებისა და უმნიშვნელო ზომის ხეობების ქსელს. არქეოლოგიური ძეგლის ერთ ნაწილში (XI ნაგებობა, VI შრე) წარმოიშვა ხელსაყრელი პირობები მცირე ზომის წყალსატევის ჩამოყალიბებისათვის. ამ მონაკვეთში ხდებოდა ტბიური გენეზისის ნალექების დალექვა, ხოლო სხვა ჭრილებში, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ბაზალტური ლავების ზედაპირი დაფარულია (VI შრე) სუბაერალური გენეზისის ვულკანური ქვიშითა და ფერფლით. XI ნაგებობის დასავლეთი კედლის ჭრილი შეესაბამება ბაზალტების მიერ შექმნილი მცირე ზომის ტაფობის კიდურ ნაწილს, სადაც სუბაერალური ნალექდაგროვების საწყის ეტაპზე წყლის დროებითი ნაკადების მეშვეობით ადგილი ჰქონდა უხეშმარცვლოვანი ქვიშის ლინზების დალექვას. ლინზების რაოდენობა მნიშვნელოვნად კლებულობს აღმავალ ჭრილში, ხოლო ზედა პორიზონტებში საერთოდ არ გვხვდება. ეს გამოწვეული იყო ტაფობის კედის დახრის კუთხის თანდათანობითი შემცირებით და ბოლოს მისი ნიველირებით კონცხის ზედაპირთან. ძეგლის ტერიტორიაზე არსებული სხვა ჭრილები დაცილებული იყო უხეშმარცვლოვანი მასალის მკვებავი წყაროსაგან, რის გამოც იქ სუბაერალურ პირობებში იღუპებოდა დაახლოებით ერთგვაროვანი გრანულიმეტრიული შედგენილობის თიხნარი მასალა (გარდა III კარბონატული ქერქიტრავერტინი და XI ნაგებობის სამხრეთ-დასავლეთი კედლის ძირი).

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ ძეგლის მორფოლოგიაც ხელს უწყობდა სუბაერალური ნალექდაგროვების უწყვეტ პროცესს. სუბაერალურ პირობებში წარმოქმნილი ყველა შრის (გარდა III და VI შრეებისა) მკვებავ პროვინციას ძირითადად წარმოადგენდა ზედაცარცული ვულკანოგენურ და ვულკანოგენურ-დანალექი ფორმაციების, ნაწილობრივ ზედაპლიოცენური ბაზალტების გამოფიტვის ქერქი. ეს დასტურდება ნალექების მინერალოგიური და ქიმიური ანალიზის (ცხ. I, 2) შედეგებით. მასალის ტრანსპორტირება ძეგლის მიმართულებით ხდებოდა ეოლური პროცესების შედეგად. რის გამოც ნალექებში თითქმის არ გვხვდება მძიმე მინერალები. ნალექების სუბაერალურ (ეოლურ) გენეზისზე მიუთითებს აგრეთვე ის ფაქტიც, რომ მინერალების პროცენტული შემცველობა ერთი და იგივე შრეებში სხვადასხვა ჭრილებიდან მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

ბაზალტების ზედაპირზე არსებული პირველადი მიკრო და მაკრო სტრუქტურული ფორმები გვაფიქრებინებს, რომ ლავების ამოღვის შე-



მდეგ მასზე სწრაფად მოხდა ვულკანური ქვიშისა და ფერფლის დაღე-
ქვა. ხარვეზის შემთხვევაში ბაზალტების ზედაპირზე წარმოქმნილი
გამოფიტვის ქერქი და ზემოთაღნიშნული სტრუქტურული ფორმები გა-
ნადგურებული იქნებოდა ეგზოგენური პროცესების შედეგად. ასევე დრო-
ში ხარვეზის გარეშე სუბაერალურ პირობებში მიმდინარეობდა ზედა
კულტურული შრეების (III შრის გარდა) დაღექვა. წინააღმდეგ შემთ-
ხვევაში, ნალექდაგროვების ვერტიკალურ ჭრილში უნდა გვქონდეს გა-
ნამარხებული ნიადაგების შუაშრეები, რომლის წარმოქმნისათვის იმ
დროისათვის არსებობდა ხელსაყრელი კლიმატური პირობები, მაგრამ
უწყვეტმა ნალექდაგროვებამ საშუალება არ მისცა მის ჩამოყალიბე-
ბას.

ამრიგად ასაკობრივი სხვაობა დათარიღებულ ბაზალტურ ლავებსა
(1,8-1,9 მლნ. წ.) და მის ზემოთ მდებარე შრეებს შორის უმნიშვნელოა
და არ სცილდება ზემოთ მოყვანილ აბსოლუტური ასაკების ცდომილე-
ბის ზღვარს.

ლიტერატურა

1. Гулисашвили В. З. Природные Зоны и естественно-исторические области Кав-
каза. Москва. Наука. 1964 г. 327 стр.
2. Маруашвили Л. И. (Ред.) Геоморфология Грузии. Тбилиси. Мецნიერება. 1971 г.
609 стр.
3. Схиртладзе Н. Н. Постпалеогеновый эффузивный вулканизм Грузии. Тбилиси.
Мецნიერება. 1958 г. 369 стр.
4. Хабиков А. В. Методы изучения осадочных пород. Москва 1957 г. стр. 83-87.
5. Djaparidze V., Bosinski G., Bugianishvili T., Gabunia L., Justus A., Klopotov-
skaia N., Kvavadze E., Lordkipanidze D., Maisuradze G., Mge-
ladze N., Nioradze M., Pavlenishvili E., Sckmincke H., Sologashvili
D., Tushabramishvili D., Tvalchrelidze M., Vekua A. Der altpaleo-
lithische Fundplatz Dmanisi in Georgien-Jahr, RGZM Mainz 1989 v.
36, pp. 67-116.
6. Maisuradze G. Des Mashavera-Basaltlavastroms. Jahr, RGZM Mainz 1995 v.
42 s. 26-52.
7. Ferring C. R., Swisher C. C., Bosinski G., Gabunia L., Kikodze Z., Lordkipanidze
D., Tvalchrelidze M., Tutberidze B. Progress report on the geology of
the Plio-Pleistocene Dmanisi Site and the Diliska Gorge, Republic of
Georgia. Paleanthropology Society. New Orleans pp. 5-6.
8. Schmincke H-U, van den Bogaard P. Die datierung des Mashavera-Basalt-
lavastroms Jahr, RGZM Mainz 1995 v. 42 s. 75-76.

РЕЗЮМЕ

РАМИН РАМИШВИЛИ, ВИССАРИОН ДЖОРБЕНАДЗЕ,
ДЖУМБЕР КОПАЛИАНИ

ВАХТАНГ ВАРЛАМОВИЧ ДЖАПАРИДZE

(Грузинский текст на странице 9)

Статья посвящается биографии, научной и общественной деятельности одного из видных представителей старшего поколения археологов Вахтанга Варламовича Джапаридзе (1911-1993 гг.).

ВАХТАНГ ДЖАПАРИДZE

ТОРГОВО-ЭКОНОМИЧЕСКИЕ ОТНОШЕНИЯ ДМАНИСИ В СРЕДНИХ ВЕКАХ


(по археологическим данным)

(Грузинский текст на странице 19)

По сведению исторических источников и археологическим данным установлено, что Дманиси городом стал в IX-X веках. Установлено и то, что до этого Дманиси являлся значительным поселением городского типа, о чем свидетельствуют существование здесь церкви Дманисский Сиони, а также и то, что здесь найдены византийские монеты этого периода.

Наивысшего уровня своего развития и процветания Дманиси достиг во второй половине XII и в XIII веках. Он органически включен в торгово-экономические отношения со многими странами мира.

Об этих отношениях дают представление не только письменные источники (историк Давида Агмашенебели, летописец времени монголов), а в основном, археологические данные: нумизматические



материалы — монеты грузинские, византийские, латинской империи, трапизонские, восточных стран, монгольские и. т. д. На основании этих материалов выясняется, что самые интенсивные торгово-экономические отношения этого города с разными странами существовали в XIII-XIV веках, особенно в XIII веке.

В Дманиси не найдено ни одной монеты XV-XVI веков, ни грузинского, ни иностранного происхождения. Повидимому, причиной этого является большая экономическая катастрофа вследствие многократных вторжений Тамерлана. С этих пор Дманиси уже не город, а только селение. В 1536 г. в Дманиси жили приблизительно 700 человек.

Со второй половины XVII в. и в первой половине XVIII в. Дманиси частично восстанавливается. При археологических раскопках найдены иранские и турецкие монеты этого периода. С XVIII в. активно входят в обращение и грузинские деньги.

Кроме монет, о торгово-экономических отношениях информацию дают такие археологические материалы, как керамика, стеклянные изделия, украшения и т. д.

Особого внимания заслуживает импортная керамика — персидский фаянс, фрагменты китайского селадона, а позже — турецкая керамика.

Не найдены как нумизматические материалы, так и импортная керамика периода XV-XVI вв. Экономическая жизнь и в этой сфере в Дманиси незначительно оживляется в XVII-XVIII вв., — здесь найден Керманский и Кашанский фаянс и турецкий полихромный фаянс этого периода.

С точки зрения торгово-экономических связей большой интерес вызывает фрагмент рейнской керамики, который археологи нашли в 1937 г. в Дманиси. Предполагается, что этот фрагмент типичный образец продукции керамических мастерских нижне-рейнских городов Кельна и Фрехена.

В Дманиси также найдено множество бус, изготовленных из разных материалов, имеют разные раскраски и формы. Они изготовлены как в Грузии, так и в других странах.

Таким образом, богатые археологические находки (нумизматика, керамика и др.) явно свидетельствуют об интенсивных торгово-экономических связях Дманиси со многими странами мира.

Со второй половины XVIII в. г. Дманиси прекратил существование.



К УТОЧНЕНИЮ ДАТЫ СРЕДНЕВЕКОВОЙ ПОЛИВНОЙ КЕРАМИКИ

(Грузинский текст на странице 38)

Верхним хронологическим пределом изготовления грузинской поливной керамики развитого средневековья, принято считать 30-ые годы XIII века. Сторонники подобной датировки предполагают, что после 1235 г (первое большое нашествие монголов), прекращается производство подобной керамики и она в Грузии не встречается.

Предложенная работа касается этого конкретного вопроса датировки. По нашему мнению, грузинская поливная полихромная керамика не только не прекращает своё существование в 30-ые годы XIII в, а напротив, центры по изготовлению грузинской поливной керамики, продолжают интенсивно функционировать до конца XIV века.

БИБЛИОГРАФИЯ РАБОТ В. В. ДЖАПАРИДЗЕ

(Грузинский текст на странице 58)

Библиография содержит перечень работ и публикации В. В. Джапаридзе с 1948 до 1998 г.

Составитель Хатуна Джорбенадзе.

ДЕВИ БЕРДЗЕНИШВИЛИ

ВАРДЗАГАРА

(Грузинский текст на странице 66)

Работа касается эпиграфических памятников с Хамамлу (ущелье р. Пинезаури), в своё время найденных, изученных и опубликованных Л. Мухелишвили. В то время не была ему известна одна надпись на каменном кресте с сельского кладбища. На западной и южной базе креста, шрифтом „мтаврული“ представлена эпитафия. Упомянутый в ней некий „месхай“ был: „скорбящий“, „пришельцем из далека“ и „бездетным“. Палеографические признаки, сходство с руставелевским стихосложением и лексикой, эпитафию, с упоминанием из других источников неизвестного, „месхай“, датируют её XIII веком.



В 1966 г. местные фанатики-мусульмане разбили упомянутый крест и эпитафия погибла; тогда же были сняты с церкви грузинские надписи (обломки ныне хранятся в Гос. музее им. С. Джанашиа).

На одной из этих надписей расшифрованная как „Вардзагара“, являющейся древним грузинским названием, заселёным в XIX в. с. Хамамлу.

Надписи Хамамлу подтвердили, что Вардзагара была значительным пунктом в ущелье Кара-су (левый приток р. Пинезаури), где пролегает путь из Триалети-Зуртакети в сторону Лоре-Ташири.

Кроме того, с привлечением карты Вахушти, удалось восстановить древние Грузинские названия трёх тюркоязычных селений расположенных в ущелье р. Кара-су, Хамамлу-Вардзагара, Мамишлу-Тагути, Сапарлу-Лаклакашени.

ДЖУМБЕР КОПАЛИАНИ

АРХЕОЛОГИЧЕСКИЙ МАТЕРИАЛ С НАДПИСЯМИ С ДМАНИССКОЙ КРЕПОСТИ

(Грузинский текст на странице 76)

Результатом раскопок на вышгороде (пл. 3250 м²) Дманисского городища явился археологический материал — некоторая его часть с надписями: фрагменты камня, черепица, сфероконусы (для благовоний и других ценных жидкостей), фаянсовая чаша, „квеври“ и бронзовая подвеска.

На каменных обломках (фрагменты разбитого большого камня с надписью) буквы шрифтом „мтаврული“ ოც, ზ, ლძ, на плоской черепице также помещены буквы шрифтом „мтаврული“ ცძზ. Поверхность сфероконуса содержит три буквы грузинским шрифтом „нუსხა-ხუცური“ — ზუშ. На винном кувшине „квеври“, вернее на венчике, до его обжига выцарапанна грузинская надпись шрифтом „мхედруლი“.

На внутренней поверхности фаянсовой чаши помещена персидская надпись. Бронзовая же подвеска (d — 1,5 см), с обеих сторон украшена погрудными изображениями и латинской надписью: на лицевой стороне лик богородицы и круговая латинская надпись: MAT SALVATORIS — „матерь божья“; на оборотной — также погрудное изображение в одеянии старца с жезлом и латинская надпись: S. FRAN. PAV — святой брат Павел.

Жители близ расположенного с. Патара Дманиси городища Дманиси называют „диди насоплари“. Употребление этого эпитета имело древнюю традицию.



В XVIII веке Дманиси упоминается как „сопели“ (деревня), что подтверждается и свидетельством путешественника Гюльденштедта, побывавшего в этих краях.

Для более полного представления истории Дманисского городища, наряду с археологическим материалом и сведениями летописцев, не менее важен вышеприведенный эпиграфический материал, который подтверждает, что на протяжении всего средневековья, несмотря на присутствие иноземных захватчиков, Дманиси продолжает сохранять национальный-грузинский дух и имеет тесные торговые связи с соседними странами.

ЗУРАБ ЦКВИТИНИДZE

НОВЫЕ НАХОДКИ В ОКРЕСТНОСТЯХ С. ГОМАРЕТИ

(Грузинский текст на странице 83)

Гомаретская археологическая экспедиция Дманисского историко-археологического отдела в окрестностях с. Гомарети проводила полевые археологические разведки и маломасштабные разведочные раскопки. Работы, в основном, производились близ местечка „Папунаант цкаро“ на куро-араксском однослойном поселении. Раскопан один квадрат 5,0x5,0 м., сохранились фрагменты стен из необожжённой глины с отпечатками плетёнки.

На поселении зафиксировано множество обломков глиняной посуды, развалившейся на месте. Керамика, в основном, соломенно-го обжига, хотя попадали и чёрно-лощенные экземпляры.

Большая часть сосудов украшена рельефным, очкообразным орнаментом.

Кроме керамики, на поселении найдены каменные хозяйственные орудия, также кремневые наконечники стрел, подобрано множество обсидиановых отщепов и обломков.

Судя по найденному материалу, поселение может быть датировано первой половиной III тысячелетия до н. э.

Кроме раннебронзового поселения, раскопано каменно-ящечное погребение эпохи широкого освоения железа соориентированное по оси северо-востока юго-запад. Захоронен был один покойник, на левом боку, в скорченном положении с головой на юго-запад.

Погребение содержало пять глиняных сосудов, бронзовые украшения: браслеты, подвески, височные кольца, цепочку, булавку, а также обсидиановые и пастовые бусы.

Погребение датируется первой половиной V в. до н. э.

ТАШИРСКИЙ КУРГАН № 5

(Грузинский текст на странице 88)

В историческом Ташири (Дманисский р-н) селе Ирганчай и его окрестностях было раскопано около пятидесяти курганных погребений, среди которых, своим материалом и традицией погребения, выделяется курган № 5. Курган с каменной насыпью d-2,3 м. Высота насыпи — 1,4 м. Погребальная камера ориентированная с запада на восток, была перекрыта каменными плитами разных величин и имела форму перевернутой ступенчатой пирамиды (размеры камеры около перекрытия — 6,4 мх5,5 м). На глубине 2,2 м была обнаружена ритуальная деревянная конструкция, покрывающая всю площадь камеры (размеры — 6,0 мх3,2 м). Конструкция представляла собой раму из четырёх обтёсанных брёвен толщиной — 0,1 м, из коих две, размером 5,25 м, были уложены около северной и южных стен, имели соединительные отверстия для параллельно лежавших сверху хорошо обструганных досок длиной — 2,9 м разной ширины от 0,16 м до 0,3 м, тоже с круглыми отверстиями для связки, это создавало впечатление целостности конструкции (таб. II-VII). На восточной стороне ритуальной конструкции был совершён обряд — обнаружены в обоих углах восточной стены головы быков со своими конечностями с направлением на восток. Сзади головы были обнаружены останки крупного и мелкого рогатого скота. Под этой конструкцией, в центре — в сторону западной стены камеры, в грунте была вырыта по нашему мнению, основная погребальная камера, которая имела форму прямоугольника (в длину — 2,4 м ширину — 0,9 м, глубину с наклоном в сторону центра от 0,8 м до 1 м). В камере находились остатки деревянных досок в потревоженном состоянии, часть тазовой кости и фрагменты рёбер человека, одно ребро крупного рогатого скота, четыре глиняных сосуда, сердоликовые и стеклянные бусы. Череп покойника находился вверху на деревянной конструкции в сторону западной стены. В погребальной камере обнаружено около 30 глиняных сосудов, из коих четыре сосуда находились в основной (в нижней) камере. Большинство сосудов обнаружено на ритуальной деревянной конструкции. На этой-же конструкции находились: бронзовый кинжал переднеазиатского типа, часть клинка от бронзового кинжала, два бронзовых скульптурных изображения птиц, оловянные подвески разной формы, несколько штук сердоликовых и стеклянных бус (таб. VIII).

Курган датируется по инвентарю (керамика, кинжал переднеазиатского типа, скульптурные изображения птиц и т. д.) первым этапом поздней бронзы. Радиоуглеродным методом (Калиброванная дата 3505±103. 1555 г. до н. э.) и принадлежит Центрально-Закавказской т. н. „Лчашен-Цительгорской“ культуре.

ВАХТАНГ ДЖАПАРИДЗЕ И ДМАНИССКИЙ ПАЛЕОЛИТИЧЕСКИЙ ПАМЯТНИК

(Грузинский текст на странице 108)

В статье отмечена большая роль В. В. Джапаридзе в деле открытия в 1983 г. и дальнейшего комплексного изучения раннепалеолитического памятника на Дманисском городище. Подчеркнуто, что лишь его неутомимыми стараниями удалось раскопки — изучение этого всемирно значимого памятника.

Здесь говорится и о сенсационном открытии 1991 г. останков доисторического человека датируемых 1,8 мл. лет.

ТАМАЗ БУГИАНИШВИЛИ

НОВЫЕ НАХОДКИ КАМЕННОГО ВЕКА В КВЕМО КАРТЛИ

(Грузинский текст на странице 114)

В работе рассмотрены каменные изделия, обнаруженные палеолитическим отрядом Дманисской археологической экспедиции в 1984-1986 годах раскопками раннечетвертичных отложений, подстилаемых долеритовыми лавами, нижнепалеолитического местонахождения средневекового городища Дманиси и поисковыми работами проведенными в одноименном административном районе.

Раскопки начались и велись на протяжении 1984-1986 годов в XI помещении (таб. 1) III квартала городища, где в 1983 году впервые были выявлены слои содержавшие кости ископаемых животных и каменные изделия нижнего палеолита. В раскопе помещения выделилось 9 слоев, верхние 7 из которых делювиального происхождения, а нижние 2 восьмой и девятый, речного и вулканического (Таб. III; II, 1, 2; IV, 1) (1, ст. 2). Отломанный в раскопе от лав штуф оказался нормально намагниченным. Лавы и вся толща слоев относятся к низам нижнего плейстоцена (2 ст. 22-23). Из слоев были взяты и образцы для пыльцевого анализа. Пока имеются данные по двум нижним из них (VIII, IX), в которых преобладают пыльца дуба, граба и бука, а количество пыльцы хвойных растений незначительно, что указывает на распространение в те времена мезофильных широколиственных лесов (Н. Б. Клопотовская).

кости ископаемых животных содержали все слои, они не сглажены и, повидимому, снесены в водоём с близкого расстояния. Часть костей „Кухонные отбросы“ первобытного человека.



Свидетельство тому многочисленные расколотые и раздробленные трубчатые и др., кости и нахождение их в слоях вместе с нижнепалеолитическими артефактами, Фауна представлена млекопитающими и единственной птицей — страусом. Кости и вмещающие их отложения датируются концом эоплейстоцена и низами нижнего плейстоцена (2 ст. 22-23).

Нижнепалеолитические каменные изделия в отличие от костей были обнаружены в I, II и IV-VIII, т.е. только в 7 слоях (Таб. III). Найдено 19 каменных изделий сработанных на гальке и обломках местных пород. Это 5 одноплощадочных нуклеусов (Таб. V; VI, 1, 2; VII; VIII) и 14 отщепов (Таб. IX, 1, 2, 3; X, 1, 2, 3; XI, 1, 2, 3; XII 1, 2; XIII, 1, 2, 3). Неокатанность их краев и граней указывает, что нуклеусы и отщепы, как и кости животных, занесены в водоём с очень близкого расстояния. Вероятнее всего они перемещены туда одновременно и из одного и того же первоначального месторасположения. Можно предположить, что на место нынешнего залегания каменные изделия и часть костей попали с „открытой“ нижнепалеолитической стоянки расположенной где-то на берегу, непосредственно у водоёма.

